

ინფორმატიკა

სახელმძღვანელო

11

ინფორმატიკა

11

სახელმძღვანელო

11





AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

Musiqisi *Üzeyir Hacıbəylinin*,
sözləri *Əhməd Cavadındır*.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırlız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayraqınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştəqdir!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

LAYİHƏ



LAYIHƏ

Əməkdar Mədəniyyətçi Heydar Əliyevin 90 illik yubileyinə həsr olunmuş

LAYTH

რამინ მაჟმუდზადე
ისეალი საღიბოვი
ნაიდა ისაევა

11

ନେତ୍ରମାତ୍ରିକା

სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-11 კლასის მოსწავლეებთათვის

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო – 2018.

საავტორო უფლებები დაცულია. ამ გამოცემის ან მისი
რომელიმე ნაწილის
გადაბეჭდვა, კოპირება და ინფორმაციის ელექტრონული
საშუალებებით გავრცელება
სპეციალური ნებართვის გარეშე კანონსანიაღმდეგოა.

გამომკუმლობა „BAKINESR“

სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული მოსაზრებები,
შენიშვნები და წინადადებები გთხოვთ, გმირების განვითარების
ელექტრონულ მსამართებებზე: bn@bakineshr.az და
derslik@edu.gov.az.
წინასწარ გთხოთ მათლობებს თანამშრომლობისათვის!

B A K I N E S R



Баку – 201

11

სარჩევი

1

სახელმძღვანელოს გაცნობა.	6
საინფორმაციო სისტემები	
1.1. საინფორმაციო სისტემა და მისი ელემენტები	11
1.2. საინფორმაციო სისტემების კლასიფიკაცია	16
1.3. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები	19
1.4. ხელოვნური ინტელექტი	23
1.5. საექსპერტო სისტემები	28
1.6. საძიებო სისტემები	32
1.7. დიდი მონაცემების ტექნოლოგია	36
1.8. საინფორმაციო საზოგადოება	39
შემაჯამებელი კითხვები და დავალებები.	43

2

მოდელირება

2.1. კომპიუტერული მოდელირება	41
2.2. მოდელირება ელექტრონულ ცხრილებში	50
2.3. ფიზიკური პროცესების კომპიუტერული მოდელი	53
2.4. პროცესების მოდელირება სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე	57
2.5. მათემატიკური ამოცანების მოდელირება პროგრამირების ენების დახმარებით	64
2.6. სამგანზომილებიანი გრაფიკული მოდელები.	68
შემაჯამებელი კითხვები და დავალებები	73

3

მონაცემთა პაზა

3.1. პროექტი და მისი ეტაპები	77
3.2. მონაცემთა პაზის დაპროექტება	80
3.3. მონაცემთა პაზა „სტუდენტების“ პროექტი	84
3.4. მონაცემთა პაზა „აზერბაიჯანული კინო“	91
3.5. მონაცემთა პაზა „აზერბაიჯანული ხალიჩა“	97
შემაჯამებელი კითხვები და დავალებები	105

4

ქსელური ტექნოლოგიაზი

4.1.	კომპიუტერების ურთიერთქმედება ქსელში	109
4.2.	ქსელის არქიტექტურა	113
4.3.	უკაბელო ქსელური ტექნოლოგიები	116
4.4.	მოდელი TCP/IP	122
4.5.	მობილური კავშირის ტექნოლოგია	127
4.6.	ინტერნეტმომსახურება	131
	შემაჯამებელი კითხვები და დავალებები	135

5

კომპიუტერი

5.1.	მართვის პანელი	139
5.2.	ხმის მართვა	144
5.3.	კომპიუტერის ენერგოდაზოგვის მართვა	149
5.4.	მოსარგებლის სააღრიცხვო ანგარიში და ოვაზური უსაფრთხოება	153
5.5.	კომპიუტერის მართვა შერი მანძილიდან შემაჯამებელი კითხვები და დავალებები	158

6

ვებპროექტი

6.1.	ვებსაიტის პროექტი	165
6.2.	ვებგვერდის შექმნა პროგრამა Word-ში	168
6.3.	Excel-ის ცხრილების შენახვა ვებგვერდის სახით .	173
6.4.	ვებპრეზენტაცია პროგრამა PowerPoint-ში	176
6.5.	ინტერნეტში საიტების პუბლიკაცია და მათი შეფასება	179
	შემაჯამებელი კითხვები და დავალებები	185

დამხმარე გასაღა პროექტებისათვის

A.	გამომთვლელი ტექნიკის ისტორია	187
B.	კომპიუტერების თაობები	190
C.	ლოგიკური ოპერაციები	193
D.	კომპიუტერის ლოგიკური საფუძვლები	197
E.	ლოგიკური ამოცანების ამოხსნა	201
	ტერმინთა ლექსიკონი	204

LAYIH

• 1 ნინასწარი შემოწმება. განვლილი მასალის გამეორება

მოტივაცია. აღნერილია სხვადასხვა სიტუაცია და მოვლენა, რაც კითხვების დასმით მთავრდება.

• 2 საქმიანობა. კვლევითი ხასიათის დავალებები, რომლებიც მიმართულია საინტერესო მოვლენების, პროცესების შესწავლისა და მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენისაკენ. შესრულებული სამუშაოს შესახებ მსჯელობისა და შესაძლებელი შეცდომების გამოვლენის მიზნით მოცემულია კითხვები.

• 3 განმარტებები. გაკვეთილის ძირითადი ნაწილი: შემოდის ახალი ცნებები, ყალიბდება წესები.

1

2

3

4

5

6

7

8

სახელმძღვანელოს გაცემა

დაიმახსოვრე. თითოეული თემის ფარგლებში შესწავლილი ძირითადი ცნებები.

ნაპიჯ-ნაპიჯ. პრაქტიკული ჩვეულების გამომუშავება.

ეს საინტერესოა! მაგალითების ნიმუშები და საინტერესო ინფორმაცია შეძენილი ცოდნის გასაღრმავებლად.

მაგალითი. ახალი ცნების უკეთ გასააზრებლად მოყვანილი მაგალითები.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად. დავალებები, რომელთა მიზანია საკითხის დამოუკიდებლად შესწავლა და საკუთარი ცოდნის გამოყენება.

9

10

შეამოწმე შენი ცოდნა. განკუთვნილია თითოეული თემის შესწავლის შედეგად შეძენილი ცოდნის განტკიცებისათვის, სწავლის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენისათვის.

LAYIH




1

საინფორმაციო სისტემები

- 1.1. საინფორმაციო სისტემა და მისი ელემენტები
- 1.2. საინფორმაციო სისტემების კლასიფიკაცია
- 1.3. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები
- 1.4. ხელოვნური ინტელექტი
- 1.5. საექსპერტო სისტემები
- 1.6. საძიებო სისტემები
- 1.7. დიდი მონაცემების ტექნოლოგია
- 1.8. საინფორმაციო საზოგადოება

LAYERED



სამსახურში, სახლში თუ ქუჩაში ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით **საინფორმაციო სისტემებს**. ეს სისტემები ყველაფერში გვეხმარება და მათ გარეშე ცხოვრება უკვე ვეღარც კი წარმოგვიდგნია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ჩვენგანი იყენებს საინფორმაციო სისტემებს, რომლებშიც თავმოყრილია ელექტრონული ლექსიკონები, ენციკლოპედიები, ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები. საინფორმაციო-საზომი სისტემები ფართოდ გამოიყენება საკვლევი რბილების მდგომარეობისა და პარამეტრების შესახებ ინფორმაციის შესაკრებად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მედიცინა, მეტეოროლოგია, სეისმოლოგია, კოსმოსური ფრენები.

ავტომატიზებულ დაპროექტების სისტემებს წებისმიერი ტიპის საინჟინრო, არქიტექტურული და სამეცნიერო მოდელების დასაპროექტებლად იყენებენ, უბრალო ინსტრუმენტებიდან დაწყებული, შენობების, თვითმფრინავების, ინტეგრალური სქემებისა და მოლეკულების მოდელებით დამთავრებული. საექსპერტო სისტემებს ვერაფერი ჩაანაცვლებს გრძელვადიანი პროგნოზირების, სამედიცინო დაგნოსტიკისა და სამართლის სფეროში ყვალაზე გონივრული ვარიანტის შერჩევის საქმეში.

სასწავლო პროცესში ფართოდ გამოიყენება სასწავლო საინფორმაციო სისტემები: ელექტრონული სახელმძღვანელოები, კომპიუტერული ტესტები, სასწავლო პროგრამები და სიმულატორები.


1. რომელია კომპიუტერის ფიზიკური მოწყობილობებისა და ცალკეული ნაწილების საერთო სახელი?
 - ა) კომპიუტერული ქსელი;
 - ბ) აპარატული უზრუნველყოფა;
 - გ) პროგრამული უზრუნველყოფა;
 - დ) პერიფერიული მოწყობილობები.
2. რა ჰქვია კომპიუტერული სისტემის მართვის პროგრამებს?
 - ა) სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა;
 - ბ) გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
 - გ) პროგრამირების ინსტრუმენტები;
 - დ) პროგრამა-უტილიტები.
3. მონაცემთა ბაზის შესახებ რომელი მტკიცებებია მცდარი?
 - ა) მონაცემთა ბაზის ცენტრალური ობიექტია ცხრილი;
 - ბ) ყოველ ცხრილს უნდა ჰქონდეს პირველადი გასაღები;
 - გ) მონაცემთა ნებისმიერ ბაზაში ორი ცხრილი მაინც უნდა იყოს;
 - დ) ცხრილის დახარისხების პროცესში ახალი ცხრილი იქმნება.
4. რამდენი ველია მონაცემთა მოცემულ ბაზაში?

გვარი	სახელი	სქესი	დაბადების წელი	კლასი
აბასლი	ათან	მამრ.	2008	11
ბაგირზადე	რუსლანი	მამრ.	2007	11
ველიევა	გოუნელი	მდ.	2008	11

 - ა) 3;
 - ბ) 4;
 - გ) 5;
 - დ) 15.
5. რა ჰქვია ინფორმაციაზე მუშაობის წესებისა და საშუალებების ერთობლიობას?
 - ა) საინფორმაციო პროცესები;
 - ბ) საინფორმაციო რევოლუციები;
 - გ) საინფორმაციო ტექნოლოგიები;
 - დ) საინფორმაციო სისტემები.
6. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საძიებო სისტემა?
 - ა) Google;
 - ბ) Bing;
 - გ) Gmail;
 - დ) Yahoo!
7. რამდენი ბაიტია 1 მეგაბაიტში?
8. რამდენი ბაიტია 1 ტერაბაიტში?
 - ა) 10^6 ;
 - ბ) 10^9 ;
 - გ) 10^{12} ;
 - დ) 10^{15} .
9. რა სახის სამუშაოებისთვისაა განკუთვნილი პროგრამა OpenOffice Impress და რომელ პროგრამულ უზრუნველყოფას მიეკუთვნება იგი?
10. რომელი ცნება არ ეხება უშუალოდ საინფორმაციო საზოგადოებას?
 - ა) კომპიუტერი;
 - ბ) ჭკვიანი სახლი;
 - გ) კომპიუტერული წიგნიერება;
 - დ) უწყვეტი განათლება.

1.1

საინფორმაციო სისტემა და მისი ელექტრონული სისტემები



- დაასათაურეთ ნახატები. რომელი სიტყვაა საერთო ყველა სათაურისთვის?
- კიდევ რომელ შესიტყვებებში გამოიყენება სიტყვა „სისტემა“?

საქმიანობა

შეავსეთ ცხრილი მოცემულ სისტემებზე თქვენი წარმოდგენის მიხედვით.

სისტემის დასახელება	ელემენტები	კავშირი ელემენტებს შორის
მზის სისტემა		
ქმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა		
თვლის ათობითი სისტემა		
მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა (მბმს)		

- ამ სისტემათაგან რომელშია ყველაზე მეტი ელემენტი?
- შეიძლება თუ არა თვლის ათობითი სისტემის ელემენტების თვლის ორობით სისტემაში გამოყენება?

სიტყვა „სისტემა“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვა „σύστημα“ -დან (რომელიც ცალკეული ნაწილებისაგან შედგენილ მთელს ნიშნავს) და განისაზღვრება, როგორც გარკვეული მიზნით გაერთიანებული ურთიერთმოქმედი ელემენტების ერთობლიობა. მას იყენებენ ყოველთვის, როცა აუცილებელია რაიმე რთული (მრავალი, სხვადასხვა დანიშნულების, მაგრამ ერთმანეთთან ფუნქციონირების საერთო კანონებით დაკავშირებული ელემენტისაგან შემდგარი) მოვლენის ან ობიექტის აღწერა. ისეთი ცნებებისაგან განსხვავებით, როგორებიცაა, ვთქვათ, „სიმრავლე“ ან „ერთობლიობა“, სისტემის ცნებაში ხაზგასმულია მონესრიგებულობა, მთლიანობა, აგებულების, ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერების არსებობა. ყოველდღიურ პრაქტიკაში სიტყვა „სისტემა“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, მაგალითად, „მზის სისტემა“, „ელემენტთა პერიოდული სისტემა“, „თვლის ათობითი სისტემა“, „პოლიტიკური სისტემა“, „საძირი სისტემა“, „ოპერაციული სისტემა“.

მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი ელემენტისგან შედგება სისტემა, მთავარია მათი ურთიერთკავშირი. სისტემის მაგალითებია: ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც კვანძებისა და დეტალებისგან შედგება; უჯრედებისგან აგებული ცოცხალი ორგანიზმი; საწარმო; სახელმწიფო და ა.შ. საკლასო ოთახი, თავისი მოსწავლეებითა და მასწავლებლით, სისტემაა; ყოველი ცალკეული მოსწავლე სისტემაა; კლასის მოწყობილობაც სისტემაა; თითოეული მაგიდაც კი სისტემაა, მაგრამ, აი, მაგიდის ფეხი კი ნამდვილად არ არის სისტემა. თუმცა თუ მაგრამ ცენტრული მოწყობილობის თვალთახედვით განვიხილავთ, ისიც სისტემაა, რომელიც მოლეკულებისა და ატომების ერთობლიობისგან შედგება.


- სისტემა
- საინფორმაციო სისტემა (სს)
- საინფორმაციო სისტემის ელექტრონული გვერდი
- საინფორმაციო ტექნოლოგიები
- მონაცემთა ბაზა
- პროცესი
- საინფორმაციო სისტემის მომზღვარებლები

სისტემათა ზოგადი თეორიის თანახმად, ნებისმიერი რეალური ობიექტი (საგანი თუ მოვლენა) შეიძლება განვიხილოთ, როგორც სისტემა, და პირიქით – ნებისმიერი სისტემა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დამტკიცდებელი ობიექტი. იბადება კითხვა: სიტყვები „ობიექტი“ და „სისტემა“ სინონიმები ხომ არ არის? – კიც და არაც. ისინი სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება და ობიექტს სხვადასხვა თვალსაზრისით ასახვს. მაგალითად, როდესაც ვამბობთ: „მე კომპიუტრზე ვწუშაობ“ ან „კომპიუტერი სათამაშო არ არის“, ამ დროს კომპიუტერს განვიხილავთ, როგორც ობიექტს, მაგრამ გამონათქვამში: „კომპიუტერის ძირითადი ნაწილებია: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა და თაგვი“ ან „კომპიუტერი აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის ერთობლიობა“, ჩევნ მას უკვე სისტემად წარმოვაჩენთ.

იმისათვის, რომ ნებისმიერ ობიექტში სისტემა დავინახოთ, პირველ რიგში, საჭიროა მისი ელექტრონული გვერდისა და მათ შერის ურთიერთკავშირის განსაზღვრა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ურთიერთკავშირი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: ფიზიკური, ბიოლოგიური, ქიმიური, სოციალური და ა.შ.

ინფორმაციური ცნება „სისტემა“ ფართოდაა გავრცელებული და მრავალი არსობრივი მნიშვნელობა გააჩინია. ყველაზე ხშირად იგი ტექნიკური საშუალებებისა და კომპიუტერული პროგრამების ნაკრების მიმართ გამოიყენება, მაგალითად, კომპიუტერული სისტემა, ოპერაციული სისტემა, ტელესაკომუნიკაციონი სისტემა და ა.შ. ერთ-ერთი ასეთი ცნებაა „საინფორმაციო სისტემა“. **საინფორმაციო სისტემა (information system)** არის სისტემა, რომელიც განკუთვნილია ინფორმაციის შენახვის, მოძიებისა და დამუშავებისათვის, და შესაბამისი საორგანიზაციო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს და გადასცემს ინფორმაციას.

ყოველი საინფორმაციო სისტემის (სს) შემადგენლობაში შედის ხუთი კომპონენტი: აპარატული უზრუნველყოფა, პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემები, მომხმარებლები და პროცესი.



საინფორმაციო სისტემის ძირითადი კომპონენტები

ზოგჯერ საინფორმაციო სისტემის კომპონენტებად მხოლოდ აპარატულ უზრუნველყოფას, პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემებს მიიჩნევენ. ეს შესედულება მცდარია. სისტემის განვიხილავთ კომპონენტი **საინფორმაციო ტექნოლოგიების** კატეგორიას მიეკუთვნება.

საინფორმაციო სისტემის აპარატული უზრუნველყოფა (hardware) არის სისტემის ნაწილი, რომელსაც შეგვიძლია, შევეხოთ. კომპიუტერები, მათი

ცალკეული ნაწილები, მათ შორის, პერიფერიული მოწყობილობები – ეს ყველაფერი საინფორმაციო სისტემის აპარატულ ნაწილს შეადგენს.

2 პროგრამული უზრუნველყოფა (software) – ეს არის პროგრამების ერთობლიობა, რომელიც სისტემის აპარატული ნაწილის მუშაობას უზრუნველყოფს. აპარატული ნაწილისაგან განსხვავებით, იგი არამატერიალურია. ძესასრულებელი სამუშაოების სახეობის მიხედვით, პროგრამული უზრუნველყოფა ასე შეიძლება კლასიფიცირდეს: სისტემური პროგრამები (*system software*), გამოყენებითი პროგრამები (*application software*), რომლებსაც, კომპიუტერის საშუალებით, გამოყენებითი ამოცანების გადასაწყვეტად იყენებენ, და პროგრამირების ენები (*programming languages*), რომლებიც აუცილებელია პროგრამების ამ ორი სახის დასაწერად.

3 საინფორმაციო სისტემის მესამე კომპონენტია მონაცემები (data). აქ შესაძლებელია მონაცემების, როგორც ფაქტების ერთობლიობების, განხილვა. ასე მაგალითად, საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი, სკოლა, რომელშიც სწავლობთ – ეს ყველაფერი მონაცემებია. პროგრამული უზრუნველყოფის მსგავსად, მონაცემებიც არამატერიალურია. ცალკეულკე მონაცემები უსარგებლოა, მაგრამ ერთად შეკრების, მოწესრიგებისა და ცხრილში მონაცემთა ბაზის (database) სახით წარმოდგენის წყალობით ისინი მძლავრინსტრუმენტად იქცევა. ამიტომ საინფორმაციო სისტემებში მონაცემები, როგორც წესი, მონაცემთა ბაზის სახით ინახება. ამ ბაზებში თავს უყრიან სხვადასხვა ტიპის მონაცემებს და მათ მრავალფეროვანი ამოცანების გადასაჭრელად, გადაწყვეტილებების მისაღებად იყენებენ.

ყურადღება! ზოგჯერ საინფორმაციო სისტემების საინფორმაციო ტექნოლოგიების კატეგორიას მეოთხე კომპონენტად კავშირგაბმულობას, ანუ **საკომუნიკაციო საშუალებებს (communication)** მიაწერენ. აქ პრობლემა ის არის, რომ საინფორმაციო სისტემები შეიძლება იყოს ცალკე პერსონალურ კომპიუტერში, კავშირგაბმულობის საშუალებების გარეშე. მეორე მხრივ, ტექნიკური თვალსაზრისით, კომპიუტერული ქსელები შედგება აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფისაგან.

4 საინფორმაციო სისტემები (სს) წარმოუდგენელია ადამიანური კომპონენტის – **მოხმარებლების (users)** – გარეშე. გამოყოფენ საინფორმაციო სისტემის მომხმარებლების რამდენიმე ჯგუფს:

- 1) **შემთხვევითი მომხმარებლები** – საინფორმაციო სისტემებთან ასეთი მომხმარებლების ურთიერთობა არ არის დაკავშირებული მათ პროფესიულ მოვალეობასთან;

- 2) **საბოლოო მომხმარებელი (end user)** – საინფორმაციო სისტემა ზუსტად ამ პირებისთვისაა განკუთვნილი. საინფორმაციო სისტემის შექმნაში მონაწილე პირთაგან განსხვავებით, საბოლოო მომხმარებელი (მაგ., ბუღალტერი, ეკონომისტი, ქვეგანყოფილების ხელმძღვანელი) მხოლოდ სარგებლობს სისტემით;

- 3) **სპეციალისტთა კოლექტივი** (სს-ის პერსონალი), რომელშიც შედიან: მონაცემთა ბაზის აღმინისტრატორი, სისტემის ანალიტიკოსი, სიტემური და გამოყენებითი პროგრამისტები. სს-ის პერსონალის შემადგენლობა და ფუნქციებია:

- **მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი (database administrator, DBA)** – ეს არის სპეციალისტი (ან სპეციალისტთა ჯგუფი), რომელსაც კარგად ესმის საბოლოო მომხმარებელთა მოთხოვნები, მუშაობს მათთან მჭიდრო კონტაქტში და პასუხს აგებს მონაცემთა ბაზის ხასიათის განსაზღვრაზე, ჩატვირთვაზე, დაცვასა და მუშაობის ეფექტიანობაზე. ის უწევს კოორდინირებას ინფორმაციის შეკრების, მონაცემთა ბაზის დაპროექტებისა და ექსპლოატაციის პროცესებს, ითვალისწინებს მომხმარებელთა მიმდინარე და პერსექტიულ მოთხოვნებს.
- **სისტემის ანალიტიკოსი (systems analyst)** – სპეციალისტი, რომელიც, საბოლოო მომხმარებლების საინფორმაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, აგებს საგნობრივი სფეროს მათემატიკურ მოდელს; უსახავს ამოცანებს გამოყენებით პროგრამისტებს.
- **სისტემის პროგრამისტი (systems programist)** – სპეციალისტი, რომლის მოვალეობაა სისტემური და ექსლური პროგრამების დამუშავება და თანხლება;
- **გამოყენებითი პროგრამისტი (applications programist)** – სპეციალისტი, რომლის ფუნქციაა პროგრამების შემუშავება მონაცემთა ბაზის მიმართ არსებული მოთხოვნების სარეალიზაციოდ.

თუ საინფორმაციო სისტემა ძალიან დიდი არ არის, ყველა აღნიშნულ ფუნქციას, როგორც წესი, ერთი ან ორი ადამიანისაგან შემდგარი გუნდი ასრულებს.


5 საინფორმაციო სისტემის ბოლო კომპონენტია პროცესი.

პროცესი (process) სასურველი შედეგის ან მიზნის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯების სერიაა.

ნებისმიერი მიზნობრივი საინფორმაციო სისტემის მუშაობის უზრუნველყოფითი პროცესები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ბლოკებისგან შემდგარი სერიის სახით:

- ინფორმაციის შეტანა შიდა ან გარე წყაროებიდან;
- შეტანილი ინფორმაციის დამუშავება და მისი საჭირო სახით წარმოდგენა;
- ინფორმაციის გამოტანა კლიენტებისათვის გადასაცემად ან სხვა სისტემაში გადასატანად;
- უკუკავშირი – ინფორმაცია, რომელიც სისტემის მომხმარებელთა მიერაა გადამუშავებული შემავალი ინფორმაციის კორექტირების მიზნით.

საინფორმაციო სისტემის აპარატული და პროგრამული შემადგენლები



როგორც უკვე აღინიშნა, ნებისმიერი საინფორმაციო სისტემის განუყოფელი ნაწილია მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა (მპმს). მპმს-ის ტიპის, ჩვეულებრივ, საინფორმაციო სისტემის მასშტაბი განსაზღვრავს. მცირე საინფორმაციო სისტემები ლოკალურ მპმს-ს იყენებს, ხოლო მსხვილმასშტაბიან (კორპორაციულ) საინფორმაციო სისტემებს ესაჭიროება მძლავრი კლიენტ-სერვერული მპმს, რომელიც მრავალმხმარებლიან რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფისთვისაა განკუთხილი. დღესდღობით ფართოდაა გავრცელებული ისეთი რელაციური მართვის სისტემები, როგორებიცაა Oracle, Informix, Sybase, DB2, Ms SQL Server.

საინფორმაციო სისტემის დამუშავების პირველი ეტაპია იმ ობიექტის ფუქციური და საინფორმაციო მოდელის ფორმირება, რომელისთვისაცაა გამოზუტლი საინფორმაციო სისტემა. ამ სამუშაოს შესრულებას, რომელიც ლოგიკურად რთულია და ბევრ დროსა და შრომას მოითხოვს, მაღალ-კვალიფიციური სპეციალისტები ესაჭიროება. მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორის გათვალისწინება: საინფორმაციო სისტემის შექმნისა და გამოყენების პროცესში მომხმარებელთა მოთხოვნები შეიძლება შეიცვალოს ან დაზუსტდეს, რაც კიდევ უფრო ართულებს ამგვარი სისტემების დამუშავებასა და თანხლებას. აღნიშნულმა სირთულეებმა სპეციალური პროგრამული საშუალებების შექმნა განაპირობა. ე.ნ. პროგრამული გარემო CASE (ინგლ. Computer-Aided Software Engineering) ემსახურება სამუშაოების ავტომატიზაციას, დაწყებული კომპიუტერული პროგრამების შემუშავების, დაგეგმვისა და მოდელირების ეტაპებით და დამთავრებული კოდირებისა და დოკუმენტირების ეტაპებით.

საინფორმაციო სისტემის შემუშავებისას ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას, არის საინფორმაციო სისტემის მიზნების შესატყვისი მოსახერხებელი სამომხმარებლო ინტერფეისის შექმნა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვინაიდან მომხმარებელი, როგორც წესი, სისტემის საერთო ხარისხს მისი ინტერფეისის შესაბამისად აფასებენ. უფრო მეტიც, სისტემის ეფექტიანად გამოყენება ინტერფეისის ხარისხზეა დამოკიდებული.

შევისავლოთ დამოუკიდებლად

გააანალიზეთ გასულ სასაწვლო წელს შექმნილი მონაცემთა ბაზა „Map“, როგორც საინფორმაციო სისტემა (მპმს), და დასახელეთ მისი ხუთი ძირითადი კომპონენტი.

შეამოვავ შეი ცოდნა

1. რა თვისებებით ხასიათდება ნებისმიერი სისტემა?
2. რა არის სისტემაციო სისტემა, რომელი ძირითადი კომპონენტებისაგან შედგება იყი?
3. რომელი კომპონენტები შედის საინფორმაციო ტექნოლოგიების კატეგორიაში?
4. რა როლს თამაშობს მპმს საინფორმაციო სისტემაში?
5. ვინ იგულისხმება საინფორმაციო სისტემის მომხმარებლებში?

ისტორია

პირველი საინფორმაციო სისტემები გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოჩნდა, მათი დანიშნულება ხარჯთაღრიცხვის წარმოება და ხელფასის დაანგარიშება იყო, რაც გამომთვლელ მანქანებზე (accounting machine) სრულდებოდა. პირველი მანქანები არ იყო ელექტრონული და პერფობარათებზე მუშაობდა; ელექტრონიკის გამოყენება მომდევნო გამოშვების მოდელებიდან დაიწყო.



1.2 საინფორმაციო სისტემების კლასიფიკაცია

საინფორმაციო სისტემები გამოიყენება ადამიანის საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროში: საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში, სამუცნიერო კვლევებში, საბიბლიოთეკო საქმეში, განათლებაში, საპროექტო-საკონსატრუქტორო სამუშაოებში და ა.შ.

- რას ნიშნავს ტერმინი „კლასიფიკაცია“?



საქმიანობა

შექმნით ცხრილი და შეავსეთ იგი მოცემული საინფორმაციო სისტემების შესახებ შეგროვილი მონაცემებით.

№	საინფორმაციო სისტემის სახელწოდება	საავტორო უფლების მფლობელი	დანიშნულება
1	სახელმწიფო ელექტრონულ-საცნობარო სისტემა "Tələbə-məzun"		
2	საცნობარო-საძიებო სისტემა "Giriş-çıxış və qeydiyyat"		
3	GoMap		

- რა სახის ინფორმაციას შეიცავს ამ საინფორმაციო სისტემათაგან თითოეული?
- რა არის პირველადი გასაღები მეორე საცნობარო სისტემის მონაცემთა ბაზაში?

საინფორმაციო სისტემების დახმარებით გადასაწყვეტი პოპლემების მრავალფეროვნებამ მრავალი სხვადასხვა ტიპის სისტემის შექმნა განაპირობა. ამ სისტემებს ერთმანეთისაგან აგების პრინციპები და ინფორმაციის დამუშავების წესები განასხვავებს. ამიტომ საინფორმაციო სისტემები სხვადასხვა ნიშნით, კერძოდ, არქიტექტურის, ავტომატიზაციის, გამოყენების სფეროს და ა.შ. მიხედვით კლასიფიცირდება. განვიხილოთ ამ კლასიფიკაციათაგან ერთ-ერთი – საინფორმაციო სისტემის დანიშნულების მიხედვით.

- საინფორმაციო-საზომი სისტემები (information and measurement systems)** გამოიყენება შესამოწმებელი ობიექტის მდგომარეობისა და პარამეტრების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად სპეციალური მიმღებ-გადამცემი მოწყობილობების დახმარებით. ამ სისტემების გარეშე ნარმოუდგენელიც კია ისეთი სფეროების მუშაობა, როგორებიცაა, მაგ., ატომური ელექტრო-სადგურები და და ქიმიური ნარმოების ობიექტები, რომლებიც ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. საინფორმაციო-საზომი სისტემები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში, მეტეოროლოგიაში, სეისმოლოგიაში, კოსმოსურ ფრენებსა და სხვა სფეროებში.
- საინფორმაციო-საძიებო სისტემები (information retrieval systems, IRS).** სისტემების ამ ტაიპში შედის ელექტრონული საინფორმაციო ლექსიკონები, ელექტრონული ენციკლოპედიები, ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტებით დაცული საინფორმაციო სისტემები, აგრეთვე ის საინფორმაციო


- სისტემები, რომლებიც, უბრალოდ, იოლი საძიებო სისტემის მქონე ინფორმაციის წყაროს როლს ასრულებს.
- **დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემები (document management systems, DMS)** – ამ სისტემებს საწარმოებსა და დაწესებულებებში იყენებენ შემავალი და გამომავალი დოკუმენტრუნვის, ასევე შიდა მიმოწერის ორგანიზებისათვის.
 - **ავტომატიზებული პროექტირების სისტემები (computer-aided design, CAD)** – ამ სახის პროგრამებს წებისმიერი ტიპის საინჟინრო, არქიტექტურული და სამეცნიერო მოდელების დაპროექტებისათვის იყენებენ. ეს შეიძლება იყოს, როგორც მარტივი ინსტრუმენტები, ისე შენობები, თვითმფრინავები, ინტეგრალური სქემები და მოლეკულური მოდელები.
 - **საექსპერტო სისტემები (expert systems).** ამ სისტემების საფუძველია საბაზისო ცოდნა კონკრეტულ საგნობრივ სფეროში. მათ იყენებენ დარგობრივი გრძელვადიანი პროგნოზების შემუშავების, სამედიცინო დაგნოსტიკის, იურისპრუდენციაში ყველაზე მეტად სავარაუდო ვერსიების არჩევისა და სხვა მიზნებით.

ს საინფორმაციო

პოპულარული ინტელექტუალური თამაში „სად? რა? როდის?“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც საინფორმაციო ბლოკი, ან თვით საინფორმაციო სისტემა, რომელშიც თითოეულ კითხვას რამდენიმე ელემენტი აკლია. შეკითხვის ავტორი, როგორც წესი, პრეამბულაში იძლევა ფართო აუდიტორიისთვის, მათ შორის, მოთამაშეებისთვის, ნაკლებად ცნობილ ინფორმაციას. ავტორს მიაჩინა, რომ:

- დამატებითი ინფორმაცია მოთამაშეთა მეხსიერებაშია;
- შეკითხვის ლია დეტალებს შეუძლია, ამოქაჩინს მოთამაშეთა მეხსიერებიდან ინფორმაციის დამატებითი დეტალები;
- შეიკვერება კავშირი (აზრობრივი კავშირი), რადგანაც საქმე საინფორმაციო სისტემას ეხება) ინფორმაციის მოცემულ და ახალ დეტალებს შორის;
- დაფარული საინფორმაციო ელემენტების აღდგნით მოთამაშეები შეძლებენ, დაინახონ აზრობრივი კავშირი შეკითხვის პრეამბულასა და პასუხს შორის.

მაგრამ როგორ ხდება დამატებითი ინფორმაციის მოპოვება? ტრადიციული მეთოდით – საკუთარი თავისითვის კითხვების დასმით. თვით დასმული კითხვა კარნახობს, რა კითხვა უნდა დაისვას შემდეგ.



კითხვა: ბეკრი არაბული დასახლების ცენტრში, როგორც წესი, არის საზოგადოებრივი ღუმლები, რომლებშიც ადგილობრივი მცხოვრებლები ყოველწლიურად რამდენიმე თვის განმავლობაში აცხობენ პურს თავიანთი ოჯახებისთვის. რატომ იყენებენ ისინი საზოგადოებრივ ღუმლებს, როცა თითოეულ მათგანს სახლში საკუთარი ღუმელი აქვს?

მოდით, განვიხილოთ ამ არასრული საინფორმაციო სისტემის ელემენტები:

- საქმე ეხება არაბულ დასახლებებს;
- ლაპარაკია ამ დასახლებებში არსებულ საზოგადოებრივ ღუმლებზე;
- ამ ღუმლებს წერილინდები რამდენიმე თვის განმავლობაში იყენებენ.

რა დამატებათი იხთორმაციის მიღება შეგვიძლია პირველი და მეორე საინფორმაციი ელემენტებიდან? არაპეთის ნახევარკუნძულზე, და იმ აფრიკულ სახელმწიფოშიც, რომლებშიც არაპეთი ცხოვრობენ, ძალიან ცხელი კლომატია. ღუმლები კი, როგორც წესი, კიდევ უფრო მეტ სითბოს გამოყოფს. როდისაა განსაკუთრებით არახელსაყრელი სახლში ღუმლის გახურება? რასაკვირველია, ზოგადის თვეებში.

შესაბამისად, ზაფხულობით, როდესაც ძალიან ცხელი ამინდებია, არაბული ოჯახები საკუთარ სახლში ღუმელს არ ანთებენ.

- მართვის ავტომატიზებული სისტემები (*automatized management systems*), ან მართვის სამრეწველო სისტემები (*industrial control systems ICS*). საინფორმაციო სისტემების ეს სახე მოიცავს, როგორც სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესის მართვას, ისე მთელი წარმოების სრულად მართვას.
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (*geographic information and measurement systems GIS*) არის პროგრამული სისტემების კლასი, რომელიც უკავშირდება ინფორმაციის შეტანა-დამუშავება-შენახვას და რუკების, გეგმების, სქემებისა და მსგავსი მონაცემების გამოსახვას.
- სასწავლო საინფორმაციო სისტემები (*learning information systems*) – ნებისმიერი ელექტრონული სახელმძღვანელო, კომპიუტერული ტესტები, სასწავლო პროგრამები, ასევე ტრენაჟერები, რომლებსაც ნებისმიერი მოწყობილობის (მაგ., ავტომობილების) იმიტირება შეუძლიათ. ეს სისტემები გამოიყენება სასწავლო პროცესში, სხვადასხვა სფეროს მუშავთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში და სხვ.

დაგენერირებული

- საინფორმაციო-საზომი სისტემები
- საინფორმაციო-საძიებო სისტემები
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემები
- დაპროექტების ავტომატიზებული სისტემები
- საექსპერტო სისტემები
- მართვის ავტომატიზებული სისტემები
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები
- სასწავლო საინფორმაციო სისტემები

ლობის (მაგ., ავტომობილების) იმიტირება შეუძლიათ. ეს სისტემები გამოიყენება სასწავლო პროცესში, სხვადასხვა სფეროს მუშავთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში და სხვ.

გეპსენავლოთ დამუშავდაშად

1. ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო სისტემების გამოყენების სფეროებს, აბსოლუტური არ არის. რეალური სისტემები შეიძლება ფლობდეს სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო სისტემების შესაძლებლობებს. მოძებნეთ ინტერნეტში და შეეცადეთ, გაიგოთ მეტი კლასიფიკაციის ამ ორი ტიპის შესახებ. სახელმძღვანელოში მოცემული საინფორმაციო სისტემების რომელი სახეები შეგხვდათ თქვენ მიერ მოძებნილ კლასიფიკაციებში?
2. განსაზღვრეთ „საქმიანობის“ ნაწილში მითითებული საინფორმაციო სისტემების ტიპი.

შეაორეო შენი ცოდნა

1. რა ნიშნის მიხედვით კლასიფიკირდება საინფორმაციო სისტემები?
2. რომელ სფეროებში გამოიყენება საინფორმაციო-საზომი სისტემები?
3. საინფორმაციო სისტემების რომელ ტიპს მიეკუთვნება საავტომობილო ტრენაჟერები?
4. რას ნიშნავს „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა“?
5. საინფორმაციო სისტემების რომელ ტიპს მიეკუთვნება პროგრამა SketchUp, რომელსაც ქვედა კლასებიდანვე იცნობთ?


LAWITH

1.3 გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები


- რას შეისწავლის საგანი გეოგრაფია?
- როგორ განისაზღვრება ობიექტის ადგილმდებარეობა რუკაზე?

საქმიანობა

- განსაზღვრეთ რუკაზე თქვენი საცხოვრებელი ადგილის კოორდინატები.
- რომელ პარალელებსა და მერიდიანებს შორის მდებარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორია?
 - რა არის „გეოგრაფიული განედი“ და „გეოგრაფიული გრძედი“ და როგორ განისაზღვრება ისინი?
 - როგორია ეკვატორის გეოგრაფიული განედი?
 - რომელი მერიდიანის გრძედია 0° -ის ტოლი?



მონაცემებს, რომლებსაც იყენებენ დედამიწის ზედაპირის ნებისმიერი ნაწილის ან ამ ზედაპირზე მდებარე ობიექტების აღსანერად, გეოგრაფიულ მონაცემებს (*geographic data*) ან სივრცულ მონაცემებს (*spatial data*) უწოდებენ. ეს მონაცემები დედამიწის ზედაპირზე ობიექტების ადგილმდებარეობაზე მიუთითებს. თითოეული ობიექტი (ქვეყანა, რეგიონი, ქალაქი, გზები და ა.შ.) ალინერება მისი ატრიბუტების მონაცემებისა და ოპერაციების მეშვეობით. ატრიბუტებში იგულისხმება ტექსტის, რიცხვების, გრაფიკების, აუდიოს, ვიდეოს სახის მონაცემები.



დანარჩენობის მიზანი

- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა
- გეონიფორმატიკა
- გეოგრაფიული მონაცემები
- სივრცული მონაცემები
- სანაფორმაციო შრეები (ჟენები)
- სანავიგაციო თანამდებზერი
- პოზიციონირების გლობალური სისტემა
- საკადასტრო სისტემა

დღესდღეობით ფართოდაა გავრცელებული გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (**geographic information systems, GIS**). ეს სისტემები განკუთვნილია ყველა ტიპის მონაცემების დამუშავებისათვის, გეოგრაფიული და სივრცული მონაცემების ჩათვლით. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების დაპროექტების, შექმნისა და გამოყენების სამეცნიერო, ტექნიკური, ტექნიკური და გამოყენებითი საკითხებით დაკავებულია **გეოინფორმატიკა**.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მძლავრი ინსტრუმენტები – მაღალგაბარიტული დამმახსოვრებელი მოწყობილობები, დესკრიპტული სისტემები და მაღალი სიჩქარის ქსელური აღჭურვილობა.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების მონაცემთა ბაზა ორგანიზებულია **საინფორმაციო შრეების** სახით. ძირითადი შრე გეოგრაფიული მონაცემებისაგან შედგება. მას ზემოდან ადებენ შრეებს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ობიექტების (კავშირგაბმულობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და სხვა სივრცული მონაცემების) შესახებ. მომდევნო შრეებზე წარმოდგენილი ინფორმაცია დეტალიზდება და კონკრეტდება მანამ, სანამ ობიექტების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილ სახეს არ მიიღებს. შრეების შექმნისა და ზედდების პროცესში მათ შორის აუცილებელი კავშირი მყარდება.


გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემებით, ჩვეულებრივ, რეალური ობიექტები (გზები, შენობები, წყალსატევები, ტყის მასივები და ა.შ.) აღინიერება. ასეთი ობიექტები შეიძლება ორ კატეგორიად – დისკრეტულ (სახლები, ტერიტორიული ზონები) და უწყვეტ (რელიეფი, ნალექების დონე, საშუალონლიური

ტემპერატურა) ობიექტებად – დაიყოს. ობიექტების ეს ორი კატეგორია ვექტორული და რასატრული გრაფიკის მეშვეობით გამოისახება.

გეგრაფიული საინფორმაციო სისტემები გამოიყენება კარტოგრაფიაში, გეოლოგიაში, მეტეოროლოგიაში, მიწათმოქმედებაში, ეკოლოგიაში, ტრანსპორტში, ეკონომიკაში, თავდაცვასა და რიგ სხვა სფეროებში.

ინფორმაციის წყარო
შრეების გაერთიანება

საინფორმაციო შრეები



იმის მიხედვით, თუ რა ტერიტორიას მოიცავს, სისტემები იყოფა გლობალურ, სუბკონტინენტურ, ნაციონალურ, რეგიონალურ, სუბრეგიონალურ და ლოკალურ კატეგორიებად.

დედამიწის ზედაპირზე და სივრცეში სხვადასხვა ინიციატივის კოორდინატებისა და სიჩქარის ავტომატური განსაზღვრისათვის **თანამგზავრებს (navigation satellite)** იყენებენ. მსოფლიოს ნებისმიერი წერტილის კოორდინატების, აგრეთვე სხვადასხვა ინიციატივის დედამიწის ზედაპირზე და სივრცეში მოძრაობის სიჩქარის ავტომატურად განსაზღვრას, სპეციალური მიმღების დახმარებით, თანამგზავრთა გლობალური სისტემა, ე.ნ. **პოზიციონირების გლობალური სისტემა (GPS)**, ემსახურება. სისტემა GPS (იკითხება: ჯი პი სი) აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და პრაქტიკაში დაწერგა. დღესდღეობით ის ხელმისავალმია სამოქალაქო მიზნებით გამოსაყენებლად – საკმარისია მხოლოდ GPS-მიმღების მქონე ნავიგატორი ან სხვა აპარატი (მაგალითად, სმარტფონი).

GPS სამი ძირითადი სეგმენტისგან შედგება. ეს არის კოსმოსური, მართვისა და სამომხმარებლო სეგმენტები.

GPS-თანამგზავრები გადმოსცემს კოსმოსიდან მომავალ სიგნალებს, ხოლო ყველა GPS-მიმღები ამ სიგნალებს, სამი კოორდინატით, რეალური დროის რეაქტიული სივრცეში საკუთარი მდებარეობის გამოსათვლელად იყენებს. კოსმო-

სური სეგმენტი დედამიწის შუა ორბიტაზე მპრუნავი 32 თანამგზავრისგან შედგება.

როდესაც სსრპ-ში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი გაუშვეს, ამერიკელი მეცნიერები აკვირდებოდნენ საბჭოთა თანამგზავრიდან წამოსულ სიგნალებს და აღმოაჩინეს, რომ, დოპლერის ეფექტის გამო, მიღებული სიგნალის სიხშირე თანამგზავრის მოასხლოებისას იზრდებოდა, დაშორებისას კი მცირდებოდა. ამ აღმოჩენის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ზუსტად გვეცოდინება ჩვენი კოორდინატები დედამიწაზე, თანამგზავრის მდებარეობის გამოთვლას შევძლებთ და პირიქით – თუ ზუსტად გვეცოდინება თანამგზავრის მდებარეობა, საკუთარი კოორდინატების განსაზღვრას შევძლებთ.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება კადასტრის სფეროში. კადასტრი რამეს ან კისიმეს სიაა. ეს გახლავთ სისტემატიზებული ცნობები, რომლებიც თვისობრივად და რაოდენობრივად აღწერს ობიექტებსა და მოვლენებს. კადასტრი იქმნება შესაბამის ობიექტებზე ჰერიოდული და თანამიმდევრული დაკვირვების შედეგად. არსებობს კადასტრის რამდენიმე სახე: წყლის, მინის, კლიმატის, ტყის, ლანდშაფტის, სასარგებლონ ნიაღისეულის და ა.შ.

კადასტრის სისტემა, განურჩევლად მისი დანიშნულებისა, შედგება სარეგისტრაციო ობიექტის შესახებ არსებული მოწესრიგებული გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემებს იყენებს.



მონაცემების ნაკრებისაგან. აქაც, ისევე, როგორც სხვა საინფორმაციო სისტემებში, თითოეულ ობიექტს უნიკალური კოდი ენიჭება. ვინაიდან საკადასტრო ობიექტების უმრავლესობა სივრცულია, კადასტრის სისტემები, ჩვეულებრივ, გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემებს იყენებს.

პივისეავლოთ დამოუკიდებლად

აზერბაიჯანისა და გერმანიის მთავრობებს შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, განჯასა და შექმი განხორციელდა პროექტი „კადასტრი და უძრავი ქონების რეგისტრაცია“. პროექტი ითვალისწინებდა განჯისა და შექის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების შესაბამისი ელექტრონული საკადასტრო მონაცემთა ბაზისა და ციფრული საკადასტრო რუკების შექმნას.

გაიგეთ მეტი ამ პროექტის შესახებ. მთლიანად შესრულდა თუ არა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები? რა უპირატესობა აქვს ამ სისტემას სახელმწიფოსა და მესაკუთრეებისათვის?

შემოხვევა მენი ცოდნა

- რა არის „გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა“?
- რას აკეთებს გეოინფორმატიკა?
- რას შეიცავს საინფორმაციო შრეები?
- როგორ მუშაობს GPS?
- რა არის „კადასტრის სისტემა“ და რა აკავშირებს მას გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემათან?

1.4 ხელოვნური ინტელექტი

- რა იცით რობოტების შესახებ?
- თქვენი აზრით, რა საჭიროა შესრულებისას აქვთ რობოტებს ადამიანების წინაშე უპირატესობა?



კომპიუტერული რევოლუციის „წინამძღვალის“, ბილ გეიტსის, პროგნოზების თანახმად, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებად უახლოეს მომავალში **რობოტოტექნიკა (robotics)** იქცევა. **რობოტი** ფიზიკური მოწყობილობაა, რომელიც მისთვის დასახულ ამოცანებს მანიპულაციების ჩატარების შეშვეობით ასრულებს. ამ მიზნით რობოტები აღიჭურვება შემსრულებელი მექანიზმებით, კერძოდ, ფეხებით, ბორბლებით, სახსრებითა და სატაცებით. გარდა ამისა, რობოტებს აღჭურვავენ სპეციალური მიმღებებ-გადამცემი მოწყობილობებით, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ, აღიქვან მონაცემები გარემომცველი გარემოს შესახებ.

თანამედროვე რობოტები შეგვიძლია, სამ კატეგორიად: **რობოტ-მანიპულატორები**, მობილურ რობოტებად და **რობოტ-ჰემონიდებად** დავყოთ. **რობოტ-მანიპულატორი** ფიზიკურად მიჯაჭვულია საკუთარ სამუშაო ადგილთან, მაგ., ქარხნის ამწყობ კონვეირთან ან კოსმოსური სადგურის ბორტთან. რობოტ-მანიპულატორების გარეშე დღეს უკვე ძნელი წარმოსადგენია საავტომობილო ქარხნების უმრავლესობის საწარმოო საქმიანობა. **მობილური რობოტები** თავიანთ გარემოში ბორბლების, ფეხების ან ანალოგიური მექანიზმების შეშვეობით გადაადგილდებიან. ისინი გამოიყენებიან საავადმყოფოებში სადილების გადასატანად, სატვირთო დოკებში კონტენტერების გადასაზიდად და სხვა მსგავსი ამოცანების შესასრულებლად. **რობოტი-ჰემონიდები** თავიანთი ფიზიკური კონსტრუქციით ადამიანის სხეულს მოგვაგონებს.

საქმიანობა

გაეცანით ვიდეომასალას You Tube-ზე შემდეგ მისამართზე:

<https://www.youtube.com/watch?v=4TNpjENJ3.A>

– რობოტთა რომელ სახეს მიაკუთვნებდით ვიდეოში წარმოდგენილ რობოტს?

სიტყვა „რობოტოტექნიკა“ (ინგლისურ ვარიანტში – „robotics“) პირველად მწერალმა აზევე აზიმოვმა გამოიყენა თავის სამეცნიერო-ფანტასტიკურ მოთხრობა „მატყუარაში“, რომელიც 1941 წელს გამოქვეყნდა. სიტყვა „რობოტმა“, რომელიც ამ ტერმინს უდევს საფუძვლად, 1920 წელს გაიქცერა ჩეხი დრამატურგის, ნობელის პრემიის ლაურეატ კარელ ჩაპეკის პიესა „R.U.R.“-ში (ჩეხური სიტყვიდან „სამუშაო“, რაშიც „მძიმე სამუშაო“ იგულისხმება). სამრეწველო რობოტების გამოჩენამდე ითვლებოდა, რომ რობოტები ადამიანებს ჰგავდნენ.

ჩაპეკის რობოტები მექანიკური კი არა, ბიოლოგიური არსებები იყვნენ. უბრალოდ, მათ აკლდათ ზოგიერთი ადამიანური თვისება, კერძოდ, არ შეეძლოთ ვინმეს შეყვარება. ზემოთ ნახენები პიესის დასასრულს რობოტები ამ ნაკლასაც იშორებინ და უკვე აღარ განსხვავდებიან ადამიანებისაგან.

- ხელოვნური ინტელექტი
- რობოტოტექნიკა
- საცდელი ტესტი
- იმიტაცია
- ცოდნაზე დაფუძნებული სისტემები
- ბუნებრივი ენის დამუშავება
- მაქეანური თარგმანი
- სახეთა ამოცნობა

ათასობით წლებია, ადამიანი ცდილობს გაიგოს, თუ როგორ ფიქრობს ის. ხელოვნური ინტელექტის სფეროს სპეციალისტების მიზანია, არა მარტო ჩანვდებნ ინტელექტის ბუნებას, არამედ შექმნან ინტელექტუალური არსებები. **ხელოვნური ინტელექტი (artificial intelligence)** – მეცნიერების ერთ-ერთი უახლესი დარგია. ამ დარგში პირველი სამუშაოები მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე და-

იწყო, ეს სახელი კი მას 1956 წელს დაერქვა.

ხელოვნური ინტელექტის სფერო ორ ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას მოიცავს: ერთი მათგანი იყვლევს ცოცხალი ორგანიზმების აზროვნების პროცესს, მეორე კი ეძიებს ანალოგიური შესაძლებლობებით (უნარებით) კომპიუტერული პროგრამების აღჭურვის საშუალებებს. ზოგიერთი ამოცანა, რომელიც კომპიუტერისათვის რთულად ითვლებოდა (მაგალითად, ჭადრაკის თამაში), ადვილი დასაპროგრამებელი აღმოჩნდა, ხოლო ის ამოცანები, რომლებიც, დაპროგრამების თვალსაზრისით, თითქოს მარტივად გამოიყურებოდა (მაგალითად, ლაპარაკის გაგება, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა) სარეალიზაციად მეტად პრობლემური გამოდგა.

ხელოვნური ინტელექტის პრატიკულად განხორციელებულ პროგრამებს შორის ალსანიშნავია საჭადრაკო პროგრამები, ასევე მედიცინასა და სხვა სფეროებში გამოყენებული საექსპერტო სისტემები.

პირველ ინტელექტუალურ სისტემად პროგრამა **Logic Theorist („ლოგიკოს-თეორეტიკოსი“) ითვლება.** ეს პროგრამა თეორების დასამტკიცებლად და გამონათვამთა აღსარიცხად შეიმუშავეს. ის პირველად 1956 წლის 9 აგვისტოს დემონსტრირდა. პროგრამის დამუშავებაში მონაბილეობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან ა.ნიუელი, ა. ტიურინგი, კ.შენონი, დ. ლოუ.

ამჟამად ხელოვნური ინტელექტის სამეცნიერო ასპექტები, ზოგად თემებთან ერთად როგორებიცაა სხავლება, აღქმა, შემეცნებითი ჩვევები), მოიცავს აგრეთვე კონკრეტულ ამოცანებს – ჭადრაკის თამაშს, მათემატიკური თეორემების დამტკიცებას, მხატვრული ნაწარმოებების დაწერას, დაავადებათა დიაგნოსტიკას.

1. **ცოდნაზე დაფუძნებული სისტემები (knowledge-based systems).** ხელოვნური ინტელექტის ეს ძირითადი მიმართულება უკავშირდება ცოდნის ბაზის შექ-

- მნას, მოდელების შემუშავებას, იმ ცოდნის წარმოდგენას, რომელიც საქართველოს სისტემების ბირთვია.
- პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება ხელოვნური ინტელექტისათვის (software engineering for AL).** ამ მიმართულების ფარგლებში ინტელექტუალური ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურ ენებს (მაგ., LISP, Prolog) შეიმუშავებენ. ამასთან ერთად, ქმნიან გამოყენებითი პროგრამების პაკეტებს ინტელექტუალური სისტემების დასამუშავებლად ან ხელოვნური ინტელექტის პროგრამულ ინსტრუმენტებს. ამავე მიმართულებას მიაკუთვნებენ აგრეთვე ე.წ. ცარიელი საექსპერტო სისტემების, ანუ „გარსების“ შექმნას, რომელთა ცოდნის ბაზა სხვადასხვა გამოყენებითი პროგრამის დამუშავებისას კონკრეტული ცოდნით შეივსება.
 - ბუნებრივი ენის დამუშავება (natural language processing).** ეს ხელოვნური ინტელექტისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საერთო მიმართულებაა. იგი შეისწავლის ბუნებრივი ენების კომპიუტერული ანალიზისა და სინთეზის პრობლემებს. ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებით ანალიზი ნიშნავს ენის გაგებას, ხოლო სინთეზი – გამართული ტექსტის შექმნას. ამ პრობლემების გადაწყვეტა კომპიუტერისას და ადამიანის ურთიერთქმედების მოსახერ-ხებელი ფორმის შექმნას უზრუნველყოფს.
 - მანქანური თარგმანი (machine translation).** ერთი ენიდან მეორეზე ტექსტის ავტომატურად გადასათარგმნად კომპიუტერის გამოყენების იდეა თავიდან აშშ-ში გაჩნდა 1947 წელს, მას შემდეგ, რაც პირველი კომპიუტერები შეიქმნა. თარგმანის ხარისხი საწყისი ტექსტის თემატიკასა და სტილზე, აგრეთვე საწყის და სათარგმნ ენებს შორის გრამატიკულ, სინტაქსურ და ლექსიკურ მსგავსებაზეა დამოკიდებული. მხატვრული ტექსტების თარ-გმანის ხარისხი თითქმის ყოველთვის არაა დაკვატური იყო. ტექნიკურ ტექსტებში შეიძლება მივიღოთ თარგმანი, რომელსაც უმნიშვნელო რედაქტირება ესაჭიროება.
 - სახეთა ამოცნობა (pattern recognition)** გულისხმობს ობიექტების კომპიუტერული მოდელების, როგორც წესი, გამოსახულებების, ბგერების, შექმნას, მათი ორობითი ფორმით წარმოდგენას და არსებულ ნიმუშებთან შეპირისპირებას კომპიუტერის მეშვეობით ობიექტების ამოცნობის მიზნით. ამისათვის იყენებენ ოპტიკურ ხელსაწყოებს, მაგალითად, სკანერებს და რობოტოტექნიკის ვიდეოსისტემებს, ხელოვნური ინტელექტის სისტემებს და სხვა მოწყობილობებს.
 - რობოტოტექნიკა (robotics).** ეს მიმართულება რობოტების შექმნასა და სწავლებასთანაა დაკავშირებული.

რობოტოტექნიკის „მამად“ ითვლება მუსლიმანი სწავლის და ინჟინერი აბუ ალ იბ ისმაილ იბ ალ-ალ-ზაზირი (1136-1206), რომელიც ისლამის ოქროს ხანაში დიარბაჯირში (თურქეთი) ცხოვრობდა. ალ-ზაზირი წყლის მომწოდებელი მექანიზმების, რთული კონსტრუქციის საათებისა და სხვა მექანიზმების დაპროექტებაზე მუშაობდა. 1206 წელს მან თავისი მუშაობის შედეგები აღწერა წიგნში, რომელსაც უწოდა „წიგნი საზრიანი მექანიკური მოწყობილობების შესახებ“. მის მიერ შექმნალ მუსაკალურ ავტომატში ოთხი მუსიკოსი ნავით მიცურავდა და შაჰის სტუმრებს ართობდა. ექსპერტების აზრით, შესაძლოა, ეს იყო კუცობრიობის ისტორიაში პირველი დაპროგრამებული ავტომატი.


7. ახალი აპარატული პლატფორმები და არქიტექტურა (*new hardware platforms and architectures*). თანამედროვე პროცესორები ფონ ნეიმანის ტრადიციულ თანამიმდევრულ არქიტექტურას ეფუძნება, რომელსაც ჯერ კიდევ პირველი თაობის კომპიუტერებში იყენებდნენ. ეს არქიტექტურა უკიდურესად მოუხერხებელია სიმბოლოებით დამუშავებისათვის. ამიტომაც უკვე ათეულობით წლებია, მრავალი სამეცნიერო კოლეგტივი დიდი ძალისხმევით ცდილობს სიმბოლური და ლოგიკური მონაცემების დამუშავებისათვის გამიზნული აპარატული არქიტექტურის შემუშავებას და მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობს წარმატებული სამრეწველო გადაწყვეტა, ახალი არქიტექტურის ფართო გამოყენებას მნიშვნელოვნად აბრკოლებს მაღალი ღირებულება, არასაკმარისი პროგრამული უზრუნველყოფა და ტრადიციულ კომპიუტერებთან აპარატული შეუთავსებლობა.
8. თამაშები და მანქანური შემოქმედება (*games and computational creativity*). ხელოვნური ინტელექტის განვითარების საწყის ეტაპზე ფართომასშტაბიანი კვლევა წარმოებდა თამაშის (ჭადრაკის, შაშის, ვოს) ტიპის ინტელექტუალური ამოცანების გადაწყვეტის მიმართულებით. მუსიკის, პოეზიის, ზღაპრებისა და თვით აფორიზმების შექმნაც კი ამ მიმართულების ნაწილია.

16. საინტერესოა

1996 წელს IBM-ის მიერ შექმნილმა საჭადრაკო სუპერკომპიუტერმა „Deep Blue“-მ პირველად, ანგარიშით 4:2, მოუგო საჭადრაკო პარტია მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს.

9. მანქანური სწავლება (*machine learning*) ხელოვნური ინტელექტის აქტიურად განვითარებადი სფეროა. მოიცავს მოდელებს, მეთოდებსა და ალგორითმებს, რომლებიც, მონაცემების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, ცოდნის ავტომატურ დაგროვებასა და ფორმირებაზეა ორიენტირებული. ამ ბოლო დროს ამ მიმართულებას უახლოვდება ძალზე სხრაფად განვითარებადი საძიებო სისტემები, რომელთა მიზანია კანონზომიერებების ძიება ისეთ მონაცემთა ბაზაში, როგორიცაა „მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზი“ (*data mining*) და „ცოდნის აღმოჩენა“ (*knowledge discovery*)

ინგლისელმა მათემატიკოსმა ალან ტიურინგმა (Alan Turing) შემოგვთავაზა ხელოვნური სისტემების „ინტელექტუალურობის“ განმსაზღვრელი ტესტი. ეს ტესტი, რომელსაც ტიურინგის ტესტი (Turing test) ენოდა, საშუალებას იძლევა, კომპიუტერის „ინტელექტუალურობა“ ადამიანთან გააზრებული დიალოგის წარმართვის უნარის მიხედვით შეფასდეს.



ტიურინგის ტესტად წოდებული იმიტაციის თამაშის (*imitation game*) დროს მკელევარი რამდენიმე კითხვას უსჭამს ორ უხილავ რესპონდენტს – ადამიანსა და მანქანას, იმის გამოსარკვევევად, თუ რომელია მათგან ადამიანი და რომელი – მანქანა. ტესტის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ თუ ვინმეს არ შეუძლია ადამიანის პასუხების მანქანის პასუხებისგან გარჩევა, მანქანა შეიძლება ჩაითვალოს ინტელექტუალურად.

ექსპერიმენტში მონაწილეობს რამდენიმე ადამიანი და ტესტგავლილი „ინტელექტუალური“ სისტემა. მონაწილე-

ები ცალ-ცალკე ოთახებში თავსდებიან. თითოეულს წინ უდგას მონიტორი და კლავიატურა. დანარჩენი მონაწილეების სახელები მონიტორზეა გამოტანილი. ყოველმა მათგანმა იცის, რომ ერთ-ერთი სახელი კომპიუტერს ეკუთვნის, მაგრამ არავინ იცის, კონკრეტულად რომელია ეს სახელი. მონაწილეები, კლავიატურის მეშვეობით, ერთმანეთს კითხვებს უსვამენ, შემდეგ კი პასუხების სისწორესა და ლოგიკურობას აფასებენ. მაგალითად, უცნაურად მოგეწვენებოდათ, თუ კითხვაზე: „როგორი ამინდი იქნება ხვალ?“ თქვენი კოლეგისგან მოისმენდით ასეთ პასუხს: „დამით ზოგან ძლიერი წევიმა და ჭექა-ქუხილია მოსალოდნელი, დღისით +10... + 12°C“. ადამიანი, სავარაუდოდ, უპასუხებს: „მე ვფიქრობ, რომ იწვიმებს და დაახლოებით 10° სითბო იქნება“.



ალან ტიურინგი
(1912-1954)

გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი მათემატიკის, ლოგიკისა და კრიპტოგრაფიის სფეროში. დიდი დამსახურება მიუძღვის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში. გამომთვლელი მანქანა, რომელიც მან 1936 წელს ნაშროვადგინა და რომელსაც „ტიურინგის მანქანა“ ეწოდა, უნივერსალური კომპიუტერის მოდელად ითვლება. ტიურინგის მანქანა დაეხმარა სპეციალისტებს ალგორითმის კონცეფციის ჩამოყალიბებაში და დღეს მრავალ თეორიულ და პრაქტიკულ კვლევაში გამოიყენება.

პასუხების მიხედვით, ყოველმა მონაწილე ადამიანმა უნდა იცოდეს, მოსაუბრეთაგან რომელი არ არის ადამიანი. თუ ხანგრძლივი საუბრის პროცესში ადამიანი (ან ექსპერიმენტის მონაწილეთა უმრავლესობა) პასუხის მიხედვით ვერ განსაზღვრავს, ვინ გასცა იგი – ადამიანმა თუ კომპიუტერმა, ეს ამტკიცებს, რომ კომპიუტერს გააჩნია ადამიანისათვის დამახასიათებელი ინტელექტი.

შევისცავლოთ დამოუკიდებლად

ტიურინგის ტესტის ნაირსახეობაა CAPTCHA – სრულად ავტომატიზებული ტესტი ადამიანის კომპიუტერისაგან გასარჩევად. შეკრიბეთ ინფორმაცია მის შესახებ.

- როგორ ჩაინერება სრულად აბრევიატურა CAPTCHA?
- რა არის ამ ტესტის არსი?
- როგორია მისი ვარიანტები?

if you can
read this
problem
you are
human

შეამონეთ შენი ცოდნა

1. რა მიმართულებისაა კვლევები ხელოვნური ინტელექტის სფეროში?
2. რობოტების რომელი კატეგორიები არსებობს?
3. პირველად როდის განდა ტერმინი „რობოტი?“
4. რა არის „ტიურინგის ტესტი?“
5. რა სახის ტექსტები ითარგმნება მანქანური თარგმნის პროგრამებით ყველაზე უკეთესად? როგორ ფიქრობთ, რატომ?

1.5 საექსპერტო სისტემები

კონკრეტული პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მისაღებად და ამისათვის საჭირო გამოძიების ჩასატარებლად, კონსულტაციების გასაწევად, მოსაზრებებისა და დასკვნების გამოსატანად, ექსპერტიზის ჩასატარებლად იწვევენ გამოცდილ სპეციალისტებს – ექსპერტებს („experts“, ლათინურ ენაზე სიტყვა „expertus“ ნიშნავს „პრაქტიკას“). დასახული პრობლემის გადაწყვეტისას ექსპერტები იყენებენ საკუთარ აზროვნების უნარს, ფაქტოგრაფიულ ცოდნას. შესაბამისად, წერისმიერი სფეროს ექსპერტი, პირველ რიგში, უნდა ულობდეს სპეციალურ ცოდნას ამ სფეროში და, მეორე მხრივ, უნდა შეეძლოს ლოგიკური მსჯელობა.

- თქვენი აზრით, რომელ სფეროებში იყენებენ ექსპერტებს ყველაზე ხშირად?
- რას ნიშნავს სიტყვა „ექსპერტიზა?“



სამიანობა

რომელი ფაქტები, წესები, შეღებები უნდა იყოს ცხრილის ცარიელ უჯრებში?

№	ფაქტი (ცოდნა)	წესი	შედეგი
1	სოკრატე ადამიანია.	ყველა ადამიანი მოკვდავია	
2	ლეილა სევინჯის ქალიშვილია, სევინჯი კი – ნიგარის.	თუ A არის B-ს შვილი, bოლო B – C-ს შვილი, მაშინ A C-ს შვილიშვილი იქნება.	
3	a – 2-ზე მეტი მარტივი რიცხვია.		a 2-ზე არ იყოფა.
4		უარყოფითი მსჯელობის უარყოფა თავადაა მსჯელობა.	დათვი მტაცებელი ცხოველია.

– რა აკლია მე-2 სტრიქონის წესის ჩანაწერს?

– რას უწოდებენ ლოგიკაში მე-4 სტრიქონზე მოცემულ წესს?

ინტელექტუალური საინფორმაციო სისტემების ნაირსახეობაა **საექსპერტო სისტემები (expert systems)**. საექსპერტო სისტემაში იგულისხმება პროგრამა, რომელიც, იყენებს რა სპეციალისტების (ექსპერტების) ცოდნას რომელიმე კონკრეტულ ვინწროსპეციალურ საგნობრივ სფეროში და ამ სფეროს ფარგლებში (მაგ., ფინანსებში, მედიცინაში და ა.შ.), იღებს ექსპერტ-პროფესიონალის დონის გადაწყვეტილებას. როგორც ზემოთ აღნინიშნა, პრობლემების გადაჭრისას ადამიანი-ექსპერტები ეყრდნობიან თავიანთ ფაქტოგრაფიულ ცოდნას ამ სფეროში და საკუთარ აზროვნების უნარს. საექსპერტო სისტემები ეს ორი ძირითადი პიროვნების ურთიერკავშირშია და რეალზდება, როგორც ორი დამოუკიდებელი კომპონენტი: ცოდნის ბაზა და გამომტანი მანქანა. **ცოდნის ბაზა (knowledge base)** შეიცავს კონკრეტულ ფაქტებსა და რეკომენდაციებს მოცემულ თემაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცოდნის ბაზა შედგება გარევეულ სფეროში ადამიანების (ექსპერტების) მიერ დაგროვილი ცოდნისაგან. **გამომტანი მანქანა (inference engine)** ახდენს აზროვნების უნარის რეალიზებას, რაც საექსპერტო სისტემას დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლიერება.

ლევს. გამომტანი მანქანა შეიცავს ცნობილ ფაქტებსა და წესებს ექსპერტიზის სფეროში; შემდეგ, შედეგების მისაღებად, საექსპერტო სისტემის საფუძველზე შეტანილი ინფორმაცია გამომტანი მანქანის მეშვეობით შეაჯერებს ამ ფაქტებსა და წესებს.

საექსპერტო სისტემები დამატებით ინსტრუმენტებსაც შეიცავს, კერძოდ, სამომზმარებლო ინტერფეისსა და გადაწყვეტილების დასაბუთებას. სამომზმარებლო ინტერფეისები, სხვა გამოყენებითი პროგრამების მსგავსად, მოთხოვნების შექმნის, ინფორმაციის წარმოდგენისა და სისტემასთან სხვადასხვა საშუალებით ურთიერთობის შესაძლებლობას იძლევა. საექსპერტო სისტემა, თავისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კომპონენტის, განმარტების მოდულის (**explanation module**), დამარტებით, დასკვნების განმარტებებს იძლევა. ეს მოდული სისტემის შემქმნელებს მისი მუშაობის შემოწმების საშუალებას აძლევს.

პირველი საექსპერტო სისტემები 1960-იან წლებში გამოჩნდა. ისინი ისეთ სფეროებში გამოიყენება, როგორებიცაა ქიმია, გეოლოგია, მედიცინა, საბანკო საქმე და ინვესტიციები, დაზღვევა.

Watson - IBM-ის ფირმის სუპერკომპიუტერი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის სისტემითაა აღჭურვილი, შექმნა მკვლევართა ჯგუფმა, დევიდ ფერუჩის ხელმძღვანელობით. მისი შექმნა DeepQA-ს პროექტის ნაწილია. უოტსონის ძირითადი ამოცაა ბუნებრივ ენაზე ჩამოყალიბებული კითხვების გაგება და მონაცემთა ბაზაში მათზე პასუხების მოძებნა. სახელი ეწოდა IBM-ის დამარსებლის, თომას უოტსონის, საპატივცემულოდ.

2011 წლის თებერვალში, თავისი შესაძლებლობების შესამოწმებლად, უოტსონმა მონაწილეობა მიიღო ტელეშოუ „Jeopardy“-ში (ანალოგი აზერბაიჯანის სახელმწიფო ტელევიზიის გადაცემისა „61“ და რუსული გადაცემისა „საკუთარი თამაში“). მისი მეტოქეები იყვნენ ბრედ რატერი (ამ პროგრამით დაწესებული ყველაზე დიდი მოგების მფლობელი) და კენ ჯენინგსი (რეკორდსმენი ნაუგებელი სერიების სანგრძლივობის). უოტსონმა მიიღო 1 მილიონი დოლარი, ჯენინგსმა და რატერმა კი 300 და 200 ათასი, შესაბამისად.





ଲ୍ୟୁଡ଼ିତ୍ତ ହାର୍ଦ୍ଗ
(1921-2017)

1965 წელს გამოიცვეუნა ფუქურებდლური სამრომი არამკაფიო სიმრავლების თეორიის შესახებ. 1973 წელს შემოგვთავაზა არამკაფიო ლოგიკის თეორია (fuzzy logic), მოგვიანებით კი – რბილი გამოთვლების (soft computing) თეორია. გამოჩენილი მეცნიერი 2017 წლის 6 სექტემბერს აშშ-ში გარდაიცვალა. იგი ბაქოში დაკრძალվს.

- საექსპერტო სისტემები
 - ცოდნის ბაზა
 - გამომტანი მანქანა
 - განვითარების მოდული
 - არამკაფიო ლოგიკა
 - LISP
 - PROLOG

გამოყენებული ენებია Prolog და LIPS.

Prolog პროგრამირების ლოგიკური ენაა (შემოკლებული „Programming in Logic“-დან), რომელიც 1972 წელს შეიმუშავეს. როგორც უკვე იცით, ჩვეულებრივი პროგრამული უზრუნველყოფისას კომპიუტერი პრობლემის გადასაჭრელად თანამიმდევრულად ასრულებს პროგრამაში აღნიშვნილ ნაბიჯებს. ლოგიკურ პროგრამირებაში პროგრამული უზრუნველყოფა კომპიუტერს სთავაზობს წესებს იმის შესახებ, თუ როგორ გაუმტკლავდეს პრობლემას და როგორ გამოიყენოს სხვა ფაქტები, რომლებიც შედეგების მისაღებად შეიძლება დასჭირდეს. შემდეგ კომპიუტერი მიმართავს პრობლემის ავტომატურად გადაწყვეტისათვის განკუთვნილ გარკვეულ პროცედურას. ასე მაგალითად, იმისათვის, რომ უპასუხოს კითხვას „თურქანი აზერბაიჯანშია?“, Prolog -ს შეუძლია, ის ფაქტი, რომ „თურქანი მდებარეობს აფშერონზე“, დაკავშიროს წესთან: „თუ X მდებარეობს აფშერონზე, ე.ი. X მდებარეობს აზერბაიჯანში“. ეს ფაქტი და წესი Prolog-ით შემდეგანირთ ჰლინერება:

located in (თურქანი, აფშერონი).

~~located_in(X, ათენბაიჯანი) :- located_in(X, a ათენბაიჯანი).~~

შეკითხვა (ლოგიურ პროგრამირებაში – მოთხოვნა) ისმება ასე

?- located in (თურქანი, აზერბაიჯანი) .

ଓ କ୍ଷେତ୍ରରେ କିମ୍ବା "yes" ("ହୀନାବ").

~~Prolog-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა გადარჩევა დაბრუნებით (backtracking), ანუ უნარი, დაბრუნდეს უკან აღტერნატიული გადაწყვე-~~

30

ტის ძიების პროცესში. ეს აუცილებელი ხდება მაშინ, როდესაც ამოხსნა იწყება წესების იმ რგოლიდან, რომელსაც საჭირო შედეგამდე არ მივყავართ.

პროგრამირების ენა **LISP** (List Processing) შეიმუშავა ჯონ მაკარტიმ (John McCarthy) 1959-60 წლებში მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (MIT). ამჟამად ამ ენას აქტიურად იყენებენ სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში. დღი ხნის განმავლობაში LISP ითვლებოდა სტანდარტულ ენად ხელოვნური ინტელექტის სფეროში, მაგრამ შემდგომ მის ძირითად კონკურენტად ენა Prolog იქცა. არსებობს მისი რამდენიმე დიალექტი პერსონალური კომპიუტერებისათვის: MuLISP, INTERLISP, Common Lisp, MacLisp.

შევისწავლოთ

დამოუკიდებლად

CLIPS (Clanguage Integrated Production System) არის პროგრამული გარემო საექსპერტო სისტემების შესამუშავებლად.

შეაგროვეთ ინტერნეტში ინფორმაცია ამ სისტემის შესახებ. პროგრამირების რომელ ენაზეა დაწერილი ეს სისტემა? როგორ მუშაობს გამომტანი მანქანა?

შეამოხვეთ შენი ცოდნა

- დაასახელეთ საექსპერტო სისტემების ორი ძირითადი კომპონენტი.
- სად ინახება ცოდნა და ფაქტები საექსპერტო სისტემებში?
- რა ფუნქცია აკისრია გამომტან მანქანას?
- როგორ შეიძლება შემოწმდეს, სწორია თუ არა საექსპერტო სისტემის შედეგი?
- პროგრამირების რომელი ენებია შემუშავებული სპეციალურად ხელოვნური ინტელექტისათვის?

ЛЯТИ

1.6 საძირკო სისტემები

ინტერნეტში ნებისმიერ თემაზე შეიძლება ინფორმაციის მოპოვება. მაგრამ ვინაიდან ინფორმაცია მეტისმეტად ბევრია, ზოგჯერ ძნელია აუცილებელი მასალის მოძებნა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული ინფორმაციის რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება, ეფექტური ძიების ჩატარება სულ უფრო და უფრო რთულდება. ამიტომ ინტერნეტში წარმატებული ძიებისათვის აუცილებელია მოხერხებული საშუალებების საძირკო გვევლინება. ასეთ საშუალებებად საძირკო სისტემები გვევლინება.

- რომელ საძირკო სისტემას იყენებთ ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებისას?
- როგორ ფიქრობთ, როგორ ახერხებს საძირკო სისტემა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სერვერზე განთავსებული საიტების ასეთი სისწრაფით პოვნას?



საძირანობა

გამოიყენეთ ნებისმიერი საძირკო სისტემა და მოიძიეთ ინფორმაცია შემდეგ თემებზე:

- თქვენი საყვარელი მომლერალი ან მუსიკალური კოლექტივი;
- ფაქტები აზერბაიჯანის ისტორიიდან;
- საუკეთესო დასასვენებელი ადგილი თურქეთში ზაფხულის არდადეგებისათვის.
- რომელი საძირკო სისტემა გამოიყენეთ და რატომ აირჩიეთ იგი?
- რამდენი საიტი მოიძებნა ძიების შედეგად? როგორ შეძლებთ ძიების სფეროს შევიწროებას?

საძირკო სისტემა (search engine) კომპიუტერული პროგრამაა. ინტერნეტში ასობით საძირკო სისტემაა. მართალია, საძირკო სისტემებს შორის მცირეოდენი განსხვავებები არსებობს, მაგრამ მათ უმრავლესობას საერთო ფუნქციები აქვს, მაგალითად, ყველა ეს სისტემა ეყრდნობა ძიების **საკვანძო სიტყვებს (keywords).**

როგორ მუშაობს საძირკო სისტემა? ყოველი მათგანი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება:

1. საძირკო სისტემის ძირითადი ნაწილია **პროგრამა**. ის ეძიებს მონაცემთა ბაზაში არსებულ მილიონობით ჩანაწერს.
2. მეორე ნაწილია **რობოტი-ობობა (spider)** ან **ჭია (crawler)**. რობოტი-ობობა ანარმობებს ძიებას ინტერნეტში საკვანძო სიტყვების მიხედვით და თავის მოძებნილ გვერდებს საძირკო სისტემას გადასცემს. სახელი „ობობა“ ან „ჭია“ უკავშირდება ინტერნეტში „ცოცვას“, ვებსაიტების შემოწმებას და ბმულების პოვნას. ახალი ცვლილებების გასათვალისწინებლად ობობას ან ჭიას ხშირად უხდება ადრე დათვალიერებულ ვებსაიტებზე დაბრუნება.
3. საძირკო სისტემის ძისამე ნაწილია **ინდექსი** ანუ **ინდექსატორი**. როგორც კი ობობა ვებგვერდს პოულობს, მას იმწამსვე ინდექსატორს გადასცემს. უკვე ინდექსირებული ვებგვერდი საძირკო სისტემის ყოველი გამოყენებისას გამოჩნდება.

ზოგჯერ შესაძლებელია თქვენი მოთხოვნის შესაბამისი ათასობით პასუხის მიღება. ამ-ხელა სიაში, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია საჭირო ინფორმაციის მოძებნა. ამიტომ ზოგიერთ საძიებო სისტემაში გამოყენება რელევანტურობა, ანუ ძიების კრიტერიუმებთან შესაბამისობის ხარისხი, ჩვეულებრივ, პროცენტებით გამოისახება: 100% – სრული შესატყვისობა. საძიებო სისტემათა უმეტესობა ნაპოვნ პასუხებს რელევანტურობის მიხედვით აღავებს, ამიტომ სიის დასაწყისში მოცემული პასუხები უფრო ზუსტია. რაც უფრო ქვემოთ ჩავდგივართ სიაში, მით ნაკლებია მოთხოვნასთან შესაბამისობის ხარისხი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საიტებზე მოთხოვნაში არსებული ყველა საკვანძო სიტყვა არ გვხვდება. ასეთ შემთხვევებში თქვენ შეგიძლიათ, შეასრულოთ ერთ-ერთი შემდეგ მოქმედებათაგან:

- დააწესოთ ბმულზე და გაეცნოთ საიტის მასალებს;
- შეცვალოთ საკვანძო სიტყვები და სხვანაირად ააწყოთ ისინი;
- გამოიყენოთ სხვა საძიებო სისტემა.

ყურადღება! არ არსებობს ისეთი ვებინასტრუმენტი, რომელიც შეძლებდა მთელი Web-ის ინდექსირებას. ყველ საძიებო სისტემას საკუთარი მონაცემთა ბაზა აქვს და ძიებასაც მის საფუძველზე აწარმოებს. ეს მონაცემთა ბაზა Web-თან არ უნდა გავაიგივოთ, ის ძიების საფუძველზეა ჩამოყალიბებული.

ისტორია ყველაზე პირველი საძიებო სისტემა ინტერნეტში იყო **Archie**. მისი პირველი ვერსია 1990 წელს გამოუშვეს კანადაში, მაკელის უძველეს და პრესტიულ უნივერსიტეტში (Mcgill University).



ნაბიჯ ნაბიჯ

საძიებო სისტემის გამოყენება

1. გახსენით ვებბრაუზერი და გადადით მისამართ www.google.com-ზე.
2. აკრიფეთ საძიებო სტრიქონში საკვანძო სიტყვების ყვავილების თაფლი და დააწესოთ Google-ის ძიების ღილაკზე, ან დააჭირეთ ღილაკ <Enter>-ს; გახსნილ გვერდზე გამოისახება საძიებო სიტემის მიერ ნაპოვნი საიტების სია. შეიძლება იყოს ათასობით ან ასიათასობით შედეგი, მაგრამ შედეგების მხოლოდ პირველ გვერდზე გამოვა დაახლოებით ათი ჰიპერბმულის შემცველი სია.
3. დაათვალიერეთ ეს გვერდი. თუ გსურთ ყვავილების თაფლის შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვება, დააწესოთ ერთ-ერთ ბმულზე.
4. ბრაუზერის ნავიგაციის ინსტრუმენტის დაბმარებით დაბრუნდით გვერდზე.
5. დახურეთ ბრაუზერი.

ყურადღება!

- ზოგიერთ საძიებო სისტემას (მაგალითად, Google-ს) გააჩნია ძიების შედეგების სუვა ენებზე გადათარგმნის ფუნქცია.
- ზოგჯერ სასურველა სხვადასხვა საძიებო სისტემის გამოყენება. გარდა ამისა, თითოეულ საძიებო სისტემას აქვს თავისი საკუთარი ალგორითმი, რომელიც ვებსაიტების ინდექსაციისთვისაა განკუთვნილი. ამიტომ სხვადასხვა სისტემაში ძიების შედეგი შეიძლება განსხვავებული იყოს.

ვინაიდან ინტერნეტი თანდათან სულ უფრო და უფრო ფართოვდება და მეტი და მეტი გვერდი ჩნდება, ეფექტური ძიებისათვის ახალი მიღვომები და სტრატეგიებია საჭირო. გაითვალისწინეთ, რომ რაც უფრო კონკრეტული იქნება თქვენი ძიება, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ სწორედ იმას იპოვით, რასაც ეძიებთ. უნდა შეგეძლოთ საძიებელი საგნის ზუსტად აღწერა და სხვადასხვა მეთოდის გამოყენება.

თუ გსურთ, იპოვოთ ერთიმეორის მომდევნო სიტყვები, უმჯობესია **ფრაზით ძიება**. ფრაზა ბრჭყალებში უნდა ჩასვათ და ძიებისას გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც ამ თანამდევრობაში შედის; მაგალითად, თუ გჭირდებათ ინფორმაცია ზუთხისებრი თევზების შესახებ, შეიტანეთ ფრაზა „**ზუთხისებრი თევზები**“ ბრჭყალებში. შედეგად მოიძებნება ვებგვერდები, რომლებზეც ამ ფრაზის სიტყვები ერთმანეთის მოსადევს. თუ ბრჭყალებს არ გამოიყენებთ, მაშინ საძიებო სისტემა მოგიიღნით და გაჩვენებთ ყველა ვებგვერდს, რომლებზეც ნახსენებია სიტყვები „**ზუთხისებრი**“ და „**თევზები**“.

თუ ძიებას რამდენიმე გამონათქვამის მიხედვით აწარმოებთ, შეგიძლიათ, რთული გამონათქვამები ან საკუთარი სახელები მძიმებით გამოყოთ. მაგალითად, თუ გსურთ, მოიპოვოთ ინფორმაცია კასპიის ზღვაში მობინადრე ზუთხისებრთა შესახებ, უნდა აკრიფოთ „**ზუთხისებრი თევზები**“, „**კასპიის ზღვა**“. საკუთარი სახელები (თუ ქართულად არ წერთ), დიდი ასოთი უნდა დაიწყოთ, ვინაიდან ზოგიერთი საძიებო სისტემა ერთმანეთისგან განარჩევს ზედა და ქვედა რეგისტრის ასოებს. მეორე მხრივ, თუ რომელიმე არსებით სახელს დიდი ასოთი ჩაწერთ, მაგალითად, სიტყვა „Rose“-ს, ძიების შედეგები უფრო მცირერიცხოვანი იქნება, ვიდრე მაშინ, თუ სიტყვას rose-ს პატარა ასოთი ჩაწერთ.

როგორც უკვე ალინიშნა, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ძიების შედეგები ვებგვერდების დიდ რაოდენობას შეიცავდეს და მათგან უმრავლესობა არ გჭირდებოდეთ. ეს რომ თავდან ავიცილოთ და სია გავფილტროთ, შეგვიძლია, ძიება **მათემატიკური ოპერაციების დახმარებით** ვაწარმოოთ:

- ნიშანი პლუსი (+) დავსვათ იმ სიტყვების წინ, რომელთა დანახვაც გვსურს გვერდზე;
- ნიშანი მინუსი (-) დავსვათ იმ სიტყვების წინ, რომელთა დანახვა გვერდზე არ გვსურს;

სიტყვები, რომლებიც + და - სიმბოლოებით გამოყოფილი არ არის, ნაპოვნ ვებგვერდებზე არ გამოისახება, თუმცა ისინი მაინც მონაწილეობს ძიების დახარისხებაში.

მაგალითად, თუ საძიებო ველში ჩაწერთ + ყვავილების + თაფლი, ძიების შედეგი ასახავს მხოლოდ იმ გვერდებს, რომლებზეც ეს ორივე სიტყვა იქნება.

ინტერნეტში ძიების სხვა საშუალებაა ძიება **ლოგიკური ოპერაციების დახმარებით**. ის მათემატიკური ოპერაციების დახმარებით ძიების ანალოგიური პრინციპით წარმოებს, თუმცა მასზე ცოტათი უკეთესია. ამ მიზნით სამი ლოგიკური ოპერაცია გამოიყენება:

AND (და);

NOT (არა);

OR (ან)

ზემოთ განხილული მაგალითისთვის საძიებო მოთხოვნაში შეგვიძლია, გამოვიყენოთ ლოგიკური ოპერაციები და ასე ჩავწეროთ: „**ყვავილების AND თაფლი**“. თუ ისეთი თაფლი გვჭირდება, რომელიც ფიქსას არ შეიცავს, მაშინ უნდა ავრიცოთ: „**ყვავილების AND თაფლი NOT ფიქსა**“.

ოპერაცია OR, როგორც წესი, ერთმანეთის მსგავსი ტერმინების ან ცნებების ძიებისთვის გამოიყენება. მაგალითად, თუ ჩავწერთ „**ყვავილების OR თაფლი**“, შედეგების სიაში იქნება ან ერთი, ან ორივე ეს ცნება.

ყურადღება!

- რაც უფრო მეტ სიტყვას გააერთიანებთ AND-ის გამოყენებით, მით ნაკლები შედეგი მოიძებნება.
- რაც უფრო მეტ სიტყვას გააერთიანებთ OR-ის გამოყენებით, მით მეტი შედეგი მიიღება ძიების პროცესში;
- ზოგიერთი საძიებო სისტემა არ აწარმოებს ძიებას ლოგიური ოპერატორის დახმარებით, მაგრამ მათ უმრავლესობაში გათვალისწინებულია ფილტრები ან სპეციალური ფორმები კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით ძიებისათვის.

ნაბიჯი ნაბიჯი

ძიება ლოგიური ოპერაციების დახმარებით

1. გადადით ერთ-ერთ საძიებო სისტემაში, მაგალითად, Yahoo-ში.
2. საძიებო ველში შეტანეთ **ყვავილების AND თაფლი** (ბრჭყალების გარეშე) და დააჭირეთ ღილაკ Web Search-ს ან კლავიშ **<Enter>-ს.**
3. მიიძიოთ ყურადღება საძიებო სისტემის მიერ მოძებნილ ჰიპერბმულებს. დაბრუნდით საძიებო სისტემის სასტარტო გვერდზე.
4. საძიებო ველში შეტანეთ **ყვავილების AND თაფლი NOT ფიტა** და დააჭირეთ კლავიშ **<Enter>-ს.**
5. მიიძიოთ ყურადღება ახალმოძებნილ ჰიპერბმულებს. სავარაუდოდ, მათი რაოდენობა უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე პირველად.
6. დააჭირეთ ერთ ან რამდენიმე ჰიპერბმულს და დაათვალიერეთ ვებსაიტზე მოცემული ინფორმაცია.
7. დახურეთ ბრაუზერი.

შევისწავლოთ | დაოუკიდეთ

1. მათემატიკური ოპერაციების დახმარებით შეადგინეთ საძიებო მოთხოვნები:
ა) დასახლებული პუნქტები, სახელწოდებით ბაქო და ყუბა, აზერბაიჯანის ფარგლებს გარეთ;
ბ) აზერბაიჯანული კულტურის ცენტრები და გაერთიანებები რუსეთში.
2. გამოიყენეთ ლოგიური მეთოდი და ჩაატარეთ ძიება იმავე თემებზე (1-ა, 1-ბ);
3. მოამზადეთ მოკლე ანგარიში, რომელიც აღნერს ამ ორი მეთოდით მიღებულ შედეგებს შორის განსხვავებას.
4. მათემატიკური სიმბოლოების (ჩართვისა და გამორთვის ოპერატორების) გამოიყენებით შეადგინეთ მოთხოვნა იმ საიტების მოსაძებნად, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ნობელის პრემიის ლაურეატების შესახებ.

შეამონეთ შენი ცოდნა

1. რა არის საძიებო სისტემა და რა ნანილებისგან შედეგება იგი?
2. როგორ მუშაობს საძიებო სისტემა?
3. რატომ იძლევა სხვადასხვა საძიებო სისტემა ძიების განსხვავებულ შედეგებს?
4. არის თუ არა განსხვავება მოთხოვნებს „მთა სავალანი“ და მთა სავალანი (ბრჭყალების გარეშე) შორის?
5. რომელი ლოგიური ოპერაციები გამოიყენება ლოგიურ ძიებაში?

1.7 დიდი მონაცემების ტექნოლოგია

ციფრული ინფორმაციის მოცულობა მსოფლიოში გეომეტრიული პროგრესით იზრდება. ზოგიერთი კვლევის თანხმად, 2003 წელს მსოფლიოში შეგროვილი ინფორმაციის მოცულობა 5 ექტაბაიტის ($1 \text{ ებ} = 1 \text{ მლრდ. გიგაბაიტს}$) შეადგინდა. 2008 წელს მან 0, 18 ზეტაბაიტს მიაღწია ($1 \text{ ზბ} = 1024 \text{ ექტაბაიტს}$), 2011 წელს – 1, 76 ზეტაბაიტს, ხოლო 2013 წელს – 4,4 ზეტაბაიტს.

ვარაუდობენ, რომ 2020 წელს ეს ციფრი 40-44 ზეტაბაიტამდე მიაღწევს, ხოლო 2025 წლისთვის კიდევ 10-ჯერ გაიზრდება. როგორ „გავუმკლავდეთ“ ინფორმაციის ასეთ მოცულობას? გამოთვლების თანახმად, ამჟამად დაგროვილი ინფორმაციის მხოლოდ ძალიან უმნიშველო ნანილი (დაახლოებით 1-2%-მდე) გამოიყენება. მისი დამუშავება და კარგი შედეგების მიღება სულ უფრო რთულდება და დიდ რესურსებს მოითხოვს.

- 1 გიგაბაიტის მოცულობის რამდენი დისკი დასჭირდება 40 ზეტაბაიტის მოცულობის მონაცემების განთავსებას?



საქმიანობა


გამოიყენეთ ანალიგია და შეავსეთ ცხრილის ცარიელი უჯრები.

დასახელება	სიმბოლო	მნიშვნელობა (ბაიტი)	დასახელება	სიმბოლო	მნიშვნელობა (ბაიტი)
კილობაიტი	კბ	10^3	პეტაბაიტი	პბ	10^{15}
მეგაბაიტი	მბ	10^6	ეკზაბაიტი	ებ	
გიგაბაიტი	გბ	10^9	ზეტაბაიტი	ზბ	
ტერაბაიტი	ტბ	10^{12}	იოტაბაიტი	იბ	

- რამდენჯერ აღემატება 1 ზეტაბაიტი 1 გიგაბაიტს?
- თუ მონაცემთა მოცულობა მართლაც ზემოთ მოყვანილი პროგნოზებით ნავარაუდები ტემპით გაიზრდება, რომელ წელს მიაღწევს მსოფლიოში ინფორმაციის მოცულობა 1 იოტაბაიტს?

ტერმინი „დიდი მონაცემები“ გამოიყენება არაერთგვაროვანი და სწრაფად მზარდი ციფრული მონაცემების დიდი მოცულობის აღსანერად, რომელთა დამუშავება ჩვეული ინსტრუმენტების დახმარებით შეუძლებელია. დღესდღეობით იყენებენ როგორც ტერმინ „**big data**“-ს (იყითხება „ბიგ დეითე“), ისე ცნება „დიდ მონაცემებს“, რომელიც ინგლისური ტერმინიდანაა გადმოთარგმნილი. დიდი მონაცემები მკაცრად არ არის განსაზღვრული. შეუძლებელია მკვეთრი ზღვარის გავლება, 10 ტერაბაიტია ეს თუ 10 მეგაბაიტი, თუმცა დამკვიდრებულია აზრი, რომ დიდი მონაცემები არის ტექნოლოგიების ნაკრები სამი ოპერაციის შესრულებისათვის: უპირველეს ყოვლისა, მონაცემთა დიდი მოცულობის დაზუშვებისათვის, მერქ – სწრაფად შემოსულ ძალასნ დიდი მოცულობის ძონაცემებაზე მუშაობის შესაძლებლობისათვის (იგულისხმება, რომ მონაცემები, უბრალოდ, ძალიან ბევრია კი არ არის, არამედ სულ უფრო და უფრო მეტი ხდება); მესამეც, ამ ტექნოლოგიებს უნდა შეეძლოთ როგორც სტრუქტურირებულ, ისე არასტრუქტურირებულ მონაცემებზე მუშაობა. დიდი მინაცემების აღწერის ძირითადი საშუალებაა აბრევიატურა **3V**:

- **volume** (მოცულობა) – მონაცემთა მოცულობა;
- **Velocity** (სიჩქარე) – მონაცემთა დიდი სიჩქარით დამუშავება;
- **Variety** (მრავალფეროვნება) – მონაცემთა მრავალფეროვნება და მათი არასაკმარისი სტრუქტურირება.



ამგვარად, „დიდი მონაცემების“ ცნება სამ პრობლემასთანაა დაკავშირებული: ინფორმაციის დიდ მოცულობასთან, მის მრავალფეროვნებასთან და ძალიან სრაფად დამუშავების აუცილებლობასთან.

დიდი მონაცემების ანალიზი ისეთი კანონზომიერებების გამოვლენაში გვხემარება, როგორებსაც ადამიანი, თავისი შეზღუდული შესაძლებლობების გამო, უბრალოდ, „ვერ ხედავს“. შესაბამისად, დიდი მონაცემების ანალიზი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს – სახელმწიფო მმართველობის, ჯანდაცვის, კავშირგაბმულობის, ფინანსების, ტრანსპორტის, მრეწველობისა და სხვა დარგების – ოპტიმიზაციის უპრეცედენტო შესაძლებლობებს იძლევა.

დიდი მონაცემების ტიპური მაგალითია სხვადასხვა ფიზიკური ექსპერიმენტული დანადგარიდან მიღებული ინფორმაცია. ასეთია, მაგ., დიდი ადრონული კოლაიდერი, რომელიც გამუდმებით წარმოქმნის მონაცემთა უდიდეს რაოდენობას. მეცნიერებს კი, მათი დახმარებით, ერთმანეთის პარალელურად მრავალი ამოცნის გადაწყვეტა შეუძლიათ.

თუმცა დიდი მონაცემები მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებას არ შეხებია. დღესდღეობით ისეთ სოციალურ ქსელებში, როგორებიცაა **Facebook**, **WhatsApp**, **Twitter**, **Skype** მილიარდობით ადამიანია გაერთიანებული და ასევე დიდია იმ ოპერაციების რაოდენობა, რომლებსაც ისინი აწარმოებენ. დამუშავებაში იგულისხმება არა მარტო მომხმარებელთა ქმედების ინტერპრეტაცია (განმარტება), არამედ თითოეული მათგანის სწორად დამუშავების შესაძლებლობა, ანუ მისი საჭირო ადგილას მოთავსება და იმის მოხერხება, რომ ყველა მომხმარებელს ჰქონდეს ამ მონაცემებთან სწრაფი წვდომის საშუალება, ვინაიდან სოციალური ქსელები ლოდინს ვერ ეგუება.

დანართის

- დიდი მონაცემები
- 3V
- მონაცემთა შეკრება
- NoSQL
- Mapreduce
- Hadoop

ყურადღება! ბევრი რამ დიდი მონაცემებისა და იმ მიღგომების შესახებ, რომლებიც მათი ანალიზის მიზნით გამოიყენება, სინამდვილეში საქმაოდ დიდი ხნის წინ იყო ცნობილი, მაგალითად, ვიდეოდაკვირვების კამერის გამოსახულებათა დამუშავება, როდესაც საქმე ეხება არა ერთ სურათს, არამედ მონაცემთა ნაკადს.

მაგრამ როგორ შევინათოთ და დავამუშავოთ დიდი მონაცემები, მეტადრე, არასტრუქტურირებული მონაცემების დიდი მოცულობა? უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით უართო კვლევა ჩატარდა და სპეციალური ტექნოლოგიები შემუშავდა. ასეთი ტექნოლოგიების მაგალითებია „მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის“ მეთოდები, აგრეთვე ტექნოლოგიები *NoSQL*, *MapReduce*, *Hadoop*.

- **მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზი (data mining).** ეს არის ხელოვნური ინტელექტის მეთოდებსა და გადაწყვეტილების მიღების მრჩეველ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული დიდი მოცულობის მონაცემთა ანალიზის ტექნოლოგია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის კანონზომიერებების გამოვლენა, მათი გამოყენება უცნობი მნიშვნელობების წინასწარმეტყველებისათვის, ინფორმაციის ანალიზი კანონზომიერებაში არსებული ანომალიების გამოვლენისა და ახსნის მიზნით.
- **NoSQL** („Not Only SQL“) – შემოკლება სიტყვებისა „არა მარტო SQL“) აღნიშნავს მონაცემთა ბაზის საცავების რეალიზაციისაკენ მიმართულ მიდგომათა რიგს, რომელიც არსებითად განსხვავდება მონაცემთა ბაზის მართვის ტრადიციულ სისტემებში გამოყენებული მოდელებისაგან. მათი გამოყენება მოსახერხებლია მონაცემთა ბაზის სტრუქტურის გამუდმებული ცვლილების დროს, მაგალითად, სოციალურ ქსელებში ინფორმაციის შეკრებისა და შენახვის დროს.
- **MapReduce** გამოთვლების განაწილების მოდელია. გამოიყენება მონაცემთა ძალზე დიდ ნაკრებზე მუშაობისას პარალელური გამოთვლების ჩასატარებლად. პროგრამულ ინტერფეისში მონაცემები კი არ გადაეცემა დასამუშავებლად პროგრამას, არამედ პროგრამა – მონაცემებს. ამგვარად, მოთხოვნა ცალკე პროგრამად გვევლინება. მუშაობის პრინციპი მდგომარეობს მონაცემების თანამიმდევრულ დამუშავებაში ორი მეთოდით – Map-ით და Reduce-ით. Map ამოარჩევს წინასწარ მონაცემებს, ხოლო Reduce მათ აერთიანებს.
- **Hadoop** გამოიყენება ძალზე გადატვირთული საიტების – Facebook-ის, eBay-ს, Amazon-ისა და სხვ. – საძიებო და კონტექსტური მექანიზმების რეალიზაციისათვის. მისი წიშანდობლივი თავისებურება ის არის, რომ სისტემა დაცულია კლასტერის ნებისმიერი კვანძის წყობიდან გამოსვლისაგან, უინაიდან თითოეულ ბლოკზე არსებულ მონაცემთა, სულ ცოტა, ერთი ასლია მეორე კვანძზე არსებობს.

შევისეავლოთ დამოუკიდებლად

უკანასაკენელ წლებში ხშირად ახსენები ტექნოლოგია „Business Intelligence“-ს. მოძებნეთ მის შესახებ ინფორმაცია ქსელში. შეეცადეთ გაარკვიოთ, რა კავშირი აქვს მას დიდი მონაცემების ტექნოლოგიასთან.

შეამოხვე შენი ცოდნა

1. რა არის „დიდი მონაცემები“?
2. რას წიშავს აბრევიატურა 3V?
3. რაზე მიუთითებს თვისება „მრავალფეროვნება“?
4. რა სფეროებში არსებობს დიდი მონაცემები?
5. როგორია მიდგომა დიდი მონაცემების დამუშავებისადმი.

1.8 საინჰორმაციო საზოგადოება

აგრარული და სამრეწველო ეტაპების შემდეგ კუკობრიობამ თავისი განვითარების ახალ ფაზაში შეაბიჯა. ეს გახდავთ სინფორმაციო საზოგადოება, რომელშიც ყველაზე უფრო ფასეულ რესურსად ინფორმაცია ითვლება. დღესდღობით საინფორმაციო საზოგადოების ელექტრობის დანახვა ცხოვრების ყველა ასპექტშია შესაძლებელი. ჩვენს დროში თითების ყველას აქვს ფიჭური ტელეფონი, სახლში კი – კომპიუტერი, ყველა კომპანიაშია საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება.

- რას ნიშნავს ცნება „საინფორმაციო საზოგადოება“?
 - რა არის „ელექტრონული მმართველობა“ და ურთიერთობათ როგორ მოდელის შეიცავს იგი?

საქართველო

გაიხსნეთ სინფონიაციონ საზოგადოების დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების მე-10 კლასის „ინფორმატიკის“ სახელმძღვანელოში განვიზნებილეთ. სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ, იხილოთ საიტ trims.edu.az-ზე (საგანმანათლებლო რესურსების მართვის საცნობარო სისტემა).

საინფორმაციო	საზოგადოების	დამახასიათებელი	ნიშნები		
ინფორმაციის დამუშავებასა და შენახვიში სპეციალური ტექნიკური მო- წყობილობები მონაწილეობს.	საზოგადოების მამოძრავებელ ძალად ინფორმაციის ნარჩენება იქცევა.	იცვლება ღირე- ბულებები, ყა- ლიდდება (ცხოვ- რების ახალი წესი, იცვლება საქმიანობის ფორმები თა- ვისუფალ დორს.	სახლებში აქვთ სხვადასხვა სა- ხის ელექტრო- ნული ხელსა- წყობი და კომიუნიტეტიზე- ზუსტი მაციონ- ები.	ვითარდება კომპიუტერუ- ლი ტექნიკა, ტელესაკომუნი- კაციონ ქსელები და საინფორ- მაციონ ტექნო- ლოგიები.	განათლების სფეროში იქმნება უზყვეტი სწავლების სისტემა.

- კიდევ რომელ ნიშნებს დაუმატებდით?
 - თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა, საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ, საინფორმაციო საზოგადოება იწინდოს?

საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება დაკავშირებულია მოქალა-
ქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლო-
გიების გამოყენების სიხშირესთან, ასევე ინტერნეტის საშუალებით მოსახ-
ლეობსა და ცალკეული ორგანიზაციებისათვის შემოთავაზებული სხვადასხვა
ელექტრონული მომსახურებით სარგებლობის მზაობის დონესთან.



~~გაერთოთანაბრული ერგბის ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2006 წლის 27 მარტს მიღებული რეზოლუციის თანახმად, 17 მაისი გამოცხაობებულია **საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო დღე** (World Information Society Day). ეს ღირსშესანიშვანი დღე ჩვენს ქვეყანაშიც აღინიშნება.~~

- საინფორმაციო საზოგადოება
- საინფორმაციო საზოგადოების წილები
- ელექტრონული მმართველობა
- ტექნოლოგია „ერთი ფანჯარა“

სოციალური განვითარების ახალ სტადიაზე გადასვლასთან დაკავშირებით საზოგადოებებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი სხვადასხვაგვარად იცვლება. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, კომპიუტერიზაციისა და ახალი საინფორ-

მაციო ტექნოლოგიების დანერგვის წყალობით ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის სფეროები თანამედროვე სახეს იღებს. მათ არც საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი სფერო ჩამორჩება, როგორიცაა პოლიტიკა. დღეს უკვე ლაპარაკია მმართველობის ახალ ფორმაზე – **ელექტრონულ მმართველობაზე**. საინფორმაციო საზოგადოებისათვის დამახასითებლი მმართველობის ამ ახალი ფორმის პირობებში მთავრობის საქმიანობა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება.

ნაბიჯ ნაბიჯ

პრეზენტაციის შექმნა თემაზე „**საინფორმაციო საზოგადოების დამახასიათებელი ძირითადი წილები**“

1. გახსენით პროგრამა Microsoft PowerPoint (ან OpenOffice Impress). გამოჩენდება პროგრამის მთავარი ფანჯარა და მასთან ერთად ახალი ფაილი პრეზენტაციისათვის, რომელიც ერთი სლაიდისგან შედგება. ფანჯრის შუაში აქტიური სლაიდია მოთავსებული. ყველა სლაიდს (არსებულსაც და ახლებსაც, რომლებსაც შემდგომ შექმნით) დაინახავთ სლაიდების ველში, ფანჯრის მარცხენა ნაწილში;
2. შექმნით შეიძიო ახალი სლაიდი;
3. გააქტიურეთ პირველი სლაიდი. ის, ჩვეულებრივ, პრეზენტაციის სატიტულო სლაიდს ნარმოადეგენს და მასზე უთითებენ პრეზენტაციის სათაურსა და ავტორის სახელს. სლაიდის ველ Click to add title-ში შეიტანეთ პრეზენტაციის სათაური „**საინფორმაციო საზოგადოების ძირითადი დამახასიათებელი წილები**“;
4. ველ Click to add subtitle-ში შეიტანეთ ინფორმაცია თქვენ შესახებ;
5. გააქტიურეთ მეორე სლაიდი. მასზე განთავსდება „**საქმიანობის**“ ნაწილში მოყვანილი სქემა (ცხრილი). აირჩიეთ ამ სლაიდის მაკეტი. ამისათვის დააწერა ინსტრუმენტების პანელის განყოფილება Slides-ის ღილაკ -ზე. აირჩიეთ შემოთავაზებულ სლაიდის მაკეტთაგან ერთ-ერთი, მაგალითად, მაკეტი Title and Content. შეიტანეთ სლაიდის სახელწოდება შესაბამის სქემაში (ცხრილში);
6. მესამე და ყოველი მომდევნო სლაიდი საინფორმაციო საზოგადოების დამახასიათებელი ექვსი ნიშნიდან თითოს ეთმობა. გააქტიურეთ მესამე სლაიდი და აირჩიეთ მისთვის მაკეტი Contain with Caption. შესაბამის ველში (მარცხნივ ზე-მოთ) შეიტანეთ სლაიდის სათაური, ხოლო ქვედა ველში – ტექსტი – პირველი ნიშანი და მისი აღწერილობა. მარჯვნივ მოათავსეთ თემასთან დაკავშირებული გამოსახულება ან ვიდეო. აირჩიეთ მენიუ Design, რათა სლაიდს გარკვეული დიზაინი ჰქონდეს. მიიტანეთ თაგვის მაჩვენებელი წარმოდგენილ შაბლონებთან და რიგორობით დაათვალიერეთ ვარიანტები. აირჩიეთ შესაფერისი შაბლონი (მაგალითად, Flow);
7. ანალოგურად შეავსეთ მეოთხე და მომდევნო სლაიდები;

8. **სლაიდიდან სლაიდზე გადასვლის უფექტის გამოსაყენებლად** მიმართეთ მენიუ Animations-ს. დააყენეთ თავის მაჩვენებელი შემოთავაზებულ უფექტებზე და დაიცადეთ, სანამ უფექტის გამოყენებას დაინახავდეთ. აირჩიეთ უფექტი, რომელიც მოგწონ, და თუ გსურთ, რომ გადასვლის ეს უფექტი ყველა სლაიდის მიმართ გამოიყენოთ, დააწერ ამ პანელის ღილაკ **Apply to All**-ზე;



9. დააჭირეთ მენიუ Insert-ის ღილაკ Header & Footer-ს. გახსნილ დიალოგურ ფანჯარაში აირჩიეთ ღილაკი Slide Number და დააჭირეთ ღილაკ Apply to All-ს. სლაიდები, პირველიდან დაწყებული, თანამდებობით დაინომრება;

10. გადაით მენიუ Slide Show-ზე და დააჭირეთ ღილაკ From Beginning-ს. მომზადებული პრეზენტაციის დემონსტრაცია პირველი სლაიდიდან დაიწყება;

İnformasiya cəmiyyətinin əlamətləri

1. İnformasiyanın emalı və saxlanması prosesinə xüsusi texniki qürgülər cəlb edilir.

İnformasiyanın həcmi artırdıqdan onun emalı və saxlanması insanın öz imkanı xaricindədir, ona görə də bu işə xüsusi texniki vasitələr cəlb edilir. Kompyuterlərdən istifadə qəçiləməzdir, onlar etibarlı informasiya mənbələrindən istifadə etməyə imkan verir, faydasız işi azaldır, optimallıq qərarlarının qəbul olunmasını sürətləndirir və informasiyanın emalını avtomatlaşdırır.

An illustration of a businessman with a mustache, wearing a dark suit, light blue shirt, and a patterned tie. He is standing in front of a red background that is filled with various digital icons. These icons include a laptop displaying a chart, a smartphone, several speech bubbles of different sizes, a globe, a gear, a hand holding a tablet, and other abstract symbols. The overall theme is the integration of business with modern technology and communication.

11. სლაიდშოუს დასასრულებლად და ჩვეულებრივ რეჟიმზე გადასასვლელად დააჭირეთ კლავიშ **<Esc>**-ს.
 12. დაარქვით ფაილს სახელი და შენახეთ შესაბამის საქალალზე.

11. სლიადტოუს დრანიტეულებილად
დააჭირეთ კლავიშ **<Esc>**-ს.

12. დაარქვით ფაილს სახელი და შ

პირის დაცვის მდგრადი დოკუმენტი

ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების სფეროში წარმოადგენს ტექნოლოგია „ერთი ფაზაზე“. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, როგორებიცაა, მაგ., დიდი ბრიტანეთი, გერმანია, კანადა, „ერთი ფაზაზე“ პრინციპით მომუშავე სერვის-ცენტრები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დააყენეს. ინტერნეტში მოიძიეთ და შეკრიბეთ ინფორმაცია ამ ტექნოლოგიის არსის შესახებ.


- რა მიზანს ემსახურება ამ ტექნოლოგიის გამოყენება? როდის დაინტერესი ჩვენმა ქვეყანამ ამ მიმართულებით მუშაობა და რა გაკეთდა?

შემთხვევა პირი ცოდნა

1. რა ახასიათებს საინფორმაციო საზოგადოებას?
2. როგორ გესმით ფრაზა „საზოგადოების მამოძრავებელი ძალა ინფორმაციის წარმოება“?
3. რას გულისხმობენ, როდესაც ამბობენ, რომ „ფასეულობათა შეცვლა აყალიბებს ახოვრების ახლებურ სტილს, ცვლის საქმიანობის სახეებს სამუშაოსაგან თავისუფალ დროს“.
4. რას ნიშნავს „უწყვეტი განათლების სისტემა“?
5. რა ნაკლი აქვს საინფორმაციო საზოგადოებას?


სახალხო კულტურული და სამეცნიერო მემკვიდრეობის განვითარების სამინისტრო

1. რომელი მტკიცებაა ჭეშმარიტი?
 - ა) ინფორმაციული ტექნოლოგიები საინფორმაციო სისტემების ერთ-ერთი კომპონენტია;
 - ბ) ელექტრონული სახელმძღვანელოები საინფორმაციო სისტემების კატეგორიას მიეკუთვნება;
 - გ) საინფორმაციო სისტემის საბოლოო მოხმარებელი მის შემუშავებას ემსახურება;
 - დ) ტიურინგის ტესტი საექსპერტო სისტემების ფუნქციონირების სისწორის შესამონებლად გამოიყენება;
 - ე) საექსპერტო სისტემები ორი ძირითადი კომპონენტისგან, ცოდნის ბაზისა და გამომტანი მანქანისგან, შედგება;
 - ვ) ყოველი საძიებო სისტემა სამი ძირითადი ნაწილისგან – ობობის, ჭისა და ინდექ-სისგან – შედგება;
 - ზ) პროგრამირების ენგბი Prolog და LISP ხელოვნური ინტელექტის სისტემების შესაქმნელად გამოიყენება;
 - თ) ლუტფი რაპიდ ალექსეერზადე არამკაფიო ლოგიკისა და არამკაფიო სიმრავლეთა თეორიების ფუნქმდებლად ითვლება.
2. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შესაბამისი ფრაზებით:
 - ა) საინფორმაციო სისტემების პერსონალს შეადგენენ: მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორები, ----- და გამოყენებითი პროგრამისტები;
 - ბ) პროგრამები, რომლებიც უკავშირდება დედამინის რუკების, გეგმების, სქემებისა და ანალოგიური სივრცული მონაცემების შეტანას, დამუშავებას, შენახვასა და გამოსახვას, მიეკუთვნება ----- კლასს;
 - გ) სისტემა მიღებულ შედეგებს ----- საექსპერტო სისტემების დახმარებით ხსნის;
 - დ) რაც უფრო მეტ ცნებას გააერთიანებთ ლოგიკური ----- დაზმარებით, მით მეტ შედეგს მიიღებთ ძიების პროცესში;
 - ე) ----- ნარმოადგენს ტექნოლოგიების ნაკრებს სამი ოპერაციის შესასრულებლად: ერთია დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავება; მეორე – მონაცემებზე ძალიან დიდი სისწავეთი მუშაობა (ანუ მონაცემები არა მარტო ბევრია, არამედ მათი რიცხვიც სწრაფადვე იზრდება) და მესამეც – არა მარტო სტრუქტურირებულ, არამედ არასტრუქტურირებულ მონაცემებზე მუშაობა;
 - ვ) ----- არის დიდი მოცულობის მონაცემთა დაზებავების ტექნოლოგია ხელოვნური ინტელექტისა შეთოვდებისა და გადაწყვეტილების მიღების მრჩეველი ინსტრუმენტებს საფუძველზე;
 - ზ) არამკაფიო ლოგიკაში (ცვლადს შეუძლია მიიღოს ----- ნებისმერი მნიშვნელობა;
 - თ) ----- მართველობის საქმიანობა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება.
3. რა განსხვავებაა საინფორმაციო სისტემის მომხმარებელსა და საბოლოოო მომხმარებელს შორის?
4. რა საერთო აქტებს ყველა საძიებო სისტემას?
5. რომელი საძიებო სისტემა იყო ინტერნეტში პირველი და როდის დაიწყო მისი გამოყენება?



LAW IT!

Wednesday 28 September 2011 00UTC ECMWF Forecast probability t+000-024 VT: Wednesday 28 September 2011 00UTC - Thursday 29 September 2011 00UTC
Surface: Total precipitation of at least 1 mm




2

მოდელირება

- 2.1. კომპიუტერული მოდელირება
- 2.2. მოდელირება ელექტრონულ ცხრილებში
- 2.3. ფიზიკური პროცესების კომპიუტერული მოდელი
- 2.4. პროცესების მოდელირება სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე
- 2.5. მათემატიკური ამოცნების მოდელირება პროგრამირების ენების დახმარებით
- 2.6. სამგანზომილებიანი გრაფიკული მოდელები

LAYIH



ახალი ტექნიკური საშუალებების შექმნისას მოდელირების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კოსმოსური ტექნიკის განვითარების ისტორია. კოსმოსური ფრენის რეალიზაციისათვის ორი პრობლემის გადაჭრა იყო საჭირო: დედამიწის მიზიდულობის გადალახვა და უპაერო სივრცეში გადაადგილების უზრუნველყოფა. დედამიწის მიზიდულობის გადალახვის შესაძლებლობაზე ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ლაპარაკობდა ისააკ ნიუტონი (1643-1727). კოსმონავტიკის თეორიის ფუძემდებელმა კონსტანტინ ციოლკოვსკიმ (1857-1935) სივრცეში გადასაადგილებლად რეაქტიული ძრავის გამოყენების იდეა წამოაყენა. მან შეადგინა მომავალი საპლანეტათშორისო ხომალდის საკმაოდ ზუსტი აღნერილობითი მოდელი, თავისი წახაზებით, გამოთვლებითა და დასაბუთებით. არ გასულა ნახევარი საუკუნე და ციოლკოვსკის აღნერილობითი მოდელი საფუძლად დაედო რეალურ მოდელირებას.

ЛАУІН

1. რა არის მოდელი?

 - ა) დამახინჯებული ინფორმაცია ოპიექტის შესახებ;
 - ბ) ოპიექტის გამარტივებული ასლი;
 - გ) ოპიექტის რომელიღაც ნიშანი;
 - დ) ოპიექტის გარეგნული სახე.
2. რა ჰქონია დროში ცვალებად მოდელს?

 - ა) სტატიკური მოდელი; ბ) დინამიკური მოდელი;
 - გ) მატერიალური მოდელი; დ) ინფორმაციული მოდელი.
3. რას უწოდებენ ოპიექტს, რომლის მოდელიც შექმნილია?

 - ა) წყაროს; ბ) ბაზას;
 - გ) ნიმუშს; დ) ორიგინალს.
4. რომელი ცნება არ უკავშირდება ელექტრონულ ცხრილს?

 - ა) სამუშაო წიგნი; ბ) სამუშაო ფურცელი;
 - გ) სლაიდი; დ) უკრა.
5. რომელი ნიშნით იწყება ფორმულა ელექტრონულ ცხრილში?

 - ა) +; ბ) \$;
 - გ) =; დ) &.
6. დიაგრამის რომელი ტიპი წარმოადგენს ყველაზე უკეთ გოგონებისა და ბიჭების პროცენტს თქვენს სკოლაში?

 - ა) ხაზოვანი; ბ) წრიული;
 - გ) სვეტოვანი; დ) წერტილოვანი.
7. რომელი პროგრამირების გარემო შეიმუშავეს აზერბაიჯანში?

 - ა) ABC; ბ) ALPLogo;
 - გ) Python; დ) Pascal.
8. რა ჰქონია პროგრამირების ენაზე ქვეპროგრამას, რომელიც არანაირ შედეგს უკან არ აბრუნებს?

 - ა) პროცედურა; ბ) ფუნქცია;
 - გ) მოდული; დ) ცარიელი ფუნქცია.
9. ამ გრაფიკული რედაქტორებიდან რომელშია შეუძლებელი სამგანზომილებიანი მოდელების შექმნა?

 - ა) OpenOffice. org. Draw; ბ) Autodesk.3ds.Max;
 - გ) Microsoft Paint; დ) SketchUp.
10. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფიგურა არ არის პროგრამა SketchUp-ის გრაფიკული პრიმიტივი?

 - ა) მართვულხედი; ბ) წრე;
 - გ) მრავალკუთხედი; დ) რკალი.


2.1 კომპიუტერული მოდელირება

მოდელირების ობიექტის დროზე დამოკიდებულების ნიშნის მიხედვით არჩევენ დინამიკურ და სტატიკურ მოდელებს. ობიექტის **სტატიკური მოდელი (static model)** ასახავს რეალური ობიექტის კონკრეტულ მდგომარეობას, რომელიც დროში არ იცვლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტატიკური მოდელი ობიექტის „მყისიერ ფოტოსურათს“ წარმოადგენს. ამ მოდელისგან განსხვავებით, **დინამიკური მოდელი (dynamic model)** ითვალისწინებს ცვლილებებს, რომლებიც სისტემაში დროის გარკვეულ პერიოდში მიმდინარეობს. ასე მაგალითად, ფიზიკაში დინამიკური ინფორმაციული მოდელები აბიექტების მოძრაობას აღწერს, ბიოლოგიაში – ორგანიზმებისა და ცხოველთა სამყაროს განვითარებას, ქიმიაში – ქიმიური რეაქციების პროცესებს.


- რომელი მოდელის დახმარებით შეძლებთ ინფორმაციის მიღებას მოძრავი ავტომობილის პარამეტრების შესახებ?

- როგორ ფიქრობთ, ერთი და იმავე ობიექტის რომელ მოდელს შეუძლია მეტი ინფორმაციის მოცემა: სტატიკურს თუ დინამიკურს?

1



2



საჯიანობა

შეეცადეთ, მოცემულ სიდიდეებს შორის დამოკიდებულება ფორმულის მეშვეობით წარმოადგინოთ.

1. მუდმივი სიჩქარით მოძრავი ავტომობილის მიერ განვლილი მანძილი – გზაში ყოფნის დრო.
2. წრის ფართობი – მისი რადიუსი.
3. უმაღლეს სასწავლებელში მიღებული აბიტურიენტების რაოდენობა – მიღების წელი.
 - რომელი დამოკიდებულების გადმოცემა ვერ მოახერხეთ ფორმულით?
 - რა ფორმით ამჯობინებდით ამ დამოკიდებულების გადმოცემას?

~~100% დანართი~~

ინფორმაციული მოდელებს შესაქმნელად კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში უამრავი მეთოდისა და სამუალების გამოყენება სცადეს. ეს მეთოდები და საშუალებები თანიათანობით უმჯობესდებოდა. პირველი ინფორმაციული სისტემები კლდეზე შესრულებული ნახატები იყო. დღესდღეობით ინფორმაციულ მოდელებს, წვეულებორივ, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით უმნიან და სწავლობენ. კომპიუტერში შეიძლება ტექსტების წერა (ე.გ. აღნერილი ბიტითი მოდელების აგება), რუკებისა და სქემების ხაზვა (გრაფიკული მოდელების შექმნა) ან ცხრილების შედგენა (ცხრილური მოდელების შევერცვა). ეს კომპიუტერული მოდელირების მაგალითებია. მართლაც,

ამგვარი სტატიკური ინფორმაციული მოდელების შექმნაში კომპიუტერები დიდ დახმარებას უწევს ადამიანებს, თუმცა სწორედ დინამიკური ინფორმაციული მოდელების შექმნისას ვლინდება კომპიუტერების ფასდაუდებელი როლი, მათი

- კომპიუტერული მოდელირება
- სტატიკური მოდელი
- დინამიკური მოდელი
- მათემატიკური მოდელი
- გამოთვლითი ექსპერიმენტი

შესაძლებლობები გამოთვლების წარმოებაში. ამჟამად ფართო გავრცელება პოვა ინტერაქტიულმა ვიზუალურმა კომპიუტერულმა მოდელებმა. ამგვარ მოდელებში მკვლევარს შეუძლია, ცვალოს საწყისი პირობები და პროცესების მიმდინარეობის პარამეტრები და დააკვირდეს მოდელში მომხდარ ცვლილებებს.

ლოზანის (შვეიცარია) ფედერალურმა პოლიტექნიკურმა სკოლამ 2013 წელს ნამოიწყო დიდი პროექტი, სახელ-ნოდებით „პროექტი ადამიანის ტვინი“ (Human Brain Project, HBP**). ამ სამეცნიერო-კვლევით პროექტს, რომე-**

ლიც ადამიანის ტვინს შეისწავლის, ძირითადად ევროკავშირი აფინანსებს. პროექტში 26 ქვეწის ასაბით შეცნიერი და 135 პარტნიორი ინსტიტუტი მონაწილეობს. მისი ძირითადი მიზანია ადამიანისა და მღრღნელების ტვინის მსოფლიოში პირველი მოდელის შექმნა. ამ, თავისი ზომით უპრეცედენტო, პროექტის ბიუჯეტი 1,6 ეკორს შეადგენს. მისი დასრულება 2023 წლისთვისაა დაგეგმილი.



ბუნებაში, ტექნიკაში, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებში მიმდინარე მრავალი პროცესის ალენერა რთული მათემატიკური ურთიერთდამოკიდებულებებით შეიძლება. ეს შეიძლება იყოს განტოლება, განტოლებათა სისტემა, უტოლობათა სისტემა, რომელიც აღსაჩერი პროცესების მათემატიკურ მოდელებად გვევლინება.

მათემატიკური მოდელი (mathematical model) მოდელირებული პროცესის მათემატიკის ენაზე აღნერაა. კომპიუტერული მოდელირება (computer simulation) არის პროგრამა, რომელიც კონკრეტული სისტემის აპსტრაქტული მოდელის იმიტირებას ცდილობს. ის მათემატიკური მოდელირების სასარგებლო ნაწილად გადაიქცა მრავალი ბუნებრივი სისტემის მოდელირებისას ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში; ანთოპოგენური სისტემების მოდელირებისას ეკონომიკაში, ფინანსებისა და სოციალურ მეცნიერებებში, ასევე ახალი ტექნოლოგიების დაპროექტებისას. ყოველივე ამის მიზანი კი ამ სისტემების მუშაობის შესახებ წარმოდგენის შექმნაა.

კომპიუტერული მოდელები არსობრივად კომპიუტერული პროგრამებია; არსებობს მომცრო პროგრამები, რომლებიც მყისიერად სრულდება ასევე მომცრო მოწყობილობებზე, და ფარომასშტაბიანი პროგრამები, რომლებიც კომპიუტერთ ჯვალით რამდენიმე საათის ან რამდენიმე დღის განმავლობაშიც კი სრულდება.

მოდელირებული სისტემის ქცევის პროგნოზირებისათვის საჭირო გამოთვლების კომპიუტერის დახმარებით ჩატარებას გამოთვლით ექსპერიმენტს ანუ კომპიუტერულ ექსპერიმენტს უწოდებენ. გამოთვლით ექსპერიმენტის მეშვეობით მესამებელია საკულევი სისტემის მოქმედების პროგნოზირება და

სისტემის მახასიათებლების ცვლილების სხვა მახასიათებლებზე გავლენის ახსნა.

ზოგ შემთხვევაში კომპიუტერულ ექსპერიმენტს შეუძლია, ჩაანაცვლოს ნამდვილი ფიზიკური ექსპერიმენტი, მაგალითად, პლანეტის შიგნით ტემპერატურის გაზომვა შეუძლებელია, მაგრამ მოდელის დახმარებით ამის გაკეთება შეიძლება.

შევისწავლოთ | დამოუკიდებლად


მოცემულია მათემატიკური მოდელი, რომელიც განსაზღვრავს, წერტილი წრის შიგნითაა თუ გარეთ. აკრიფთ შემდეგი პროგრამა Python-ის პროგრამულ გარემოში. ცვალეთ საწყისი მონაცემები და ჩატარეთ გამოთვლითი ექსპერიმენტი. დაადგინეთ, რას ნიშნავს გამოსახულება $\%.2f$ %.

```
from math import sqrt
x = float(input("x = "))
y = float(input("y = "))
r = float(input("r = "))
h = sqrt(x**2 + y**2)
print("მანძილი კოორდინატთა სათავიდან წერტილამდე: %.2f" % h)
if h > r:
    print("წერტილი წრის გარეთაა.")
else:
    print("წერტილი წრის შიგნითაა")
```

შეამოხეო შენი ცოდნა

- რას ნიშნავს კომპიუტერული მოდელირება?
- ჩამოთვლილთაგან რომელია სტატიკური მოდელი?
 - ადგილის რუკა;
 - მხატვრის ნამუშევარი;
 - პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ეკრანზე თვითმფრინავის მოძრაობის იმიტირება შეიძლება;
 - მშენებლობის გეგმა;
 - დღის განმავლობაში პარის ტემპერატურის ცვლილების გრაფიკი.
- ჩამოთვლილთაგან რომელია დინამიკური მოდელი?
 - ქიმიური ნაერთის ფორმულა;
 - ომის კანონის ფორმულა;
 - ქიმიური რეაქციის ფორმულა;
 - მსოფლიო მიზიდულობის კანონი.
- რაში გამოიხატება კომპიუტერული მოდელირების უპირატესობა?
- შესაძლებელია თუ არა კომპიუტერული ექსპერიმენტის ჩატარება ინფორმაციულ მოდელზე, რომელიც რასტრულ გრაფიკულ რედაქტორშია შექმნილი?

2.2 მოდელირება ელექტრონულ ცხრილებში



- რომელ გამოყენებით პროგრამას ეკუთვნის ეს ნიშნები?
- რას უწოდებენ ელექტრონულ ცხრილებზე სამუშაოდ განკუთვნილ გამოყენებით პროგრამებს?

საქმიანობა

ააგეთ Excel-ში $y = \cos bx$ ფუნქციის გრაფიკი. არგუმენტის მნიშვნელობა იცვლება $[-10; 10]$ ინტერვალში. მიანიჭეთ პარამეტრ b -ს მნიშვნელობები 1, 3, 5 და დააკვირდით, როგორ იცვლება ფუნქციის გრაფიკი.

- როგორ იცვლება ფუნქციის გრაფიკი პარამეტრ b -ს მნიშვნელობის შეცვლის შემდეგ?
- შეიძლება თუ არა, ეს გრაფიკი საათის ქანქარას რხევის მოდელად ჩავთვალოთ?

დანართის მიზანი

- მოდელირების ობიექტი
- ცხრილური პროცესორი
- მაღალური კანონი

მოდელირების ობიექტი არის რეალური სისტემა, რომლისთვისაც იქმნება მათემატიკური მოდელი. მათემატიკური მოდელირების ობიექტი შეიძლება იყოს ზოგიერთი მოწყობილობა (მაგალითად, ხიდი ან ხომალდი), ბუნებრივი ობიექტები (მაგალითად, სასარგებლო წიაღისეულის საბაზოები, წყალსატევები), აგრეთვე დროში ცვალებადი პროცესები და მოვლენები (ცთქვათ, კოსმოდრომიდან რაკეტის გაშვება, ამინდის ცვლილება გარკვეულ გეოგრაფიულ წერტილში და სხვ.).

ამ ობიექტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ ბევრ საკითხს ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგალითად: რა სიმაღლეზე მიაღწევს რაკეტა პირველ კოსმოსურ სიჩქარეს და გავა დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე? რა დონის ზღვრულ ტემპერატურამდე გახურდება მისი გარსი? რა დონის მაქსიმალური დატვირთვას გაუძლებს სარკინიგზო ხიდი? როგორი იქნება წყლის დონე წყალსაცავში ამინდის იმ პირობებში, რომლებსაც მეტეოროლოგები წინასწარმეტყველებენ?

მათემატიკური მოდელების კომპიუტერში რეალიზაციისათვის, სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, საჭიროა **ცხრილური პროცესორები**. მათ, როგორც წესი, იყენებენ საქმისნარმოებაში ანგარიშსწორების უწყისების, ხარჯთაღრიცხვის, ცნობების, სიების მისაღებად, თუმცა ელექტრონული ცხრილების გამოყენება სამეცნიერო მანებისათვისაც ძალზე ხელსაყრელია. მათი დახმარებით შესაძლებელია კომპიუტერული მათემატიკური მოდელების აგება, გამოთვლითი ექსპერიმენტების ჩატარება.

მაგალითი: მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ცოცხალი ორგანიზმების ნებისმიერი სახეობის რიცხობრივი ნამატი შობადობის ხარჯზე პირდაპირპოვნობრციულია სახეობის წარმომადგენლოთა როდენობისა, ხოლო

კლება მოკვდაობის ხარჯზე – მათი რაოდენობის კვადრატისა. ეს კანონი **მალთუსის კანონის** სახლწოდებითაა ცნობილი.

დავუშვათ, რომ რომელილაც ფერმაში თევზის გამრავლება სურთ. სანამ ლიფსიტებს ხელოვნურ ტბაში ჩაუშვებდნენ, გადაწყვიტეს, ჩაეტარებინათ გამოთვლები. მალთუსის კანონის თანახმად, თევზის რაოდენობის ცვლილება წლის განმავლობაში გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta N = kN - qN^2,$$

სადაც N არის თევზის რაოდენობა წლის დასაწყისში, k – მატების კოეფიციენტი, ხოლო q – მოკვდაობის კოეფიციენტი. ექსპერიმენტის შედეგად გამოირკვა, რომ თევზის მოცემული სახეობისთვის მოცემულ პირობებში (ტბის მდგომარეობა, საკვების არსებობა) $k = 1$, $q = 0.001$.

თუ თავდაპირველად ტბაში ჩაუშვეს N_0 თევზი, მათი რაოდენობა წლის ბოლოს იქნება:

$$N_1 = N_0 + (kN_0 - qN_0^2).$$

ორი წლის შემდეგ:

$$N_2 = N_1 + (kN_1 - qN_1^2)$$

და ა. შ. შეგვიძლია, დავწეროთ ზოგადი ფორმულა თევზის რაოდენობის გამო-სათვლელად წყალში მისი გაშვებიდან 1 წლის შემდეგ:

$$N_i = N_{i-1} + (kN_{i-1} - qN_{i-1}^2), i = 1, 2, \dots$$

ეს ფორმულა ხელოვნურ ტბაში თევზის გამრავლების პროცესის მათე-მატიკური მოდელია. შევადგინოთ ცხრილი ტბაში თევზის რაოდენობის გამო-სათვლელად 10 წლის განმავლობაში:

A	B	C	D
1	k	q	N – თევზის რაოდენობა წლის დასაწყისში
2	1	0,001	100
3			
4			
5	ნელი	თევზის რაოდენობა	
6	1	=C2+\$A\$2*C2-\$B\$2*C2*C2	
7	2	=B6+\$A\$2*B6-\$B\$2*B6*B6	
8	3	=B7+\$A\$2*B7-\$B\$2*B7*B7	
9	4	=B8+\$A\$2*B8-\$B\$2*B8*B8	
10	5	=B9+\$A\$2*B9-\$B\$2*B9*B9	
11	6	=B10+\$A\$2*B10-\$B\$2*B10*B10	
12	7	=B11+\$A\$2*B11-\$B\$2*B11*B11	
13	8	=B12+\$A\$2*B12-\$B\$2*B12*B12	
14	9	=B13+\$A\$2*B13-\$B\$2*B13*B13	
15	10	=B14+\$A\$2*B14-\$B\$2*B14*B14	

პირველი წლისთვის (მე-6 სტრიქონი) თქვენ ფორმულა თავად შეგაქვთ; მე-7 სტრიქონიდან კი მათ ნინა სტრიქონებიდან აკოპირებთ. ამასთან, შეფარდებითი მისამართები ავტომატურად იცვლება. შედეგების მისაღებად საკმარისია C2 უჯრაში თევზის პირველსაწყისი რაოდენობის შეტანა.

ახლა კი კომპიუტერული ექსპერიმენტი ჩავატაროთ. ტბაში გაშვებული თევზის რაოდენობას (N) სხვადასხვა მნიშვნელობა მივანიჭოთ და დავაკვირდეთ, როგორ იცვლება მათი რაოდენობა 10 წლის განმავლობაში.

მოდით, განვიხილოთ რამდენიმე ცხრილი, რომლებიც ამგვარი გამოთვლების შედეგებს ასახავს.

A	B	C	A	B	C	A	B	C	A	B	C
1	k	q N	1	k	q N	1	k	q N	1	k	q N
2	1	0.001	100	2	1	0.001	1000	2	1	0.001	1500
3			3			3			3		
4			4			4			4		
5	ნელი	თუკზის რაოდენობა	5	ნელი	თუკზის რაოდენობა	5	ნელი	თუკზის რაოდენობა	5	ნელი	თუკზის რაოდენობა
6	1	190	6	1	1000	6	1	750	6	1	0
7	2	344	7	2	1000	7	2	938	7	2	0
8	3	570	8	3	1000	8	3	996	8	3	0
9	4	815	9	4	1000	9	4	1000	9	4	0
10	5	966	10	5	1000	10	5	1000	10	5	0
11	6	999	11	6	1000	11	6	1000	11	6	0
12	7	1000	12	7	1000	12	7	1000	12	7	0
13	8	1000	13	8	1000	13	8	1000	13	8	0
14	9	1000	14	9	1000	14	9	1000	14	9	0
15	10	1000	15	10	1000	15	10	1000	15	10	0

ცხრილებიდან ჩანს, რომ ტბაში არ შეიძლება იყოს 2000-ზე მეტი თევზი. თუ თევზის საწყისი რაოდენობა 1000-ზე ნაკლებია, ის თანდათან მოიმატებს 1000 ცალამდე და შემდგომ ალარ შეიცვლება. თუ თავდაპირველად ტბაში 1000 თევზს გაუშვებენ, მათი რიცხვი მომდევნო წლებში უცვლელი დარჩება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტბაში 1500 თევზს გაუშვებენ, ერთი წლის შემდეგ მათი რიცხვი 2-ჯერ შემცირდება, შემდეგ კი – უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში – 1000-მდე გაიზრდება. დაბოლოს, თუ ტბაში 2000 თევზს ჩაუშვებენ, ერთ წელიწადში ყველა მათგანი დაიხოცება.

გავისცავლოთ დაოუკიდებლად

1. ტბაში თევზის რაოდენობის გამოსათვლელად შეასრულეთ გამოთვლითი ექსპერიმენტი თქვენ მიერ შედგენილ ცხრილში: შეარჩიეთ k , N და q პარამეტრებისათვის ისეთი მნიშვნელობები, რომ თევზის რაოდენობაში 10 წლის განმავლობაში 2000 ცალს მიაღწიოს. ააგეთ დროთა განმავლობაში თევზის რაოდენობის ცვლილების გრაფიკი.
2. ააგეთ მათემატიკური მოდელი ცნობილი ხეოფსის პირამიდის ზომისა და ფართობის გამოსათვლელად (ხეოფსის პირამიდა სწორი ოთხუთხა პირამიდა). ეს სამუშაო შეასრულეთ ცხრილურ პროცესორში. ჩაატარეთ კომპიუტერული ექსპერიმენტი პირამიდის პარამეტრების სხვადასხვა მნიშვნელობისათვის. დააკვირდით, როგორ იცვლება ამ პარამეტრებზე დამოკიდებულებით პირამიდის მოცულობა და ზედაპირის ფართობი. ააგეთ პირამიდის მოცულობას მის სიმაღლესა და ფუძის გვერდების სიგრძეზე დამოკიდებულების გრაფიკი.
3. ააგეთ კუბის ფორმის სასაჩუქრე კოლოფის მათემატიკური მოდელი. გამოიანგარიშეთ, რამდენი შესაფუთი ქაღალდი დაგჭირდებათ a გვერდის მქონე კოლოფის შესაფუთად. ჩაატარეთ კომპიუტერული ექსპერიმენტი a სიდიდის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის.

შემოხვევა ვენი ცოდნა

1. რატომ იყენებენ კომპიუტერული მოდელების შესაქმნელად ხშირად ელექტრონულ ცხრილებს?
2. რას უწოდებენ მოდელირების ობიექტს? მოიყვანეთ მაგალითები.
3. რომელ პროცესს აღნიშვნას მაღლოსის კანონი: ფიზიკურს, ქიმიურს თუ ბიოლოგიურს?

2.3 ფიზიკური პროცესების კომპიუტერული მოდელი

- სურათზე გამოსახულია ქანქარიანი საათი და ქანქარა (მერხევი) კარი. რით ჰგავს ეს ობიექტები ერთმანეთს?
- რომელი ფორმულით შეიძლება საათის ქანქარის მოძრაობის აღწერა?



საჯაროება

1. ჩართეთ ცხრილური პროცესორი Microsoft Excel. ფორმულების სტრიქონში დააწერეთ ლილაკ -ზე. გახსნილ დიალოგურ ფანჯარა Insert Function-ში სია Or select a category-დან აირჩიეთ პუნქტი Math & Trig. გაეცანით სიაში მათემატიკური ფუნქციების დაწერილობას.
2. როგორც იცით, თუ ქანქარას სიგრძეა L , მაშინ მისი რხევის პერიოდი (T) გამოითვლება ფორმულით:

$$T = 2\pi \sqrt{\frac{L}{g}}$$

3. აქ g თავისუფალი ვარდნის აჩქარებაა. შეიტანეთ g -ს მნიშვნელობა ცხრილის ერთ უჯრაში, ხოლო L -ის მნიშვნელობა – მეორე უჯრაში. ჩაწერეთ მოყვანილი ფორმულა ერთ-ერთ ცარიელ უჯრაში. კვადრატული ფესვისა და რიცხვ π -ს ჩასაწერად გამოიყენეთ პროგრამის მზა ფუნქციები (SQRT და PI, შესაბამისად).
4. L -ისთვის სხვადასხვა მნიშვნელობის მინიჭებისას დააკვირდით, როგორ იცვლება მათემატიკური ქანქარას თავისუფალი რხევების პერიოდი. აჩვენეთ გრაფიკზე ეს დამოკიდებულება L -ის მნიშვნელობებისათვის [1; 15] ინტერვალიდან.



- დაიგრამების რომელი ტრიკი გამოიყენეთ გრაფიკის აგებისას?
– მიღებული გრაფიკის საფუძველზე, რა შეიძლება ითქვა L და T სიდიდეებს შორის დამოკიდებულების შესახებ?

ისაა ნიუტონის დროიდან (XVII-XVIII სს) მოყოლებული, მეცნიერება ფიზიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მათემატიკურ მოდელირებასთან. ნიუტონმა აღმოაჩინა მექანიკის ფუნდამენტური და მსოფლიო მიზიდულობის კანონები და ისინი მათემატიკის ენით აღწერა. მას (ისევე, როგორც გ. ლაიბნიცს) მიუძღვის

უდიდესი წვლილი დიფერენციალური და ინტეგრალური გამოთვლების განვითარებაში, რომლებიც საფუძვლად დაედო ფიზიკის მათემატიკურ აპარატს. ყოველი მომდევნო აღმოჩენა (თეორიული მათემატიკური იქნებოდა ეს, ელექტროდინამიკაში თუ ატომურ ფიზიკაში) წარმოდგენილი იყო კანონებისა და პრინციპების ფორმით, რომლებიც მათემატიკის ენაზე, ანუ მათემატიკური მოდელების ფორმით აღინიშნებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ფიზიკური ამოცანის თეორიული გზით ამოხსნა მათემატიკური მოდელირებაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანის თეორიული ამოხსნის შესაძლებლობას მისი მათემატიკური მოდელის სირთულე განსაზღვრავს. რაც უფრო რთულია ფიზიკური პროცესი, მით უფრო რთულია მისი აღმნერი მათემატიკური მოდელი და მით უფრო პრიბლეჭური ხდება ამგვარი მოდელის გამოთვლების საწარმოებლად გამოყენება. ფიზიკური ექსპერიმენტები ფიზიკური პროცესების მათემატიკურ მოდელირებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ მათემატიკურ გამოთვლებს მოითხოვს.

მაგალითი. ავაგოთ ჰორიზონტის მიმართ გარკვეული კუთხით გასროლილი სხეულის მოძრაობის მოდელი, ჰაერის წინააღმდეგობის გათვალისწინების გარეშე, და ჩავატაროთ კომპიუტერული ექსპერიმენტი. ჯერ შევქმნათ მათემატიკური მოდელი. თუ ჰაერის წინააღმდეგობას არ გავითვალისწინებთ, ა კუთხით სიჩქარით გასროლილი სხეული პარაბოლის ტრაექტორიით გაიფრენს და გარკვეული ხნის შემდეგ მიწაზე დაეცემა.



დავშეალოთ v_0 სიჩქარე ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ შემადგენლებად:

$$v_x^0 = v_0 \cos \alpha, \quad v_y^0 = v_0 \sin \alpha$$

ვინაიდან ვერტიკალურ ხაზზე მოძრაობა სიმძიმის ძალის მუდმივი გავლენის ქვეშ მიმდინარეობს, ტრაექტორიის უმაღლეს წერტილამდე მიღწევამდე იგი თანაბარშენჯლებულ, ხოლო ამს შემდეგ – თანაბარაჩქარებულად მოძრაობად გვევლინება, ჰორიზონტალურ ხაზზე მოძრაობა კი – თანაბარ მოძრაობად.

$$v_y = v_y^0 - gt$$

სიჩქარის ვერტიკალური შემადგენლისთვის ფორმულას ასეთი სახე ექნება:

$$t = \frac{v_0 \sin \alpha}{g}$$

ამ წერტილის სიმაღლე h ასე განისაზღვრება:

$$h = \frac{v_0^2}{2g} \sin^2 \alpha$$

მოძრაობის მთლიანი დრო მიწაზე დაცემამდე იქნება $2t$. ამ დროის განმავლობაში, x ღერძის გასწვრივ თანაბარი მოძრაობისას სხეულის მიერ გავლილი გზა იქნება:

$$l = \frac{v_0^2}{g} \sin 2\alpha$$

სხეულის მოძრაობის ტრაექტორია შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$y = \operatorname{tg} \alpha \cdot x - \frac{g}{2v_0^2 \cos^2 \alpha} x^2$$

როგორც ხედავთ, სხეულის ფრენის ტრაექტორია პარაბოლა.


ახლა ავაგოთ მათემატიკური მოდელი განვლილი მანძილისა (l) და ტრაექტორიის მაქსიმალური სიმაღლის (h) გამოსათვლელად საწყისი სიჩქარის (v_0) და გასროლის კუთხის (α) სხვადასხვა მნიშვნელობისას. $l(\alpha)$ და $h(\alpha)$ სიდიდეებს შორის დამოკიდებულება გრაფიკების სახითაც წარმოვადგინოთ. შეგახსენებთ, რომ გასროლის კუთხის სიდიდე რადიანებში იქნება ნაჩვენები.

ნაბიჯ ნაბიჯ

ჰორიზონტის მიმართ გარკვეული კუთხით გასროლილი სხეულის ფრენის სიშორისა და ტრაექტორიის უმაღლესი წერტილის გამოთვლა

1. გახსენით პროგრამა Excel;
2. შეიტანეთ სხეულის საწყისი სიჩქარის მნიშვნელობა (ვთქვათ, 40) B3 უჯრაში;
3. შეავსეთ დიაპაზონი A7:A16 იმ კუთხის სიდიდის მნიშვნელობებით, რომლითაცაა სხეული გასროლილი, დაწყებული 0-ით და ყოველი მომდევნო კუთხის 10-ით გაზრდით;
4. ჩანარეთ B4 უჯრაში თავისუფალი ვარდნის აჩქარების მნიშვნელობა (9,8);
5. შეიტანეთ B7 უჯრაში ფორმულა $=\$B$3*\$B$3/\$B\$4*\operatorname{SIN}(2*\operatorname{PI}()*A7/180)$.
6. გამოიყენეთ B7 უჯრის ფორმულა უჯრების დიაპაზონ B8:B16-ის მიმართ;
7. ჩანარეთ C7 უჯრაში ფორმულა $=\$B\$3*\$B\$3/(2*\$B\$4)*(\operatorname{SIN}(A7*\operatorname{PI}()/180))^2$.
8. გამოიყენეთ C7 უჯრის ფორმულა უჯრების დიაპაზონ C8:C16-ის მიმართ;
9. მონიშნეთ უჯრების დიაპაზონი A7:B16 და მენიუ Insert-ის გამოყენებით ააგეთ წერტილობანი დიაგარამა;

10. იმავე გზით უჯრების დიაპაზონ A7:C16-ის მონიშვნით ააგეთ მეორე გრაფიკი.



როგორც პირველი გრაფიკიდან ჩანს, ფრენის მაქსიმალურ სიშორეს სხეული აღწევს 45° -იანი კუთხით გასროლისას. გასროლის კუთხის შემ-დგომი გაზრდა ფრენის სიშორეს ამცირებს. როდესაც ობიექტს ვერტიკალურად ისვრიან ზევით, ის მინაზე ვარდება. ამის დანახვა გრაფიკზეც შეიძლება: როცა $\alpha=90^\circ$, ფრენის სიშორე 0-ის ტოლია.

მეორე გრაფიკი გვიჩვენებს, რომ, რაც უფრო დიდია გასროლის კუთხე, მით უფრო მეტია სხეულის მოძრაობის ტრანსფორმირების ზედა წერტილის სიმაღლე.

შევისწავლოთ დაორუებულება

მიანიჭეთ გასროლის კუთხეს 0-დან 180-მდე ნებისმიერი მნიშვნელობა. დააკვირდით ცვლილებებს ფრენის სიშორისა და ტრანსფორმირების უმაღლესი წერტილის გასროლის კუთხეზე დამოკიდებულების გრაფიკებზე.

როგორ ახსნით ამ დამოკიდებულებას?

შეამოხა შეი ცოდნა

1. როგორ უნდა გავისროლოთ სხეული, რომ მან მაქსიმალურ სიმაღლეს მიაღწიოს?
2. გასროლის კუთხის რომელი მნიშვნელობის დროს გაიფრენებს სხეული ყველაზე მეტ მანძილს?
3. 3. მნიშვნელობები უნდა მივნიჭოთ პარამეტრებს მატერიალური წერტილის თანაბარ-ნივთივების მოძრაობის მოდელირებისათვის?
4. 4. რა მნიშვნელობები უნდა მივუთითოთ თანაბარი რხევითი მოძრაობის მათემატიკურ მოდელში?
5. 5. როგორი პარამეტრები მონაწილეობს წრფივი თანაბარაჩქარებული მოძრაობის მათემატიკურ მოდელში?

2.4 პროცესების მოდელირება სტატისტიკური მონაცემების საფუძვლზე

- რომელი პროცესების მათემატიკურ მოდელებად შეიძლება $y = kx + b$; $y = ax^2 + bx + c$; $y = \sin x$ ფუნქციების გამოყენება?
- შესაძლებელია თუ არა ფუნქციის აღდგენა, თუ ცხრილში მითითებულია ფუნქციის არგუმენტები და მათი შესაბამისი მნიშვნელობები?



საქმიანობა

ქმოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჩვენს ქვეყანაში ბამბის წარმოების დინამიკა 18 წლის განმავლობაში (აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები). გაანალიზეთ ცხრილი და ამის საფუძველზე დაწერეთ, როგორია თქვენი პროგნოზი ბამბის კრების შესახებ 2017 წლისათვის. შემდეგ საიტ www.stat.gov.az-ზე იპოვეთ 2017 წლის რეალური მაჩვნენებელი და შეადარეთ თქვენ მიერ მიღებულ შედეგს. ცხრილის მონაცემები წარმოადგინეთ გრაფიკის სახით.

ბამბის წარმოების დინამიკა აზერბაიჯანში

წელი	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
მუქრესული ბამბის საერთო რაოდენობა (ტონა)	96,8	91,5	83,6	80,4	99,6	135,7	196,6	130,1	100,1
წელი	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
მუქრესული ბამბის საერთო რაოდენობა (ტონა)	55,4	31,9	38,2	66,4	57	45,2	41	35,2	89,4

– რომელი ტიპის დიაგრამა გამოიყენეთ გრაფიკის აგებისას?

მეცნიერებას მასიური რაოდენობრივი მონაცემების შეკრების, გაზომვისა და ანალიზის შესახებ სტატისტიკა ენდოგება. არსებობს სამედიცინო სტატისტიკა, ეკონომიკური სტატისტიკა, საგანმანათლებლო სტატისტიკა და სხვ. სტატისტიკის მათემატიკურ აპარატს შეიმუშავებს მეცნიერება, რომელსაც მათემატიკური სტატისტიკა ჰქვია.

სტატისტიკა არ არის უბრალოდ მონაცემთა შეკრება, მათი ცხრილებისა და დიაგრამების შედეგენა. სტატისტიკური მონაცემები პროგნოზირების უბადლო ინსტრუმენტია როგორც საპუნქტო სმეტეტყველო, ისე სოციალური მეცნიერებების მრავალ ასპექტში. პროგნოზი არის ინფორმაცია კონკრეტული მოვლენის მოსალოონები განვითარებისა და შედეგების შესახებ. როგორც ახალი ცოდნა, პროგნოზი, ერთი მხრივ, რეალურად არსებული, პროგნოზირების პერიოდში გამოვლენილი ან გამოუვლენებილი ობიექტის თვისებების ცოდნაა, ხოლო მეორე მხრივ – პროგნოზირების პერიოდში რეალურად არარსებული ობიექტის თვისებების ცოდნაა.


სეპების ცოდნა. პროგნოზი მოსალოდნელი პროცესებისა და მოვლენების იდეალურ მოდელს, გამოსახულებას, აღწერილობას ქმნის.

ისტორია

სტატისტიკის წარმოშობა და განვითარება საზოგადოებრივმა დაკვეთამ – მოსახლეობის რიცხოვნობის, ცხოველთა რაოდენობის, მიწის ფართობის, საკუთრების რეგისტრაციისა და სხვა გამოთვლების საჭიროებამ განაპირობა. შემორჩენილი თიხის ფირფიტები (ძვ.წ. III-II ათასწლეულები) შეიძლება ჩაითვალოს პირველ „გამოქვეყნებულ“ სტატისტიკურ ინფორმაციად. ძველ რომში თავისუფალი მოქალაქეებისა და მათი ქონების რეგისტრაცია წარმოებდა. ამ დროს მოქალაქეთა სეპი და ასაკიც რეგისტრირდებოდა.

სტატისტიკური მონაცემები ყოველთვის მიახლოებითი, გასაშუალოებულია და, აქედან გამომდინარე, ძირითადად შეფასებითი ხასიათისაა, თუმცა სწორად ასახავს სიდიდეთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს. იმისათვის, რომ სტატისტიკური ანალიზის შედეგები სარწმუნოდ ჩაითვალოს, ისინი ბევრი უნდა იყოს.

მაგალითი. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტის საიტ www.stat.gov.az-ის მონაცემების გამოყენებით შეგვიძლია, დავაკირდეთ რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების დინამიკას წლების მიხედვით. ამისათვის წარმოვადგინოთ მონაცემები ცხრილისა და წერტილოვანი დიაგრამის სახით (ადგილის ეკონომიკის მიზნით ცხრილში ყველა წლის მონაცემები არა არის მითითებული).



მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობა განუხრელად იზრდებოდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა კი 1960-იანი წლებითა აღინიშნება. იბადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების დინამიკის ფორმულის სახით გამოსახვა, ანუ ამ პროცესის მათემატიკური მოდელის აგება? უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს მზამზარეული ფუნქცია, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა

მოსახლეობის რიცხოვნობის მიმდინარე დროზე დამოკიდებულების ასახვა. ეს იმითაა გამონვეული, რომ ისეთი პარამეტრი, როგორიცაა მოსახლეობის რიცხოვნობა, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ, შობადობის დონეზე, სიკვდილობაზე, მოსახლეობის მიგრაციაზე, ბუნებრივ კატაკლიზმებზე და ა.შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ფუნქციის სახე უცნობია, ის შეიძლება შეირჩეს ცხრილის წინასწარმითობის მიხედვით.

- სტატისტიკა
- მათემატიკური სტატისტიკა
- პროგნოზი
- რეგრესიული მოდელი
- ტრენდი
- მნიშვნელობის ალგორითმები
- ექსტრაპოლაცია

ცხრილურ პროცესორ Excel-ში არსებობს ფუნქციის გრაფიკის შერჩევისადა, ამის საფუძველზე, პროცესის პარამეტრების დამოკიდებულების ფორმულის, ანუ ფუნქციის ალგორითმების შესაძლებლობა. ეს ფუნქცია საკმაოდ მარტივი უნდა იყოს, რათა მისი მიხედვით გამოითვლების წარმოება შეიძლებოდეს, მისი გრაფიკი კი ექსპერიმენტულ წერტილებთან რაც შეიძლება ახლოს უნდა გადიოდეს, ანუ გადახრა მინიმალური უნდა იყოს. მიღებულ ფუნქციას პროცესის რეგრესიულ მოდელს უწოდებენ, რეგრესიული მოდელის გრაფიკს კი – ტრენდს.

ეს საინტერესო

სიტყვა „რეგრესია“ ლათინური სიტყვიდან, „regressio“-დან, მომდინარეობს, რაც „შებრუნებით მოძრაობას“, „უკუსვლას“ ნიმნავს.


პროგრამა Excel-ში რეგრესიული მოდელის მისაღებად პროგრამის დამატებითი კომპონენტების დაყენება საჭირო.

ნაბიჯ


ნაბიჯ

მონაცემთა ანალიზის დამატებითი შესაძლებლობების დაყენება Excel 2007-ში


1. გახსენით პროგრამა Excel;
2. დაარკაპუნეთ ლილაკ Office-ზე პროგრამის მთავარი ფანჯრის მარცხენა ზედა კუთხეში, შემდეგ კი – ლილაკ Excel Options-ზე გახსნილი ფანჯრის ქვედა ნაწილში. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა;



- 3. ჯერ აირჩიეთ ბრძანება Add-ins, შემდეგ კი ჩამოშლილ სიაში იპოვეთ პუნქტი Analysis Toolpak;**



- 4. დააწერ გამოყენება ღილაკ **Go...**-ზე ფანჯრის ქვედა ნაწილში. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Add-ins;**



- 5. მონიშნეთ სიაში პუნქტი Analysis Toolpak და დაჭირეთ ღილაკ OK-ს;**
6. დაელოდეთ ახალი კომპონენტის დაყენების პროცესის დასრულებას.

შეიძლება, გაგიჩნდეთ კითხვა: რა საჭიროა შესაფერისი ფუნქციის ძებნა და ფორმულის აღდგენა, ასუ პროცესის მოდელის შექმნა? მოდელირება ამ დამოკიდებულების სილიტის (კოეფიციენტების) გამოვლენის საშუალებას იძლევა, რისი შემცირებითაც შესაძლებელი ხდება უშუალოდ პროგნოზირება და, მასზე დაყრდნობით, რაღაცემის დაგეგმვა.

არსებობს რეგრესიული მოდელის მიხედვით პროგნოზირების ორი გზა. თუ პროგნოზირება ხორციელდება დამოუკიდებელი ცვლადის ექსპერიმენტული მნიშვნელობების ფარგლებში, ამას **მნიშვნელობის აღდგენა** ჰქვია, ექსპერიმენტული მონაცემების ფარგლებს მიღმა განხორციელებულ პროგნოზირებას კი – **ექსტრაპოლაცია**.


ნაბიჯ ნაბიჯ 2

წერტილოვან მონაცემებზე ტრენდის ხაზის დამატება


1. გახსენით ელექტრონული ცხრილების ფაილი, რომელშიც მოცემულია აზერბაიჯანის მოსახლეობის მონაცემები წლების მიხედვით;
2. მონიშნეთ უჯრების დიაპაზონი B4:H5;

A	B	C	D	E	F	G	H
1							
2							
აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობა (ათასი ადამიანი)							
4 წელი	1897	1917	1937	1957	1977	1997	2017
5 მოსახლეობის რაოდენობა	1807	2353,7	3082,6	3484,3	5828,3	7799,8	9810

3. წერტილოვანი დიაგრამის ასაგებად აირჩიეთ მენიუ Insert-ის ინსტრუმენტი Scatter.
4. ჩამოშლილ სიაში ჯერ აირჩიეთ პირველი ვარიანტი, შემდეგ კი მაკეტი დიაგრამის სათაურისა და ღერძების სახელწოდების გამოსახულებით სამუშაო მაგიდაზე წერტილოვანი დიაგრამა გაჩნდება;
5. დააწერ დიაგრამაზე თაგვის მარცხენა ღილაკით. მენიუ Chart Tools-ს დაემატება ჩანართები Design, Layout და Format;
6. დააწერ დიაგრამაზე Layout-ში განყოფილება Analysis ღილაკ Trendline-ზე. ჩამოიშლება ტრენდის ხაზის სია.




7. სიის ქვემოთ აირჩიეთ ღილაკი More Trendline Options... გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Format Trendline;



8. აირჩიეთ დიაგრამის შესაფერისი ერთ-ერთი ტრენდი, მაგალითად, მე-4 ხარისხის პოლინომიალური ფუნქცია. ამისათვის მონიშნეთ ვარიანტი Polynomial, მერე კი ვეღ Order-ში აირჩიეთ სიაში მნიშვნელობა 4. ამის შემდეგ დააყენეთ ალმები ველებში Display Equation on chart და Display R-squared value on chart. გრაფიკზე გაჩნდება ტრენდის ხაზი, მისი შესატყვისი განტოლება $(y = -0,0002x^4 + 1,1868x^3 - 3480,9x^2 + 5E+06x - 2E+09)$

და აპროქსიმაციის სარმუნობის სიდიდე ($R^2 = 0,995$). მიაქციეთ ყურადღება, რომ თქვენ მიერ არჩეული ფუნქციის გრაფიკი პრაქტიკულად ყველა ექსპერიმენტულ ნერტილზე გადის.

აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობა (ათასი ადამიანი)



გრაფიკებში კიდევ ერთი სიდიდეა, რომელიც ტრენდების აგებისას მივიღეთ. ეს არის R^2 . სტატისტიკაში ამ სიდიდეს დეტერმინირებულობის კოეფიციენტს

ანუ აპროქსიმაციის სარწმუნობის სიდიდეს უწოდებენ. სწორედ ის განსაზღვრავს, რამდენად წარმატებულია მიღებული რეგრესიული მოდელი. დეტერმინირებულობის კოეფიციენტი ყოველთვის 0-დან 1-მდე დაბაზონში თავსდება. თუ ის 1-ის ტოლია, ე.ი. ფუნქცია ზუსტად ცხრილის მნიშვნელობებზე გადის, ხოლო თუ 0-ის ტოლია, ეს ნიშნავს, რომ რეგრესიული მოდელის არჩეული სახე უკიდურესად წარუმატებელია. რაც უფრო უახლოვდება R^2 1-ს, მით წარმატებულია რეგრესიული მოდელი. პოლინომიალური ფუნქციის არჩევისას $R^2 = 0, 9957$ -ს.

როგორც ხედავთ, რეგრესიული მოდელის გრაფიკი შესაბამება ფუნქციას
 $y = -0,0002x^4 + 1,1868x^3 - 3480,9x^2 + 5 \cdot 10^6x - 2 \cdot 10^9$,

რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მომდევნო წლების მონაცემების პროგნოზირებისათვის.

მავისეავლოთ დამოუკიდებლად

1. ააგეთ სხვა ტრენდები აზერბაიჯანის მოსახლეობის რიცხოვნობის მონაცემების მაჩვენებელი ცხრილისათვის. შეადარეთ ერთმანეთს სხვადასხვა ტრენდისთვის მიღებული R^2 -ის მნიშვნელობი. რომელი ფუნქციაა უფრო შესაფერისი რეგრესიული მოდელისთვის?
2. მომზადეთ რამდენიმე რეგრესიული მოდელი აზერბაიჯანში ბამბის წარმოების დინამიკის ამსახველი (ცხრილის საფუძველზე). შეადარეთ ისინი ერთმანეთს და შეარჩიეთ ოპტიმალური მოდელი.
3. შეკრიბეთ თქვენს ქალაქში (სოფელში) ბოლო კვირის (10 დღის, 20 დღის) განემავლობაში ჰაერის საშუალო ტემპერატურის ამსახველი მონაცემები; შეაფასეთ (თუნდაც, თვალით), მოსახერხებელია თუ არა ხაზოვანი ტრენდის გამოყენება ჰაერის ტემპერატურის დროში ცვლილების ხასიათის აღსანერად. შეეცადეთ, გრაფიკის მიხედვით იწინასწარმეტყველოთ, როგორი ამინდი იქნება 2-5 დღის შემდეგ.


შეამოხვა შეი ცოდნა

1. რას შეისწავლის სტატისტიკა?
2. შეიძლება თუ არა სტატისტიკური გამოთვლების შედეგების ზუსტ მონაცემებად ჩათვლა?
3. რა არის რეგრესიული მოდელი და რა აკაგშირებს მას „ტრენდის“ ცნებასთან?
4. რას ნიშნავს სიდიდე R^2 ?
5. შესაძლებელია თუ არა, აგებული ტრენდი ყველა ექსპერიმენტული წერტილის ზემოთ გადიოდეს?

LAYIH

2.5 მათემატიკური აპლაციების მოდელირება პროგრამირების ცენტრის მეცნიერებით

- რა ტიპის ამოცანებს ხსნიდით ALPLogo-სა და Python-ის პროგრამირების გარემოში?
- შეიძლება თუ არა პროგრამირების ენაზე დაწერილი პროგრამის რომელიმე პროცესის კომპიუტერულ მოდელად მიჩნევა?




საქმიანობა

გაანალიზეთ პროგრამის კოდი. განსაზღვრეთ, რომელი პროცესის მოდელია ის. რა გამოვა ეკრანზე ამ პროგრამის შესრულებისას?

```
from math import sqrt
from math import pi
tip = str(input("Şəhərin adını daxil edin: "))
if tip == "Səmənjətə":
    a = float(input("Şəhərin adını daxil edin: "))
    b = float(input("Şəhərin adını daxil edin: "))
    c = float(input("Şəhərin adını daxil edin: "))
    p = (a + b + c) / 2
    s = sqrt((p * (p - a) * (p - b) * (p - c)))
elif tip == "Mərakeş":
    a = float(input("Şəhərin adını daxil edin: "))
    b = float(input("Şəhərin adını daxil edin: "))
    s = a * b
elif tip == "Birj":
    r = float(input("Şəhərin adını daxil edin: "))
    s = pi * (r**2)
print(s)
```

წინა გაკვეთილებზე თქვენ გაეცანით კომპიუტერული მოდელის აგებას ელექტრონული ცხრილის მეშვეობით. ამ მიზნით სხვა საშუალებების (მაგალითად, პროგრამირების ენების) გამოყენებაც შეიძლება.

მაგალითი. პროგრამირების ენაზე (ALPLogo, Python) შევადგინოთ პროგრამა, რომელიც ასრულებს მოცემული დეტალის ნახაზს და ითვლის მის ფართობს. საწყისი მონაცემების სახით კლავიატურიდან შეგვაქვს a , b , d გვერდების მნიშვნელობა. ერთი უჯრედი 20 პიქსელია. გამოსავალი მონაცემები: დეტალის ნახაზი წინიდან და S ფართობი.



მოცემული ნახაგის ნახაზის შესრულება შეიძლება 6 გრაფიკული პროგრამის – AB, CD, AD, BK, NC მონაცემებისა და KMN რკალის – დახატვით.

ა ნერტილს მივანიჭოთ კოორდინატები (20, 20). მაშინ, უჯრედების რაოდენობის გათვალისწინებით, B ნერტილის კოორდინატები იქნება (20, 140), D ნერტილისა – (260, 20), C ნერტილისა – (260, 140), N-ისა – (200, 140), K ნერტილისა – (80, 140). KMN რკალის რადიუსი 60-ის ტოლია. წახაგის ფართობის გამოსათვლელად საჭიროა, ვიპოვოთ სხვაობა მართვულხედ ABCD-ისა და d დიამეტრის მქონე ნახევარწრის ფართობებს შორის.


ამ ამოცანის ამოხსნის პროგრამის დაწერა Python-ის პროგრამირების ენაზეც შეიძლება. ამისათვის საჭიროა მარტივი გრაფიკების შესაქმნელად განკუთვნილი ბიბლიოთეკების (ერთ ფაილში შენახული ფუნქციები – ბრძანებათა ნაკრები), turtle-სა და math-ს, იმპორტირება. უფრო რთული გრაფიკების შესაქმნელად გათვალისწინებულია ბიბლიოთეკა tkinter. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბიბლიოთეკა turtle-ის ძირითადი ბრძანებები და მათი მოკლე აღწერილობა.

ბრძანება	აღწერილობა
turtle.color(c)	კალმისთვის c ფერის მინიჭება
turtle.goto(x, y)	x და y კოორდინატების მქონე ნერტილში გადასვლა
turtle.circle(r)	r რადიუსის მქონე წრის დახატვა
turtle.circle(r, n)	r რადიუსისა და n გრადუსის რკალის დახატვა
turtle.right(n)	მობრუნება მარჯვნივ n გრადუსით
turtle.left(n)	მობრუნება მარცნივ n გრადუსით
turtle.forward(l)	ერთი ნაბიჯით (პიქსელით) წინ გადასვლა

<code>turtle.write(s)</code>	ეკრანზე s ტექსტის გამოტანა
<code>turtle.reset()</code>	საწყის მდგრადი ფორმას დაბრუნება
<code>turtle.clear()</code>	ეკრანის გასუფთავება
<code>turtle.down()</code>	კალმის დაშვება
<code>turtle.up()</code>	კალმის აწევა
<code>turtle.width(n)</code>	კალმისთვის n პიქსელის სისქის მინიჭება

ამგვარად, შეგვიძლია დავწეროთ ამოცნის ამოხსნის კომპიუტერული მოდელი Python-ის პროგრამირების ენაზე, მერე კი ჩავატაროთ კომპიუტერული ექსპერიმენტი, რომლის დროსაც b და d პარამეტრებს სხვადასხვა მნიშვნელობას მივანიჭებთ და მიღებულ შედეგებს ერთმანეთს შევადარებთ.

```
import math
a = float (input ("a = "))
b = float (input ("b = "))
d = float (input ("d = "))
S1 = a * b
S2 = math.pi * d * d / 4
S = S1 - S2
print ("S = ", S)
import turtle
turtle.reset()
turtle.up()
turtle.width(5)
turtle.goto(20, 20)
turtle.down()
turtle.goto(20, 140)
turtle.goto(80, 140)
turtle.right(90)
turtle.circle(60,180)
turtle.goto(260, 140)
turtle.goto(260, 20)
turtle.goto(20, 20)
turtle.up()
```




ცხადია, მსგავსი ფიგურების დახაზვა ნებისმიერ კრაფტიკულ რედაქტორშია შესაძლებელი. დაპროგრამება აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ობიექტის პარამეტრების ცვლა და გამოთვლების მათემატიკური მოდელის მიხედვით ჩატარება.

მათემატიკურ და ტექნიკურ გამოთვლებთან დაკავშირებული ამოცანების ამოსახსნელად მოწოდებულია გამოყენებითი პროგრამების სპეციალური პაკეტები და პროგრამირების ენები. ერთ-ერთ ასეთი ინსტრუმენტია პაკეტი **MATLAB** (შემოკლება სიტყვებისა „**Matrix Laboratory**“), იმავე სახელწოდების პროგრამირების ენასთან ერთად.


პროგრამირების ენა **MATLAB** კლივ მოულერმა (Cleve Moler) შეიმუშავა 1970-იანი წლების ბოლოს, როდესაც ის ნიუ-მედისიკოს უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი იყო.

MATLAB-ის ენაზე დაწერილი პროგრამები ორი ტიპისაა: ფუნქციები და სკრიპტები. ფუნქციებს აქვს შემავალი და გამომავალი არგუმენტები, ასევე საკუთარი სამუშაო სივრცე გამოთვლების შედეგებისა და ცვლადების შესანახად, სკრიპტები კი საერთო სამუშაო სივრცეს იყენებს. არც სკრიპტები და არც ფუნქციები მანქანურ კოდად არ კომპილირდება და ტექსტური ფაილების სახით ინახება.



შევისწავლოთ დაორუნდეთ

ააგეთ კონუსის კომპიუტერული მოდელი. დაწერეთ პროგრამა კონუსის ზედაპირის ფართობისა და მოცულობის საპოვნელად. საწყისი მონაცემების სახით მიუთითეთ კონუსის სიმაღლე h და ფუძის რადიუსი r . **Python**-ის გრაფიკული შესაძლებლობების გამოყენებით, მიიღეთ კონუსის გამოსახულება კომპიუტერის მონიტორზე.



გვამონეთ გვერდობა

- რა უპირატესობა გააჩნია კომპიუტერული მოდელის აგებას პროგრამირების ენის გამოყენებით?
- რა მიზანი აქვს ბიბლიოთეკა `turtle`-ს **Python**-ში?
- რომელი ბიბლიოთეკა განკუთვნილი **Python**-ში რთული გრაფიკების ასაგებად?
- ბიბლიოთეკა `turtle`-ის რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება **Python**-ის ენაზე ტექსტის კომპიუტერის ეკრანზე გამოსატანად?
- რაზე მიუთითებს პროგრამის კოდში გაკვეთილში მოცემული ცვლადები $S1$ და $S2$?

LAYIH

2.6 სამგანზომილების გრაფიკული მოდელები

- რა საერთო ნიშნები აქვს OpenOffice.org Draw და SketchUp პროგრამებს?
- სად შეიძლება შეგვხვდეს კომპიუტერში შექმნილი სამგანზომილებიანი მოდელები?



საჯარისებლის გრაფიკული მოდელები

გახსნით შესაფერისი გრაფიკული რედაქტორი და ააგეთ წინა გაკვეთილზე მოცემული დეტალის სამგანზომილებიანი მოდელი.

- რომელი გრაფიკული რედაქტორი გამოიყენეთ?
- შეიძლება თუ არა ობიექტის ზუსტი ზომების მითითება ამ გრაფიკულ რედაქტორში?

- სამგანზომილებიანი გრაფიკა (3Dგრაფიკა)
- 3Dმოდელირება
- ვექტორული გრაფიკა
- ვიზუალიზაცია (რენდერინგი)
- სხივების ტრასირება
- 3Dპრინტერი

კომპიუტერულ გრაფიკაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და, ამავე დროს, რთული გამოსახულებაა სამგანზომილებიანი გამოსახულება, ანუ სამგანზომილებიანი გრაფიკა. **სამგანზომილებიანი გრაფიკა (3Dგრაფიკა)** არის კომპიუტერული გრაფიკის განყოფილება, რომელიც ეძღვნება სამგანზომილებიან სივრცეში მოცულობითი ობიექტების გამოსახულებების ან ვიდეოს შექმნის მეთოდებს. სამგანზომილებიანი მოდელის შექმნის პროცესს **3D მოდელირებას** უწოდებენ. მისი ამოცანაა სასურველი ობიექტის ვიზუალური მოცულობითი ხატის შემუშავება. ამასთან, მოდელი შეიძლება იყოს როგორც რეალური ობიექტის ზუსტი ასლი, ისე მისი სრულიად აბსტრაქტული წარმოდგენა.


უნდა აღინიშვნოს, რომ სამგანზომილებიან გრაფიკას ბევრი საერთო აქვთ ვექტორულ გრაფიკასთან. მასშიც ასევე შეიძლება შეიცვალოს, როგორც სამგანზომილებიანი გრაფიკის ყველა ელემენტი, ისე თითოეული ობიექტი

ცალ-ცალკე. იგი გამოიყენება ინტერიერის დიზაინპროექტებისა და არქიტექტურული ობიექტების შემუშავებისას, რეკლამების, სასწავლო კომპიუტერული პროგრამების, ვიდეორგოლების, დეტალების თვალსაჩინო გამოსახულებების, მანქანათმშენებელობის ნაწარმის შექმნისას და ა.შ.

სამგანზომილებიანი კომპიუტერული გრაფიკის შექმნა შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ეტაპად:

1. პირველ ეტაპზე, რომელსაც 3D მოდელირება ეწოდება, იქმნება ობიექტის ფორმა;
2. მეორე ეტაპზე, რომელსაც დიზაინი და ანიმაცია ჰქვია, აღინირება ობიექტების მოქმედება და მათი ურთიერთგანლაგება;
3. დაბოლოს, მესამე ეტაპის, ე.წ. რენდერინგის დროს, იქმნება ობიექტის დასრულებული სახე.

3D მოდელირება (3D modeling) გამოიყენება ობიექტის სამგანზომილებაზო ფორმის, ანუ კარკასის შესაქმნელად. ეს შეიძლება სხვადასხვა საშუალებით გაკეთდეს: რეალური ობიექტის ფორმის სკანირებით სამგანზომილებიანი მოდელირების პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით; ალგორითმების ნაკრების გამოყენებით; ფიზიკური ან დინამიკური სიმულაციის მეშვეობით.



3D მოდელირება




სამგანზომილებიანი მოდელი

დიზაინისა და ანიმაციის (layout and animation) ეტაპის მიზანია ობიექტების ურთიერთგანლაგების გათვალისწინება. ამ დროს განისაზღვრება ობიექტების ადგილმდებარეობა და ზომები;

გეომეტრიული მოდელებისაგან შედგენილი გამოსახულებებისათვის რეალური სახის მისაცემად ბლიკებსა და ჩრდილებს იყენებენ. გამოსახულების შექმნის ამ ხერხს ვიზუალიზაციას ანუ რენდერინგს (**rendering**) უწოდებენ. გრაფიკულ პროგრამებში სინათლის წყაროს ობიექტის მიმართ მდებარეობის აღსანერად, ასევე გამოსახულების უარათებული და დაჩრდილული ფართობის გამოსათვლელად მათემატიკურ ფორმულებს იყენებენ. რენდერინგის ორი ძირითადი მეთოდიდან ერთ-ერთს სხივების ტრასირება (ray tracing) ეწოდება. სხივების ტრასირება არის ალგორითმი, რომელიც გამოიყენება თითოეული ობიექტის სიკაშკაშის, გამჭვირვალობის ხარისხისა და არეკვლის უნარის განსასაზღვრად. ამ ატრიბუტების გამოსათვლელად აკვირდებიან სინათლის სხივის გზას თითოეული წყაროდან თითოეულ ელემენტამდე, მერე კი – ამ ელემენტებიდან დამ-


კვირვებლის თვალის მიმართულებით არეკლილი სხივების გზას. ამის შემდეგ ობიექტის ატრიბუტებს ეკრანზე გამოსახულების შემადგენელი პიქსელების ფერისა და ინტენსივობის გასაზომად იყენებენ. სხივების გავრცელების გზაზე დაკვირვება საშუალებას იძლევა, გამოითვალის პიქსელის ატრიბუტები დამკვირვებლის, გამოსახულების ელემენტისა და სინათლის წყაროს ურთიერთგანლაგების გათვალისწინებით.



ერთი და იმავე სცენის მიმართ
გამოყენებული რენდერინგის
სხვადასხვა ტექნიკა

1951 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ინჟინერმა ჯეი ფორესტერი (Jay Wright Forrester) წარმოადგინა ახალი კომპიუტერი, სახელწოდებით „Whirlwind I“.

ისტორია



ამ კომპიუტერის გამომტანი მოწყობილობა ეკრანზე გამოსახულებას ელექტრონული სხივის მეშვეობით ქმნიდა. გამოსახულება სინათლის ცალკეული წერტილებით იყო შექმნილი.

მოგვიანებით კომპიუტერთან მუშაობისას პერსანიალდეგო კომპლექსების მართვის მიზნით შეიმუშავეს პირველი ინტერაქტიური შემტანი მოწყობილობა – სინათლის პისტოლეტი.

ამგვარად ჩაეყარა საფუძველი კომპიუტერზე მუშაობის ახალ მიმართულებას ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში – კომპიუტერულ გრაფიკას. ამ მიმართულებით გადადგმული შემდეგი ნაბიჯი იყო აივენ საზერლენდის (Ivan Sutherland) მიერ 1961-1962 წლებში პირველი ინტერაქტიული პროგრამაში განხორციელდა ცალკეული წერტილებისაგან შემდგარი გრაფიკული პრიმიტივებისაგან (მონაკვეთებისა და ა.შ) ინტერაქტიული **სისტემის** შექმნის იდეა. ამისათვის სინათლის კალმის მეშვეობით ეკრანზე საჭირო ატრიბუტებს უთითებდნენ

არსებობს სამგანზომილებიანი გრაფიკის, კერძოდ, ზუსტად ვირტუალური რეალობის ობიექტების მოდელირებისა და ამ მოდელების საფუძველზე გამოსახულებების შექმისთვის განკუთვნილი სხვადასხვა პროგრამა. უკანასკნელ წლებში წამყვან კომერციულ პროდუქტებს, როგორებიცაა, მაგ., **Autodesk 3ds Max**, **Autodesk Maya** და **Autodesk Softimage**, დაემატა უახლესი პროგრამები **Rhinoceros 3D**, **Cinema 4D**, **Zbrush**. გარდა ამისა, არსებობს ლია, თავისუფლად გავრცელებადი პროდუქტები, მაგ., **Blender**, **K-3D**, **Wings3D**.

უნდა გამოვყოთ ისეთი ცნებები, როგორებიცაა „**3Dპრინტერი**“ და „**3D ბეჭდვა**“, რომლებიც დამკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ობიექტების სამგანზომილებიან მოდელირებას უკავშირდება. **3Dპრინტერი** არის მოწყობილობა, რომელიც ვირტუალური სამგანზომილებიანი მოდელის საფუძველზე მოცულობით გამოსახულებას ქმნის. ჩვეულებრივი პრინტერისგან განსხვავებით, რომელიც ინფორმაციას ქაღალდის ფურცელზე ასახავს, **3D პრინტერი** სამგანზომილებიანი ინფორმაციის გამოტანის, ანუ გარკვეული ფიზიკური ობიექტების შექმნის, საშუალებას იძლევა. **3Dბეჭდვა** სხვადასხვა სერხითა და სხვადასხვა მასალის დახმარებით ხორციელდება, თუმცა ამ ყველაფერს საფუძვლად მყარი მოდელის შერებრივი აგების (გაზრდის) პრინციპი უდევს.

3D პრინტერის მუშაობის პრინციპი შემდეგნაირად გამოიყურება:


1. კომპიუტერში, სპეციალურ პროგრამაში ხატავენ ობიექტის 3D შაბლონს, რომელიც **3D პრინტერზე** ამოიბეჭდება;
2. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა დაამუშავებს 3D მოდელს მისი მრავლობით გარდიგარდმო ფენებად დაყოფის გზით;
3. მაღლიონებელ კამერას სპეციალური კამერის ფსკერზე ფენებად შეაქვს კომპიონიტური ფხვილი.
4. პრინტერის ლერძი ფხვილს თხელ ფენად ანანილებს;
5. ნაკადური/ჭავლური საჭეჭდი თავაკი უფერო წებოს ადებს იმ ადგილს, რომელზედაც მომდევნო ფენა დაედება;
6. ფხვილის მომდევნო ფენა ქვედა ფენას ეწებება და ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ობიექტი მთლიანად არ ფორმირდება.

სხვადასხვა ტექნოლოგიაში წებოს ნაცვლად ლაზერის ან ულტრაიისფერი გამოსხივების გამოყენება შეიძლება.

რომელ სფეროებში იყენებენ **3Dპრინტერებს?** ეს სფეროებია, ძირითადად:

LAW

- არქიტექტურა (მოდელების მომზადება);
- მრეწველობა და მანქანათმშენებლობა (მომავალი სამომხმარებლო საქონლის ან მათი ცალკეული დეტალების პროტოტიპების ან კონცეპტუალური მოდელების შექმნა);
- მედიცინა (პროთეზებისა და სხეულის ნაწილების მაკეტების მომზადება);
- თეატრი და კინო (დეკორაციები, მულაჟები).



შევისწავლოთ | დაორუკიარდად

მოძებნეთ ინტერნეტში დამატებითი ინფორმაცია 3Dბეჭდვის ტექნოლოგიის შესახებ. შეეცადეთ, მოძებნოთ პასუხი კითხვაზე: სამგანზომილებიან პრინტერზე ბეჭდვის ხელშეწყობი რომელი ინფორმაციის გავრცელებაა აკრძალული ამერიკის შეერთებულ შტატებში?

შეაორეოვ შეიცოდნა

1. რა ეტაპებს სგან შედგება სამგანზომილებიანი კომპიუტერული გრაფიკის შექმნის პროცესი?
2. რა არის რენდერინგი?
3. რით ჰგავს ერთმანეთს სამგანზომილებიანი გრაფიკა და ვექტორული გრაფიკა?
4. რა პრინციპით მუშაობს 3Dპრინტერი?
5. რომელ სფეროებში იყენებენ 3Dპრინტერს?

ნარმატიული კონტენტის აუდიოვიზუალური გენერაცია

1. რომელი მტკიცებაა ჭეშმარიტი?
 - ა) მოდელირებული პროცესის მათემატიკის ენაზე წარმოდგენას მათემატიკური მოდელი ჰქვია;
 - ბ) დინამიკური მოდელისაგან განსხვავებით, სტატიკური მოდელი ითვალისწინებს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს;
 - გ) კომპიუტერში მათემატიკური მოდელის გამოყენებს კომპიუტერის ქცევის მოდელირების მიზნით კომპიუტერული მოდელირება ეწოდება;
 - დ) ექსპერიმენტული სიდიდეების ფარგლებს გაცდენილ პროგნოზირებას ინტერპოლაცია ჰქვია;
 - ე) დეტრმინირებულობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, რამდენად წარმატებულია რეგრესიული მოდელი;
 - ვ) ნიანსნარ ინფორმაციას კონკრეტული მოვლენის მოსალოდნელი განვითარებისა და შედეგების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას უწოდებინ;
 - ზ) სტატისტიკური მიზანები ზუსტია, მაგრამ არ ასახავს სიდიდეებს შორის დამოკიდებულებას;
 - თ) 3Dპრინტერი პროთეზებისა და სხეულის ელემენტების მაკეტების დამზადებისას გამოიყენება.
2. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შესაბამისი ფრაზებით:
 - ა) მათემატიკური მოდელის გამოყენებას სისტემის ქცევის კომპიუტერში იმიტაციის მიზნით ————— ეწოდება.
 - ბ) ობიექტის ————— მოდელი ასახვეს მის მდგომარეობას დროის ნებისმიერ კონკრეტულ მომენტში.
 - გ) მოდელირებული სისტემის ქცევის გამოთვლას კომპიუტერული მოდელის მეშვეობით ————— ანუ ————— ჰქვია.
 - დ) ————— არის მეცნიერების სფერო, რომელიც რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეკრებას, გაზომვასა და ანალიზს უქავშირდება.
 - ე) რეგრესიული მოდელის გრაფიკს ————— ეწოდება.
 - ვ) გამოსახულების ————— ორი ძირითადი მეთოდიდან ერთ-ერთია სხივების ტრასირება.
 - ზ) ————— ძირითადი მიზანია სასურველი ობიექტის ვიზუალიზებული მოცულობითი ხატის შექმნა.
 - თ) 3D პრინტერი არის მოწყობილობა, რომელიც ვირტუალური სამგანზომილებიანი მოდელის სავაჭრელზე ————— ქმნის.
3. რა არის რეგრესიული მოდელი და რა მიზნით გამოიყენება იგი?
4. რა კავშირია ტრენდის ხაზსა და რეგრესიულ მოდელს შორის?
5. სამგანზომილებიანი კომპიუტერული გრაფიკის შექმნის პროცესის რომელ სტადიაში იყენებენ შუქ-ჩრდილების ეფექტებს?



LAYERED

3



ԹՐԵՅԵՐԸ ԱՎԵՐԾՈՒՅՆ

- 3.1. Արողյական դա միևնույն ըդգծություն
- 3.2. Մոնականություն կամ պատճենահանություն
- 3.3. Մոնականություն կամ „սպառազնություն“ պատճենահանություն
- 3.4. Մոնականություն կամ „անհաջողություն“ կամ պատճենահանություն
- 3.5. Մոնականություն կամ „անհաջողություն“ պատճենահանություն

LAYTH



მომხმარებელი

გამოყენებითი
პროგრამა

მონაცემთა
ბაზა

დროულად მოპოვებული, სწორად დამუშავებული და ზუსტად წარმოდგენილი ინფორმაცია, როგორც წესი, მნიშვნელოვნად ზრდის მიღებული გადაწყვეტილებებისა და, აქედან გამომდინარე, შედეგების ეფექტიანობას. მონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემები პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა სამხედრო მრეწველობაში, შემდეგ კი სხვა სფეროებშიც გადაინაცვლა, სადაც საწყისი მონაცემების დიდი რაოდენობა დაგროვდა. მონაცემთა პირველი ბაზები გამოიყენებოდა ქიმიაში, ბირთვულ ფიზიკაში, კოსმონავტიკასა და მეცნიერების სხვა დარგებში, რომლებიც ინფორმაციაზე მუშაობის საკითხისადმი სისტემურ მიდგომას მოითხოვდა. კომპიუტერიზაციის შემდგომმა განვითარებამ შექმნა პირობები მონაცემთა ბაზებით ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში სარგებლობისათვის. მათ ყოველდღიურად იყენებენ ეკონომიკის სრულიად სხვადასხვა სფეროში: სოფლის მეურნეობიდან – ფინანსურ სისტემებამდე.


მონაცემთა ბაზებით სარგებლობის ყველაზე ფართო სფეროდ უდავოდ ინტერნეტი გვევლინება.

LAYIH

- ჩამოთვლილთაგან რომელია მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა?
 - Mikrosoft Outlook;
 - Mikrosoft Excel;
 - Mikrosoft Access;
 - JavaScript.
- ჩვეულებრივი ცხრილის რომელ ელემენტს შეესაბამება მონაცემთა ბაზის „ველი“?
 - სტრიქონს;
 - სვეტს;
 - უჯრას;
 - სათაურს.
- ჩამოთვლილი ობიექტებიდან რომელი არ არის მონაცემთა ბაზის ელემენტი?
 - ცხრილი;
 - ფორმა;
 - შეკითხვა;
 - მოდული.
- მონაცემთა ბაზის A და B ცხრილებს შორის რა კავშირია ნაჩვენები სურათზე?
 - 1:1;
 - 1: ∞ ;
 - ∞ :1;
 - ∞ : ∞ .
- მონაცემთა ბაზის რომელ ცხრილებს შორის არსებობს კავშირი „ერთი ერთათანავე“?
 - „სტუდენტები“, „კლასები“;
 - „ქვეყნები“, „დედაქალაქები“;
 - „ქუჩები“, „სახლები“;
 - „კომპიუტორები“, „სიმღერები“.
- რა ენოდება მონაცემთა ბაზაში ჩანაწერების გარკვეული ნიშნით მოწესრიგებას?
 - დახარისხება;
 - ძიება;
 - ფილტრაცია;
 - მოწესრიგება.
- რა თანამიმდევრობით დალაგდება ჩანაწერები, თუ მონაცემთა ბაზის ცხრილში ველ „სპორტის სახეობაში“ მონაცემები ზრდის მიხედვით დახარისხდება?

კოდი	გვარი	დაბადების თარიღი	სპორტის სახეობა
1	გამედლი	2004	კარატე
2	სამედოვა	2003	ჩოგბურთი
3	ახუნდზადე	2003	ფეხბურთი
4	ვოლკოვი	2002	კალათბურთი

 - 1,2,3,4;
 - 4,3,1,2;
 - 4,3,2,1;
 - 3,1,2,4.
- ცხრილი „მოსწავლეები“ შედგება შემდეგი ველებისაგან: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, პირადობის მოწმობის ნომერი, სკოლის კოდი, კლასი. ამ ველებიდან რომელი შეიძლება ავირჩიოთ პირველად გასაღებად?
 - სკოლის კოდი;
 - დაბადების თარიღი;
 - გვარი;
 - არც ერთი.
- ქვემოთ მოყვანილთაგან რომელი ჩანაწერების პოვნა შეიძლება შემდეგი შეკითხვის საფუძველზე?
 - ერთნიშნა რიცხვი, რომელიც 1-ით იწყება;
 - სამნიშნა რიცხვი, რომელიც 1-ით იწყება;
 - ნებისმიერი რიცხვი, რომელიც 1-ით იწყება;
 - ნებისმიერი რიცხვის ნომერი.



3.1 პროექტი და მისი ეთაპები


ამჟამად გაზეთებში, ურნალებში, რადიოსა და ტელევიზიაში, ასევე ვებსაიტებზე, ისეთ სიტყვებთან ერთად, როგორებიცაა „აღგორითმი“, „სისტემა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, ხშირად იხმარება სიტყვა „პროექტი“.

- თქვენი აზრით, რომელ პროექტს აღნირს ქვემოთ მოყვანილი რუკა?
- კიდევ რომელი პროექტების შესახებ გსმენიათ?



საქმიანობა

გაიხსენეთ მე-7 კლასში „კომპიუტერში ამოცანების ამოხსნის“ გაკვეთილზე შესრულებული საქუანის განხორციელების ეტაპები (მე-7 კლასის ინფორმატიკის სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ [საიტ trims.edu.az-%](http://trims.edu.az-%)).



- რომელი ეტაპები სრულდება კომპიუტერში?
- რა იგულისხმება პროგრამის გამართვაში?


პროექტი (project) არის ღონისძიება, რომლის მიზანია უნიკალური პროდუქტის ან მომსახურების შექმნა შეზღუდული დროისა და რესურსების პირობებში. პროექტები სხვადასხვა ტიპისაა. ტიპს განსაზღვრავს ის საფუძველი, რომელსაც პროექტების კლასიფიკაცია ეყრდნობა. ჩვეულებრივ, პროექტები კლასიფიცირდება საქმიანობის სფეროს, ხანგრძლივობის, სირთულის, მასშტაბისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

საქმიანობის სფეროს მიხედვით არჩევენ ორგანიზაციულ, ტექნიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა პროექტებს. ყველაზე ხშირად შერეული ტიპის პროექტები იქმნება. მაგალითად, საავტომობილო გზების მშენებლობა არა მარტო ტექნიკური, არამედ ეკონომიკური პროექტიცაა, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული რეგიონების ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტა. ~~სატელევიზიო პროექტი~~ შეიძლება იყოს სოციალური შინაარსის და ამავე დროს – ეკონომიკურიც, რადგან არხის ეკონომიკურ ამოცანების განხორციელებასაც ემსახურება.

შესრულების ხანგრძლივობის მიხედვით პროექტი შეიძლება იყოს მოკლე-ვადიანი (ერთ წლამდე), საშუალოვადიანი (1-დან 2 წლამდე) და გრძელვადიანი (2 წელზე მეტი). მაგალითად, პლანეტა მარსის კვლევის საერთაშორისო პროექტი გრძელვადიანია და ათეულობით წელს გაგრძელდება.

სირთულისა და მასშტაბურობის მიხედვით პროექტებს სამ ტიპად: მარტივ, საშუალო და რთულ პროექტებად ყოფენ, მაგალითად, საგზაო მშენებლობის ნებისმიერი პროექტი სირთულითა და მასშტაბურობით ვერანაირად შეედრება მარსის კვლევის საერთაშორისო პროექტს.

თითოეული პროექტის შემუშავება რამდენიმე (ჩვეულებრივ, ოთხს პლუს ერთ) სტადიას გაივლის. ეს სტადიებია: დაგეგმვა, განხორციელება, დასრულება და კონტროლი. პროექტის დაყოფისა ამ ტიპს ხმირად **ჩანჩქერის მოდელს** ან **კასკადურ მოდელს** (waterfall model) უწოდებენ.



1. ჩანაცემი. ახალი პროექტის მოსამაზადებლად გადადგმული პირველი ნაბიჯი ნებისმიერი **იდეის** დაბადება და გააზრება. პროექტის წარმატებას მინიჭებულოვნად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ღრმადა გააზრებული იდეა. ამიტომ პროექტის დაწყების გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა დაზუსტდეს, შესაძლებელია თუ არა იდეის განხორციელება კონკრეტულ გარემოში. თუ პასუხი დადებითია, პროექტი შეგვიძლია, დავიწყოთ.

2. დაგეგმვა. ნებისმიერი, თუნდაც ერთი შესედვით ძალზე რთული სამუშაო შეიძლება საგვებით წარმატებით განხორციელდეს, თუ წინასწარ შემუშავდება მისი შესრულების გეგმა. ამ ეტაპზე საჭიროა მატერიალურ, ფინანსურ და შრომით რესურსებთან დაკავშირებული უამრავი საკითხის გულდასმით გააზრება. დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია ასევე პროექტის **სტრუქტურის**, ანუ პროექტის ელემენტებისა და მათი ურთიერთთანაფარდობის მოფიქრება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროექტის სტრუქტურის შექმნა **იტერაციული** პროცესია („იტერაცია“ – ლათ. „iteratio“ – გამეორება). პირველ რიგში შეიმუშავებენ სანიმუშო სტრუქტურებს, შემდეგ კი, პროექტის მიზნებისა და ამოცანების შესრულების კვალდაკვალ, ამ სტრუქტურებს თანდათანობით

სრულყოფენ. ნებისმიერი სტრუქტურის მიმდინარე კორექტირება, სიტუაციის მიხედვით, პროექტის დაწყების გადაწყვეტილების შემდეგაც კი არის შესაძლებელი. ამგვარად, პროექტის განხორციელების დროს სტრუქტურული სქემები რამდენჯერმე შეიძლება შეიცვალოს და გაუმჯობესდეს.

3. განხორციელება. პროექტის განხორციელებაში გეგმის დანერგვის პროცესი იგულისხმება. ნარმოდგენილი გეგმის დროულად განხორციელებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანური და სხვა რესურსების მუშაობის კოორდინირებას. შემუშავებული პროექტიდან გადახრების გამოვლენისა და პროექტზე მათი გავლენის შეფასების მიზნით აუცილებელია მისი რეალიზაციის რეგულარული შეფასება და ანალიზი.

4. კონტროლი. პროექტის განხორციელების კონტროლის მიზნით განსაზღვრავენ შერჩეული ეტაპების შედეგებს და მათ გეგმასთან ათანხმებენ. თუ ამგვარი შეჯერების დროს განსხვავებები გამოვლინდება, მათ აღმოსაფხვრელად აუცილებელია ზომების მიღება, მაგალითად, დამატებითი რესურსების ჩართვა ან სამუშაოს დამთავრების ვადების გადასინჯვება.

პროექტის კონტროლი პერიოდულად უნდა ტარდებოდეს. ძალზე მნიშვნელოვანია ფაქტიურ და დაგეგმილ მაჩვენებლებს შორის არსებული განსხვავებების დროულად აღმოფხვრა. გარდა ამისა, პერიოდული კონტროლი პროექტის რეალური ხანგრძლივობის უფრო ზუსტად განსაზღვრის საშუალებას იძლევა. აუცილებელია პასუხისმგებელი პირების დროულად ინფორმირება შემოწმებისა და ანალიზის შედეგების შესახებ.

5. დასრულება. ნებისმიერი პროექტი ადრე თუ გვიან მთავრდება. პროექტის დასრულების ყელაზე გავრცელებული პირობა, უბრალოდ, მისი განხორციელებაა. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელების პროცესში შესაძლებელია პროექტების მასშტაბების, ღირებულებისა და ვადების გარკვეული ცვლილებები, მათი უმრავლესობა მაინც დაგეგმილ ვადებში სრულდება.

შევისწავლოთ დაოცნებაზე

მოიძიეთ ინტერნეტში და შეკრიბეთ ინფორმაცია „მანჰეთენის პროექტისა“ („Manhattan Engineering District Project“) და საბჭოთა ატომური ბომბის შექმნის პროექტის შესახებ. მომზადეთ ანგარში თითოეული პროექტის შესახებ ცალკეალკე. ანგარიშებში შეიტანეთ ინფორმაცია ამ პროექტებში მონანილე მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსების შესახებ.

შეამოხვე შენი ცოდნა

1. რა არის პროექტი?
2. როგორ კლასიფიცირდება პროექტები?
3. რა ძირითად ეტაპებს მოიცავს პროექტის შემუშავების პროცესი?
4. რატომაა აუცილებელი პროექტის შესრულების კონტროლი?
5. ჩვენს რესპუბლიკში განხორციელებული რომელი მასშტაბური სამამულო და საერთაშორისო პროექტების შესახებ გსმენიათ?

- პროექტი
- ჩანჩქერის მოდელი
- პროექტის ეტაპები
- პროექტის იდეა
- პროექტის სტრუქტურა
- დაგეგმვა
- შესრულება
- კონტროლი

3.2 მონაცემთა პაზის დაკროხების

ფოტოსურათზე გამოსახულია ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკის (New York Public Library) ერთ-ერთი სამკითხველო დარბაზი.

- მონაცემთა ბაზა „ბიბლიოთეკის“ შექმნა რომ დაგავალონ, თქვენი აზრით, რომელი ცხრილები დაგჭირდებათ?



სამონაცემობა

სქემაზე წარმოდგენილია გარკვეული მონაცემთა ბაზის ცხრილები და ნაჩვენებია ცხრილებს შორის კავშირი.



- რომელი ცხრილებისგან შედგება მონაცემთა ბაზა?
- რომლებია თითოეული ცხრილის გასაღები ველები?

მონაცემთა ბაზა ნებისმიერი საინფორმაციო სისტემის საფუძველია. გასულ სასწავლო წელს თქვენ დაცულით Microsoft Office Access 2007-ის მონაცემთა ბაზების მართვის სისტემას, ამ თავის შესწავლისას შექმნით მარტივ მინაცემთა ბაზებს სხვადასხვა სფეროდან.

მონაცემთა ბაზა (database), ამ სიტყვის ფართო გაგებით, მონაცემთა ნებისმიერ ნაკრებს გულისამობს. მისი საფუძველია **ცხრილები (tables)**. მონაცემთა ბაზის ცხრილები, ჩვეულებრივი ელექტრონული ცხრილების მსგავსად, სტრიქონებისა და სვეტებისგან შედგება. მონაცემთა მარტივი ბაზა შეიძლება მხო-

ლოდ ერთი ცხრილისგან შედგებოდეს, მათი უმრავლესობა კი რამდენიმე ცხრილს შეიცავს. მაგალითად, მონაცემთა პაზა „ბიბლიოთეკის“ ერთი ცხრილი შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას საწყობში არსებული, მეორე – სამტკიცელო დარბაზში გატანილი, ხოლო მესამე – შეკვეთილი წიგნების შესახებ.

მონაცემთა პაზის თითოეულ სტრიქონს **ჩანაწერს (record)** უწოდებენ, ხოლო სვეტს – **ველს (field)**. ჩანაწერები მონაცემთა კომბინირების საშუალებას იძლევა. რაც შეეხება ველებს, ისინი მონაცემთა ცალკეული ელემენტებია. მაგალითად, ცხრილ „წიგნებში“ თითოეული სტრიქონი, ანუ ჩანაწერი, შეიცავს ცნობებს ერთი წიგნის შესახებ. თითოეულ სვეტში, ანუ ველში, კი ინახება გარკვეული მონაცემები ამ წიგნის შესახებ, მაგალითად, დასახელება ან ფასი.

მსოფლიოს უმსხვილესი ბიბლიოთეკები

№	სახელწოდება	მდებარეობა	გასაღების რაოდენობა ფონდში	თანამშრო-მელთა შტატი
1	კონგრესის ბიბლიოთეკა	აშშ, ვაშინგტონი	164 მილიონი+	3149
2	ბრიტანეთის ბიბლიოთეკა	დიდი ბრიტანეთი, ლონდონი	150 მილიონი +	1977
3	კანადის ბიბლიო-თეკა და არქივები	კანადა, ოტავა	54 მილიონი	874
4	ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკა	აშშ, ნიუ-იორკი	53,1 მილიონი	2937
5	რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა	რუსეთი, მოსკოვი	44,1 მილიონი	1972

კონგრესის ბიბლიოთეკის საერთო ფონდში 38 მილიონზე მეტი წიგნი და სხვა ბეჭდური მასალა, 14 მილიონი ფორმასურათი, 5,5 მილიონი გეოგრაფიული რუკა, 8,1 მილიონი ნოტების წიგნი და 70 მილიონი ხელნაწერი ინახება. შეფასების თანახმად, სხვადასხვა ფონდში დაცული ყველა მასალა რომ ციფრულ ფორმატად გარდაიქმნას, მათი საერთო მოცულობა 20 ტბაიტს შეადგენს და იგი ყოველდღიურად გაიზრდება. კონგრესის ბიბლიოთეკის სპეციალური განყოფილება საავტორო უფლებების რეგისტრაციის ანარმოებს. ბიბლიოთეკის ვებსაიტზე განთავსებული სავალდებულო ფორმის შევსების გზით საავტორო უფლებების რეგისტრაცია ინტერნეტითაც შეიძლება.

მონაცემთა პაზის შექმნის პროცესი შემდეგი ნაბიჯებისგან შედგება:

1. მონაცემთა პაზის შექმნის მიზნის განსაზღვრა.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგი ნაბიჯებისთვის მოსამზადებლად.

2. საჭირო მონაცემების მოძიება და ორგანიზება.

შეკრიბეთ ყველა მონაცემი, რომელთა შენახვა საჭიროა მონაცემთა პაზაში (მაგალითად, წიგნების დასახელება, შეკვეთების ნომრები).

3. მონაცემთა განაწილება ცხრილებში.

გაანაწილეთ მონაცემები კუთხებად და თემებად, მაგალითად, „წიგნები“ ან „შეკვეთები“. ყოველი თემისთვის ცალკე ცხრილი შეიქმნება.

4. ცხრილის სტრუქტურის განსაზღვრა.

განსაზღვროთ, თითოეულ ცხრილში რომელი მონაცემები უნდა ინახებოდეს. მონაცემთა ყოველი ელემენტი ცალკე ველში შევა და ცხრილის სვეტი იქნება.

მაგალითად, ცხრილ „თანამშრომლებში“ გვექნება ისეთი ველები, როგორებიცაა „გვარი“, „სამუშაოზე მოწყობის თარიღი“.

ყურადღება!

გამოთვლის მონაცემები ცხრილში არ შეიტანოთ.

ცხრილებში გამოთვლის შედეგების შენახვა სავალდებულო არ არის. ყოველთვის, როცა კი დაგჭირდებათ, გამოთვლები პროგრამაში შეასრულეთ.

დაყავით ინფორმაცია რაც შეიძლება მცირე ლოგიკურ კომპონენტებად.

რამდენიმე სხვადასხვა მონაცემის ერთ ველში გაერთიანება საბოლოოდ მათ გამოყენებას ართულებს. აუცილებელია ინფორმაციის ლოგიკურ კომპონენტებად დაყოფა, მაგალითად, სახელებისა და გვარების შენახვა ცალ-ცალკე ველებში აჯობებს.

5. პირველადი გასაღებების განსაზღვრა.

განსაზღვრეთ ცხრილის პირველადი გასაღებები (გასაღები ველები). **პირველადი გასაღები** არის სვეტი, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს თითოეულ ჩანაწერს, მაგალითად: წიგნის კოდი, შეკვეთის ნომერი.

6. ცხრილებს შორის კავშირის დამყარება.

გაანალიზეთ ყველა ცხრილი და განსაზღვრეთ, როგორ შეეფარდება ერთი ცხრილის მონაცემები დანარჩენი ცხრილების მონაცემებს. სათანადო თანაფარდობების ასაგებად ცხრილებში დაამატეთ ველები ან შექმნით ახალი ცხრილები.

7. მონაცემთა ბაზის სტრუქტურის სრულყოფა.

შეამოწმეთ მონაცემთა ბაზის სტრუქტურა შეცდომების გამოვლენის თვალსაზრისით. შექმნით ცხრილები და ჩამატეთ მათში რამდენიმე ჩანაწერი მონაცემებითურთ. გააანალიზეთ მიღებული შედეგები. ცხრილის სტრუქტურაში საჭირო ცვლილებები შეიტანეთ.

8. ნორმალიზაციის წესების გამოყენება.

შეამოწმეთ ნორმალიზაციის წესები, რათა დარწმუნდეთ ცხრილის სტრუქტურის სისწორეში. ცხრილებში საჭირო ცვლილებები შეიტანეთ.

მოდით, ეს ბოლო ნაბიჯი ცოტა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ. ნორმალიზაციის წესები საშუალებას გვაძლევს, შევამოწმოთ ცხრილების სიზუსტე. ამ წესების მონაცემთა ბაზის სტრუქტურის შესამოწმებლად გამოყენებას მონაცემთა ბაზის ნორმალიზაციას, ან, უბრალოდ, ნორმალიზაციას, უწოდებენ. ეს პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება. ყოველ ეტაპზე მოწმდება მონაცემთა ბაზის შესაბამისობა ერთ-ერთ ე.წ. ნორმალურ ფორმასთან. სულ ხუთი ნორმალური ფორმა არსებობს, თუმცა პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, პირველ სამს იყენებენ.

პირველი ნორმალური ფორმის (1NF) მოთხოვნების შესაბამისად, ცხრილის სტრიქნისა და სვეტის გადაკვეთაზე მდებარე თითოეული უჯრა უნდა შეიცავდეს არა მონაცემთა სისა, არამედ ცალკეულ მონაცემს. მაგალითად, ველ „წიგნის დასახელებაში“ უნდა იყოს არა რამდენიმე, არამედ მხოლოდ ერთი წიგნის დასახელება.

მეორე ნორმალური ფორმის (2NF) მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი სვეტი, რომელიც გასაღებში არ შედის, უნდა იყოს დამოკიდებული გასაღები ველის არა რაღაც

დაიგვაროვანები

- მონაცემთა ბაზა
- ცხრილი
- ჩანაწერი
- ველი
- პირველადი გასაღები
- ნორმალიზაცია
- პირველი ნორმალური ფორმა
- მეორე ნორმალური ფორმა

ნაწილზე, არამედ მთელ ველზე. ეს წესი მოქმედია იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი გასაღები რამდენიმე სვეტისგან შედგება.

წარმოვიდგინოთ, რომ ცხრილი, რომლის პირველადი გასაღები ორი სვეტისგან – შეკვეთის კოდისა და წიგნის კოდისგან – შედგება, შეიცავს შემდეგ სვეტებს:

- შეკვეთის კოდი (პირველადი გასაღები);
- წიგნის კოდი (პირველადი გასაღები);
- წიგნის დასახელება.

ამგვარი სტრუქტურა არ შეესაბამება მეორე ნორმალური ფორმის მოთხოვნებს, ვინაიდან წიგნის დასახელება დამოკიდებულია წიგნის კოდზე და არ არის დამოკიდებული შეკვეთის კოდზე. შესაბამისად, ეს სვეტი პირველადი გასაღების მხოლოდ ნაწილზეა დამოკიდებული. სვეტი „წიგნის დასახელება“ უნდა ამოვილოთ ცხრილიდან. ის შეგვიძლია, სხვა ცხრილში (მაგ., „წიგნებში“) ჩავრთოთ.

მესამე ნორმალური ფორმა (3NF) მოითხოვს, რომ ის სვეტები, რომლებიც პირველად გასაღებში არ შედის და მთელ გასაღებზეა დამოკიდებული, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი სვეტი, რომელიც გასაღებს არ წარმოადგენს, მხოლოდ პირველად გასაღებზე უნდა იყოს დამოკიდებული. დავუშვათ, რომ ცხრილი შედგება შემდეგი ველებისგან:

- წიგნის კოდი (პირველადი გასაღები);
- წიგნის დასახელება;
- საცალო ფასი;
- ფასდაკლება.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ფასდაკლება დამოკიდებულია საცალო ფასზე. ამ შემთხვევაში ცხრილი არ შეესაბამება მესამე ნორმალური ფორმის მოთხოვნებს, ვინაიდან ფასდაკლების სვეტი, რომელიც გასაღები არ არის, დამოკიდებულია მეორე, ასევე არა გასაღებ ველზე (რეერგენდებული საცალო ფასის სვეტზე). სვეტების ერთმანეთისგან დამოუკიდებლობის წესი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი არა გასაღები სვეტის ცვლილება სხვა სვეტებზე გავლენას არ უნდა ახდენდეს. აქ კი საცალო ფასის სვეტის მნიშვნელობების ცვლილება გამოიწვევდა ფასდაკლების შესაბამის ცვლილებას, რითაც წესი დაირღვევა. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ფასდაკლების სვეტი უნდა გადავიტანოთ სხვა ცხრილში, რომელშიც საცალო ფასის ველი პირველად გასაღებია.

შევისენავლოთ დაორუკიდეთან

ნორმალიზაციის წესების თვალსაზრისით გააანალიზეთ გაკვეთილის „საქმიანობის“ ბლოკში მოყვანილი მონაცემთა ბაზა „ბიბლიოთეკა“. ნორმალური ფორმის რომელი მოთხოვნები იყო დარღვეული? როგორ შეიძლება ამ უზუსტონობის გამოსხივება?

შეამონეთ შენი ცოდნა

1. რა ეტაპებისგან შედგება მონაცემთა ბაზის შექმნის პროცესი?
2. რა საჭიროა მონაცემთა ბაზის ნორმალიზაცია?
3. რა მოთხოვნებს შეესაბამება პირველი ნორმალური ფორმა?
4. რას მოითხოვს მეორე ნორმალური ფორმა?
5. რა პირობის შესრულებას მოითხოვს მესამე ნორმალური ფორმა?

3.3 የጊዜያዊውን ትኩስ „ሸቶችውን ማቅረብ“ ታሪክና ተተክ

- თქვენი სკოლის მონაცემთა ბაზისის შექმნა რომ დაგვავალონ, მოსწავლეთა შესახებ რა ინფორმაციას შეიტანდით ამ მონაცემთა ბაზში?

Nr	SAA	Təhsil aldiği ixtisas	Təhsil səviyyəsi	Təlim dili
41	ƏSGƏROVA ZİYƏNBƏLLİ ALLAHYAR QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
42	ƏZİZLİ NİĞAR KAMAL QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
43	FƏTÖLİYEVA SÜSNƏ HƏBİL QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
44	HACİYEVA GÜLƏR NİFTALI QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
45	HACİYEVA HİCƏN BAYRAM QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
46	HACİZADƏ KƏMƏL XƏYYAM QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
47	HAQVERDİYEVƏ AYĞUN NİYAZ QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
48	HAQVERDİYEVƏ OFELYA MUSA QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
49	HƏMİDOV ELMAR ETIBAR OĞLU	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
50	HƏMİDZADƏ DILBƏR CAVİD QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
51	HƏMİZƏ LALƏ ELDAR QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
52	HƏSNOVƏ ƏŞŞİZA HƏŞİN QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
53	HƏSNOVƏ LAMIƏ HƏBİL QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
54	HƏSNOVƏ PƏRVİN TAPDIQ QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
55	HƏSNOVƏ TƏBRANƏ ASİF QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
56	HEŞİMNOVA ZİBEYDƏ RƏFIQ QIZI	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan
57	HEYDƏROV AGAMİR ORBAN QOLU	05010100 Azərbaycan dili və adabiyatı	Bakalavr İqtisadiyyat	Azərbaycan

საქათანადო

პროგრამა Microsoft Access 2007-ში შექმნით მონაცემთა ბაზა სახელწილდებით „სტუდენტები“ და იმავე სახელწილდების ცხრილი, რომელსაც ქვემოთ მითითებული სტრუქტურა ქვება:

კხრილ „სტუდენტების“ სტრუქტურა

გასაღები ველი	ველის სახელი	მონაცემთა ტიპი
#	სტუდენტის კოდი	AutoNumber
	გვარი	Text
	სახელი	Text
	მამის სახელი	Text
	დაბადების თარიღი	Date/Time
	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა	Text
	კლასი	Text
	დამთავრების წელი	Number
	ჩარიცხვის წელი	Number
	დაგროვილი ქულა	Number

- თქვენი აზრით, რომელი ველების დამატება ესაფიროება ამ სტრუქტურას?
 - რომელი ველები შეიძლება ჰქონდეს საერთო სხვადასხვა სტუდენტს?
 - მარტო თქვენი სკოლის კურსდამთავრებულთათვის რომ შეგედგინათ მონაცემთა პაზა, (კბრილის რომელ ველს ჩათვლიდით ზედმიტად?

~~ნარმოვიდგინოთ, რომ საჭიროა შეიქმნას მონაცემთა ბაზა კურსდამთავრებულთათვის, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს და სხვადასხვა წელს ჩაირიცხნენ საშუალო სპეციალურ ან უმაღლეს სასწავლებელში. ამისათვის დაწვრილებით განვიხილოთ ცხრილ „სტუდენტების“ სტრუქტურა, რომელიც ცოტა ხნის წინ შეაგვინეთ. ვინაიდან ეს მონაცემთა ბაზა მხოლოდ თქვენი საკუთარი სკოლის კურსდამთავრებულებს შეეხებოდა, ცხადია, რომ ვეღ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (სკოლა, რომელიც სტუდენტმა დაამთავრა) შეტანილი ინფორმაცია ყველა ჩანაწერისთვის ერთნაირი იქნება. ანუ ეს ვეღი~~

ზედმეტია, რადგანაც ბაზაში შესული ყველა სტუდენტი ერთი და იმავე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულია.

მნიშვნელოვანია, რომელ უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ სასწავლებელში ჩაირიცხა სტუდენტი, მაგრამ ასეთი ველი ცხრილ „სტუდენტებში“ არ არის. ამიტომ ცხრილის სტრუქტურას უნდა დაემატოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სახელწოდების აღმნიშვნელი ველი (მაგალითად, ჟული). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაკიოთ იმას, რომ შესაძლოა, რამდენიმე აბიტურიენტმა ერთსა და იმავე უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ სასწავლებელში ჩააბარა. ასეთ შემთხვევაში ცხრილის შევსებისას ერთი და იმავე ინფორმაციის რამდენჯერმე გამეორება დაგვჭირდება. შედეგად ცხრილ „სტუდენტები“ შემდეგ სახეს მიიღებს:

ცხრილი „სტუდენტები“

სტუდენტის კოდი	გვარი	სახელი	მამის სახელი	...	უსლ
12	ახმედი	სევინჯი	ელმანი	...	ბსუ
13	ალიზადე	ორპანი	არიფი	...	უნივერსიტეტი ADA
14	ქერმილი	ალი	ჯამილი	...	ბსუ
15	მამელივა	გუნელი	ვეგარი	...	ბსუ

ამ შემთხვევაში რამდენიმე პრობლემა იჩენს თავს.

ჯერ ერთი, ასეთი მონაცემთა ბაზა მყარ დისკუზზე დიდ ადგილს იკავებს. თუ საკმარისია რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის სახელწოდების (მაგ., ბსუ-ის) ერთხელ დაწერა და დამახსოვრება, რა საჭიროა მისი სამჯერ და მეტჯერ გამეორება?

მეორეც – ერთი და იმავე ინფორმაციის განმეორებით შეტანისას შეცდომების დაშვება გარდაუვალია, შეცდომით დაწერილი სახელწოდების მიხედვით ძიების ჩატარებისას კი არასრულ შედეგს მივიღებთ.

მესამე პრობლემა ის არის, რომ ყოველთვის, როცა სახელწოდების გადასწორება დაგვჭირდება, ყველა ჩანაწერში, სადაც კი ის მოხსენიებულია, სათანადო შესწორების შეტანა მოგვიწევს.

ამ პრობლემის გადაჭრას მარტივად შევძლებთ, თუ ცხრილ „სტუდენტებს“ ორ ცხრილად – „სტუდენტებად“ და „უმაღლეს სასწავლებლებად“ – დაყოფთ და მათ გასაღები ველების მეშვეობით დავაკავშირებთ ერთმანეთთან.

იგივე შეიძლება ითქვას იმ სპეციალობების შესახებაც, რომლებიც სტუდენტებმა აირჩიეს. ეს პრობლემაც ანალოგიური გზით გადაიჭრება.

ამგვარად, მონაცემთა ბაზა „სტუდენტებში“ მიზანშეწონილია არა ერთი, არამედ სამი ცხრილის შექმნა. ეს ცხრილებია: „სტუდენტები“, „უმაღლესი სასწავლებლები“ და „სპეციალობები“.

ცხრილ „სტუდენტები“ სტრუქტურა

გასაღები ველი	ველის სახელი	მონაცემთა ტიპი
#	სტუდენტის კოდი გვარი სახელი	AutoNumber Text Text

	მამის სახელი დაბადების თარიღი კლასი დამთავრების წელი უსდ-ის კოდი სპეციალობის კოდი ჩაბარების წელი დაგროვილი ქულა	Text Date/Time Text Number Number Number Number Number Number
--	--	---

ცხრილ „უსდ“-ის სტრუქტურა

გასაღები ველი	ველის სახელი	მონაცემთა ტიპი
#	უსდ-ის კოდი უსდ-ის სახელწოდება	AutoNumber Text

ცხრილ „გასაღები ველი“ სტრუქტურა


გასაღები ველი	ველის სახელი	მონაცემთა ტიპი
#	სპეციალობის კოდი სპეციალობის დასახელება	AutoNumber Text

თითოეულ ცხრილში პირველი ველი ჩათვლილია გასაღებად, ვინაიდან ცალ-სახად განსაზღვრავს ყოველ ჩანაწერს.

ნაბიჯ ნაბიჯ 1

მონაცემთა ბაზა „Students“-ის („სტუდენტები“) შექმნა


1. გახსენით პროგრამა Microsoft Access 2007;
2. შექმნით მონაცემთა ცარიელი ბაზა „სტუდენტები“. პროგრამის მთავარი ფანჯარა ცხრილის რეჟიმში (Datasheet) გაიხსნება და ფანჯარაში გამოისახება ახალი ცარიელი ცხრილი, სახელით Table1;



3. ცხრილის სტრუქტურის შესაქმნელად დააწერ და დაასახურეთ ლილაკ View-ზე (რეჟიმი) და აირჩიეთ რეჟიმი Design View (კონსტრუქტორი). გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Save As (შეინახე, შოგორუ...);




4. ველ Table Name-ში (ცხრილის სახელი) შეიტანეთ სახელი **სტუდენტები** და დააწერ კაპუნეთ ღილაკ OK-ზე. ცხრილი „სტუდენტები“ გაიხსნება კონსტრუქტორის რეჟიმში;



5. ბლანკის ზედა ნაწილში, სვეტ Field Name-ში (ველის სახელი) შეიტანეთ კონსტრუქტორის კოდი. მეზობელ სვეტ Data Type-ში არ შეცვალოთ მონაცემთა ტიპი **AutoNumber** (მრავალიც სვეტს გულისხმობის პრინციპით მიენიჭა). თუ ამ ველის შესახებ განმარტებების მოცემა გსურთ, შესაბამისა შენიშვნები შეიტანეთ სვეტ Description-ში (აღნერა). დააჭირეთ ღილაკ <Enter>-ს. პროგრამა Access ცხრილის პირველ სტრიქონს (ველი სტუდენტის კოდი), გულისხმობის პრინციპით, გასაღებად მიიღებს. პირველადი გასაღებისთვის ველ Indexed-ის მნიშვნელობაზე შემდგენა-ირად განისაზღვრება: Yes (No Duplicates), ანუ ეს ველი ინდექსირებულია და მისი მნიშვნელობა არ უნდა განმეორდეს. პირველად გასაღებად ველის არჩევაზე მიუთიოთებს სვეტ Field Name-ის (ველის სახელი) მარცხნივ, ნაცრისფერ სვეტში გასაღების გამოსახულების გაჩენა;
6. შეიტანეთ მეორე ველის სახელი (გვარი) და აირჩიეთ მისთვის ტიპი Text (ტექსტი). ჩანართ General-ის (ზოგადი) განყოფილება Field Properties-ში (ველის თვისებები) იპოვეთ სტრიქონი Field Size (ველის ზომა). გულისხმობის პრინციპით, ტექსტური სტრიქონის მაქსიმალური სიგრძეა 255. შეცალეთ იგი 20-ით. ეს სიგრძე ყველაზე გრძელი გვარისათვისაც საკმარისია;
7. ახალოგიურად შეიტანეთ ცხრილ „სტუდენტების“ დანარჩენი ველებიც;
8. ღილაკ Save-ზე დაწერ კაპუნებით, შეინახეთ ეს ცვლილებები ფანჯრის ზედა ნაწილში;

LAYIH




9. ახალი ცხრილის, „უსდ“-ის, შესაქმნელად აირჩიეთ Create მენიუში განყოფილება Tables და დააწერ პუნქტ ლილაკ Table-ზე. ცხრილების სიას ახალი ცხრილი დაემატება;
10. დააწერ პუნქტ View-ზე და აირჩიეთ რეჟიმი design View. გახსნილ დიალოგურ ფანჯარა Save As-ში, ველ Table Name-ში (ცხრილის სახელი) შეიტანეთ სახელწოდება სუდ და დააწერ პუნქტ ლილაკ OK-ზე;
11. გაიმეორეთ 5-8 ნაბიჯები ცხრილ სუდ-სთვის;
12. ანალოგიურად შექმენით ცხრილი „სპეციალობები“.

ადვილი შესამჩნევია, რომ მონაცემთა ბაზა „სტუდენტების“ ცხრილებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ასეთი კავშირია როგორც „სტუდენტებსა“ და „უსდ“-ს, ისე „სტუდენტებსა“და „სპეციალობებს“ შორის, ვინაიდან თითოეული სტუდენტი გარკვეულ უმაღლეს სასწავლებელი ჩაირიცხა გარკვეულ სპეციალობაზე.


ნაბიჯ 2

ცხრილებს შორის კავშირის დამყარება


1. აირჩიეთ მენიუს ბრძანება Database Tools⇒Relationships.



2. გაიხსნება ჩანართი Relationships და მასთან ერთად - დაალოგური ფანჯარა Show Table;
3. მონიშნეთ თანამიმდევრობით ცხრილები „სტუდენტები“, „უსდ“ და „სპეციალობები“ და დააჭირეთ ლილაკ Add-ს. დახურეთ დაალოგური ფანჯარა Show Table. ჩანართ Relationships-ში გამოჩნდება სამი ბატარა მართვულია დანვარის. თითოეული ცხრილის სათაურში შესაბამის სახელწოდებას დაინახეთ;




4. ცხრილებს შორის კავშირის დამყარებამდე დახურეთ ძირითადი ფანჯრის სამუშაო მაგიდაზე ჩანართები სტუდენტები, უსდ და სპეციალობები;
5. მიიტანეთ თაგვის მარცვენებელი ცხრილ „სტუდენტების“ ველ უსდ-ის კოდთან და მარცხენა ლილაკიდან თითის აულებლად გადაიტანეთ იგი ცხრილ „უსდ“-ის ამავე სახელწოდების ველზე. აიღეთ თითი ლილაკიდან. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Edit Relationships;



6. ამ ფანჯარაში მითითებულია კრთმანეთთან დაკავშირებული ცხრილებისა და ველების სახელები. ფანჯრის ქვედა ნაწილში ნაჩვენებია აგრეთვე ცხრილთაშორისი კავშირის სახე („One-To Many“ – ერთი-ბევრობა);
7. ჯერ მონიშნეთ Enforce Referential Integrity (მონაცემთა მთლიანობის შენარჩუნება), შემდეგ – Cascade Update Related Fields (კრთმანეთთან დაკავშირებული ველების კასპალური განხლება), ბოლოს კი – Cascade Delete Rewlated Records (კრთმანეთთან დაკავშირებული ჩანახერების კასპალურ წაშლა);

8. ანალიგიურად დაამყარეთ კავშირი „სტუდენტების“ და „სპეციალობების“ ცხრილებს შორის;
9. თუ ყველაფერი სწორადაა გაკეთებული, გამოჩინდება შემდეგი გამოსახულება:



10. ლილაკ Save-ზე დაჭრით, შეინახეთ ეს ცვლილებები ფანჯრის ზედა ნაწილში.

გავისძინოთ აამოუკიდებლად

უმაღლესი სასწავლო დაწსებულებების საბაკალავრო პროგრამების სპეციალობების ნუსხა 100-ზე მეტი დასახელების სპეციალობის მოიცავს, თუმცა ცნობილია, რომ ყოველ უმაღლეს სასწავლებელში ამ სპეციალობათა მხოლოდ ნაწილს ეუფლებან. შეიტანეთ მონაცემთა ბაზა „სტუდენტების“ სტრუქტურაში ისეთი ცვლილებები, რომ სტუდენტის უმაღლეს სასწავლებლის მითითების შემდეგ იხსნებოდეს არა ცხრილ „სპეციალობების“ სპეციალობათა სრული ჩამონაცვალი, არამედ მხოლოდ ის სპეციალობები, რომელიც მოცემულ უმაღლეს სასწავლებელში ისნავლება.

დაბამარჯება: ამისათვის დამატებით შეადგინეთ ცხრილები, რომლებიც თითოეული უმაღლესი სასწავლებლის სპეციალობები იქნება წარმოდგენილი.

შეამონეთ შენი ცოდნა

1. რომელ რეჟიმში იქმნება ცხრილის სტრუქტურა?
2. აკმაყოფლებს თუ არა მონაცემთა ბაზა „სტუდენტები“ ნორმალიზაციის მოთხოვნებს?
3. როგორ მყარდება ცხრილებს შორის კავშირი?
4. რა გზით შეაქვთ მონაცემები ცხრილში?
5. როგორ შეადგენთ შეკითხვას, როდესაც გსურთ იმ სტუდენტთა სიის მიღება, რომლებმაც საშუალო სკოლა დამთავრეს და უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხენ?

3.4 მონაცემთა ჩაზა „აზერბაიჯანული კინო“

ეს არის კადრი ფილმიდან „დედე გორგუდი“, რომელიც 1975 წელს სტუდია „აზერბაიჯანფილმშია“ გადაღებული. სცენარის ავტორია ანარი, ფილმის დამდგმელი რეჟისორი – ტოფიგ ტაგიზადე.

- ფილმის რომელი პერსონაჟები არიან გამოსახული სურათზე?
- ოლებზების რომელ შტოს ეკუთვნოდა დედე გორგუდი?



საქმიანობა

შეადგინეთ ტექსტურ რედაქტორში ცხრილი და შეავსეთ მისი ცარიელი ველები.
აზერბაიჯანული ისტორიული ფილმები

№	ფილმის სათაური	ისტორიული პერიოდი	მთავარი პერსონაჟები
1			
2			
3			
4			
5			

– რომელ სვეტებს დაამატებდით ცხრილში ფილმის შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად?

აზერბაიჯანული კინოს ისტორია სათავეს 1898 წლის 2 აგვისტოდან იღებს. პირველი ფილმები იყო: „ხანძარი ბიბი-ეიბატის ნავთობის შადრევანზე“, „ნავთობის შადრევანი ბალახანში“, „სახალხო სეირნობა ქალაქის ბალში“, „კავკასიური ცეკვა“ და სხვა ქრონოლოგიური სიუჟეტები, ასევე მხატვრული ფილმი „გაება“. იმ თარიღიდან მოყოლებული, 1935 წლამდე აზერბაიჯანში მუნჯ ფილმებს იღებდნენ. 1935 წელს კინოსტუდია „აზერფილმშა“, მოსკოვის კინოსტუდია «Межкрайпромфильм»-თან ერთად, გადაიღო პირველი ხმოვანი ფილმი „ყველაზე ლურჯ ზღვასთან“. ამის შემდეგ აზერბაიჯანში ხმოვანი ფილმების ნარმოება დაიწყო.

ამ გაკვეთილზე ჩვენ შევქმნით მონაცემთა ბაზა „აზერბაიჯანულ კინოს“. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, რომელი ცხრილები შევა ამ მონაცემთა ბაზაში და რომელი ველები იქნება მათში. ბუნებრივია, ამგვარ მონაცემთა ბაზაში ძირითადი ცხრილი, პირველ რიგში, უნდა შეიცავდეს ზოგადი ინფორმაციას ფილმების შესახებ. მეორეც – როდესაც რომელიმე კონკრეტულ ფილმზეა ლაპარაკი, კურ შისი დამდგმელი რეჟისორი უნდა მივუთითოთ. და ბოლოს, თითოეული ფილმის წარმატება მსახიობთა შესრულებაზეა დამოკიდებული. ცხადია, ნებისმიერი ფილმის წარმატება მარტო რეჟისორებითა და მსახიობებითა აო განისაზღვრება. ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სცე-

ნარისტის, ოპერატორის, მხატვრის, კომპოზიტორის, ხმის რეჟისორისა და შემოქმედებითი ჯგუფის სხვა წევრების პროფესიონალიზმი. ვინაიდან ჩვენი მიზანია არა ყოვლისმომცველი მონაცემთა ბაზის, არამედ, უბრალოდ, ნიმუშის შექმნა, საკმარისი იქნება სამი ცხრილი: „ფილმები“, „რეჟისორები“ და „მსახიობები“. განვსაზღვროთ ამ ცხრილების საწყისი სტრუქტურა. მოგვიანებით, აუცილებლობის შემთხვევაში, მათში ცვლილებების შეტანასაც შევძლებთ.

ცხრილ „ფილმების“ სტრუქტურა

გასაღები ველი	ველის სახელი	მონაცემთა ტიპი
#	ფილმის კოდი ფილმის სათაური გადაღების წელი რეჟისორის კოდი სცენარისტი 1-ლი მსახიობის კოდი მუ-2 მსახიობის კოდი მუ-3 მსახიობის კოდი	AutoNumber Text Number Number Text Number Number Number

ცხრილ „რეჟისორების“ სტრუქტურა

გასაღები ველი	ველის სახელი	მონაცემთა ტიპი
#	რეჟისორის კოდი გვარი სახელი მამის სახელი დაბადების თარიღი გარდაცვალების თარიღი	AutoNumber Text Text Text Date/Time Date/Time

ცხრილ „მსახიობების“ სტრუქტურა

გასაღები ველი	ველის სახელი	მონაცემთა ტიპი
#	მსახიობის კოდი გვარი სახელი მამის სახელი დაბადების თარიღი გარდაცვალების თარიღი	AutoNumber Text Text Text Date/Time Date/Time


მონაცემთა ბაზა „კინოს“ ცხრილი „ფილმები“ დაკავშირებულია ორივე დანარჩენ ცხრილთან: „რეჟისორებთანაც“ და „მსახიობებთანაც“.

61 პ 0 ჯ 61 პ 0 ჯ

მონაცემთა ბაზა „კინოს“ შექმნა

1. გახსენით პროგრამა Microsoft Access 2007;
2. შექმენით ცარიელი მონაცემთა ბაზა, სახელწოდებით „კინო“. პროგრამის მთავარი ფანჯარა გაიხსნება ცხრილის (Datasheet) რეჟიმში და ფანჯარაში გამოისახება ახალი ცარიელი ცხრილი სახელწოდებით Table1;

3. ცხრილის სტრუქტურის შესაქმნელად დააწერეთ ღილაკ View-ზე და აირჩიეთ კონსტრუქტორის რეჟიმი (Design View). გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Save As;
 4. შეიტანეთ ცხრილის სახელი ფილტები ველ Table Name-ში და დააწერეთ ღილაკ OK-ზე. ცხრილი „ფილტები“ გაიხსნება კონსტრუქტორის რეჟიმში;
 5. ზემოთ მოყვანილი სტრუქტურის შესაბამისად, ერთიმეტორის მიყოლებით შეიტანეთ ცხრილ „ფილტების“ ველებისა და მოზაცემთა ტაპების სახელები. შეცვალეთ ტექსტური ველების (Text) ზომები მათთვის გარკვეული მნიშვნელობის მინიჭებით. ყველა ველის შეტანის შემდეგ შეინახეთ ცვლილებები მთავარი ფანჯრის ზედა ნაწილში მდებარე ღილაკ Save-ზე დააწერეთ;
 6. ანალოგიურად შექმნით ცხრილები „რეჟისორები“ და „მსახიობები“;
 7. ცხრილებს შორის კავშირის დასამყარებლად აირჩიეთ მენიუს ბრძანება Database Tools⇒Relationships. გაიხსნება ჩანართი Relationships და მასთან ერთად – დიალოგური ფანჯარა Show Table. თანამიმდევრობით აირჩიეთ ცხრილები „ფილტები“, „რეჟისორები“ და „მსახიობები“ და გდაიტინეთ ისნი ფანჯარში;
 8. დააკავშირეთ ცხრილ „ფილტების“ ველი რეჟისორის კოდი ცხრილ „რეჰისორების“ შესაბამის ველთან. ზუსტად ასევე დაკავშირეთ ცხრილ „ფილტების“ ველები 1-ლი მსახიობის კოდი, მე-2 მსახიობის კოდი და მე-3 მსახიობის კოდი ცხრილ „მსახიობების“ ველ მსახიობის კოდთან.
- თუ ყველაფერს სწორად გაკეთებთ, მიიღებთ შემდეგ გამოსახულებას:



ახალა უკვე შეგიძლიათ, შეავსოთ ბაზა. დაამატეთ თითოეულ ცხრილში რამდენიმე ჩანაწერი შემდეგი ნიმუშების მიხედვით:

ცხრილი „ფილტები“

ფილტის კოდი	ფილტის სათაური	გადაღების ბილეტი	რეჟისორის კოდი	სცენარისტი	1-ლი მსახიობის კოდი	მე-2 მსახიობის კოდი	მე-3 მსახიობის კოდი
1	დედე გორგული	1975	1	ანარ რზაევი	1	2	3
2	ხასიმი	1973	2	ისა ჰუსე-ინოვი	3	4	5

ცხრილი „რეჟისორები“

რეჟისორის კოდი	გვარი	სახელი	მამის სახელი	დაბადების თარიღი	გარდაცვალების თარიღი
1	ტაგიზაძე	ტოფიგ	მებთიგულუ	07.02.1919	27.08.1998
2	სეიდბეგილი	ჰასან	შებთი	22.12.1920	25.06.1980

ცხრილი „მსახიობები“

მსახიობის კოდი	გვარი	სახელი	მამის სახელი	დაბადების თარიღი	გარდაცვალების თარიღი
1	მამედოვი	ჰასანი	ალამაშედი	22.11.1938	26.08.2003
2	გადოევი	ჰაშიმი		10.05.1937	
3	ბალაევი	რასიმი	ახმედი	08.08.1948	
4	ოსმანლი	ისმაილი	ოსამანი	11.04.1902	22.06.1978

დღემდე თქვენ მუშაობდით მონაცემთა ისეთ ტიპებზე, როგორებიცაა ტექსტი (Text), რიცხვები (Number), თარიღები (Data/Time) და მრიცხველი (Auto-Number). ხშირად ცხრილის ჩანაწერებში საჭირო ხდება გამოსახულების, ხმის, ვიდეოსა და სხვა ფაილების ჩასმა. ასეთ შემთხვევაში გვეხმარება მონაცემთა ტიპი Attachment (ჩანართი). მის გამოსაყენებლად ცხრილის სტრუქტურას ამ ტიპის ველი უნდა დაუმატოთ. ცხრილისთვის ახალი ველის დამატება შესაძლებელია როგორც ცხრილის, ისე კონსტრუქტორის რეჟიმში.

„ნაბიჯ-ნაბჯ-2“-ში მოცემული დავალების შესრულების დაწყებამდე იპოვეთ ცხრილში დამატებული თითოეული ჩანაწერის შესატყვისი გამოსახულება. გადაიტანეთ ეს ფაილები იმ საქაღალდეში, რომელშიც მონაცემთა ბაზა შეინახეთ.

ნაბიჯ ნაბიჯ 2

ცხრილის სტრუქტურისთვის ველ ჩანართის დამატება.

1. მონაცემთა ბაზის ფანჯარაში აირჩიეთ ცხრილი „ფილმები“, შემდეგ ინსტრუმენტების პანელზე დააწერ დალავ დალავ View-ზე და ჩამოშლილ სიაში აირჩიეთ პუნქტი Design View. ცხრილი „ფილმები“ გაიხსნება კონსტრუქტორის რეჟიმში;
2. დააწერ ცარიელ ველზე ცხრილის უკანსაკუნლი ველის შემდეგ. ეს ველი გააქტიურდება.
3. სვეტ Field Name-ში შეიტანეთ ახალი ველის სახელი (ფოტო) და მიუთითოთ მისი ტიპი Attachment;
4. შენახეთ ცვლილებები და დახურეთ ცხრილი, რისთვისაც დააწერ ფანჯრის ზედა ნაწილში მდებარე ლილავ Save-ზე;
5. ანალოგიურად დამატეთ ველი ფოტო დანარჩენი ცხრილების („რეჟისორები“ და „მსახიობები“) სტრუქტურას.

ცხრილში ველ ჩანართის დამატების შემდეგ შეგიძლიათ მასში ფაილების ჩასმა. საგალენებულო არ არის ამისათვის მონაცემთა ჩანართის კონკრეტული ფორმის შექმნა. გარდა ამისა, შეგიძლიათ, ფორმა ჩანართების დასათვალი-ერებობაც არ გაძლიერებით, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ჩანართების უშუალოდ ცხრილში გადათვალიერებისას ამ ფაილის მხარდამჭერი პროგრამები გამოიყენება. მაგალითად, როდესაც ცხრილთან მიმაგრებულ Word-ის

დოკუმენტს ხსნით, იყენებთ გამოყენებით პროგრამა Word-ს და დოკუმენტიც Access-ში კი არა, Word-ში იხსნება. თუ კომპიუტერში გამოყენებითი პროგრამა Word არ არის, გაიხსნება დიალოგური ფანჯარა, რომელიც ფაილის გასა-ხსნელად შესაფერის პროგრამას შემოგთავაზებთ.


ნაბიჯ ნაბიჯ 3

ცხრილში ჩანართების დამტება

1. მიიტანეთ თაგვის მაჩვენებელი ცხრილ „ფილმების“ სათაურთან და ორჯერ დააწერაპუნეთ. ცხრილი „ფილმების“ გაიხსნება ცხრილის რეჟიმში;

სტატუსი	მსახიობი-1 კოდი	მსახიობი-2 კოდი	მსახიობი-3 კოდი
ქადაგი	1	2	3
აღმოჩენა	3	4	5
რეალურება			ტ(0)
შემოტანი			ტ(0)
შესაბამისი			ტ(0)

2. გადაიტანეთ მაჩვენებელი პირველი ჩანაწერის ჩანართის ველში (ის აღნიშნულია სა-მაგრის ნიშნით) და ორჯერ დააწერაპუნეთ. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Attachments.



3. დააწერაპუნეთ ღილაკ Add-ზე. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Choose File;
4. დააწერაპუნეთ ღილაკ OK-ზე. ფაილი დაემატება ცხრილს და მიმაგრებული ფაილების მაჩვენებელი რიცხვი ერთით გაიზრდება.

ტ(1)
ტ(0)
ტ(0)

კინემატოგრაფი – ადამიანის საქმიანობის სფერო, რომელიც მოძრავი გამოსახულებების შექმნას ემსახურება. ტერმინი მომდინარეობს ბერძნული სიტყვებიდან და „მოძრაობის ჩაწერას“ ნიშნავს. ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი „სინემატოგრაფი“. მსოფლიო კინემატოგრაფიაში არის ფილმები, რომელთა სიუჟეტები კომპიუტერულ ტექნოლოგიებს უკავშირდება, მათი გმირები კი ხაკერები ან პროგრამისტები არიან. აი, ზოგიერთი მათგან:

- სილიკონის ველის პირატები (Pirates of Silicon Valley), 1999;
- სოციალური ქსელი (The Social Network) 2010;
- აგვისტო (August), 2008;
- სტარტაპი (Startup. com), 2011

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

ცხრილ „ფილმებში“ გათვალისწინებულია ველები სამი მსახიობისათვის, მაგრამ არ არსებობს მათ მიერ შესრულებული როლების ამსახველი ველები. შეიტანეთ ცხრილ „ფილმებში“ შესაბამისი ცვლილებები. კიდევ რომელ ცხრილებს დაუმატებდით მონაცემთა ბაზა „კინოს“? დაამატეთ მონაცემთა ბაზის სტრუქტურას ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ცხრილი და დაუკავშირეთ ისინი ცხრილ „ფილმებს“. შეიტანეთ ცხრილებში მონაცემები. შეემენით შესაფერისა ფორმა და მოამზადეთ აზგარიში თითოეული ცხრილისათვის.

შეამოხვა შეინ ცოდნა

1. როდიდან იწყება აზერბაიჯანული კინოს ისტორია?
2. დაასახელეთ პირველი აზერბაიჯანული ხმოვანი ფილმი.
3. რა არის ჩანართის ველი?
4. როგორ დაამატებთ რომელიმე ფილმის ფრაგმენტს ცხრილ „ფილმების“ შესაბამის ჩანაწერს?
5. როგორ ჩამოაყალიბებდით შეკითხვას მონაცემთა ბაზა „კინოში“ რომელიმე მსახიობის (ვთქვათ, ისმაილ ოსმანლის) მიერ შესრულებული როლების რაოდენობის მოსაძებნად?

3.5 მონაცემთა ჩაზა „აზერბაიჯანული ხალიჩა“

ნახატზე გამოსახული ცნობილი ხალიჩა „შეიხი საფი“ ხალიჩების ქსოვის თავრიზული სკოლის შედევრად, დეკორატიული ხალიჩების ყველაზე ლამაზ ნიმუშადაა აღიარებული. ის 1539 წელს არდებილში საგანგებოდ შეის საფის მეჩეთისთვის მოქსოვეს სეფიანთა დინსატიის მმართველის, თახმასის 1-ის დაკვეთით. 1893 წელს ხალიჩა ინგლისელებმა შეიძინეს და ლონდონში გადაიტანეს. ხალიჩა, რომელიც ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში ინახება, სიგანით 5,34 მ-ია, სიგრძით – 10, 51 მ, მისი ფართობი კი 56, 12 კვადრატულ მეტრ შეადგენს.

- თქვენი აზრით, რომელი პარამეტრების მითითებაა საჭირო ამა თუ იმ ხალიჩის აღწერისას?



საქმიანობა

1

მოამზადეთ ცხრილი ტექსტურ რედაქტორში. გამოიყენეთ აზერბაიჯანის ხალიჩების მუზეუმის საიტ azcarpetmuseum.az-ის მენიუ კოლექცია და მოცემული ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილის უჯრები ცნობებით რამდენიმე ხალიჩის შესახებ.

აზერბაიჯანული ხალიჩები

№	დასახულება	გამოსახულება	შექმნის ადგილი	თარიღი	მასალა	ტექნიკა	ზომა
1	ზილი		ბაქო	XIX ს-ის დასასრული	შალი	უხაო	142 × 200 სმ
2							
3							

- რა ტიპის მონაცემები უნდა ავირჩიოთ ცხრილის თითოეული ველისთვის, თუ მას პროგრამა Access-ში შევქმნით?
- თქვენი აზრით, ხალიჩის კოდეკს რომელი პარამეტრების ჩართვა შეიძლება ცხრილში?

ამ გაკვეთილზე ჩვენ შევქმნით მონაცემთა ბაზას სახელწოდებით „აზერბაიჯანული ხალიჩები“ („ხალიჩები“). იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორი ცხრილების შექმნა საჭირო მონაცემთა ამ ბაზაში და გავარკვიოთ, რომელი ველები უნდა იყოს ამ ცხრილებში, გავეცნოთ მოკლე ინფორმაციას აზერბაიჯანული ხალიჩების შესახებ.

აზერბაიჯანული ხალიჩები, მათი დამზადების ადგილის გეოგრაფიული მდებარეობის, მოხატულობის (ნახტის), კომპოზიციის, ფერთა შეხამებისა და ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით, პირობითად ხალიჩების ქსოვის 7 სკოლად იყოფა:

- 1. გუბის სკოლა;**
- 2. ბაქოს, ანუ აფშერონის სკოლა;**
- 3. შირვანის სკოლა;**
- 4. განჯის სკოლა;**
- 5. ყაზახის სკოლა** (იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: ყაზახის, ბორჩალოსა და გეიჩიას);
- 6. ყარაბაღის სკოლა** (იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: ჯაბრაილის, შუშისა და არანის);
- 7. თავრიზის სკოლა** (იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: თავრიზისა და არდებილის).

სასახლის სახელი

ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით აზერბაიჯანული ხალიჩები ხალიჩები და უხაოს ხალიჩებად იყოფა. უხაოს ხალიჩები ხალიჩების ქსოვის ხელოვნების ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება. ქსოვის მეთოდის, კომპოზიციის აგების, ორნამენტის მდგრადულობისა და ფერთა კოლორიტის მიხედვით უხაოს ხალიჩების 8 ტიპია ცნობილი: ფარდაგი, ჯეჯიმი, ლადი, ქილიმი, შადი, ვარნი, ზილი, სუმახი.

ხალიჩების მოკლე აღწერილობა გვიჩვენებს, რომ ბაზა, რომლის შექმნაც გადავწყვიტეთ, უნდა შედგებოდეს შემდეგი ცხრილებისაგან: „ხალიჩები“, „ხალიჩების ქსოვის სკოლები“, „ხალიჩების ქსოვის ტექნიკა“ და „ხალიჩების ტიპები“.

ცხრილ „ხალიჩების“ სტრუქტურა

გასაღები ველი	ველის სახელი	მონაცემთა ტიპი
#	ხალიჩის კოდი სახელწოდება	AutoNumber
	ფოტო	Text
	ისტორია	Text
	სკოლის კოდი	Number
	ჯგუფი	Text
	ტექნიკის კოდი	Number
	ტიპის კოდი	Number
	სიგანე	Number
	სიგრძე	Number

ცხრილ „ხალიჩების ქსოვის სკოლის“ სტრუქტურა

გასაღები ველი	ველის სახელი	მონაცემთა ტიპი
#	სკოლის კოდი სახელწოდება	AutoNumber

ცხრილ „ქსოვის ტექნიკის“ სტრუქტურა

გასაღები ველი	ველის სახელი	მონაცემთა ტიპი
#	ტექნიკის კოდი სახელწოდება	AutoNumber

ცხრილ „ხალიჩების ტიპების“ სტრუქტურა

გასაღები ველი	ველის სახელი	მონაცემთა ტიპი
#	ტიპის კოდი სახელწოდება ტექნიკის კოდი	AutoNumber Text Number

როგორც ცხრილების სტრუქტურიდან ჩანს, ცხრილი „ხალიჩები“ დაკავშირებულია ცხრილებთან „ხალიჩების ქსოვის სკოლა“, „ქსოვის ტექნიკა“ და „ხალიჩების ტიპები“, ხოლო ცხრილი „ხალიჩების ტიპები“ – „ქსოვის ტექნიკასთან“.


შევქმნათ მონაცემთა ბაზა „ხალიჩების“ ცხრილები პროგრამა Access-ში და დავამყაროთ მათ შორის კავშირი.

ნაბიჯ 1

მონაცემთა ბაზა „ხალიჩების“ შექმნა

- გახსენით პროგრამა Microsoft Access 2007;
- შექმნით მონაცემთა ბაზის ცარილო ფაილი, სახელწოდებით „ხალიჩები“;
- თანამიმდევრობით შექმნით სტრუქტურა შემდეგი ცხრილებისთვის: „ხალიჩები“, „ხალიჩების ქსოვის სკოლა“, „ქსოვის ტექნიკა“ და „ხალიჩების ტიპები“. განსაზღვრეთ ტექსტური ველების სიგრძე მათზე შესანახი ინფორმაციის ხასიათის შესაბამისად;
- ცხრილებს შორის კავშირის დასაყარებლად გახსენით ჩანართი Relationships. თანამიმდევრობით აირჩიეთ ცხრილები: „ხალიჩები“, „ხალიჩების ქსოვის სკოლა“, „ქსოვის ტექნიკა“ და „ხალიჩების ტიპები“ და გადაიტანეთ ისინი სამუშაო ველზე;
- დააკავშირეთ ცხრილ „ხალიჩების“ ველი სკოლის კოდი ცხრილ „ხალიჩების ქსოვის სკოლის“ ამავე სახელწოდების ველთან, ცხრილ „ქსოვის ტექნიკის“ ველი ტექნიკის კოდი – ცხრილ „ხალიჩების ტიპების“ ამავე სახელწოდების ველთან. ანალოგიურად დაამყარეთ კავშირი ცხრილ „ხალიჩების ტიპის“ ველ ტექნიკის კოდსა და „ქსოვის ტექნიკის“ შესაბამის ველს შორის;

თუ კულაურერი სწორად გაქვთ შესრულებული, მიიღებთ შემდეგ გამოსახულებას:



საქმიანობა

2

ზემოთ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეავსეთ ცხრილები „ხალიჩების ქსოვის სკოლა“, „ქსოვის ტექნიკა“ და „ხალიჩების ტიპები“.

ცხრილ „ხალიჩების“ შესავსებად გამოიყენეთ აზერბაიჯანის ხალიჩების მუზეუმის ოფიციალური საიტი და ლია ენციკლოპედია ვიკიპედიის (wikipedia.org) მასალები.


როგორც იცით, მონაცემთა ბაზის წარმოდგენა შეიძლება როგორც ცხრილს რეჟიმში, ისე ფორმის რეჟიმში. ფორმა ელექტრონული ბლანკია და მისი ველები მონაცემთა ბაზის ელემენტებს შეესაბამება. ამ ველებში ჩაწერილი მონაცემები ავტომატურად ხვდება ბაზის ცხრილებში.

ნაბიჯ


ნაბიჯ 2

ფორმის შექმნა ცხრილ „ხალიჩებისთვის“


1. გახსენით მონაცემთა ბაზა „ხალიჩები“;
2. აირჩიეთ მენიუ Create;




3. დააწერეთ ლილაკ Blank Form-ზე. გაიხსნება ქვემოთ მოცემული ფანჯარა. მარჯვნივ აისახება ბაზაში არსებული ცხრილების სახელწოდებები;



4. დააწერეთ ნიშან „+“-ზე, რომელიც ცხრილ „ხალიჩების“ წინ მდებარეობს. გამოჩენება ცხრილის ველები;
5. თაგვის მარცხნ ღილაკიდან თითის აუღებლად გადაიტანეთ სათითაოდ ყველა ველი (ამიერ ფორმაში);




- დააწერეთ ღილაკ AutoFormat-ზე Format მენუში. პროგრამა შემოგთავაზებთ სხვადასხვა სტილს ფორმის გარეგნული სახის შესაცვლელად;
 - თანმიმდევრულად აირჩიეთ თითოეული სტილი და დააკვირდით Form1-ის ფორმის ცვლილებას. აირჩიეთ თქვენთვის სასურველი სტილი და გადადით შემდეგ ნაბიჯზე;
 - დახურეთ ფანჯარა Form1. პროგრამა ჯერ ცვლილებების შენახვას შემოგთავაზებთ, Yes პასუხის მიღების შემდეგ კი – ფორმისთვის ახალი სახელის დარქმევას. შეიტანეთ სახელწოდება **ხალიჩიძი** და დააჭირეთ OK-ს. ფორმა ხალიჩიძი პანელ All Tables-ის შესაბამის განცყოლებას დაემატება;



9. ቤትና ማስቀመጥ የሚያስፈልግ አገልግሎት የሚከተሉ ነው እንደሆነ ተወስኗል፡፡

9. በርሃይሮ የሆኑንፃፃፃነዱት ማስረጃ ንብረቱ እንደሚከተሉ ነው፡፡

የመሆኑን ስምምነት መረጃ ይገልጻል፡፡



10. ამ ფორმის დახმარებით შეიტანეთ ცხრილ „ხალიჩებში“ ინფორმაცია კიდევ რამდენიმე ხალიჩის შესახებ;
11. მუშაობის დასრულებისას ჯერ ფორმა დახურეთ, შემდეგ კი – პროგრამა Access.

მონაცემთა ბაზაში დაცულ ინფორმაციასთან წვდომის უზრუნველსაყოფად, როგორც წესი, იყენებენ შეკითხვებს. ამ გზით მუშაობა მოსახერხებელი, სწრაფი და უსაფრთხოა.

ნაბიჯ ნაბიჯ 3

შეკითხვის შექმნა

1. გახსენით მონაცემთა ბაზა „ხალიჩების“ ფაილი;
2. გადადით მენიუ Create-ში და გახსნილ ინსტრუმენტების პანელზე დააწერ და დაბრუნებული კოდი Query Design-ზე. გაიხსნება გვერდი Query 1 და, მასთან ერთად, დიალოგური ფანჯარა Show Table;
4. დახურეთ ფანჯარა Show Table;
5. ცხრილ „ხალიჩებში“ ორჯერ დააწერ გველებზე სახელწოდება, ჯგუფი და ტექნიკის კოდი, ცხრილ „ხალიჩების ქსოვის სკოლაში“ – ველ სახელწოდებაზე, ცხრილ „ქსოვის ტექნიკაშიც“ – ველ სახელწოდებაზე. ეს ველები შეკითხვის ანკეტის ბლანკის ქვედა ნაწილში გამოისახება;
6. ჩაატარეთ ფილტრაცია ცხრილ „ხალიჩების ქსოვის სკოლის“ ველ სახელწოდებისათვის. ამისათვის დააწერ გველებზე შესაბამის უჯრაზე და ჩამოშლილ სიაში არჩიეთ პუნქტი Ascending (ზრდის მიხედვით);
7. ამვენ ველისთვის მიუთითეთ გადარჩევის პირობა: **ხალიჩების ქსოვის აფშერონის ცკოლა**. ამისათვის ეს სიტყვები შეიტანეთ შესაბამისი ველის სტრიქონ Criteria-ში (გადარჩევის პირობა);

Field:	დასახელება	ჯგუფი	ტექნიკის კოდი	დასახელება	დასახელება
Table:	ხალიჩები	ხალიჩები	ხალიჩები	ხალიჩების ქსოვის სკ	ქსოვის ტექნიკა
Sort:				Ascending	
Show:	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
Criteria:	...				

Num Lock



8. დააწერაპუნეთ ინსტრუმენტების პანელის ღილაკ **-ზე.** შეხედეთ შედეგს;

Query1				
Ковры.Назв	Группа	КодТехники	Школы ков	Техники ТК:
"Fatmayi"	Bakı	1	Абшеронская	Xovlu
"Novxani"	Bakı	1	Абшеронская	Xovlu
*				

9. აირჩიეთ ბრძანება **View⇒Design View** და გადადით კონსტრუქტორის რეჟიმში;
10. დახურეთ შეკითხვის ფანჯარა. პროგრამა შემოგთავაზებთ შეკითხვის შენახვას;
11. შეინახეთ შეკითხვა სახელწოდებით პიროვნები. შეკითხვის ფაილის სახელწოდება გამოიყენება მთავარი ფინჯრის მარცხნიანი ნაწილში, იმ ცხრილების სახელების ქვემოთ, რომლებიც შეკითხვას ეხება.

ამგვარად, ამ თავში თქვენ გაეცანით მონაცემთა ბაზის რამდენიმე პროექტს. ასეთი პროექტების წარმოდგენისას უნდა შეეხოთ შემდეგ საკითხებს:

- რა მიზანი აქვს მონაცემთა ამ ბაზის შექმნას?
- სად და როგორ მიიღებთ ბაზისთვის აუცილებელ მონაცემებს?
- რა ცხრილები შექმნით და როგორ გაანაწილეთ მათში მონაცემები?
- რატომაა ცხრილები ამგვარად დასტრუქტურებული?
- რომლებია თითოეული ცხრილის გასაღები ველები?
- რა კავშირია ცხრილებს შორის?
- შეესაბამება თუ არა ცხრილები ნორმალიზაციის მოთხოვნებს?

პროექტის თემიდან გამომდინარე, შეგიძლიათ, სხვა საკითხებიც წამონიოთ.

LAYIH

შევისრავლოთ | დამოუკიდებლად

დაწერილებით გაეცანით აზერბაიჯანის ხალიჩების მუზეუმის საიტს. რა საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა ეს მუზეუმი? ხალიჩებთან ერთად, კიდევ რომელი ხელოვნების ნაწარმოებებია დაცული მასში? აირჩიეთ ერთ-ერთი ამ კოლექციათაგან და მომზადეთ მისთვის მონაცემთა ბაზა. მოიფიქრეთ, რომელი ცხრილები უნდა შევიდეს ამ ბაზაში. დაამყარეთ ცხრილებს შორის კავშირი. შეიტანეთ რამდენიმე ჩანაწერი მონაცემთა ბაზაში. შექმნით შესაფერისი ფორმა და ანგარიშის ფაილი თითოეული ცხრილისთვის.



შეამოხვა შენი ცოდნა

1. რა ტიპის კავშირი არსებობს ცხრილებს – „ხალიჩებსა“ და „ხალიჩების ქსოვის სკოლას“ – შორის?
2. არსებობს თუ არა მხოლოდ ერთი ცხრილის შემცველი მონაცემთა ბაზა?
3. შეიძლება თუ არა, ერთი ცხრილის ყველა ველი სხვა ცხრილების ველებს უკავშირდებოდეს?
4. რა უპირატესობა აქვს ფორმების გამოყენებას?
5. პროექტის რომელ ასპექტებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება მონაცემთა ბაზის პროექტის წარმოდგენისას?

1. რომელი გამონათქვამია ჭეშმარიტი?
 - ა) მოკლევადიანი პროექტების შესრულების ხანგრძლივობა 1 წელიწადია;
 - ბ) საშულოვადიანი პროექტების შესრულების ხანგრძლივობა 2-3 წელია;
 - გ) მონაცემთა ბაზის ცხრილის თითოეულ სტრიქონს ველი ენოდება, თითოეულ სვეტს კი – ჩანაცერი;
 - დ) მეორე ნორმალური ფორმის მოთხოვნის თანახმად, ცხრილის სტრიქონისა და სვეტის გადაკვეთაზე, ანუ ყოველ უჯრაში მხოლოდ ერთი მნიშვნელობა უნდა ეწეროს;
 - ე) მესამე ნორმალური ფორმის მოთხოვნის თანახმად, ნებისმიერი არა გასაღები ველის ცვლილება სხვა ველებზე არ უნდა მოქმედებდეს;
 - ვ) მონაცემთა ბაზის ცხრილები ვიდეოინფორმაციის ჩართვა შეუძლებელია;
 - ზ) ცხრილის ჩანართების ველში ერთზე მეტი ფაილის მოთავსება შეუძლებელია;
 - თ) შეკითხვები მონაცემთა ბაზაში მიმართვისთვის გამოიყენება; შეკითხვების გამოყენებით მუშაობა ადვილია და უსაფრთხო.
2. შეავსეთ წინადადებებში გამოტოვებული ადგილები შესაბამისი გამონათქვამებით:
 - ა) პროექტი არის ლონისძიება, რომლის მიზანია ----- ან ----- შექმნა შეზღუდული დროისა და რესურსების პირობებში;
 - ბ) ----- მიხედვით არჩევნენ ორგანიზაციულ, ტექნიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა პროექტებს;
 - გ) წებასმიერი პროექტის შემუშავება რამდენიმე სტადიას გადის. ეს არის: წანაფიქრი, -----, დასრულება და -----.
 - დ) პროექტის სტრუქტურა ----- ეტაპზე განისაზღვრება;
 - ე) ----- ნორმალიზაციის წესების შემონმების საშუალებას იძლევა;
 - ვ) ----- ფორმა მოითხოვს, რომ ყველა არა გასაღები ველი ერთმანეთზე კი არა, პირველად გასაღებზე იყოს დამოკიდებული;
 - ზ) ცხრილის უჯრებში გამოსახულების, ხმის, ვიდეოსა და სხვა ფაილების განსათავსებლად გამოიყენება მონაცემთა ტიპი -----;
 - თ) შეკითხვის შედგენისას გადარჩევის პირობა უნდა შევიტანოთ ----- უჯრაში.
3. რა არის კასკადური მოდელი და რატომ დაერქვა მას ეს სახელი?
4. რა საჭიროა მონაცემთა ბაზის ნორმალიზაცია?
5. ბაზაში მონაცემების შეტანისას რა შემთხვევაში იყენებენ ცხრილის რეჟიმს და რა შემთხვევაში – ფორმას?



LAYIH



4

ქსელური ტექნოლოგიაზი

- 4.1. კომპიუტერების ურთიერთქმედება ქსელში
- 4.2. ქსელის არქიტექტურა
- 4.3. უსადენო ქსელური ტექნოლოგიები
- 4.4. მოდელი TCP/IP
- 4.5. მობილური კავშირის ტექნოლოგია
- 4.6. ინტერნეტმომსახურება

LAYIH




კომპიუტერული ქსელი სხვადასხვა მოწყობილობის – სერვერების, მომხმარებელთა სამუშაო საფერებების, ნოუთბუკების, ჯიბის კომპიუტერების, პრინტერების, ქსელური დამაგროვებლებისა და ა.შ. – კომპინაციაა. ამ მოწყობილობათა ერთმანეთთან დასაკავშირებლად სხვადასხვა ტიპის ქსელურ კაბელებს, სატელეფონო ან თანამგზავრულ არხებს იყენებენ, ბოლო ხანებში კი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება უსადენო კავშირი (WLAN, Wi-Fi, Wi-MAX).

კაბელების გამოყენებისას აუცილებელია სპეციალური კონექტორები, რომლებიც მათ ბოლოებზე მაგრდება. კონექტორის მეშვეობით კაბელის ერთი ბოლო თავსდება ქსელურ ადაპტერში – სპეციალურ დალუქულ ბლატაში („გაფართოების კარტაში“), რომელიც კომპიუტერს აქვს და ქსელში მისა ჩართვის სამუალებას იძლევა, ხოლო მეორე ბოლო – კავშირგაბმულობის რომელიმე მოწყობილობაში (კონცენტრატორში, ხიდში, კომუტატორში, მარშრუტიზატორში, ბლუზში და ა.შ.). უსადენო ქსელური ადაპტერის გამოყენების შემთხვევაში ქსელთან ურთიერთქმედება ადაპტერსა და ლოკალურ ქსელთან მიერთებულ წვდომის წერტილს შორის რადიოსიგნალების გადაცემის ხარჯზე ხორციელდება. თუმცა კომპიუტერების ერთმანეთთან მიერთება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი – საჭიროა, მათ ერთმანეთთან „ლაპარაკიც“ ვასწავლოთ. ამისათვის საჭიროა ქსელური ოპერაციული სისტემები, რომლებიც პროტოკოლების ან ენების ერთსა და იმავე ნაკრებს იზიარებს და კომპიუტერებს ქსელში ურთიერთობის სამუალებას აძლევს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, ქსელური დანართის ჩართვის შემდეგ შევძლებთ, მაგალითად, ვესაუბროთ დედამიწის საპირისპირო მხარეს მყოფ მეგობარს.

LAYIN

1. რას უწოდებენ კავშირგაბმულობის საშუალებებით ერთმანეთთან
მიერთებული და ერთიან სისტემად ქცეული კომპიუტერების ან
მოწყობილობების ჯგუფს?
 - ა) გრაფს;
 - ბ) აბლაბუდას;
 - გ) ქსელს;
 - დ) მასივს.
2. აქტიური ქსელური მოწყობილობა არ არის:
 - ა) მოდემი;
 - ბ) მარშრუტიზატორი;
 - გ) ქსელური კარტა;
 - დ) პორტი (გასართი) RJ-45.
3. პასიური ქსელური მოწყობილობა არ არის:
 - ა) ქსელური კაბელი (CAT5);
 - ბ) პორტი RJ-45;
 - გ) ადაპტერი Wi-Fi;
 - დ) სამონტაჟო კარადა.
4. რომელი მოწყობილობის ფუნქციაა მონაცემთა პაკეტის მიღება და მისი
ყველაზე ხელსაყრელი გზით გადაგზავნა?
 - ა) შლუზის;
 - ბ) ხიდის;
 - გ) მარშრუტიზატორის;
 - დ) კონცენტრატორის.
5. რომელი მოწყობილობა გამოიყენება ქსელის ქვევექსელებად დაყოფის ან
ერთი ტიპის ქსელების გაერთიანების მიზნით?
 - ა) შლუზი;
 - ბ) ხიდი;
 - გ) მარშრუტიზატორი;
 - დ) კონცენტრატორი.
6. რომელი მოწყობილობა გამოიყენება სხვადასხვა ტიპის, კავშირგაბმულობის
სხვადასხვა პროტოკოლით მომზუშვე ქსელებს შორის ინფორმაციის
გაცვლის უზრუნველსაყოფად?
 - ა) შლუზი;
 - ბ) ხიდი;
 - გ) მარშრუტიზატორი;
 - დ) კონცენტრატორი.
7. ქსელის რომელი ტოპოლოგიაა გამოსახული ნახატზე?
 - ა) ვარსკვლავი;
 - ბ) რგოლი;
 - გ) ხე;
 - დ) სალტე.
8. რომელი მოწყობილობაა აუცილებელი უსადენო ქსელთან კომპიუტერის
მისაერთებლად?
 - ა) ადაპტერი Wi-Fi;
 - ბ) ხიდი;
 - გ) შლუზი;
 - დ) მარშრუტიზატორი.
9. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა არ არის ინტერნეტმომსახურების სახეობა?
 - ა) WWW;
 - ბ) FTP;
 - გ) IP-Phone;
 - დ) Access.
10. რომელი მომსახურება გამოიყენება ფაილის ერთი კომპიუტერიდან
მეორისათვის გადასაცემად?
 - ა) WWW;
 - ბ) FTP;
 - გ) IP-Phone;
 - დ) Telnet.



4.1 კომპიუტერის ურთიერთებების სენტრი

ურთიერთობისთვის ადამიანები ძირითადად ზეპირმეტყველებას მიმართავენ. თუმცა ამგვარი უშუალო ურთიერთობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მოსაუბრები ერთსა და იმავე ადგლობი იმყოფებიან. ახლა წარმოიდგინეთ, რომ გსურთ, ინფორმაცია გადასცეთ ადამიანს, რომელიც სხვა ადგილას (ქალაქში, ქვეყანაში) ცხოვრობს. ასეთ შემთხვევაში იძულებული გახდებით, კონკრეტული მოქმედებები ჩაატაროთ, კერძოდ, დაწეროთ წერილი, მოაწეროთ მას ხელი, ჩადოთ კონვერტში, დაანეროთ ზედ გამგზავნისა და მიმღების მისამართები, დაანებოთ მარკა, გადასცეთ კონვერტი ფოსტალიონს (ან ჩაგდოთ საფოსტო ყუთში). ამ წერილის შემდგომი ბეჭდი უკვე თქვენზე კი არა, საფოსტო სამსახურზე დამოკიდებული. დანიშნულების ადგილამდე (ქვეყანამდე, ქალაქამდე) წერილს მატარებლით, გემით, თვითმფრინავით ან სხვა გზით გადაიტანენ.

შემდეგ ის იმ რაიონის საფოსტო განყოფილებაში მოხდება, რომელშიც თქვენი ნაცნობი ცხოვრობს და ბოლოს მის საფოსტო ყუთში აღმოჩნდება. მხოლოდ მაშინ გახსნის მას მიმღები და გაეცნობა თქვენ მიერ გაგზავნილ ინფორმაციას.




საჯაროება

ნახატზე ნაჩვენებია ელექტრონული ფოსტით წერილის მიღების სქემა. შეადარეთ იგი ფოსტის მიღების ტრადიციულ მეთოდს.

- ელექტრონული ფოსტის რომელი ფუნქციებია ტრადიციული საფოსტო განყოფილების ფუნქციების იდენტური?

- როგორ ფიქრობთ, რა ფუნქციას ასრულებს სპამის საწინააღმდეგო ფილტრი?



ზუსტად ასე „იქცევიან“ კომპიუტერები ქსელში ურთიერთობისას. ერთმანეთთან უშუალო ურთიერთობის საშუალება მათ არ გააჩნიათ – „ლაპარაკა“ ჯერ არ უსწავლიათ. ამიტომ უხდებათ მთელი რიგი თანამიმდევრული პროცედურების, ე.ნ.

ქსელური პროტოკოლების (ლემების), ჩატარება.

პროტოკოლების საიმედო და შეთანხმებული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, თითოეული ოპერატორი მათში მკურადაა რეგლამენტირებული, ხოლო იმისათვის, რომ სხვადასხვა მწარმოებლის მიერ მექმნილ პროგრამებსა და

მოწყობილობებს ერთიმეორესთან ურთიერთობა შეეძლოს, პროტოკოლები გარკვეულ საწარმოო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს.

ჯამის სამართლებრივი

- პროტოკოლი
- OSI მოდელი
- OSI მოდელის 7 დონე
- პაკეტი
- კადრი
- ქსელური სეანსი


პროტოკოლი ქსელში კომპიუტერების ურთიერთობის მარეგულირებელი წესებისა და პროცედურების ნაკრებია.

წლების განმავლობაში მრავალი სხვადასხვა პროტოკოლი იქმნებოდა, როგორც ლია (უფასო გამოყენებისთვის გამოქვეყნებული), ისე დახურული (კომუნიკაციული კომპანიების მიერ შემუშავებული და სპეციალური ლიცენზით გამოსაყენებლი) ქსელებისათვის. 1984 წელს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (International Organization for Standardization, ISO) დამტკიცა მოდელი **OSI** (Open Systems Interconnection) – წესების ანუ სტანდარტების ნაკრები, რომელიც არეგულირებს კომპიუტერებს შორის კავშირს და მინიმუმამდე ამცირებს შეცდომების რიცხვს ინფორმაციის გაცვლისას. ეს მოდელი ასევე ცნობილია, როგორც მოდელი **ISO/ OSI**.

ყურადღება! **OSI** თეორიული მოდელია. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს მოდელი, ერთ-ერთ მომდევნო გაკვეთილზე გამბობთ.

OSI (იკითხება „ო-ეს-აი“) მოდელს 7-დონიანი ვერტიკალური სტრუქტურა აქვს. თითოეულ მათგანს საკუთარი ფუნქცია, მკაფიოდ განსაზღვრული ოპერაციები, მოწყობილობები და პროტოკოლი გააჩნია. დონეებს შორის ურთიერთქმედება, ანუ ინფორმაციის გადაცემა კომპიუტერის შიგნით, მხოლოდ ვერტიკალური მიმართულებით და მხოლოდ მომიჯნავე დონეებს შორის (ერთი დონით ქვევით ან ზევით) არის შესაძლებელი.

OSI მოდელის 7 დონე



დაბალი დონის ფუნქციაა მონაცემების მიღება, მათთვის საკუთარი ინფორმაციის (მაგალითად, ფორმატის, მისამართის, რაც აუცილებელია სხვა კომპი-

უტერის ანალოგიურ დონესთან ზუსტი ურთიერთობისათვის) დამატება და გადაცემა. მხოლოდ ყველაზე დაბალი, ფიზიკური, დონის მიღწევის შემდეგ ხვდება ინფორმაცია გადაცემის გარემოში და აღწევს მიმღებ კომპიუტერს. აქ იგი კვლავ გაივლის ყველა დონეს, ოლონდ საწინააღმდეგო მიმართულებით, ვიდრე არ მიაღწევს იმავე დონეს, რომლიდანაც გამომგზავნი კომპიუტერიდან გადმოიცა.

როგორც ვხედავთ, ყველაფერი ეს ძალიან მოგვაგონებს მაგალითს საფოსტო სამსახურის მუშაობიდან – პროგრამები ქსელში დაახლოებით ისევე ურთიერთობენ, როგორც თქვენ – თქვენს ნაწინობთან – ფოსტით. თქვენ მიერ გაგზავნილი ქაღალდის ფურცელი (ტექსტით) ზედა დონიდან ქვევით გადაეცემა და ბევრ აუცილებელ სტადიას გაივლის. ამასთან, ის თანდათან „იზრდება“ – ემატება შესაბამისი ინფორმაცია (გარკვეული სახის კონვერტი, მისამართი კონვერტზე, საფოსტო ინდექსი) და გარკვეულ ზემოქმედებას ექვემდებარება (განცყოფილებაში წერილს ფოსტალიონი იღებს, კონვერტზე მარკებს აწებებს, შტამპს არტყამს, ახარისხებს. დახარისხების შემდეგ კი ეს კონვერტი ფოსტის სხვა ქაღალდში გადასატანად განკუთვნილ კონტეინერში ხვდება). ასე აღწევს თქვენი ინფორმაცია ყველაზე დაბალ დონეზე – საფოსტო ტრანსპორტამდე, რითაც იგი დანიშნულების ადგილამდე გადააქვთ. იქ ყველაფერი პირუკულ ხდება: ხსნიან კონტეინერს, ამოილებენ წერილს, კითხულობენ მისამართს, რის შემდეგაც ფოსტალიონი წერილს თქვენს მეგობარს მიუტანს. მერე კი, როცა ადრესატი კონვერტს გახსნის, წერილს ამოილებს, ხელმონერას შეამონებს და ტექსტს წაიკითხავს, ის მიიღებს ინფორმაციას იმ სახით, რა სახითაც გაუგზავნეთ.

მოდით, უფრო დაწვრილებით გავეცნოთ OSI მოდელის დონეებს.

- **დონე 1 – ფიზიკური (Physical).** აქ ხდება ზედა (მეორე, ანუ მონაცემთა გადაცემის არხის) დონიდან მიღებული დაუსტრუქტურებელი ბიტების ნაკადის გადაცემა ფიზიკურ გარემოში, მაგალითად, ელექტრული ან სინათლის იმპულსების სახით. ფიზიკური გარემო უზრუნველყოფს კავშირის დამყარებას და განცყვეტას (link) და დეტალურად იწერს ელექტრულ, ოპტიკურ, მექანიკურ და ფუნქციურ ინტერფეისებს გადაცემის გარემოდან. ეს მოიცავს ძაბვას, სიბმირეს, ტალღის სიგრძეს, კონექტორების ტიპს, კონტაქტების რიცხვსა და ფუნქციურობას, სიგნალების კოდირების სქემას და ა.შ.
- **დონე 2 – მონაცემთა გადაცემის არხის (Data-link)** – უზრუნველყოფს ზემდებრე ქსელური დონიდან მონაცემთა შეცდომების გარეშე გადაცემას ფიზიკური დონის (1) გავლით, რომელიც თავისთავად უშეცდომობის გარანტიას ვერ იძლევა და შეუძლია, დაამახინჯოს მონაცემები. ამ დონეზე ინფორმაცია თავსდება კადრებში (frames), სადაც თავში გამგზავნისა და მიმღების მისამართები და, ამასთან ერთად, მმართველი ინფორმაცია იხახება, ბოლოში კი – საკონტროლო ჯამი, რომელიც გადაცემისას წარმოქმნილი შეკდომების გამოვლენის საშუალებას იძლევა.
- **დონე 3 – ქსელური (Network)** – უზრუნველყოფს კავშირს დედამინის ნებისმიერ, თუნდაც ერთმანეთისგან ძალზე დაშორებულ წერტილებს შორის, ეს დონე ახორციელებს შეტყობინებების გადაცემას ქსელში, რომელიც მრავალი, კავშირგაბმულობის სხვადასხვა ხაზით დაკავშირებული ცალკეული ქსელისგან შედგება. ასეთ მიწოდებას მარშრუტიზაცია, ანუ შეტყობინების მიწოდების გზის განსაზღვრა და ამასთან

LAPTOP

ერთად, მონაცემთა ნაკადის მართვისა და მისი გადაცემისას წარმოქმნილი შეცდომების დამუშავების პრობლემების გადაჭრა ესაჭიროება.

- **დონე 4 – ტრანსპორტული (Transport)** – უზრუნველყოფს ინფორმაციის ერთი კომპიუტერიდან მეორეზე გადაცემას. გამომგზავნი კომპიუტერის ამ დონეზე მონაცემთა მსხვილი ბლოკები წვრილ-წვრილ პაკეტებად იყოფა, რომლებიც მიმღებ კომპიუტერს საჭირო თანამიმდევრობით, უდანაკარგოდ და დუბლირების გარეშე მიეწოდება. მიმღებ კომპიუტერში პაკეტები კვლავ მონაცემთა საწყის ბლოკებად ერთიანდება. ამგვარად, ტრანსპორტული დონე ამთავრებს მონაცემთა გადაცემის პროცესს.
- **დონე 5 – სესიის (Session)** – საშუალებას აძლევს ორ ქსელურ დანართს, სხვადასხვა კომპიუტერზე დაინტერაქცირება. შეინარჩუნოს და დაასრულოს კავშირი, რომელსაც ქსელური სესიის ეწოდება. ეს დონე უზრუნველყოფს აგრეთვე ავარიულად შენვეტილი სესიების აღდგენას. გარდა ამისა, ამ დონეზე სრულდება კომპიუტერებისთვის ადამიანის მიერ დარქმეული სახელების ქსელურ მისამართებად გარდაქმნა (სახელების ამოცნობა) და სეანსის დაცვის ფუნქცია.
- **დონე 6 – პრეზენტაციის (Presentation)** – განსაზღვრავს კომპიუტერებით გადაცემული ინფორმაციის ფორმატს. აქ მონაცემები ხელმეორედ კოდირდება (ინფორმაციის მიმოცვლაში მონაწილე ყველა კოპიუტერის-თვის გასაგებად გადაიქცევა), იკუმშება, დაიშიფრება და გაიშიფრება, აქვე წყდება ქსელური ფაილების სისტემისთვის მხარდაჭერის საკითხი.
- **დონე 7 – პროგრამული (Application)** – უზრუნველყოფს ქსელის კომპიუტერებში მომუშავე პროგრამების ურთიერთქმედების ინტერფეისს. სწორედ ეს პროგრამები აძლევს მომხმარებელს წვდომას ისეთ ქსელურ მომსახურებასთან, როგორიცაა ფაილების გაცვლა, ელექტრონული ფოსტა, წვდომა შორ მანძილზე და ა.შ.

გევისნავლოთ

დამოუკიდებლად


შეკრიბეთ ინტერნეტში დამატებითი ინფორმაცია OSI მოდელის შესახებ. შეადგინეთ ცხრილი და მიუთითეთ მასში, რომელი პროტოკოლები (ოქმები) არის გამოყენებული თითოეულ დონეზე.

შეამონეთ შეიტოვეთ

1. რას ნიშნავს ტერმინი ქსელური პროტოკოლი (ოქმი)?
2. რომელი ქსელური ფუნქციებია რეალიზებული OSI მოდელში?
3. რომელი დონე უზრუნველყოფს მონაცემთა გადაცემის მარშრუტს?
4. რომელი დონე აკონტროლებს შეცდომების გამოვლენას მონაცემთა გადაცემისას?
5. რომელი დონე უზრუნველყოფს პროგრამების ურთიერთქმედებას ელექტრონული ფოსტის გაგზავნისას?

4.2 ქსელის არქიტექტურა

- ქსელის რომელი ტოპოლოგიებია აღნერილი სქემებზე?
- კიდევ რომელ ქსელურ ტოპოლოგიებს იცნობთ?



სამიზანოება

დაგუშვათ, რომ დაგავალეს კომპიუტერული ქსელის აწყობა მცირე კომპანიისთვის, რომლის სქემა ნარმოდენილია ქვემოთ.

სათათბირო ოთახი	განყოფილება A	დირექტორი
ქსელის ადმინისტრატორი	განყოფილება B	მთავარი ბუღალტერი

- ქსელის რომელ ტოპოლოგიას აირჩევთ, რათა რაც შეიძლება ნაკლებად გამოიყენოთ ქაბელები?
- რამდენი პრინტერი დაგჭირდებათ სამუშაოს ეფექტური ორგანიზაციისათვის და სად განათავსებთ მათ?

კომპიუტერული ქსელების შექმნისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა სათანადო ქსელური არქიტექტურის შერჩევა. **ქსელური არქიტექტურა** არის სტანდარტების, ტოპოლოგიებისა და პრიტოკოლების (ოქმების) ნაკრები, რომელიც აუცილებელია მომუშავე ქსელის ასაწყობად. ქსელური ტექნოლოგიების ისტორია მრავალ სხვადასხვა არქიტექტურას იცნობს. ზოგი-ერთი მათგანი უკვე აღარც გამოიყენება, მაგრამ ისეთ ტექნოლოგიებს, როგორიცაა, მაგალითად, Ethernet, არა მარტო აქტიურად იყენებენ, არამედ გამუდმებით სრულყოფენ კიდევ:

სიტყვა Ethernet (იკითხება: „ეზერნეტ“) ორი ინგლისური სიტყვისგან – „ether“ („ეთერი“) და „network“ („ქსელი“) – არის ნაწარმოები და „მაუნტებლობის ქსელს“ ან „ქსელურ გარემოს“ ნიშნავს. არქიტექტურა Ethernet პირველად კომპანია Xerox-მა შექმნა 1970-იანი წლების შუა პერიოდში. Intel-ისა და DEC-ის მიერ განახლების შემდეგ, ის საფუძვლად დაედო 1985 წელს მიღებულ IEEE 802.3 სტანდარტს. ამ სტანდარტის თანახმად, Ethernet არქიტექტურა შემდეგი პარამეტრებით ხასიათდება:

არქიტექტურა Ethernet

№	პარამეტრი	მნიშვნელობა
1	ტოპოლოგია	სალტე
2	წვდომის მეთოდი	CSMA/CD
3	გადაცემის სიჩქარე	10 მბიტ/წმ
4	გადაცემის გარემო	კოაქსიალური კაბელი
5	კაბელების ბოლოებში გარსაცმების (ტერმინატორების) გამოყენება	აუცილებელია
6	ქსელური სეგმენტის მაქსიმალური სიგრძე	500 მ-დე
7	ქსელის მაქსიმალური სიგრძე	2,5 კ-მდე
8	კომპიუტერების მაქსიმალური რაოდენობა სეგმენტში	100
9	კომპიუტერების მაქსიმალური რაოდენობა ქსელში	1024

Ethernet-ის საწყის ვერსიაში გათვალისწინებული იყო ორი სახის კოაქსიალური კაბელის – „სქელისა“ და „წვრილის“ (სტანდარტები **10Base-5** და **10**

- Base - 2**, შესაბამისად) – გამოყენება. თუმცა 1990-იანი წლების დასაწყისიდან Ethernet-ის ქსელის ასაწყინობად გრეხილი წყვილისა (**10Base-T**) და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის (**10Base-FL**) გამოყენება დაიწყეს. შემდგომ, 1995 წელს, შეიქმნა **Fast Ethernet** (IEEE 802.3u), რომელიც 100 მბიტ/წმ სიჩქარეს უზრუნველყოფდა, 1998 წელს – სტანდარტი **Gigabit Ethernet** (IEEE 802.3z და 802.3ab), ხოლო 2002 წელს – სტანდარტი **10 Gigabit Ethernet** (IEEE 802.3ae).

ყურადღება! აბრევიატურა IEEE (იკითხება: „აი-ტრიპლ-ი“) ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის ინჟინერთა ინსტიტუტის (Institute of Electrical and Electronics Engineers) სახელწოდების შემოყვალებული ვარიანტია. ეს ორგანიზაცია 1963 წელს ჩამოყალიბდა ამერიკული ასოციაციების, IAEE-სა და IRE-ს, შერწყმის შედეგად. ის აწყობს და ასპონსორებს ტექნიკურ კონფერენციებს, სიმპოზიუმებსა და სემინარებს, მონაცილეობს მსხვილ საგამომცემლო და საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

Ethernet-ის არქიტექტურას გარკვეული უპირატესობები გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, ეს ტექნოლოგია ძალზე ადვილად განსახორციელებელია. მოწყობილობა Ethernet (ქსელური ადაპტერები, დამაგროვებლები, კომუტატორები და ა.შ.) სრვა ქსელური არქიტექტურების მოწყობილობებზე გაცილებით იაფია. Ethernet-ში პრაქტიკულად ნებისმიერი კაბელის გამოყენება შეიძლება, ხოლო ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით სარგებლობა შესაძლებელს ხდის ქსელის დაშო-

რებული ნაწილების ერთმანეთთან მიერთებას. და ბოლოს, Ethernet-ის სხვადასხვა ვარიანტის თავსებადობა ძალზე მაღალია, რაც არსებული კაბელური ინფრასტრუქტურის პირობებში ქსელის სიმძლავრის გზრდის საშუალებას იძლევა, ხოლო ახალი, უფრო ჩქაროსნული სეგმენტების ჩართვის მეშვეობით – მისი გაფართოების საშუალებასაც. სწორედ ამიტომაა, რომ დღესდღეობით Ethernet არქიტეტეტურა არა მარტო ლოკალურ ქსელებში დომინირებს, არამედ სხვა ტექნოლოგიებს ავინარებს რეგიონალურ და გლობალურ ქსელებში.

Ethernet ქსელების ძირითადი ნაკლი მათში CSMA/CD (Carrier Sense Multiple Access with Collision Detection) გარემოში შეღწევის მეთოდის (მრავლობითი შეღწევა შეჯახებების გამოვლენით) გამოყენებას უკავშირდება. ამ პროტოკოლს იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც ქსელის ორი ან მეტი ნერტილი (სადგური) ცდილობს, ერთდროულად დაიწყოს მაუწყებლობა. პროტოკოლ CSMA/CD-ის მეშვეობით ქსელის თითოეული სადგური აკონტროლებს ხაზის მდგომარეობას და მაუწყებლობას მხოლოდ მაშინ იწყებს, როდესაც ის თავისუფალია. როდესაც ორი სადგური ცდილობს, ხაზი ერთდროულად დაიკავოს, ორივე წყვეტს მაუწყებლობას შეჯახების თავიდან აცილების მიზნით. ახალი კონფლიქტების ასარიდებლად ისინი რამდენიმე ხანს ჩერდებიან, შემდეგ კი კვლავ აგრძელებენ მაუწყებლობას. ქსელში კომპიუტერების რაოდენობის ზრდასთან ერთად, შეჯახებათა რიცხვიც იზრდება, რაც ქსელის გამტარუნარიცხობას ამცირებს და იზფორმაციის მინოდების დროის გახანგრძლივებას იწვევს.

ବ୍ୟାକୁମାର ପାତ୍ର

1990-იან წლებში
ქსელური ინტერფეისის
პლატფორმა (NIC) ორი პორტი
ჰქონდა: ერთია „ნეტროლი“
Ethernet-კაბელის
(კოაქსიალურის), მეორე
კი – „სეტელი“ “Ethernet-
კაბელისთვის (გრებილი
ნეტვორკისთვის).



შევისწავლოთ

କାମନାକାରୀ

მოძებნეთ ინტერნეტში ინფორმაცია სტანდარტების: 10Base-2, 10Base-5, 10Base-T, 10Base-FL, Fast Ethernet, Gigabit Ethernet, 10 Gigabit Ethernet-ის შესახებ. მოამზადეთ ცხრილი მათი შესაბამისი პარამეტრების შესადარღვლად.

რომელი ახალი სტანდარტები არსებობს და რა უპირატესობა აქვს მათ 10 Gigabit Ethernet-თან შედარებით?

შესაბამისი შენიშვნები

1. რ არის „ქსელის არქიტექტურა“?
 2. რა უპირატესობები გამოიჩინა არქიტექტურა Ethernet-ს?
 3. რა არის Ethernet არქიტექტურის ძირითადი ნაკლი?
 4. როგორია მონაცემთა გადაცემის სიჩქარე Fast Ethernet-ის სტანდარტში?
 5. რა ფუნქციას სარწყობებს პროტოკოლი CSMA/CD?

4.3 უსადენო ქსელური ტექნოლოგიები

- მონაცემთა გადაცემის გარემოს მიხედვით, კომპიუტერული ქსელების რა ტიპები არსებობს?
- როგორ ფიქრობთ, რომელ გარემოში უფრო მაღალია მონაცემთა გადაცემის სიჩქარე: სადენიანში თუ უსადენოში?

საჭიროება

შეავსეთ მოცემული ცხრილი ინფორმაციით რადიოტალღების შესახებ.

სიხშირის სახელწოდება	სიხშირეთა დიაპაზონი	ტალღის სახელწოდება	ტალღის სიგრძე	
დაბალი				
საშუალო				
მაღალი				
ძალიან მაღალი				
ულტრამაღალი				
ზემაღალი				

- ამ რადიოტალღებიდან რომელი გამოიყენება სატელევიზიო მაუწყებლობაში და რომელი - უსადენო კომპიუტერულ ქსელებში?
- რატომ არ ატარებს მეტალი რადიოსიგნალებს?


საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთ-ერთი სახეობაა უსადენო ტექნოლოგია (**wireless**). უსადენო ტექნოლოგია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადაცემას ორ დაშორებულ წერტილს შორის, რომელებიც ერთმანეთთან სადენებით დაკავშირებული არ არის. ინფორმაციის გადასაცემად შესაძლებელია რადიოტალღების, ასევე ინფრანითელი, ოპტიკური და ლაზერის გამოსხივების გამყენება.

უსადენო ქსელებში გათვალისწინებულია მუშაობის ორი რეჟიმი: „**ad hoc**“ და „**ინფრასტრუქტურა**“. რეჟიმი „**ad hoc**“ არის მარტივი ქსელი, რომელშიც სადგურებს (კლიენტებს) შორის კავშირი პირდაპირ, სპეციალური წვდომის წერტილს გარეშე მყარდება. „**ინფრასტრუქტურის**“ რეჟიმში კი კომპიუტერებს შორის კავშირი სპეციალური პროგრამულ-აპარატული უზრუნველყოფის – წვდომის წერტილის (*acces point*) მეშვეობით ხორციელდება. წვდომის წერტილი მიუერთდება მიმღებს (ან გადამცემს) და სიგნალები უსადენოდ გადაიცემა. ამგვარად, შესაძლებელია უსადენო კომპიუტერებისა და სხვა მოწყობილობების სადენიან ქსელთან მიერთება.

უსადენო ქსელის ყველაზე პოპულარული და ფართოდ გამოყენებული სახეა **სტანდარტ Wi-Fi** („Wireless Fidelity“ – იყითხება „ვაი-ფაი“) ან სტანდარტ **IEEE 802.11**. არსებობს ამ სტანდარის შემდეგი ტიპები: 802.11.a, 802.11.b, 802.11.g, 802.11.n და ა.შ. ისინი ერთმანეთისგან სიხშირეთა დიაპაზონით და მონაცემთა გადაცემის სიჩქარით განსხვავდება. ეს ტექნოლოგია ძირითადად მობილური მომხმარებლების ლოკალურ ქსელთან ან ინტერნეტთან უსადენოდ მიერთებასთვის გამოიყენება. ტექნოლოგია CSIRO-ს (Commonwealth Scientific



and Industrial Research Organization) რადიოსატრონომიული ლაბორატორიის ინჟინერმა ჯონ ო'სალივანმა 1998 წელს კანკერაში, ავსტრალიაში შექმნა. Wi-Fi ქსელი




ამჟამად არსებობს მრავალი საზოგადოებრივი ადგილი (აეროპორტები, მაღაზიები, რესტორნები, კაფეები, რეკრეაციული ზონები, კერძო სახლები), სადაც ინტერნეტთან წვდომის მქონე უსადენო ლოკალური ქსელები მოქმედებს. ამ ქსელებთან მიერთება ადვილად შეიძლება უსადენო ქსელური ადაპტერის მქონე ნოუთბუკის ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობის დახმარებით.

ნაბიჯ ნაბიჯ

კომპიუტერის მიერთება Wi-Fi ქსელთან


1. გახსენით მენიუ Start და აირჩიეთ პუნქტი Control Panel;



2. გადადით განყოფილება Network and internet-ში;



3. განვითოლება Network and Sharing Center-ში აირჩიეთ პუნქტი Connect to a network. გამოჩენდება მისაწვდომი უსაფერო ქსელების სია;



4. აირჩიეთ სიაში შესაბამისი ქსელი და დააწაპუნეთ ლილაკ Connect-ზე. ამოცანების პანელზე გაჩნდება ნიშანი . რაც იმაზე მიუთითებს, რომ თქვენ ჩაერთეთ არჩეულ ქსელში;

5. თუ სხვა ქსელში გადართვა გსურთ, ჯერ მიმდინარე ქსელიდან უნდა გამოერთოთ. ამისათვის დააწაპუნეთ ნიშან -ზე ამოცანების პანელზე და აქტიური უსაფერო ქსელების სიადან აირჩიეთ ის ქსელი, რომელშიც ახლა ხართ ჩართული. დააწაპუნეთ ლილაკ Disconnected-ზე. აირჩიეთ სიაში სხვა ქსელი და ჩაერთეთ მასში.

ყურადღება! უსაფერო ლიკელური ქსელების უმრავლესობა დახურულია, ანუ დაცულია არაანქცირებული წვდომისაგან. ამგვარ ქსელებთან მისაერთებლად აუცილებელია შესაბამისი პაროლის შეყვანა.

სახლის დოკუმენტი

დღესდღეობით Wi-Fi ფართოდ გამოიყენება ყველგან: სახლებში, ბარებში, სასტუმროებში, აეროპორტებში და ა.შ. მონაცემთა უსადენო გადაცემა ყოველწლიურად გეომეტრიული პროგრესით იზრდება, თუმცა მისაწვდომ სიხშირეთა დიაპაზონი უსაზღვრო არ არის და თანდათან მცირდება. სულ უფრო და უფრო მაღალი სიხშირების გამოყენებასთან ერთად რადიოსისმირული ხარვეზების რაოდენობაც იზრდება. მომავალში ამგვარი პრობლემების თავიდან ასაცილებლად 2011 წელს გამოიგონეს **Li-Fi** (Light Fidelity). Li-Fi არის კავშირგაბმულობას უსადენო სისტემა, რომელშიც სიგნალის გადამტანად, ნაცვლად Wi-Fi-სთვის ჩვეული რადიოსიხშირებისა, ხილული სინათლე გამოიყენება. Li-Fi ტექნოლოგიაში მონაცემთა უსადენო გადაცემისათვის დიოდური ნათურის სინათლეს იყენებენ. დიოდები მყისიერად ინთენსიუმისა და ქრება, რადგან მათი საბუშაო სიჩქარე 1 მტკრონამზე ნაკლებია. ადამიანის თვალი ამას ვერ ამჩნევს და ეჩვენება, რომ სინათლე ჩაუქრობლად ანთა. ეს უხლავი ციმციმი მონაცემთა გადასაცემად ორიბითი კოდის გამოყენების საშუალებას იძლევა. თუ დოიდი ანთა, ეს შეესაბამება ლოგიკურ „1“-ს, ხოლო თუ ჩამქრალია – ლოგიკურ „0“-ს. ეს პრინციპი გამოიყენება მონაცემთა კოდირებისათვის სინათლის გამომსხივებელი დიოდის სიჩქარის შეცვლის გზით. Li-Fi ტექნოლოგიაში მონაცემთა გადაცემის სიჩქარე შეიძლება იყოს 10 მბიტ/წმ-ზე მაღალი. სინათლის ტალღას არ ძალუს კედლებში შეღწევა, რის გამოც Li-Fi-ს მოქმედების რადიუსი დიდი არ არის.



უსადენო ქსელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა მოქმედების რადიუსი. ერთმანეთისაგან მაქსიმალური მოქმედების რადიუსზე მეტი მანძილით დაშორებულ უსადენო მოწყობილობებს ურთიერთქმედება არ შეუძლიათ, მაგალითად, Wi-Fi ქსელებში მოწყობილობათა უმრავლესობის მოქმედების რადიუსი ღია სივრცეში დაახლოებით 150 მ-ია (მაქსიმუმ 300 მ), ხოლო დახურულ სათავსოებში – 20-30 მ. ეს არის Wi-Fi ქსელების ძირითადი ნაკლი.


სამართლებულებები

- უსადენო ტექნოლოგია
- რეჟიმი „Ad hoc“
- რეჟიმი „ინფრასტრუქტურა“
- Wi-Fi
- Li-Fi
- WiMAX
- Bluetooth
- უსადენო პერსონალური ქსელი (WPAN)

Wi-Fi ქსელის ეს პრობლემა WiMAX (Worldwide Interoperability for Microwave Access) ტექნოლოგიამ გადაჭრა. ეს ტექნოლოგია დიდი მანძილით დაშორებულ წერტილებს (სამუშაო სადგურებიდან და პორტატული კომპიუტერებიდან დაწყებული – მობილურ ტელეფონებამდე) შორის უსადენო კავშირგაბმულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა. იგი სტანდარტ IEEE 802.16-ს ეფუძნება. ქალაქის პირობებში WiMAX საშუალებას იძლევა, მონაცემები არახელსაყრელი ამინდის ან ნებისმიერი სხვა ბარიერის, მაგალითად, შენობების, ხეების არსებობის მიუხედავად გადაიცეს. მოქმედების სიშორე 25-80 კმ-ს შეადგენს, ხოლო მონაცემთა გადაცემის მაქსიმალური სიჩქარე – 75 მბიტ/წმ-ს. WiMAX-ის დრაივერებს პროვიდერები ქალაქის სხვადასხვა რეგიონში ათავსებენ და იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ეს დრაივერები მოიცავს, მომხმარებლები, თუ მათი კომპიუტერები ან მობილური ტელეფონები ამ ტექნოლოგიას იზიარებს, თავისუფალად სარგებლობენ ინტერნეტით. ინტერნეტის გარდა, WiMAX-ს მაღალ-ხარისხიანი ხმოვანი ან ვიდეოკავშირისათვისაც იყენებენ.

ისტორია

ელექტრონის აღმოჩენამ და რადიოს გამოგონებამ ხელი შეუწყო დისტანციურად მართვადი მარქანების შექმნას. 1897 წელს ბრიტანელმა ერნესტ უილსონმა დააპატენტა სისტემა, რომელიც დირიჟაბლის უსადენო მართვისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა ცნობილი არ არის, საბოლოოდ განხორციელდა თუ არა ეს ჩანაფიქრი. 1898 წელს ნიუ-იორკში გამართულ გამოფენაზე ინჟინერმა და გამომგონებელმა ნიკოლა ტესლამ (1836-1943) ნარმოადგინა რადიოთი მართვადი ნავის მოდელი.




ბოლო წლებში ფართოდ გავრცელებულ უსადენო ტექნოლოგიებს Bluetooth (იკითხება „ბლუ თუზ“) ტექნოლოგია შეემატა. ეს ტექნოლოგია, რომელიც 1998 წელს შეიმუშავეს, საშუალებას აძლევს ცალკეულ მოწყობილობებს, ავტომატურად შექმნან ლოკალური ქსელები „Ad hoc“-ის რეჟიმში. Wi-Fi ტექნოლოგიის მსგავსად, Bluetooth-იც 2,4 გჰც სიხშირის რადიოსიგნალებს იყენებს, მაგრამ ეს ორი სტანდარტი ერთმანეთთან ახლოს არ არის. ეკონომიკურობის (ელექტროენერგიის დაბალი მოხმარების) გამო Bluetooth-ს იყენებენ ისეთ მოწყობილობებში, როგორებიცაა ნოუთბუკები, ჯიბის კომპიუტერები, მობილური ტელეფონები და ციფრული კამერები. გარდა ამისა, მოწყობილობს შორის Bluetooth-ით კავშირის გამართვა მოხმარებლის მხრიდან რაიმე ჩარევას არ საჭიროებს. მეორე მხრივ, ამ ტექნოლოგიაში მოქმედების რადიუსი და გამტარუნარიანობა არც ისე მაღალია – 10 მეტრი და 400-700 კბიტ/წმ, შესაბამისად. ეს გარემოება ზღუდავს ლოკალურ ქსელებში Bluetooth-ის გამოყენების შესაძლებლობას.

ისტორია

სიტყვა „Bluetooth“ იწოდისურია და ნიშნავს „ლურჯებილას“. ასე უწოდეს ოდესალაც ვიკინგების მეფეს, ჰარალდ I ლურჯებილას, რომელიც დაახლოებით 1000 წლის წინ ცხოვრობდა დანიაში. ეს ზედმეტსახელი მეფეს მუქი წინა კბილის გამო დაერქვა. ჰარალდმა ერთმანეთისადმი მტრულად განხორცილი ტომების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება შეძლო. იგულისხმება, რომ Bluetooth იმავეს უკეთებს კავშირგაბმულობის პროცესორებს და მათ ერთ უნივერსალურ სტანდარტად აერთიანებს.

ტექნოლოგია Bluetooth ხშირად გამოიყენება **უსაღენო პერსონალური ქსელის** (wireless personal area network, WPAN) შესაქმნელად. ასეთ ქსელს Bluetooth-PAN-ს ან პიკოქსელსაც (piconet) (პრეფიქსი „პიკო“ ძალიან მცირე სიდიდეს, კერძოდ, ერთ მეტრილოონედს ნიშნავს) უწოდებენ და იგი „ნინამძლოლ-მიმყოლის“-ის რეჟიმში მომუშავე არა უმეტეს 8 აქტიური მოწყობილობისგან შედგება. მხოლოდ Bluetooth მოწყობილობაა პიკოქსელში ძირითადი, დანარჩენი მოწყობილობები კი დაქვემდებარებულია და პირველადს უცვლის მონაცემებს.

Bluetooth-PAN-ის ქსელი



სამუშაოების სახელი

მრავალი სამუშაოები კვლევა მიეძღვნა უსაღენო მოწყობილობებით ადამიანის რადიაციული დასხივებისა და ჯანმრთელობაზე მისი გავლენის შესწავლას. მათ შორის განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი იყო INTERPHONE-ს კვლევა (2002-2011), რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (World Health Organization, WHO) ეგიდით ჩატარდა. ამ კვლევის ძრითადი მიზანი იყო დაედგინათ, მოქმედებს თუ არა უსაღენო კავშირუაბმულობის მოწყობილობების გამოყენება ონკოლოგიური დაავადებების სიბმირეზე. კვლევის შედეგების თანხმად, ამ მოწყობილობების გამოყენებას (მაგალითად, მობილური ტელეფონისა – დაახლოებით 30 წუთი, ყოველდღიურად, 7-10 წლის განმავლობაში) შეუძლია, მნიშვნელოვნად გაზარდოს ამ დაავადებების განვითარების რისკი. ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტოსა და კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (The International Agency for Research on Cancer, IARC) 2011 წლის 31 მაისის მონაცემების მიხედვით, მობილური ტელეფონების რადიაცია კლასიფიცირებულია, როგორც „კიბოს ფაქტორი“ – პიტენციური კანცეროგენი ადამიანისათვის (იწვევს კიბოს განვითარებას). 2005 წელს ჩინელი მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მობილური ტელეფონების რადიაცია დნმ-ის დაზიანებას იწვევს.

შევისწავლოთ | დამოუკიდებლად

შეკიბეთ ინტერნეტში ინფორმაცია **Wireless, USB, ZigBee** ტექნოლოგიების შესახებ. სად გამოიყენება ეს ტექნოლოგიები? რა უპირატესობა და ნაკლი აქვს მათ თქვენ მიერ შესწავლილ ტექნოლოგიებთან შედარებით?

შეამონეთ შენი ცოდნა

1. რა უპირატესობა აქვა უსაღენო კომპიუტერულ ქსელებს?
2. რა ნაკლი აქვა Wi-Fi ქსელს?
3. რა უპირატესობითა და ნაკლით ხასიათდება ტექნოლოგია Bluetooth?
4. რაში მდგრამსრობს Li-Fi ტექნოლოგიის არსა?
5. როგორ მოქმედებს უსაღენო ქსელების რადიაცია ადამიანის ორგანიზმებს?

4.4 მოდელი TCP/IP

- როგორ იშიფრება აპრევიატურა IP?
- რა არის მოდელი OSI და რომელი დონეებისგან შედგება იგი?



ამ თავის პირველ გაკვეთილზე თქვენ გაეცანით OSI მოდელს. როგორც უკვე აღინიშნა, OSI თეორიული მოდელია. ამ გაკვეთილზე მოგითხობთ პრაქტიკული მოდელის, TCP/IP-ის, შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით უამრავი სხვადასხვა პრაქტიკული მოდელი არსებობს, TCP/IP მაინც ყველაზე ფართოდ გამოიყენება, როგორც უმნიშვნელო „საშინაო“ ქსელებში, ისე მსოფლიოში უდიდეს ქსელ ინტერნეტშიც.

სახელწოდება **TCP/IP** (Transmission Control Protocol/Internet Protocol) უკავშირდება ორი უმნიშვნელოვანესი პროტოკოლის სახელს და იკითხება ასე: „ტი-სი-პი-აი-პი“. TCP ორი კომპიუტერის ერთმანეთთან დაკავშირებისა და მონაცემთა გადაცემის საშუალებას იძლევა, პროტოკოლი IP კი ადრესაციის სქემაზე მუშაობს. ის აგებს პასუხს კომპიუტერში მისამართის შეყვანასა და სხვა კომპიუტერისათვის გაგზავნაზე. ამის შემდეგ პროტოკოლი მონაცემთა გადაცემას უზრუნველყოფს.

იუთონი 1976 წლის ივლისში ვინტ სერფმა და ბობ კანმა პირველად მსოფლიოში, TCP-ის გამოყენებით, შეძლეს მონაცემთა გადაცემა სამი სხვადასხვა ქსელით. პაკეტმა შემდეგი მარშრუტი გაიარა: სან-ფრანციიკო-ლონდონი-სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტი. საბოლოოდ მან 150 ათასი კმ ისე გაიარა, რომ ერთი ბიტი ინფორმაციაც კი არ დაუკარგავს. 1978 წლს სერფმა, ჯონ პოსტელმა და დენი კოხენმა გადაწყვიტეს, TCP-ში ორი სხვადასხვა ფუნქცია გამოყოფთ: TCP და IP (ინგლ. Internet Protocol, ქსელთაშორისი პროტოკოლი). TCP პასუხს აგებდა შეტყობინების დატაგრამებად (ინგლ. datagram) დაყოფაზე, დანიშნულების პუნქტიმდე მიღწევისას კი – მათ კვლავ გაერთიანებაზე. IP-ის ფუნქცია იყო ცალკეული დატაგრამების გადაცემა და მათი მიღების კონტროლი. ას, ასე გაჩნდა თანამედროვე ინტერნეტის პროტოკოლი.

პროტოკოლების სია ოთხ დონეს მოიცავს: პროგრამულს (application Layer), ტრანსპორტულს (transport layer), ქსელთაშორის ანუ ინტერნეტის (Internet layer) და მონაცემთა გადაცემის არხის (link layer).

OSI და TCP/IP მოდელების შედარება

დონე	მოდელი OSI	მოდელი TCP/IP	პროტოკოლები
7	პროგრამული	გამოყენებითი	HTTP, RTSP, FTP, DNS ...
6	პრეზენტაციის		
5	სესიის		
4	ტრანსპორტული	ტრანსპორტული	TCP, UDP ...
3	ქსელური	ინტერნეტი	IP ...
2	მონაცემთა გადაცემის არხის	მონაცემთა გადაცემის არხის	Ethernet, IEEE 802.11 WLAN, SLIP, Token Ring, ATM, MPLS
1	ფიზიკური	ანუ ფიზიკური	

როგორც ცხრილიდან ჩანს, OSI მოდელის ზედა სამი დონე TCP/IP მოდელში ერთ – პროგრამულ – დონედაა გაერთიანებული, ტრანსპორტული დონე შენარჩუნებულია, ქსელური დონე ქსელთაშორის ან ინტერნეტდონედ გადაიქცა, ხოლო დონე 1 და დონე 2 გაერთიანდა და მას მონაცემთა გადაცემის არხის, ანუ ფიზიკური დონე ეწოდა.

ფიზიკურ დონეზე TCP/IP ხელს უწყობს ლოკალური ქსელების ძირითად ტექნოლოგიებს, როგორებიცაა **Ethernet, Taken Ring, Wi-Fi, Bluetooth** და სხვ.

ინტერნეტდონის (ანუ ქსელთაშორისი დონის) ფუნქციებს ძირითადად პროტოკოლი **IP** ახორციელებს. პროტოკოლ IP-ზეა დამოკიდებული მონაცემთა პაკეტის გადაცემა, ანუ ნაწილებად დაშლილი მონაცემების როგორც ერთი, ისე სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილება.

ტრანსპორტულ დონეზე ძირითადად ორი პროტოკოლი მუშაობს: **TCP** და **UDP**.

პროტოკოლი TCP შემდეგნაირად მუშაობს:

- ამყარებს კავშირს კომპიუტერების ზოგიერთ პორტთან;
- გამგზავნელის კომპიუტერში ყოფს ინფორმაციას პაკეტებად, ნომრავს მათ და, პროტოკოლ IP-ს დახმარებით, გადასცემს მიმღებს;
- ამონტებს მიმღების კომპიუტერში, არის თუ არა ყველა პაკეტი მოსული. თუ პაკეტი არ არის მოსული ან დაზიანებულია, მოითხოვს მის ხელმეორედ გამოიწავნას;
- ყველა პაკეტის მიღების შემდეგ წყვეტს კავშირს, კრებს პაკეტებს სათანადო თანამიმდევრობით და გადასცემს მიღებულ მონაცემებს უფრო მაღალი დონის გამოყენებით პროგრამას.

ლარს ლარს


- მოდელი TCP/IP
- პროტოკოლი TCP
- პროტოკოლი IP
- მონაცემთა გადაცემის არხის დონე
- ინტერნეტის დონე
- ტრანსპორტული დონე
- გამოყენებითი დონე

მონაცემების გაცვლასთან დაკავშირებული ზოგიერთი ოპერაცია სისტემებს შორის რეგულარულ ურთიერთქმედებას არ მოითხოვს, მაგალითად, ქსელურ


სერვერზე შენახული მონაცემთა პაზა, რომელიც შედგება წებისმიერი კომპანიის თანამშრომელთა სახელებისა და ტელეფონის ნომრების შემცველი ცხრილებისაგან. სერვერის შეკითხვით შესაძლებელია წებისმიერი თანამშრომლის ტელეფონის ნომრის პოვნა, თუ მის სახელს მივუთითებთ. სერვერის პასუხი უნდა შეიცავდეს შესაბამის ტელეფონის ნომერს. ამ ტიპის ურთიერთქმედებას უზრუნველყოფს *UDP* პროტოკოლი (*UDP – User Datagram Protocol*), რადგან ის უფრო სწრაფია, ვიდრე *TCP*.

და ბოლოს, *TCP/IP* მოდელის გამოყენებითი დონე ასრულებს OSI მოდელის როგორც პრეზნტაციის, ისე პროგრამული დონის ფუნქციებს.


ინტერნეტში მონაცემთა გადაცემა *TCP/IP* მოდელის საშუალებით




ნაბიჯი	ნაბიჯი
TCP/IP პროტოკოლის აწყობა	
1. გახსენით მართვის პანელი (Control Panel);	
2. გადადით განყოფილება Network and Internet-ში;	
3. განვითარება Network and Sharing Center-ში აირჩიეთ პუნქტი View network status and tasks;	




4. გვერდითა პანელზე აირჩიეთ პუნქტი Change adapter settings. გაიხსნება ქსელ့ური ჩართვების სია;



5. მიიტანეთ თაგვის მაჩვენებელი ნიშან Local Area Connection-თან და დააწყაპუნეთ თაგვის მარჯვენა ღილაკზე. გახსნილი კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ პუნქტი Properties;



6. აირჩიეთ სიაში პუნქტი Protocol Version 4 (TCP/IPv4) და დააწყვიტეთ ღილაკ Properties-ზე სიის ქვემოთ. გაიხსნება ახალი ფანჯარა;



7. აირჩიეთ ვარიანტი Use the following IP address და შეიტანეთ შესაბამის ველებში IP მისამართი (IP-address), ნიღაბი (Subnet mask) და ქსელური მარშრუტი (Default gateway), მათ შორის ინფორმაცია DNS სერვერების შესახებ (ამ ინფორმაციის მოპოვება ქსელის ადმინისტრატორთან შეგიძლიათ);
 8. ცვლილებების შესანახად დააწყვიტეთ ღილაკ OK-ზე. დახურეთ ფანჯარა Local Area Connection – Properties.

შევისწავლოთ

დამოუკიდებლად

გასული საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში გავრცელებული ქსელების მოდელებს შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო კომპანია Novell-ის მიერ შემუშავებული მოდელი IPX/SPX; შეკრიბეთ ინტერნეტში ინფორმაცია ამ მოდელის შესახებ და შეეცადეთ დაადგინოთ, რატომ მიეცა ის „დავინებას“.

შეამოხვე შენი ცოდნა

- რომელი დონეებისგან შედგება მოდელი TCP/IP?
- რა კავშირია TCP/IP და OSI მოდელებს შორის?
- რა ფუნქციას ასრულებს პროტოკოლი TCP?
- რა არის პროტოკოლ IP-ის ამოცანა?
- რით განსხვავდება ერთმანეთისგან TCP და UDP პროტოკოლები?

4.5 მოგილური კავშირის ტექნოლოგიები

- რას ნიშანებს სიტყვა „მობილური“?
 - ამ ბოლო ხანებში მობილური ტელეფონები გადიდდა. თქვენი აზრით, რამ გააპირობა ეს?

Motorola Dyna-TAC
8000X (1983)



Nokia 7280
(2004)



Apple iphone 5
(2012)



საქართველო


პარამეტრი	DynaTAC 8000X	
გამოშვების წელი	1983	
ზომები	3300 × 898 × 445 მმ	
წონა	784 გ	
ფასი	3995 აშერიკული ლიანდარი	

- რამდენჯერ ნაკლებია ოქვენი ტელეფონის ზომები Motorola DynaTAC 8000X-სთან შედარებით? წონა?

მობილური ტელეფონები არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამოჩნდა, მაგრამ დღეს უკვე ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. **მობილური კავშირი (mobile communication)** – არის კავშირი აპონენტებს შორის, რომელთა ადგილ-მდებარეობა შეიძლება შეიცვალოს. მობილური კავშირის ერთ-ერთი სახეა ფიქსური კავშირი (**cellular communications**). ამჟამად ადამიანთა უმრავლესობა ფიქსური კავშირის მომსახურებით სარგებლობს. ამ ტიპის კავშირი ძალიან სწრაფად ვითარდება რამდენიმე მიმართულებით. ერთი მხრივ, ფართოვდება მობილური კავშირის ოპერატორების მიერ შემოთავაზებული მომსახურების სპექტრი; მეორე მხრივ, იზრდება მობილური ტელეფონების ფუნქციური შესაძლებლობები, და მესამეც – ტელეფონების ზომები უკვე შემცირდა გარკვეულ ზღვრამდე და გადამწყვეტ ფაქტორად აღარ ითვლება.

მიუხედავად ფიქტური კავშირის არსებული სტანდარტების (GSM, CDMA,...) და მათი განხორციელების თავისებურებათა მრავალფეროვნებისა, ამგვარი სისტემების აგებულება და მუშაობის ალგორითმები ბევრ რამეში ერთმანეთის მსგავსია.

ტერიტორიის ერთნაირ ფორმის ზონებად დაყოფა ისე, რომ არც გადახურვა დაგვირდეს და არც რამე გამოვრჩეს, შესაძლებელია სამი სწორი გეომეტრიული ფიგურის – სამკუთხედის, კვადრატისა და ექვსკუთხედის – გამოყენებით. ამ ფიგურებიდან ყველაზე ეფექტურია ექვსკუთხედი. ამის მიზანი მარტივია: სწორედ ექვსკუთხედი აღწერს იდეალურად უჯრედის ცენტრში



მოთავსებული და წრიული დიაგრამის მიმართულობის ანტენის მქონე ციფრული საბაზო სადგურის სამუშაო ზონას.

იმ ადგილებში, სადაც საჭიროა აბონენტთა დიდი რაოდენობის ერთდროულად მომსახურება, გამოიყენება ფიქსის დაყოფის მეთოდი – მისი უფრო პატარა ზომის ზონებად დაყოფა. ამ შემთხვევაში საწყისი ექვსკუთხედი შვიდ მცირე ზომის ექვსკუთხედად (პიკოფიჯებად) იყოფა. ამ დროს ქსელის დანარჩენი სტრუქტურა უცვლელი რჩება. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ზონების გეომეტრიულად სწორი ფორმა პრეტიკაში ყოველთვის ადვილად მისაღწევი როდია. რადიოტალღების გავრცელების სიშორე ადგილის რელიეფზეა დამოკიდებული. ბორცვები, ხრამები, მთები, დიდი შენობები ამაზინჯებს სამუშაო ზონების ფორმებს, რის გამოც საბაზო სადგურების მკაცრი გეომეტრიული წესრიგით განლაგება ზოგჯერ ვერ ხერხდება.

ფიჭური სისტემის ძირითადი ელემენტებია: სააბონენტო აღჭურვილობა (მობილური რადიოტელეფონები), მომსახურების ტერიტორიაზე განლაგებული საბაზო სადგურების ქსელი და კომუტაციის ცენტრი.

თითოეული საბაზო სადგური მრავალარხიანი მიმღებ-გადამცემი მოწყობილობაა, რომელიც აბონენტებს თავისი ფიქსის ფარგლებში ემსახურება. ყველა საბაზო სადგური კავშირგაბმულობის სპეციალური ხაზებით (სადენებიანი ან რადიორელეიანი) კომუტაციის ცენტრს უკავშირდება.

კომუტაციის ცენტრი უზრუნველყოფს ქსელის მართვას და, თავისი არსით, სპეციალიზებულ ავტომატურ სატელეფონო სადგურს წარმოადგენს. იგი თავის მეხსიერებაში ინახავს ფიჭური ქსელის ყველა აბონენტის მონაცემებს, პასუხს აგებს აბონენტთა წვდომის უფლების შემოწმებასა და მათი ავთენტურობის დადასტურებაზე, ინფორმაციის დამუშავებასა და შენახვაზე.



გარდა ალნიშნულისა, კომუტაციის ცენტრის მოვალეობაში შედის: მეთვალყურება მობილური ტელეფონის სიგნალებზე, მათი ესტაფეტური გადაცემა ტელეფონის ფიჭიდან ფიჭაში გადაადგილებისას, არხების კომუტაცია ხარვე-

- მობილური კავშირი
- ფიჭური კავშირი
- საბაზო სადგური
- კომუტაციის ცენტრი
- მობილური ტელეფონი
- სმარტფონი

ზეპისა ან გაუმართაობის შემთხვევაში. ძირითადი მოვალეობაა ფიჭური კავშირის აბონენტის სხვა აბონენტთან დაკავშირება აკრეფილი ნომრის შესაბამად, ან საქალაქო, საქალაქო შორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის დამყარება.

ფიჭური ქსელის ელემენტების მუშაობის წესი მარტივად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: თითოეულ საბაზო სადგურში არსებობს სპეციალური, ე.ნ. მმართველი არხი და ყველა ფიჭური ტელეფონი, გამოძახების მოლოდინში, უსმენს სიგნალებს ამ არხზე. როდესაც აბონენტს დარეკვა სურს, ნომრის აკრეფისთანავე რადიოტელეფონი ავტომატურად იწყებს თავისუფალი არხის ძებნას. მისი აღმოჩენისას იგი, საბაზო სადგურის მეშვეობით, თავის პარამეტრებსა და აკრეფილ ნომერს ფიჭური ქსელის კომუტატორს გადასცემს. აბონენტის პარამეტრების შემოწმების შემდეგ კომუტაციის ცენტრი ახორციელებს დაკავშირებას. პირუკუ მიმართულებისას – ფიჭური ქსელის აბონენტის გამოძახებისას – კომუტატორი ჯერ თავის მონაცემთა ბაზაში ამონტებს, არსებობს თუ არა მასში ასეთი ნომერი, ხოლო შემდეგ იწყებს რადიოტელეფონის ძებნას თოთოეულ ფიჭაში. აბონენტის რადიოტელეფონი, მმართველი არხით ამ გამოძახების მიღებისას, გადასცემს გამოძახების დადასტურებას, რითაც მიუთითებს ფიჭურ ქსელში თავის ადგილმდებარეობაზე. ამის შემდეგ კომუტატორი პოულობს თავისუფალ სალაპარაკო არხს მოცემულ უჯრედში და გადართავს კავშირს.

გარდა კავშირის ორგანიზებისა, კომუტატორი განუწყვეტლივ აკვირდება რადიოტელეფონების სიგნალებს კავშირის განმავლობაშიც. თუ მოწყობილობის გაუმართაობა ან ხარვეზები ვლინდება, კომუტატორი სხვა თავისუფალ არხს პოულობს და ლაპარაკი იქ გადააქვს. დაკავშირების პროცესში აბონენტის გადაადგილებას სიგნალების დონის უკიდურესად დაკვეითება შეუძლია. მაშინ კომუტატორი სხვა, აბონენტთან უფრო ახლოს მდებარე საბაზო სადგურზე გადაირთვება.

ყურადღება! დღესდღეობით მობილური კავშირის ყველაზე გაურცელებული სახეა ფიჭური კავშირი. ამიტომ მობილური ტელეფონის სხენებისას, როგორც წესი, ფიჭური ტელეფონი იყულისხმება. სინამდვილეში თანამგზავრული ტელეფონებიც, რადიოტელეფონებიც და მაგისტრალური კავშირის აპარატებიც მობილური ტელეფონებია.

ისტორია მსოფლიოში პირველ მობილურ ტელეფონად ითვლება კომპანია Motorola-ს მიერ შექმნილი მოდელი Motorola DynaTAC 8000X. ამ მოწყობილობის პირველი მოდელის დემონსტრირება 1973 წელს მოხდა, მაგრამ გასაყიდად ტელეფონი მხოლოდ 1983 წელს გამოიტანეს. DynaTAC დაახლოებით 1 კგ-ს იწონდა, აკუმულატორის ყოველი დამუხტვისას 20 წუთს მუშაობდა და 30-მდე ტელეფონის ნომერს იმახსოვრებდა.

მართალია, მობილურ ტელეფონებს პრეტიკულად ყოველთვის ჰქონდა დამატებითი ფუნქციები (კალკულატორი, კალენდარი), რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ინტელექტუალური მოდელები გამოდის და ამ მოდელების გაფართოებული ფუნქციებისა და გაზრდილი გამოთვლითი სიმძლავრის ხაზე გასასმელად მემოილეს ტერმინი „სმარტფონი“ (ინგლ. smartphone – ჭკვიანი ტელეფონი).


სმარტფონებს ჩვეულებრივი მობილური ტელეფონებისგან საკმაოდ განვითარებული ოპერაციული სისტემა განასხვავებს, რომელიც ღიაა გარედან, ანუ პროგრამული უზრუნველყოფის სხვა შემმავრებლების მხრიდან, ჩარევისათვის (ჩვეულებრივი მობილური ტელეფონების ოპერაციული სისტემა დახურულია ამგვარი ჩარევისათვის). დამატებითი დანართების დაყენება სმარტფონის ფუნქციობის მნიშვნელოვანდ (ჩვეულებრივ მობილურ ტელეფონებთან შედარებით) გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. მობილური ტელეფონების თანამედროვე მოდელები ბრაუზერებში და ელექტრონულ ფოსტაში სამუშაო საშუალებებითაა აღჭურვილი.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

1. შეექიმინეთ ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაში მოქმედი მობილური ოპერატორების შესახებ. ტექსტურ რედაქტორში შექმენით შემდეგი ცხრილი და შეავსეთ იგი:

მაჩვენებელი	ოპერატორი
დაარსების თარიღი	
მთავარი კომპანია	
აპონენტთა რიცხვი	
საბაზო სადგურების რაოდენობა	

2. დაკვირდით სურათს და გადმოიცით, რა ინფორმაციას შეიცავს იგი.



შეამონეთ შეინ ცოდნა

- რას ნოშავს ტერმინი „მობილური კავშირი“?
- საიდან გაჩნდა ფრაზა „ფიჭური კავშირი“?
- რა არის საბაზო სადგური და რა ფუნქციებს ასრულებს იგი?
- რა ფუნქცია აკისრია კომუტაციის ცენტრს?
- რა არის „სმარტფონი“ და რით განსხვავდება ის ჩვეულებრივი მობილური ტელეფონისგან?

LAWITH

4.6 በፍትሬነትዎች ወጪዎች

ინტერნეტმომსახურება (Internet services) არის სისტემები, რომელიც ინტერნეტის მომხმარებლებს სხვადასხვა სახის მომსახურებას სთავაზობს. მას მიეკუთვნება, მაგალითად, ელექტრონული ფისტა, WWW, ტელეკონფერენცია და სხვ. ინტერნეტის ისტორია სხვადასხვა სახის სერვისს იწყობს, რომელთაგან ზოგი დღეს საერთოდ აღარ

გამოიყენება, ზოგიერთი თანადათან კარგავს პოპულარობას, სხვები კი სწორედ აყვავების პერიოდშია. უმცროს კლასებში თქვენ ზოგიერთ მათგანზე ზოგადი წარმოდგენა შეგეებმნათ, ზოგი კი უფრო დაწვრილებით გაიჯანით.



საქონლება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ინფორმატიკის სახელმძღვანელო ობიდან (რომელთა ელექტრონული ვერსიის პოვნა შეგვიძლიათ სასწავლო რესურსების მართვის ცენტრის საიტ trims.edu.az-ზე) გაიხსენით თემები: „ინტერნეტმომსახურება“ (მე-8 კლასი) და „ადრესაცია ინტერნეტში“ (მე-9 კლასი), რის საფუძველზეც ტექსტურ რედაქტორში შექმნით ცხრილი და შეავსეთ იგი ინფორმაციით თითოეულ სერვისის შესახებ.

მომსახურების სახელწოდება	დანიშნულება
WWW	
ელექტრონული ფოსტა	
Telnet	
ტელეკონფერენცია	
FTP	
IRC	
IP-Phone	
DNS	

- რომელი მომსახურება მიეკუთვნება „ონლაინ“ კატეგორიას და რომელი – „ოფლაინ“?
 - როგორ შეიძლება მათი დაყოფა „საკომუნიკაციო“ და „საინფორმაციო“ მომსახურებად?

<p>ზემოთ ჩამოთვლილი სერვისები მომსახურების სტანდარტულ ფორმებს მიეკუთვნება. ეს იმას ნიშნავს, რომ კლიენტ-სერვერული პროგრამული უზრუნველყოფის ავების პრინციპები და, ამასთან ერთად, ურთიერთებების პროტოკოლები, საერთაშორისო სტანდარტების სახითაა ჩამოყალიბებული. მიუხედავად ამისა, ამ სტანდარტულ მომსახურებასთან ერთად, მომხმარებელთა მხრიდან აქტიურად ვითარდება და იხვეწება ისეთი სერვისები, როგორიცაა ბლოგები, ვებფორუმები, სოციალური ქსელები.</p>	<p>ზოგადი მომსახურება</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტერნეტმომსახურება • ბლოგი • ბლოგერი • ვებფორუმი • სოციალური ქსელები
---	--

- የኝተማናኝተማውን ስራውን አገልግሎት
 - የሚሸጠውን ቀን እና የሚሸጠውን ቀን
 - የሚሸጠውን ቀን እና የሚሸጠውን ቀን
 - የሚሸጠውን ቀን እና የሚሸጠውን ቀን
 - የሚሸጠውን ቀን እና የሚሸጠውን ቀን

10. *What is the best way to prevent the spread of COVID-19?*

საიტია. ბლოგებისთვის დამახასიათებელია დროებითი სარგებლობის მოკლე ჩანაწერები, რომლებიც პირუკუ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით (ბოლო ჩანაწერი ზემოთ) არის დალაგებული. ჩვეულებრივი დღიურისგან ბლოგს განასხვავებს გარემო: ბლოგი, ჩვეულებრივ, საჯაროა და გულისხმობს გარეშე მკითხველებს, რომლებსაც ავტორთან საჯარო პოლემიკის გამართვა შეუძლიათ.

ცნება „ბლოგი“ 1997 წელს გაჩნდა. იორნ ბარგერმა შექმნა იმ დროისათვის უნიკალური საიტი – Robot Wisdom, სადაც იგი რეგულარულად იმოწმებდა სხვადასხვა ინტერნეტ-რესურსს. ბარგერის პროექტმა თანდათანობით დიდი პოპულარობა მოიპოვა მომხმარებლებს შორის. იორნი თავის საიტს „Web Log“-ად მოიხსენიებდა, რაც ქართულად „ქსელურ ჟურნალს“ ნიშნავს. გარკვეული დროის შემდეგ ეს ორი სიტყვა შეერთდა და მივიღეთ სიტყვა – weblog.

რამდენიმე წლის შემდეგ პიტერ მერპოლცმა ეს სიტყვა დაყო ასე: „we“ და „blog“ – „ვანარმობებთ დღიურს“. და ეს დამკვიდრდა. ამის შემდეგ ქსელურ ჟურნალებს „ბლოგებს“ უწოდებენ.

ბლოგის ავტორს „ბლოგერი“ (**blogger**) ეწოდება. ადამიანთა იმ ფართო წრის აღსანიშნავად, რომელიც ბლოგებში მონაწილეობენ, გამოიყენება ტერმინი **ბლოგოსფერო** (**blogosphere**). ზოგიერთ ბლოგერს ძალიან დიდი და გავლენიანი აუდიტორია ჰყავს, რომელიც ძალზე სწრაფად ავრცელებს ახალ ამბებს ამ წრეში. სწორედ ამ ფაქტორს ითვალისწინებს ბევრი კომპანია, როდესაც თავისი ბრენდების მხარდასაჭერად ბლოგოსფეროს მიმართავს.

ინტერნეტფორუმი ან ვებფორუმი არის ინტერნეტმოსახურება, რომლის მიზანია საიტის მნახველების ურთიერთობის ორგანიზება. ფორუმის არსი მისი მომხმარებლების (მნახველების) მიერ საკუთარი თემების შექმნაში და შემდგომ, სათანადო შეტყობინებების მოთავსების გზით, მათ შესახებ მსჯელობაში გამოიხატება. თითოეული თემა, ცალკე აღებული, არსობრივად, თემატურ „სტუმრის წიგნს“ წარმოადგენს. მომხმარებლებს შეუძლიათ ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარების მოთავსება, კითხვების დასმა და მათზე პასუხის მიღება; ასევე ფორუმის სხვა მომხმარებლებისთვის პასუხის გაცემა და რჩევების მიცემა. თემის ფარგლებში გამოკითხვის ჩატარებაც კი შეიძლება. კითხვა-პასუხის ფორუმის მონაცემთა ბაზაში ინახება და ამ ინფორმაციით სარგებლობის საშუალება მომავალში არა მარტო ფორუმის მონაწილეებს, არამედ ინტერნეტის ნებისმიერ მომხმარებელს ექნება. ფორუმის თემატიკა შეიძლება იყოს სრულიად მრავალფეროვანი და ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავდეს.

ამ ბოლო დროს ინტერნეტის ყველაზე გავრცელებულ სერვისად **სოციალური ქსელები** (**social networking service**) იქცა. სოციალური ქსელი არის პლატფორმა, ონლაინსერვისისა ან ვებსაიტი, რომელის დანიშნულებაა ინტერნეტში სოციალური ურთიერთობის ასახვა და დამყარება. ზოგადი მიმართულების სოციალური ქსელები ერთ წრედ აერთიანებს სრულიად განასხვავებულ სფეროებში დასაქმებულ და განსხვავებული ინტერნეტისა და ჰობის მქონე ადამიანებს; საშუალებას აძლევს მათ, ისაუბრონ სხვადასხვა თემაზე, განათავსონ და გაარჩიონ ფოტოსურათები და ვიდეოები, დაამყარონ მეგობრული ურთიერთობა ერთმანეთთან; ატვირთონ, გადმოქაჩიონ და მოუსმინონ მუსიკას და ა.შ. სოციალური ქსელების ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ მათი დახმარებით ადამიანებს მეუძღვიათ, მოძებნონ დიდი ხნის უნახავი მეგობრები და ნათესავები და აღადგინონ მათთან ურთიერთობა.

დღესდღეობით ინტერნეტის მომხმარებლებს შორის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელებია Facebook, Google+, Tumbler, Twiter, LinkedIn.

ისტორია

მსოფლიოს უმსხვილესი სოციალური ქსელი **Facebook** (იკითხება „ფეისბუქ“) ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტმა მარკ ცუკერბერგმა და მისმა მეგობრებმა შექმნეს 2004 წლის 4 თებერვალს. ამ საიტის წყალობით, მარკ ცუკერბერგი 23 წლის ასაკში მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მიღიარდერად იქცა.

ნაბიჯ

ნაბიჯ

პრეზენტაციის შექმნა თემაზე „ინტერნეტმომსახურება“

1. გახსნით პროგრამა Microsoft Powerpoint (ან OpenOffice Impress). გაიხსნება პროგრამის მთავარი ფანჯარა და პრეზენტაციის ახალი ფაილი, რომელიც ერთი სალაიფისაგან შედგება. ფანჯრის ცენტრში მოთავსებულია პრეზენტაციის სლაიდი. ყველა სლაიდი (შიმდინარეცა და ისინიც, რომლებსაც პრეზენტაციაში მოგვიანებით მოათავსებთ), შეგიძლიათ, იხილოთ სლაიდების ველში ფანჯრის მარცხნა მხარეს;
2. შექმნით შეიძლიათ ახალი სლაიდი;
3. გააქტიურეთ პირველი სლაიდი. ეს სლაიდი, ჩვეულებრივ, პრეზენტაციის სატიტულო სლაიდია. მასზე პრეზენტაციის სახელწოდება და ავტორის სახელი იწერება. შეიძლეთ პრეზენტაციის სათაური (ინტერნეტმომსახურება) ველ Click to add title-ში;
4. შეიტანეთ ინფორმაცია თემებზე ველ Click to add subtitle-ში;
5. გააქტიურეთ მეორე სლაიდი. ამ სლაიდზე განათავსებთ ბლოკ „საქმიანობაში“ მოცემულ ცხრილს. პირველ რიგში, აირჩიეთ სლაიდის მაკეტი, რისთვისაც დააწერ კაპუნეტ ლილაკ -ზე ინსტრუმენტების პანელის განყოფილება Slides-ში. შემოთავაზებული მაკეტებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი, მაგალითად, Title and Content. შეიტანეთ სლაიდის სახელწოდება და ააგვთ შესაბამისი ცხრილი;
6. აირჩიეთ ინტერნეტმომსახურების ნ სახეობა, რომელთა შესახებაც ცნობები მოგეპოვებათ. მესამე და ყოველი მომდევნო სლაიდი დაეთმობა თითოეულს ამ სახეობათაგან. გააქტიურეთ მესამე სლაიდი და აირჩიეთ მისთვის მაკეტი Content with Caption. შეიტანეთ სლაიდის სათაური (ზემოთ მარცხნივ) შესაბამის ველში, შემდეგ კი ქვედა ველში – ინფორმაცია მომსახურების პირველი სახეობის შესახებ;
7. მოათავსეთ სერვისთან დაკავშირებული გამოსახულება ან ვიდეო მარჯვენა ველში. სლაიდის დიზაინის შესაქმნელად აირჩიეთ მენიუ Design. მიიტანეთ თაგვის მაჩვენებელი შემოთავაზებულ შაბლონებთან და დაათვალიერეთ ისინი სათითაოდ. აირჩიეთ შესაფერისი შაბლონი (მაგალითად, Flow);
8. ახალობის მეთოდით შეატყობინოთ მეორები და მომდევნო სალიდები;
9. ერთი სლაიდიდან მეორეზე გადასვლის ეფექტის ასარჩევად აირჩიეთ მენიუ Animations. მიიტანეთ თაგვის მაჩვენებელი შემოთავაზებულ ეფექტებთან და დაიცადეთ, რათა დაიხახოთ, როგორ ძროშებს თითოეული მათგანი. აირჩიეთ სასურველი ეფექტი და დააწერ აპუნეტ ლილაკ Apply To All-ზე, რათა გადასვლის ეფექტი ყველ სალიდის მიმართ იქცეს განოვენებულ;





9. მენიუ Insert-ში დააწერეთ ლილაკ Header & Footer-ზე. გახსნილ დიალოგურ ფანჯარაში მონიშნეთ ცელი Slide Number და დააწერეთ Apply To All-ზე. პრეზენტაციის სლაიდები, დაწერებული პირველი სლაიდიდან, თანამიმდევრობით გადაინომდება;
10. გადადით მენიუ Slide Show-ზე და დააჭირეთ ლილაკ -ს. თქვენ მიერ არჩეული შაბლონი პირველ სლაიდზე გამოჩენდება;
11. სლაიდშოუს დასასრულებლად და ჩვეულებრივ რეჟიმზე გადასასვლელად დააჭირეთ კლავიშ **<Esc>**-ს;
12. დაარქვით ფაილს სახელი და შეინახეთ შესაბამის საქალალდება.

გავისწავლოთ

დამოუკიდებლად


Amazon.com ერთ-ერთი პირველი და ყველაზე პოპულარული ინტერნეტსერვისია, რომელიც მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გაყიდვითა დაკავებული. შეკრიბეთ ინტერნეტში დამატებითი ინფორმაცია ამ სერვისის შესახებ.
როდის შეიქმნა ეს სამსახური? რამდენი თანამშრომელია ამ კომპანიაში? რა თანხას შეადგენს მისი წლიური ბრუნვა და სუფთა მოგება?

შემოწმება შენი ცოდნა

1. რა არის ინტერნეტმომსახურება?
2. IRC მომსახურების უზრუნველმყოფ რომელ პროგრამებს იცნობთ?
3. რა არის ბლოგი და რით განსხვავდება იგი ჩვეულებრივი საიტისგან?
4. რა არის ვებფორუმი და რაში მდგომარეობს მისი მუშაობის არსი?
5. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს სოციალურ ქსელებს?

საკუთრივი კიბელური და ლაიანური კონკრეტული კურსები

1. რომელი გამონათქვემია ჭეშმარიტი?
 - ა) მოდელ OSI-ს აქვს 4-დონიანი ვერტიკალური სტრუქტურა და თითოეულ დონეს თავისი საკუთარი ფუნქცია გააჩინია;
 - ბ) ტრანსპორტულ დონეზე გამგზავნის კომპიუტერში არსებული ინფორმაციის დიდი ბლოკები მცირე პაკეტებად ყიყოფა და მიმღებ კომპიუტერს სათანადო თანამდევრობით გადაეცემა. მიზნამდე მიღწევისთანავე პაკეტები კვლავ პირვანდელ სახემდე აღდგება;
 - გ) Ethernet არქიტექტურაში მონაცემები კოაქსიალური კაბელის მეშვეობით გადაიცემა;
 - დ) Fast Ethernet-ში მონაცემთა გადაცემის სტანდარტული სიჩქარე 100 მბიტ/წმ-ს შეადგენს;
 - ე) უსადენო ქსელში კომპიუტერები ერთმანეთს ყოველგვარი საერთო მოწყობილობის გარეშე უკავშირდება;
 - ვ) Wi-Fi ქსელებში ლია ადგილზე მოწყობილობათა უმრავლესობის მოქმედების რადიუსი დაახლოებით 500 მ-ია, ხოლო დახურულ სათავსოებში – 1000 მ;
 - ზ) მობილური კავშირი ფიქტური კავშირის ნიარსახეობაა;
 - თ) სტატიტები ბლოგებში პირუკუ ქრონოლოგიურ თანამიმდევრობით ხარისხდება, ანუ ბოლო ჩანაწერი ზემოთ თავსდება.
2. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შესაბამისი ფრაზებით.
 - ა) ქსელში კომპიუტერების ურთიერთების უზრუნველყოფი წესებისა და პროცედურების ნაკრებს ----- ეწოდება;
 - ბ) სატრანსპორტო დონე ამთავრებს ----- პროცესს;
 - გ) ქსელური არქიტექტურა არის -----, ----- და ----- ნაკრები, რომელიც აუცილებელი ქსელის ასაწყობად;
 - დ) Ethernet არქიტექტურაში ქსელს მაქსიმალური სიგრძეა -----;
 - ე) ----- ანყობისას ხშირად იყენებენ ტექნოლოგია Bluetooth-ს;
 - ვ) OSI მოდელის -----, ----- და ----- დონეები TCP/IP მოდელში ერთ, გამოყენებით დონედაა გაერთიანებული;
 - ზ) ფიქტური სისტემის მირითადი ელემენტებია -----, ----- და -----;
 - თ) -----, აკრეფილი ნომრის შესაბამისად, ამყარებს ფიქტური ქსელის აბონენტის კავშირს სხვა აბონენტთან.
3. რა გნსხვავებაა ბლოგსა და ჩვეულებრივ დღიურს შორის?
4. რა თემების განხილვა შეიძლება ვებფორულებზე?
5. ინტერნეტმომსახურების რომელ სფეროში მუშაობს Amazon. com?




LAYER


5

კომპიუტერი

- 5.1.** მართვის პანელი
- 5.2.** ხმის მართვა
- 5.3.** კომპიუტერის ენერგოდაზოგვის მართვა
- 5.4.** მოსარგებლის სააღრიცხვო ანგარიში და ოჯახური უსაფრთხოება
- 5.5.** კომპიუტერის მართვა შორი მანძილიდან



LAYIH



ოპერაციული სისტემა არის პროგრამა, რომელიც „შუამავალია“ მოსარგებელია და კომპიუტერს შორის. ამავე დროს ოპერაციული სისტემა ქმნის პროგრამული უზრუნველყოფის დაყენებისა და მუშაობისთვის აუცილებელ პირობებს. ოპერაციული სისტემის მიერ გადასაწყვეტი ამოცანები ძალზე მრავალფეროვანია და მოიცავს კომპიუტერის მუშაობის ყველა სფეროს.

სიზუსტისთვის აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპერაციული სისტემაც არ არის ერთი პროგრამა: ის უფრო პროგრამათა ნაკრებია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ვიმუშაოთ ფაილებზე, შევქმნათ კომპიუტერული ქსელები, ჩავერთოთ ინტერნეტში, ვმართოთ მოსარგებლეთა წვდომა კომპიუტერთან, აღვკეთოთ კომპიუტერთან არასანქცირებული წვდომა და შევასრულოთ სხვა ამოცანებიც.

ოპერაციული სისტემა მართლაც უამრავ ამოცანას ასრულებს. გარკვეული ამოცანების შესრულებაზე პასუხს ოპერაციული სისტემის შემადგენელი კონკრეტული უტილიტები აგებს. მოხმარების გასაადვილებლად, ოპერაციული სისტემის მუშაობის სხვადასხვა ასპექტის უზრუნველყოფი ყველა ნაწილი და უტილიტი ერთ ადგილასათა თავმოყრილი. ამ ადგილს **მართვის პანელს** უწოდებენ.

LAYITH

- 1.** რა არის ოპერაციული სისტემა?

 - ა) გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
 - ბ) სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა;
 - გ) პროგრამირების სისტემა;
 - დ) მბმს;

- 2.** რა ჰქვია ინსტრუმენტების ჯგუფს, რომელიც ოპერაციული სისტემისა და მისი ელემენტების ასაწყობად გამოიყენება?

 - ა) მართვის პანელი; ბ) სამუშაო მაგიდა;
 - გ) მთავარი მენიუ; დ) ინსტრუმენტთა პანელი.

- 3.** ამ მოწყობილობათაგან რომელი გარდაქმნის ანალოგურ სიგნალებს ციფრულად?

 - ა) მიკროფონი; ბ) დინამიკი;
 - გ) ხმის ბარათი; დ) ყურსაცმი.

- 4.** რომელი არ არის ხმოვანი ფაილი?

 - ა) WAY; ბ) MPEG;
 - გ) MIDI; დ) MP3.

- 5.** რა ერქვა ხმის ჩამნერ პირველ მოწყობილობას?

 - ა) პატეფონი; ბ) გრამოფონი;
 - გ) ფონოგრაფი; დ) ტელეფონი.

- 6.** რომელი მოწყობილობა გარდაქმნის ელექტრულ სიგნალებს ციფრულად?

 - ა) ციფრულ-ანალოგური გარდამქმნელი;
 - ბ) ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელი;
 - გ) მოდულატორი;
 - დ) დემოდულატორი.

- 7.** რომელია ხმოვანი ინფორმაციის გამომტანი მოწყობილობა?

 - ა) მიკროფონი; ბ) მონიტორი;
 - გ) დინამიკი; დ) მოდემი.

- 8.** რა გამოიყენება არასანქცირებული წვდომისაგან მონაცემთა დასაცავად?

 - ა) მოსარგებლის სახელი; ბ) პაროლი;
 - გ) სიტყვა გასაღები; დ) იდენტიფიკატორი.

- 9.** ამ სიტყვებიდან რომელი ნიშნავს ძველბერძნულ ენაზე „შორეულს“?

 - ა) მიკრო; ბ) კილო;
 - გ) მაკროს; დ) ტელე.

- 10.** რომელი აბრევიატურა ნიშნავს „უწყვეტი კვების წყაროს“?

 - ა) UTP; ბ) UPS;
 - გ) USB; დ) VPN.

პროექტი

მომზადეთ პროგრამა PowerPoint-ში პრეზენტაცია თემაზე: გამოთვლითი ტექნიკის მოკლე ისტორია, ამისათვის ისარგებლეთ სახელმძღვანელოს ბოლოში მოცემული საცნობარო მასალითა და ინტერნეტ-რესურსებით.

5.1 მართვის პანელი

- რომელ პარმეტრებს ცვლით ხოლმე, ჩვეულებრივ, საკუთარ ტელევიზორში, მობილურ ტელეფონში?
- რომელ ელექტრონულ-საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებში არსებობს პარამეტრების შეცვლის შესაძლებლობა?

საემიანობა


შეავსეთ ცხრილი, მიუთითეთ კომპიუტერის მოცემული პარამეტრების მართვის საშუალებები.

№	პარამეტრი	მართვის საშუალება
1	სამუშაო მაგიდის ფონი	
2	ეკრანის დამცავი	
3	თარიღი და დრო	
4	ენა	
5	სამუშაო მაგიდაზე პიქტოგრამების მოთავსება	
6	კომპიუტერის მიერთება ლოკალურ ქსელთან	

– რა შემთხვევაში სარგებლობთ მართვის პანელით?

– მართვის პანელის რომელი სექცია უნდა გამოიყენოთ ლოკალურ ქსელთან კომპიუტერის მისაერთებლად?


მოსარგებლეთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ოპერაციული სისტემის პარამეტრების შეცვლა მხოლოდ გამოცდილ მოსარგებლებს შეუძლიათ, ახალ-ბედები კი ამის გაკეთებას ვერ შეძლებენ. სინამდვილეში ასე სულაც არ არის, რადგანაც ბევრჯერ სავსებით გარდაუვალია ზოგიერთი პარამეტრის შეცვლა (მაგალითად, კომპიუტერის ქსელთან მიერთება). ოპერაციული სისტემა Windows-ისა და მისი ელემენტების პარამეტრების შესაცვლელად არსებობს სპეციალური ინსტრუმენტი, რომელსაც **Control Panel** (მართვის პანელი) ჰქვია.



ოპერაციული სისტემის მართვისთვის მართვის პანელზე არსებობს უამრავი ნიშანი, რომელიც Windows 7-ში მოხერხებულობისათვის 8 კატეგორიადაა გაერთიანებული:

1. სისტემა და უსაფრთხოება;
2. ქსელი და ინტერნეტი;
3. აღჭურვილობა და სმა;
4. პროგრამები
5. მოსარგებლის საალრიცხვო ანგარიში და ოჯახური უსაფრთხოება;
6. გაფორმება და პერსონალიზაცია;
7. საათები, ენა და რეგიონი
8. სპეციალური შესაძლებლობები

1. **სისტემა და უსაფრთხოება (System and Security).** ამ სექციაში თავმოყრილია უტილიტები, რომელთა დანიშნულებაა, შეამოწმონ თქვენი კომპიუტერის მდგომარეობა და მოაგვარონ მოსალოდნელი პრობლემები, იქნება ეს რომელიმე დანართით სარგებლობისას წარმოქმნილი შეფერხება თუ სავარაუდო ვირუსული ინფექცია. ამავე სექციაში შეიძლება Windows-ის უსაფრთხოებისა და განახლების მართვა, მონაცემთა დაარქივება და აღდგენა, ელექტროკვების მართვის გეგმის არჩევა და კომპიუტერის მართვის პარამეტრების შეცვლა.



ამ სექციაში ცვლილებებს ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, ვინაიდან ბევრ მათგანს შეუძლია, თვალსაჩინო გავლენა მოახდინოს ოპერაციული სისტემის მუშაობისუბარიანობაზე და ბოროტგანმზრახველთა ზემოქმედებისაგან მისი დაცულობის ხარისხზე.

2. **ქსელი და ინტერნეტი (Network and Internet).** ეს არის გლობალურ (ინტერნეტის) და ლოკალურ ქსელებთან წვდომის, ასევე მათთან მიერთების პარამეტრების შეცვლა. აქვე შეიძლება Internet Explorer-ის თვისებების მიმოხილვა და საჭირო ცვლილებების განხორციელება, მაგალითად, საშინაო (პირადი)

გვერდის შეცვლა. ამ კატეგორიის ზოგიერთ შესაძლებლობას თქვენ მეათე კლასში გაეცანით.



Network and Sharing Center

[View network status and tasks](#) | [Connect to a network](#) | [View network computers and devices](#) | [Add a wireless device to the network](#)



HomeGroup

[Choose homegroup and sharing options](#)



Internet Options

[Change your homepage](#) | [Manage browser add-ons](#) | [Delete browsing history and cookies](#)

3. **ალქურვილობა და ხმა (Hardware and Sound).** ამ სექციაში შევიძლია ვნახოთ და დავარეგულიროთ კომპიუტერის ისეთი მოწყობილობების პარამეტრები, როგორებიცაა: თაგვი, პრინტერები, მონიტორი, ვიდეობარათი (ვიდეოკარტა) და ხმის პლატა. აქედანვე შეიძლება სისტემის ენერგოდაზოგვისა და ოპტიკური დისკების ავტომატური ჩართვის პარამეტრების მართვა.



Devices and Printers

[Add a device](#) | [Add a printer](#) | [Add a Bluetooth device](#) | [Mouse](#) | [Device Manager](#)



AutoPlay

[Change default settings for media or devices](#) | [Play CDs or other media automatically](#)



Sound

[Adjust system volume](#) | [Change system sounds](#) | [Manage audio devices](#)



Power Options

[Change battery settings](#) | [Change what the power buttons do](#) |
[Require a password when the computer wakes](#) | [Change when the computer sleeps](#) |
[Adjust screen brightness](#)



Display

[Make text and other items larger or smaller](#) | [Adjust screen resolution](#) | [Connect to a projector](#) | [Connect to an external display](#)

4. **პროგრამები (Programs).** ამ პუნქტის დახმარებით შესაძლებელია დაყენებული პროგრამებისა და თვით Windows-ის სისტემის ზოგიერთი კომპონენტის წაშლა ან შეცვლა. აქვე შეიძლება იმ პროგრამების არჩევა, რომლებიც გულისხმობის პრინციპით გამოყენებულ იქნება გარკვეული ამოცანების შესრულებისა და გაჯეტების (მცირე გამოყენებითი პროგრამები, მაგ., ამინდის პროგნოზის ან ვალუტის კურსის შესახებ) ჩვენების მიზნით.



Programs and Features

[Uninstall a program](#) | [Turn Windows features on or off](#) | [View installed updates](#) |
[Run programs made for previous versions of Windows](#) | [How to install a program](#)



Default Programs


[Change default settings for media or devices](#) | [Make a file type always open in a specific program](#) |
[Set your default programs](#)




Desktop Gadgets

[Add gadgets to the desktop](#) | [Get more gadgets online](#) | [Uninstall a gadget](#) |
[Restore desktop gadgets installed with Windows](#)


5. მოსარგებლის სააღრიცხვო ანგარიში და ოჯახური უსაფრთხოება (User Accounts and Family Safety). აქ ხორციელდება მოსარგებლეთა პირადი ანგარიშების აღრიცხვა, მათი დამატება, შეცვლა ან წაშლა, ასევე მშობლის კონტროლის დაყენება.




6. გაფორმება და პერსონალიზაცია (Appearance and Personalization). ამ სექციაში ხორციელდება Start მენიუსა და ამოცანათა პანელის, სამუშაო მავი-დისა და ფანჯრების გარეგნული სახის პარამეტრების შეცვლა, საქაღალდეების პარამეტრების დაყენება, ასევე სისტემის გარეგნული სახის პარამეტრების ყველანაირად შეცვლა.




7. საათები, ენა და რეგიონი (Clock, Language and Region). ამ პუნქტში ხდება თარიღის, დროის, სასაათო სარტყლის, სისტემაში გამოყენებული ენისა და რეგიონული სტანდარტების დაყენება.



8. **სპეციალური შესაძლებლობები (Ease of Access).** ეს სექცია საშუალებას გვაძლევს, სისტემა ისე ავაწყოთ, რომ კომპიუტერზე მუშაობა ცუდი მხედველობის, სმენის ან შეზღუდული მოძრაობითი შესაძლებობების მქონე ადამიანებმაც შეძლონ.



თუ ყურადღებით განიხილეთ მართვის პანელის ყველა ჯგუფი, აუცილებლად შეამჩენევდით, რომ ზოგიერთი ბრძანება რამდენჯერმე მეორდება სულ სხვადასხვა სექციებში. ამიტომ კატეგორიებთან მუშაობა ყოველთვის მოსახერხებელი არ არის, რადგან ზოგჯერ ძნელია, განსაზღვრო, რომელ ჯგუფშია ამა თუ იმ პარამეტრის შეცვლა. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მართვის პანელის ნახვის სხვა რეჟიმის ჩართვა, როდესაც მართვის ყველა ელემენტი ერთდროულად გამოჩნდება ერთ ფანჯარაში. ამ რეჟიმზე გადასართავად საჭიროა Control Panel-ის მარჯვენა ზედა კუთხეში გამოსულ სია View By-ში Small icons ან Large icons ავირჩიოთ.



შევისწავლოთ დაოუკიდებლად

მართვის პანელზე შესაძლებელია სხვა ნიშნების ნახვაც, რომლებიც ამ თემაში წარმოდგენილ ნახატებში მოცემული სტანდარტული ნიშნებისგან განსხვავებულია. ყურადღებით შეისწავლეთ თქვენი კომპიუტერის მართვის პანელი. ნახეთ თუ არა იქ დამატებითი ნიშნები? თუ იპოვთ, რომელ პროგრამებს უკავშირდება ისინი?

შეამონეთ შენი ცოდნა

- რა არის მართვის პანელი?
- როგორ ჯგუფდება მართვის პანელის ელემენტები?
- მართვის პანელის რომელი სექცია უნდა გამოვიყენოთ პრინტერთან საერთო წვდომის უზრუნველსაყოფად?
- რომელი განყოფილება გამოზურული სამუშაო მაგიდისა და ფანჯრების გარეგნული სახის პარმეტრების შესაკველელად?
- სისტემას რომელი პარამეტრების აწყობა შეიძლება განყოფილება „სპეციალურ შესაძლებლობებში“?

5.2 ხმის მართვა

- ამ მოწყობილობებიდან რომელია შემტანი და რომელი – გამომტანი?
- რა სახის ხმოვანი ფაილები არსებობს კომპიუტერში?



საქმიანობა

მოამზადეთ ტექსტურ რედაქტორში ცხრილი. შეავსეთ იგი ინფორმაციით მოცემული ხმოვანი ფაილების გამოყენების სფეროების შესახებ.

ფაილის ფორმატი	გამოყენების სფერო
WAV	
MP3	
MIDI	

- ამ ფაილებიდან რომელი დაიკავებს კომპიუტერის მეხსიერებაში უფრო ნაკლებ ადგილს, თუ მათზე ერთი და იგივე ინფორმაცია იქცება ჩანერილი?
- როგორ კოდირდება ხმოვანი ინფორმაცია კომპიუტერში?


კომპიუტერის აუდიოსისტემა სამ მნიშვნელოვან კომპონენტს შეიცავს: ხმის ბარათს, დინამიკებს და მიკროფონს.

ხმის ბარათი (sound card) ან კომპიუტერის სისტემურ პლატაშია მოთავსებული, ან დამოუკიდებელ გაფართოების პლატას წარმოადგენს, რომელიც სისტემურ პლატაში უნდა ჩაიდგას. ხმის ბარათი, ერთი მხრივ, ხმის სინთეზატორის როლს ასრულებს და უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი ციფრული სტერეობგერის გამოსვლას, ხოლო მეორე მხრივ, ხმის ჩამნერ და ბგერის ციფრულ სიგნალად გარდამქმნელ მოწყობილობად გვევლინება.

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ კომპიუტერს სისტემურ ბლოკში ჩაშენებული დინამიკი გააჩნია, ხმის ბარათის შესაძლებლობების გამოსაყენებლად საჭიროა გარე ხმის დინამიკები (speakers). დინამიკი აძლიერებს ხმას და გამოაქვს ის გარეთ, ხოლო ორობითი კოდის სახის მონაცემების ბგერებად გარდაქმნა ხმის ბარათის დანიშნულება. დინამიკი ხმის ბარათთან უნდა იყოს მიერთებული.

მიკროფონი (microphone) გამოიყენება ხმოვანი ინფორმაციის კომპიუტერში შესატანად და ხმის ბარათის პორტს უერთდება. მიკროფონი ბგერით ტალღებს ელექტრულ სიგნალებად გარდაქმნის. კომპიუტერებში ხშირად სარგებლობენ ყურსაცმებით, რომლებშიც ჩაშენებულია მიკროფონი.

სქემა, რომელიც ასახავს ბგერის გარდაქმნას წყაროდან გამოსვლის შემდეგ, ანუ მიკროფონში, ანალოგურ-ციფრულ გარდამქმნელში, პროცესორში, ციფრულ-ანალოგურ გარდამქმნელსა და დინამიკებში გავლის პროცესში




ზოგჯერ, სხვა პარამეტრებთან ერთად, კომპიუტერის ხმის პარამეტრების შეცვლაც ხდება საჭირო. ამისათვის მართვის პანელის განყოფილება **Hardware and Sound**-ში (ალქურვილობა და ხმა) არსებობს პუნქტი **Sound**. აქედან შეიძლება დინამიკების, ხმის ეფექტებისა და სხვა პარამეტრების შეცვლა.


ნაბიჯ ნაბიჯ 1

დინამიკების პარამეტრების შეცვლა

- დააწერა ნიშან **Sound**-ზე **Control Panel**-ის ფანჯარაში და გახსნილ დიალოგურ ფანჯარაში გადადით ჩანართ **Playback**-ზე;



2. აირჩიეთ სიაში ხმის მოწყობილობა, მაგალითად, დინამიკი (Speakers and Headphones);
დააწერეთ ღილაკ **Configure**-ზე. გაიხსნება ახალი ფანჯარა;



3. დინამიკის მუშაობის, კერძოდ, ხმოვანების ხარისხის, შესამონმებლად დააწერეთ ღილაკ **Test** -ზე;
4. ორჯერ ზედიზედ დააწერეთ ღილაკ **Next** -ზე, შემდეგ კი – ღილაკ **Finish** -ზე;
5. დახურეთ დიალოგური ფანჯარა Sound ღილაკ OK-ზე დაწერეთ.

კომპიუტერის მართვა ხმის მეშვეობითაც შეიძლება. თქვენ შეგიძლიათ, წარმოთქვათ ბრძანებები, რომლებზეც ის რეაქციას გამოხატავს, ან უკარნახოთ ტექსტი. ვიდრე Windows-ის ხმის ამოცნობის (speech recognition) ფუნქციის გამოყენებას დაიწყებდეთ აუცილებელია მისი პარამეტრების დაყენება თქვენს კომპიუტერზე. ეს პროცესი სამი ეტაპისგან შედგება: თქვენ უნდა დაააყენოთ კომპიუტერზე პარამეტრები, ისნავლოთ კომპიუტერთან სწორად ლაპარაკი და ასწავლოთ მას თქვენი ლაპარაკის გაგება.

ნაბიჯ 1 ნაბიჯ 2

მიკროფონის პარამეტრების შეცვლა

1. გახსენით ფანჯარა Control Panel;
2. აირჩიეთ კატეგორია Ease of Access;
3. დააწერეთ პუნქტ Speech Recognition-ზე და ჩამოშლილ სიაში აირჩიეთ ვარიანტი Set up microphone;
4. მიკროფონის პარამეტრების დასაყენებლად შეასრულეთ გახსნილ ფანჯარა Microphone Setup-ი მოცუმული მითითებები;

Windows-ის შემადგენლობაში შედის სპეციალური სასწავლო კურსი, რომლის დახმარებით ადვილად შეიძლება ხმის ამოცნობის პროგრამის მუშაობისას გამოყენებული ბრძანებების ათვისება. ამისათვის დაახლოებით 30 წუთია საჭირო. სასწავლო პროგრამის გასახსნელად შეასრულეთ შემდეგი მოქმედებები:

Control Panel ⇒ Ease of Access ⇒ Speech Recognition ⇒ Start Speech Recognition და მიჰყევით კურსის მითითებებს;

ხმის ამოცნობის პროგრამა მოსარგებლის ხმისა და წარმოთქმული ბრძანებების ამოსაცნობად უნიკალურ სამეტყველო პროფილს იყენებს. რაც უფრო მეტხანს სარგებლობთ ამ პროგრამით, მით უფრო სრული ხდება თქვენი სამეტყველო პროფილი და მით უკეთესად ახდენს კომპიუტერი თქვენი ბრძანებების ინტერპრეტაციას. იმისათვის, რომ კომპიუტერს ხმის ამოცნობა „ასწავლოთ“, აირჩიეთ ბრძანება: Control Panel ⇒ Ease of Access ⇒ Speech Recognition ⇒ Train your computer to better understand you და მიჰყევით კურსის ინსტრუქციებს. გახსოვდეთ, რომ ხმის ამოცნობის პროგრამისგან რეალური შედეგის მისაღებად საჭიროა 9-12 საათის ვარჯიში.


Windows საშუალებას გვაძლევეს, სხვადასხვა მოვლენასა და მოქმედებას განსხვავებული ხმოვანი ეფექტები მივაბათ.

ნაბიჯ ნაბიჯ 3

ხმოვანი ეფექტების მიბმა მოვლენებთან

1. გახსენით დიალოგური ფანჯარა Sound და გადადით ჩანართ Sounds-ში. სია Program Events-ში მითითებულია სხვადასხვა მოქმედება, რომელთა შესრულება შეუძლია Windows-ს, და ზოგიერთი პროგრამა. შეგვიძლია, თითოეულ მოქმედებას გარკვეული ხმები შევურჩიოთ და მივაბათ;
2. აირჩიეთ მოქმედება, რომელთანაც ხმის მიბმა გსურთ. მაგალითად, ელექტრონული ფოსტით წერილის მოსვლისას ხმოვანი სიგნალის მისაღებად აირჩიეთ სტრიქონი New Mail Notification;
3. ამ მოვლენის მანიშნებელი ხმის შესამოწმებლად დააწკაპუნეთ ლილაკ -ზე;
4. მოვლენისთვის ახალი ხმის მისაბმელად ფანჯრის ქვედა ნაწილში მოცემულ სია Sounds-ში აირჩიეთ და შეამოწმეთ სხვა ხმა;
5. თუ ეს ხმები არ მოგწონთ, ღილაკის გამოყენებით მიუთითეთ ადგილი, სადაც თქვენთვის სასურველი ხმოვანი ფაილი ინახება;
6. დააწკაპუნეთ ლილაკ OK-ზე;
7. Windows-ს აქვს რამდენიმე მზა სქემა, რომელთა არჩევა შეიძლება ფანჯრის ზემოთ მოცემულ სია Sound Scheme-ში. თუ გსურთ თქვენი საკუთარი სქემის შექმნა, გამოიყენეთ ღილაკი, რათა თქვენთვის სასურველი ხმები ახალი სახელით შეინახოთ. გათვალისწინეთ, რომ MP3 და MIDI ფაილების მოვლენებთან მიბმას უერ შეძლებთ. ამიტომ, თუ თქვენთვის სასურველი ხმა ამ ფორმატთაგან რომელიმეშია, ჯერ გადააკონვერტირეთ იგი WAV ფორმატად, შემდეგ კი გამოიყენეთ.

LAYIH



შევისწავლოთ დამოუკიდებლად

კომპიუტერის ხმის ბარათს ადამიანის ხმის მიბაძვა შეუძლია. თვით ოპერაციულ სისტემა Window-ს „მოლაპარაკე“ პროგრამული უზრუნველყოფა გააჩნია. მის მოსასმენად გახსენით მენიუ Start და აირჩით პრდანება All Programs ⇔ Accessories ⇔ Ease of Access ⇔ Narrator. პროგრამა მყისვე დაინტებს გახსნილ ფანჯარაში არსებული ტექსტის წაკითხვას. შეამონეთ პროგრამა. მოძებნეთ ინტერნეტში ინფორმაცია ამ პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ. რა მიზანს ემსახურებოდა ამ პროგრამის შექმნა? რომელ ენებს მოიცავს იგი? გაეცანით პროგრამა Dilmanc-ს (*dilmanc. az*). შეამონეთ პროექტის ფარგლებში შექმნილი ხმის ამოცნობისა და ტექსტის წაკითხვის სისტემები აზერბაიჯანული ენისათვის.

შეამონეთ უცნ ცოდნა

1. რომელი მოწყობილობები მუშაობს კომპიუტერის ხმოვან ინფორმაციაზე?
2. მართვის პანელის რომელ განყოფილებაშია მიკროფონის პარამეტრების შეცვლის პრდანება?
3. რა ფუნქციებს ასრულებს ხმის ბარათი?
4. რა არის საჭირო ოპერაციული სისტემა Windows-ის მოქმედებების ხმოვან ეფექტებთან მისაპარელად?
5. რა მიზნით შეიძლება ხმის ამოცნობის სისტემის გამოყენება?

LAVI

5.3 კომპიუტერის ენერგოდაზოგვის მარტვა

როგორ გავიგოთ, რამდენ ელექტრო-ენერგიას მოიხმარს კომპიუტერი? როდესაც 100 ვატის სიმძლავრის ნათურას გყიდულობთ, ვიცით, რამდენ ენერგიას მოიხმარს ის 1 საათში.

კომპიუტერის შემთხვევაში ეს ამოცანა, ცოტა არ იყოს, „როულია“, ვინაიდან ენერგო-ხარჯვა სისტემის კონფიგურაციაზე, მის გრაფიკულ შესაძლებლობებზე და, თქვენ ნარმოიდგინეთ, შესრულებულ სამუშაოზეც კი არის დამოკიდებული.



- როგორ ფიქრობთ, მაგიდის კომპიუტერის რომელი მოწყობილობა მოიხმარს უფრო მეტ ენერგიას: მონიტორი, სისტემური ბლოკი, პრინტერი თუ სკანერი?



საქმიანობა

- დაგუშვათ, რომ საშუალო სიმძლავრის კომპიუტერი დღეში საშუალოდ 5 საათს მუშაობს. ამ დროის უმტესი ნაწილი ვებგვერდების დათვალიერებაზე, სოციალურ ქსელებთან ურთიერთობებსა და მარტივი თამაშებზე ისარკვება. დროის ამ მონაკვეთში სისტემური ბლოკი 1 საათში მოიხმარს 180 ვატ ელექტროენერგიას, მონიტორი 30 – 40 ვატს. ამს დაუჭმატოთ დანახარჯი 19-საათიან „მოლოდინის რეჟიმში“ (4 ვატი სთ-ში), რადგანაც მოსარგებლე, როგორც წესი, ამ დროს კომპიუტერს ქსელიდან არ თიშავს.
- რამდენ ელოგატ/საათ ელექტროენერგიას მოიხმარს თქვენი კომპიუტერი დღეში, თვეში?
 - რა ელირება ეს დანახარჯი მანათებში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი კოლოგატ/საათი ელექტროენერგიის ღირებულება ჩვენს ქვეყანაში თვეში 7 კაპიკ შეადგენს?

დავუბრუნდეთ გაკვეთილის დასაწყისში დასმულ კითხვას: როგორ გავიგოთ, რამდენ ელექტროენერგიას ხარჯავს კომპიუტერი საათში? არსებობს ამის გამოთვლის, სულ ცოტა, ორი მეთოდი: ზუსტი და მიახლოებითი.

ენერგოხარჯის ზუსტად გაზომვის მიზნით იყენებენ სპეციალურ ხელ-საწყის, ვატმეტრს. მარტივი ვატმეტრის შეძენა შეიძლება როგორც მაღაზიებში, ისე ინტერნეტში (ამ ხელსაწყოების ღირებულება დაახლოებით 15 აშშ დოლარია).

მიახლოებითი გამოვლა ნარმოებს ასე: გამოვრთოთ ბინაში ყველა ელექტრომოწყობილობა, დავტოვოთ მხოლოდ ერთი 100-ვატიანი ნათურა. დავითვალოთ მრიცხველის ბრუტათა რიცხვი, ვთქვათ, 30 ნამის განმავლობაში. გამოვრთოთ ნათურა, ჩავრთოთ კომპიუტერი, გავისწათ რომელიმე „მძიმე“ დანართი, კვლავ დაუთვალით მრიცხველის ბრუნვათა რიცხვი იმავე დროში და შევადართ წინა მნიშვნელობას. თუ განსხვავება დიდი აღმოჩნდება, შეგვიძლია გავიმეოროთ დაკვირვება 200-ვატიანი ნათურის გამოყენებით.

დაიბაზოვეთ

- ძილის რეჟიმი
- ჰიბრინაციის რეჟიმი
- სრული გამორთვის რეჟიმი
- ენერგოდაზოგვის მარტვა
- უწყვეტი კვების წყარო


თანამედროვე კომპიუტერები თავიანთ წინამორბედებზე ნაკლებ ელექტრო-ენერგიას მოიხმარს. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ ენერგომომარაგების სხვა-დასხვა რეჟიმში მუშაობა.

ძილის რეჟიმი (sleep mode): თიშავს მყარ დისკებს, დანართებს ტოვებს ოპე-რატიულ მეხსიერებაში, მუშაობას განახლებს პრეტიკულად მომენტალურად. ამ რეჟიმში იხარჯება სისტემის საერთო სიმძლავრის 7-10%.

ჰიბერნაციის რეჟიმი (hibernate mode): მთლიანად ითიშება კომპიუტერი, მონაცემები ინახება ცალკე ფაილში, მუშაობა უფრო ნელა განახლდება, ვიდრე ძილის რეჟიმის შემთხვევაში. იხარჯება 5-10 ვატი.

სრული გამორთვის რეჟიმი (shutdown mode): სრულად გამოდის სისტემიდან, ყველა დაუმახსოვრებელი მონაცემი იკარგება. მუშაობა განახლდება სისტემის ხელახალი ჩატვირთვის შემდეგ. მოიხმარს 4-5 ვატს.

როგორც ხედავთ, კომპიუტერი ნებისმიერ რეჟიმში, მართალია, უმნიშვ-ნელოდ, მაგრამ მაინც აგრძელებს ენერგომოხმარებას. ამიტომ ძალზე მნიშვნე-ლოვანია ენერგომოხმარების ეფექტურად მართვა. ენერგომოხმარების მარ-თვის დანიშნულებაა კომპიუტერის ან სხვა მოწყობილობის (მაგ., ტელევიზო-რის) მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის ეფექტიანად მართვა. ელექტრო-კვების რეჟიმის მართვა უზრუნველყოფს კომპიუტერის ძილის ან ჰიბერნაციის რეჟიმში გადაყვანას.



Window-ის ენერგომოხმარების მართვა ფანჯარა Power Options-შია მოთავ-სებული. ამ ფანჯარის გასახსნელად უნდა დავაწაპუნოთ პუნქტ Power Options-ზე მართვის პანელის საფურია Hardware and Sound-ში. ამ ფანჯარაში წარმოდგენილია თქვენი კომპიუტერის ენერგომოხმარების მართვის სხვადასხვა გეგმა. კვების დამატებითი გეგმების სანახავად უნდა გავხსნათ სია Show additional plans.

თითოეული რეჟიმი ძართავს კომპიუტერული კვების მართვის სქემის ორ კომპონენტს:


- Windows-ის ლოდინის დროს მონიტორის ავტომატურ გამორთვამდე;
- Windows-ის ლოდინის დროს კომპიუტერის ძილის რეჟიმში გადასვლამდე.

ძილის რეჟიმში გადასვლამდე საჭირო დროის ინტერვალი შეტანილი მონაცემების საფუძველზე გამოითვლება. გეგმის ასარჩევად მონიშნეთ იგი. როგორც წესი, გეგმა **Power Save** მოხმარებელთა უმრავლესობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. კვების გეგმის არჩევის შემდეგ დახურეთ ფანჯარა **Power Options**.

თქვენ შეგიძლიათ, ან მართოთ, ან შექმნათ საკუთარი გეგმა ფანჯარის მარცხენა ნაწილში Create a power plan-ზე დაწერაშენებით. მიჰყევით ეკრანზე გამოტანილ ინსტრუქციებს და ელექტროენერგიის მოხმარების გეგმას გასაგები სახელი დაარქვით.

ნაბიჯ ნაბიჯ ჰიბრიდული რეჟიმის არჩევა

1. გახსენით მართვის პანელი;
2. აირჩიეთ კატეგორია Hardware and Sound;
3. სექცია Power Options-ში დააწერაშენებ პუნქტ Choose what the power buttons do-ზე;



4. აირჩიეთ სია When I press the power button-იდან ვარიანტი Hibernate;
5. ცვლილებების შესანახად დააწერაშენებ ლილაკ **Save changes**-ზე;
6. დახურეთ მართვის პანელის ფანჯარა.

~~LAW~~ თუ თქვენ მუშაობთ ნოუთბუქზე ან მაგიდის კომპიუტერზე, რომელიც უწყვეტი კვების ცარისთან (Uninterruptible Power Supply, UPS) არის მიერთებული, მათი ელექტროენერგიის მოხმარების მართვის გეგმა განსაზღვრულია 2 სვეტში (იხ. ნახატი ბლოკ „ნაბიჯ-ნაბიჯში“). პირველ სვეტს ჰქვია „ელემენტით“ (On battery), ხოლო მეორეს – „ელექტროენერგიით“ (Plugged in).

ცხადია, რომ ელექტროენერგიის ეკონომია აუცილებელია, როცა კომპიუტერი ელექტროენერგიიდან კი არა, ელემენტებიდან იკვებება. ამიტომ ნოუთ-

ბუქებისთვის მიზანშენონილია ძილის რეჟიმში გადასასველად ნაკლები დროს მონაკვეთის (1-2 წუთიც საკმარისია) დაყენება.

ვავისხვავლოთ | დამოუკიდებლად

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სატარიფო საბჭოს ოფიციალური საიტიდან (www.tariffcouncil.gov.az) გაიგეთ ჩვენს ქვეყანაში 1 კილოვატ/საათი ელექტროენერგიის ფასი არასაცხოვრებელ სექტორისთვის; გაიგეთ, რამდენი კომპიუტერია თქვენს სკოლაში და დღეში რამდენ საათს ამჟამავებენ მათ. გამოთვალეთ, რამდენ ელექტროენერგიის მოხმარს ეს კომპიუტერები თვეში. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ამ დანახარჯების შემცირება?

შემოხვევა შენი ცოდნა

1. რაზეა დამოკიდებული კომპიუტერული სისტემის ენერგომოხმარება?
2. როგორ გამოითვლება კომპიუტერის მიერ ერთ საათში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა?
3. რა არის პირველაციის რეჟიმი და რით განსხვავდება იგი კომპიუტერის ძილის რეჟიმისგან?
4. რას ნიშნავს ელექტროენერგიის მოხმარების მართვა?
5. რა არის უწყვეტი ელექტროენერგების წყარო და რა მიზნით იყენებენ მას?

5.4 მოსარგებლის სააღრიცხვო ანგარიში და ოჯახური უსაფრთხოება

ვინაიდან Windows მრავალმომხმარებლიანი ოპერაციული სისტემაა, ერთმანეთისგან გამოსაყოფად სხვადასხვა მოსარგებლებს შეუძლია მასში პირადი ანგარიში (user account) ჰქონდეს. როდესაც მოსარგებლე სისტემაში პირადი ანგარიშიდან შედის, ოპერაციული სისტემის ინტერფეისი მის მიერ დაყენებულ გარეგნულ სახეს იღებს, იხსნება მისი საკუთარი მთავარი მენიუ და Windows-ის სამუშაო მაგიდა; წვდომაც მხოლოდ მის მიერ დაყენებული პროგრამებთან და მის მიერვე შექმნილ ფაილებთან აქვს. დარეგისტრირებულ მოსარგებლეს სხვა მოსარგებლის მიერ შექმნილი ფაილების ნახვის საშუალება არ აქვს.




საქმიანობა

ლილაკ Reset-ის გამოყენებით, გადატვირთეთ ან გამორთეთ კომპიუტერი, მერე კი ისევ ჩართეთ. პირველი ფორმა, რომელიც ეკრანზე გამოჩდება და რომელსაც „სურს“, რომ „მუშაობაში თქვენ მონაწილეობდეთ“, იქნება მოსარგებლის იდენტიფიკაციის ფორმა.

– რამდენი მოსარგებლის სააღრიცხვო ანგარიშია კომპიუტერში? თუ ერთზე მეტი მოსარგებლის ანგარიშია, რა განსახვავებს მათ ერთმანეთისგან?

ოპერაციული სისტემა Windows სამი ტიპის მოსარგებლის სააღრიცხვო ანგარიშის შექმნის საშუალებას იძლევა: ადმინისტრატორის (Administrator), სტანდარტული ანგარიშის (Standard) და სტუმრის (Guest). კომპიუტერის ჩართვის შემდეგ ეკრანზე გამოჩდება სისტემის მოსარგებლის პირადი ანგარიში.




- **ადმინისტრატორი** სრულად მართავს კომპიუტერს, ნებას რთავს ან უკ-რძალავს სხვა ადამიანებს ამ კომპიუტერით სარგებლობას. ჩვეულებრივ, კომპიუტერის ადმინისტრატორი მისი პატრონია. ის მართავს სხვა მოსარგებლეთა სააღრიცხვო ანგარიშებს.
- **სტანდარტულ მოსარგებლეს** შეუძლია ოპერაციული სისტემის შესაძლებლობათა დიდი ნაწილის გამოყენება, მაგრამ მასში ცვლილებების შეტანის საშუალება არ აქვს. მაგალითად, არ აქვს პროგრამების დაყენების უფლება, მაგრამ პროგრამის ჩართვა კი შეუძლია.
- **სტუმარს** შეუძლია კომპიუტერით სარგებლობა, მაგრამ მას, სხვა სტუმრების მსგავსად, სხვა სახელი სისტემაში არ აქვს, ანუ ყველა სტუმარ-მოსარგებლეს შეაქვს ერთი და იგივე სახელი – სტუმარი.

ყურადღება! ადმინისტრატორის ანგარიშით კომპიუტერზე მუშაობისას არსებობს იმის საშიშროება, რომ თქვენს კომპიუტერში მოხვდეს მავნე პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც შეუძლია, დაარღვიოს სისტემის მუშაობა და მიაყენოს მას დიდი ზიანი. ამიტომ კომპიუტერის თითოეულ მფლობელს უზრჩევთ, შექმნას თავისთვის ორი პირადი ანგარიში: ადმინისტრატორისაც და ჩვეულებრივი მოსარგებლისაც. ხშირად სტანდარტული მოსარგებლის ანგარიში სავსებით საკმარისია მუშაობისთვის.

ნაბიჯ ნაბიჯ 1

ადმინისტრატორის სააღრიცხვო ანგარიშის დაყენება

1. გახსენით მართვის პანელი და აირჩიეთ კატეგორია User Accounts and Family Safety (მოსარგებლის სააღრიცხვო ანგარიში და ოჯახური უსაფრთხოება);
2. ჰუნძტ User Account-ში დაანკაბუნეთ ქვეპუნქტი Add or remove user accounts-ზე. გაიხსნება მოსარგებლეთა ანგარიშების შართვის დიალოგური ფანჯარა;



3. დაანკაბუნეთ მითითება Create a new account-ზე ფანჯრის ქვედა ნაწილში;
4. შეიტანეთ მოსარგებლის ანგარიშის სახელი (მაგალითად, მამა);
5. აირჩიეთ ვარიანტი administrator;

6. დააწერეთ ლილაკ **Create Account**-ზე. შეიქმნება ახალი მოსარგებლის სააღრიცხვო ანგარიში;
7. დააწერეთ ახალშექმნილი მოსარგებლის ანგარიშის ნიშანზე. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Change on Account;
8. დააწერეთ მითითება Create a password-ზე. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Create Password;
9. შეიტანეთ პაროლი, რომელიც გინდათ ველ New password-ისთვის. იგივე პაროლი შეიტანეთ ველ Confirm new password-ში;
10. მიუთითოთ მინიშნება პაროლისთვის ველ Type a password hint-ში;
11. პაროლის შესანახად დააწერეთ ლილაკ **Create password**-ზე.

დასამალი არ არის, რომ დღესდღეობით კომპიუტერის მოხმარებელთა შორის ბევრი ბავშვია, კომპიუტერი კი, მიუხედავად თავისი მიმზიდველობისა, საქმაოდ მნიშვნელოვან საფრთხეს შეიცავს. ამჟამად ინტერნეტში უამრავი ისეთი საიტია, რომელთა შინაარსის გაცნობა ბავშვებისთვის მიზანშეწონილი არ არის. ასეთი მავნე (ხანდახან საშიშიც კი) საიტებისაგან ბავშვების დასაცავად ბევრი საშუალება არსებობს. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა ოპერაციული სისტემა Windows-ის მშობლის კონტროლის ფუნქციის გამოყენება.

ნაბიჯ ნაბიჯ 2

ბავშვის სააღრიცხვო ანგარიშის შექმნა

1. გახსენით მართვის პანელი და აირჩიეთ კატეგორია User Accounts and Family Safety;
2. დააწერეთ პუნქტ User Accounts-ის ქვეპუნქტ Add or remove user accounts-ზე; გაიხსნება სააღრიცხვო ანგარიშის წარმოების დიალოგური ფანჯარა;
3. დააწერეთ მითითება Create a new account-ზე;
4. შეიტანეთ ბავშვის მიერ არჩეული სიტყვა მოსარგებლის ანგარიშის ველში;
5. აირჩიეთ ვარიანტი Standard user;
6. დააწერეთ ლილაკ **Create Account**-ზე. შეიქმნება ახალი მოსარგებლის სააღრიცხვო ანგარიში.


ბავშვის მიერ კომპიუტერის გამოყენების კორექტირება შესაძლებელია მოსარგებლის ანგარიშში გარკვეულ დღეებსა და საათებზე შეზღუდვების დაწესებით.

ნაბიჯ ნაბიჯ 3

ბავშვის ანგარიშზე მშობლის კონტროლის დაწესება


1. გახსენით მართვის პანელი და აირჩიეთ კატეგორია User Account and Family Safety;
2. დააწერეთ პუნქტ Parental controls-ზე. გაიხსნება მშობლის კონტროლის დიალოგური ფანჯარა და გამოჩინდება თქვენს კომპიუტერში შექმნილი ყველა მოსარგებლის სააღრიცხვო ანგარიში;

3. დააწეაბუნეთ იმ მოსარგებლის ანგარიშის ნიშანზე, რომლის გაკონტროლებაც გსურთ. გაიხსნება ფანჯარა User Controls;



4. მშობლის კონტროლის განყოფილებაში აირჩიეთ ვარიანტი **On, enforce current settings**;
5. კომპიუტერში შესვლაზე ლიმიტის დასაყენებლად დააწეაბუნეთ **Time limits**-ზე; გაიხსნება ფანჯარა **Time Restrictions**;
6. აირჩიეთ დროის ინტერვალები, რომელთა დაბლოკვაც გსურთ (იხ. ნახატი მომდევნო გვერდზე);
7. გარკვეულ თამაშებთან წვდომის შესაზღუდად დააწეაბუნეთ მითითება **Games**-ზე; გაიხსნება ფანჯარა **Game Controls**;
8. თუ გსურთ, რომ ბავშვს საერთოდ აუკრძალოთ კომპიუტერზე თამაში, მონიშნეთ **No**. თუ მხოლოდ გარკვეული თამაშების შეზღუდვა გინდათ, მაშინ აირჩიეთ ვარიანტი **Yes**;
9. დააწეაბუნეთ მითითება **Set game ratings**-ზე, რათა შეზღუდოთ თამაშებთან წვდომა რეიტინგული სისტემა ESRB-ის საფუძველზე. გახსნილ ფანჯარაში მიუთითეთ, რომელი თამაშის უფლება აქვს ბავშვს;
10. გარკვეული ტიპის თამაშებთან წვდომის დაბლოკვაც შეგიძლიათ. ამისათვის დააწეაბუნეთ მითითება **Block or Allow specific games**-ზე და ჩამოშლილ სიაში მონიშნეთ საჭირო პარამეტრები;
11. დააჭირეთ ღილაკ **OK**-ს და დახურეთ გახსნილი ფანჯარები.

LAYIH



ଓঁবুদ্ধেন্দ্ৰলোক

ESRB (Entertainment Software Rating Board) – ორგანიზაცია, რომელის დანწერულებაა აშშ-სა და კანადაში კომპიუტერული თამაშებისა და სხვა გასართობი პროგრამების მიღება და მათი რეიტინგების განსაზღვრა.

ESRB რეკტინგების ლოგოტიპები გვიჩვენებს იმ ასაკობრივი კატეგორიის ინიციალებს, რომლისთვისც რეკომენდაცია თამაში.



ສ່ວນລາຍເນັດ ສ່ວນໂລ (ເຕັມຊົນ)

1. რა არის „მოსარგებლის საალრიცხვო ანგარიში“?
 2. მოსარგებლის ანგარიშის რა ტიპები არსებობს?
 3. რატომ არ არის მიზანშეწონილი მუდმივად ადმინისტრატორის ანგარიშის გამოყენება?
 4. რისთვის ქმნიან ბავშვის საალრიცხვო ანგარიშს?
 5. მშობლის კონტროლის რომელი ფორმები არსებობს ბავშვის ანგარიშისთვის?

5.5 კომპიუტერის მართვა პორტაბლიზაცია

წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია (შესაძლოა, ასეთი რამ შეგმოთხვევითა კიდეც): მეგობარი თუ ნათესავი ტელეფონით გირებავთ და გთხოვთ, დაეხმაროთ კომპიუტერში რაღაცის გაკეთებაში. თქვენ ცდილობთ, დაეხმაროთ, მაგრამ ვერავერს აგებნებთ, რადგან ან ცუდად ესმის კომპიუტერი, ან ზუსტად ვერ გიხსნით თავის პრობლემას. სატელეფონო ლაპარაკი გიხანგრძლივდებათ, თუმცა უშედეგოდ.

- როგორ შეიძლება ამ სიტუაციის მოგვარება?
- როგორ შეძლებთ პრობლემის გადაწყვეტას მეგობართან (ნათესავთან) მიუსვლელად?



საჭიროება

ინტერნეტში მოძებნეთ პროგრამა TeamViewer (www.teamviewer.com) და ჩატვირთეთ იგი საჯუთარ კომპიუტერშიც და იმ კომპიუტერშიც, რომელთან მიერთებაც გსურთ.

ამ ტიპის პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტაა **კომპიუტერის შორი მანძილიდან მართვის სპეციალური პროგრამების** გამოყენება. ეს დანართები საშუალებას გვაძლევს, ინტერნეტის ან ლოკალური ქსელის დახმარებით შორიდან ვმართოთ სხვა კომპიუტერი. ასეთი პროგრამები, ერთი მხრივ, ძალიან სასარგებლოა, მეტადრე, ზემოთ აღნერილის მსგავს სიტუაციებში, როდესაც კომპიუტერის დამწყებ მომხმარებელს მასთან მისვლისა და ხანგრძლივ ლაპარაკში დროის დაკარგვის გარეშე აღმოვუჩენთ დახმარებას. მეორე მხრივ, ეს დანართები სრულიად აუცილებელია, როდესაც ქსელური ადმინისტრატორის როლში სახლში, საჯუთარ კომპიუტერთან ჯდომა და სერვერებისა და სხვა კომპიუტერების მართვა გვესაჭიროება.

TeamViewer (იკითხება „თიმვიუვერ“) ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა. ამჟამად მსგავსი ფუნქციების მეონე უამრავი თავისუფლად გავრცელებადი და კომერციული პროგრამა არსებობს: **AeroAdmin, LiteManager, Radmin, RemotePC, Splashtop** და სხვ.




კომპიუტრები და მობილური ტელეფონები კლასიფიცირდება პროგრამა TeamViewer-ის მიერ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდის (ID) შესაბამისად. ეს ამოსაცნობი კოდი, მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების საფუძველზე, ავტომატურად გენერირდება TeamViewer-ის პირველივე ჩართვისას და აღარასოდეს იცვლება. TeamViewer-ის ყველა კავშირი დაშიფრულია და დაცულია გარედან ჩარევისაგან.

ნაბიჯ ნაბიჯ 1

TeamViewer-ის მშვეობით კომპიუტერების დაკავშირება

- ჩართოთ პროგრამა TeamViewer. გაიხსნება პროგრამის მთავარი ფანჯარა, რომელშიც გამოისახება თქვენი კომპიუტერის საიდენტიფიკაციო კოდი (YourID) და თქვენი პაროლი (Password);



- სთხოვეთ მეგობარს, რომლის კომპიუტერთან მიერთებაც გსურთ, ჩართოს პროგრამა TeamViewer;
- მეგობრის კომპიუტერთან მისაერთებლად გაიგეთ მისი კომპიუტერის საიდენტიფიკაციო კოდი (YourID) და პაროლი (Password);
- შეიტანეთ თქვენი მეგობრის საიდენტიფიკაციო კოდი თქვენი პროგრამის ველ Partner ID-ში;
- აირჩიეთ ვარიანტი Remote control;
- დააწაპუნეთ ლილაკ **Connect to partner** -ზე. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა TeamViewer Authentication;
- შეიყვანეთ მეგობრის კომპიუტერის პაროლი;
- დააწაპუნეთ ლილაკ Log on-ზე. ახლა თქვენ უკვე მიერთებული ხართ დაშორებულ კომპიუტერთან და თქვენი კომპიუტერის ეკრანზე იმ კომპიუტერის სამუშაო მაგიდა გამოჩედება.

TeamViewer, უსაფრთხოების მიზნით, ყოველი გახსნისას ახალ დროებით პაროლს ქმნის. თუ კომპიუტერს შორი მანძილიდან მარტო თქვენ მართავთ და

ასეთი სამუშაო ხშირად მეორდება, ყოველ ჯერზე ახალი პაროლის დამასოვრება გარკვეულ უხერხულობას შეგიქმნით. ამგვარი შემთხვევებისთვის პროგრამა TeamViewer-ში გათვალისწინებულია მუდმივი პირადი პაროლის დაყენების ფუნქცია. ასეთი პაროლით მუშაობა უფრო მოხერხებულია, რადგან ეს პაროლი, რომელიც მხოლოდ თქვენთვისაა ცნობილი, კომპიუტერის გადატვირთვისას არ იცვლება.

ნაბიჯ

ნაბიჯ 2

მუდმივი პაროლის შექმნა პროგრამა TeamViewer-ში

1. მიიტანეთ თაგვის მაჩვენებელი პაროლის (Password) ველში. გამოჩენდება ნიშანი Password options;



2. დააწვაპუნეთ ნიშანზე და გახსნილ კონტრქსტურ მერიუში აირჩიეთ პუნქტი Set personal password. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა TeamViewer Options;
3. შეიტანეთ თქვენი პერსონალური პაროლი;
4. შეინახეთ ცვლილებები ღილაკ OK-ზე დაჭრით.

პროგრამა TeamViewer-ის ვერსიები ხელმისაწვდომია ყველა მობილური და სხვადასხვა მობილური სისტემისათვის.

შევისეავაზოთ

დაოჭკიდაზღად

შორი მანძილიდან მართვის ფუნქციასთან ერთად, პროგრამა TeamViewer-ს მუშაობის სხვა ძირითადი რეჟიმებიც გააჩნია, მაგ.: ფაილების გადაგზავნა, ჩათში ურთიერთობა, საკუთარი სამუშაო მაგიდის დემონსტრირება.

რეჟიმი File transfer საშუალებას გვაძლევს, გადავუგზავნით ფაილები სხვა კომპიუტერს და მივიღოთ კიდეც მისგან ფაილები.

დაუკავშირდით თქვენს მეგობარს TeamViewer-ის საშუალებით და გაუცვალეთ მას ფაილები.

შეამონეთ შენი ცოდნა


1. რის ცოდნა გჭირდებათ იმისათვის, რომ კომპიუტერის შორი მანძილიდან მართვის პროგრამის საშუალებით სხვა კომპიუტერს მიუერთდეთ?
2. რა უპირატესობები აქვს შორი მანძილიდან კომპიუტერის მართვის პროგრამებს?
3. რის საფუძველზე განსაზღვრავს TeamViewer კომპიუტერის საიდენტიფიკაციო კოდს?
4. შორი მანძილიდან კომპიუტერის მართვის გარდა, რა დამატებით შესაძლებლობებს ფლობს TeamViewer?
5. რა შემთხვევაში ხელსყოლი მუდმივი პირადი პაროლის გამოყენება?

- 1. რომელი გამონათქვამია ჭეშმარიტი?**
 - ა) სექცია Programs-ის დახმარებით შეგვიძლია წავშალოთ ან შევცვალოთ პროგრამები, ასევე ოვით ოპერაციული სისტემის ზოგიერთი კომპონენტი;
 - ბ) თარიღის, სასათო სარტყლის, ენისა და სისტემაში გამოყენებული რეგიონული სტრანდარტების დაყენება სრულდება მართვის პანელის სექცია Clock, Language and Region-ში;
 - გ) მოსარგებლეთა საალრიცხვო ანგარიშების შექმნა, ახალი საალრიცხვო ანგარიშების დამატება და მშობლის კონტროლის დაყენება მართვის პანელის სექცია Appearance and Personalization-ში წარმოებს;
 - დ) ოპერაციული სისტემა Windows-ის ხმები, რომელთა სხვადასხვა მოვლენასა და მოქმედებასთან მიმდინარე სურა, MP3 ფორმატში უნდა იყოს;
 - ე) ადმინისტრატორი სრულად მართავს კომპიუტერს და, ამასთან ერთად, ნებას რთავს ან უკრძალავს სხვა ადამიანებს ამ კომპიუტერით სარგებლობას;
 - ვ) ძილის რეჟიმი მონაცემები ცალკე ფაილში ინახება, კომპიუტერის ელექტრონულება კი მთლიანად ითიშება;
 - ზ) საიდენტიფიკაციო კოდი ავტომატურად გენერირდება მოწყობილობის ტექნიკური მასასიათებლების საფუძველზე და შემდგომში ალარ იცვლება;

თ) TeamViewer-ის ჩართვისას, უსაფრთხოების მიზნით, ყოველ ჯერზე ახალი დროებითი პაროლი იქმნება.
- 2. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შესაბამისი ფრაზებით:**
 - ა) ოპერაციული სისტემა Windows-ისა და მისი ელექტრობის სამართავად არსებობს სპეციალური ინსტრუმენტი, რომელსაც ----- ენოდება.
 - ბ) სისტემის ენერგოდაზოგვის ცვლილებისა და ოპტიკური დისკების ავტომატური ჩართვის ცვლილების მართვა ხორციელდება მართვის პანელის სექცია ----- ტიპი.
 - გ) კომპიუტერში ხმოვანი ინფორმაციის შესატანად იყენებენ ----- უბრალოდ, აძლიერებს ხმას გამოტანის ადგილზე, ხოლო მოწყობილობა ----- ორიბოთი კოდის მონაცემებს ბეგერებად გარდაქმნის.
 - დ) ოპერაციული სისტემა Windows სამი ტიპის მოსარგებლის საალრიცხვო ანგარიშის შექმნის საშუალებას იძლევა. ესენია: -----, ----- და -----.
 - ე) ----- რეჟიმში სისტემა მთლიანად გამორთულია და ყველა დაუმახსოვრებელი მონაცემი იკარგება. მუშაობის დასაწყებად სისტემა თავიდნ უნდა ჩაიტვრთოს.
 - ვ) -----პროგრამები, ინტერნეტის ან ლოკალური ქსელის გამოყენებით, სხვა კომპიუტერების შორი მანძილიდან მართვის საშუალებას იძლევა.
 - ზ) ----- პაროლი TeamViewer-ში კომპიუტერის გადატვირთვისას არ იცვლება.
- 3. როგორ ამოიცნობს პროგრამა TeamViewer კომპიუტერებსა და მობილურ მოწყობილობებს?**



LAY




6

ვებკროედი

- 6.1. ვებსაიტის პროექტი
- 6.2. ვებგვერდის შექმნა პროგრამა Word-ში
- 6.3. Excel-ის ცხრილების ვებგვერდის სახით შენახვა
- 6.4. ვებპრეზენტაცია პროგრამა PowerPoint-ში
- 6.5. ინტერნეტში საიტების გამოქვეყნება და მათი შეფასება

LAYIH



ვებსაიტების შექმნის მრავალი მეთოდი არსებობს. ყველაზე მარტივია საიტის კონსტრუქტორის, მაგალითად, Wix-ის, A5-ის, uCit-ის, Umi-ს გამოყენება. მეორე და უფრო რთული მეთოდი გულისხმობს **HTML**-ის ვიზუალური რედაქტორების – Adobe Dreamweaver-ისა და Microsoft SharePoint Designer-ის გამოყენებას. კიდევ ერთი მეთოდი დააკავშირებულია CMS (content management systems) მართვის სისტემების გამოყენებასთან, რომლებსაც მიეკუთვნება, მაგალითად, WordPress, Joomla!, Drupal.

მარტივ პროექტებში შესაძლებელია Microsoft Office-ის დანართების გამოყენება. Microsoft Office-ის მთელი პაკეტი ვებტექნოლოგიებთან სამუშაო მრავალ სასარგებლო ინსტრუმენტს შეიცავს. ვებგვერდის შესაქმნელად ეფექტური ინსტრუმენტია Word; პროგრამა Excel ვებგვერდიდან მონაცემების ელექტრონულ ცხრილებში იმპორტირებისა და, ამავე დროს, პროგრამაში შექმნილი ცხრილების ვებგვერდის სახით შენახვის საშუალებას იძლევა; PowerPoint-ს შესაძლებლობა აქვს, პრეზენტაციები ინტერნეტში განათავსოს; Access უზრუნველყოფს ბრაუზერებიდან შეკითხვების უმუალოდ მონაცემთა ბაზაში გაგზავნას; Office-ის ყველა პროგრამას აქვს ვებინსტრუმენტების უნიტი; Office-ის ყველა პროგრამას აქვს ჰიპერბმულებთან მუშაობის შესაძლებლობა.

LAYIN

1. რა ჰქვია უნიკალური პროდუქტის ან მომსახურების შექმნას
შეზღუდული დროისა და რესურსების პირობებში?
ა) სისტემა; ბ) ალგორითმი;
გ) პროექტი; დ) გეგმა.

2. ამ დანართებიდან რომელი არ შედის Microsoft Office-ის პაკეტში?
ა) OpenOffice Writer; ბ) Excel;
გ) PowerPoint; დ) Access.

3. რომელია მსოფლიო ქსელის ენა?
ა) Python; ბ) WWW;
გ) C++; დ) HTML.

4. რა ეწოდება ინტერნეტმომსახურების მომწოდებელ კომპანიას?
ა) პროვაიდერი; ბ) ბრაუზერი;
გ) ჰაკერი; დ) ვებდიზაინერი.

5. რა არის პირველი დონის დომენი დომენურ სახელ *informatika.edu.az*-ში?
ა) informatika; ბ) edu;
გ) az; დ) edu.az.

6. რას უწოდებენ ვებსერვერზე საიტის განთავსებასა და
მომსახურებას?
ა) მონიტორინგს; ბ) ჰოსტინგს;
გ) განთავსებას; დ) ტექნიკურ მომსახურებას.

7. რას უწოდებენ კომპიუტერს, რომელშიც საიტებია განთავსებული?
ა) სერვერს; ბ) FTP-სერვერს;
გ) DNS-სერვერს; დ) ვებსერვერს.

8. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის პროტოკოლი?
ა) IP; ბ) FTP;
გ) PHP; დ) TCP.

9. რა არის FTP?
ა) ლოკალური ქსელი; ბ) ინტერნეტ-პროტოკოლი;
გ) ქსელური კაბელი; დ) ფაილების გადაცემის
პროტოკოლი.

10. ამ აბრევიატურებიდან რომელია ვებსაიტის მისამართი
ინტერნეტში?
ა) FTP; ბ) WWW;
გ) URL; დ) IP.

6.1 ვებსაიტის პროექტი

- როგორ ფიქრობთ, რა მიზნით იქმნება საიტები?



საქმიანობა

გასულ სასწავლო წელს თქვენ გაეცანით ვებპროექტის შემუშავების ეტაპებს, წელს კი – პროექტის შემუშავების ეტაპებს. შეადარეთ ეს ეტაპები ერთმანეთს.

პროექტის შემუშავების სტადიები	ვებპროექტის შემუშავების სტადიები
ჩანაცეკრი	დაპროექტება
დოკუმენტი	დიზაინის შემუშავება
რეალიზაცია	გვერდების მაკეტების შექმნა
დასრულება	სერვისის დაპროგრამება
კონტროლი	საიტის პუბლიკაცია
	პროექტის თანხლება


- მარჯვენა სვეტის რომელი სტადიები შეესაბამება მარცხენა სვეტის თითოეულ სტადიას?

გასულ სასწავლო წელს თქვენ მოკლედ გაეცანით ვებსაიტის შემუშავების ეტაპებს. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ, აქაც, ისევე როგორც სხვა პროექტებში, ეტაპებად დაყოფა პირობითა, ანუ ეტაპების დასახელება სხვაგვარადაც შეიძლება ჩამოყალიბდეს, მაგალითად:

1. საიტის საგნის, მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა;
2. საიტის სტრუქტურის შემუშავება, ნაწილებსა და გვერდებს შორის კავშირის განსაზღვრა;
3. საიტის დიზაინის, ანუ დაპროექტების სტილის შემუშავება;
4. ვებგვერდებზე განსათავსებელი მასალის (ტექსტისა და გრაფიკის) მომზადება;
5. საიტის გვერდების შექმნა, ანუ HTML-კოდის დაწერა;
6. საიტის განთავსება (პუბლიკაცია) ქსელში და შემოწმება;

მოდით, არაოპრივატ განვიხილოთ თითოეული ეტაპი პროექტ „ოპერისა და ბალეტის თეატრის“ მაგალითზე.

- ცხადია, რომ საიტის მთავარი მიზანია საზოგადოებისთვის თეატრის რეპერტუარის გაცნობა, დადგმების პროპაგანდა, სპექტაკლებზე მაყურებლების მოზიდვა.
- პროექტის შემუშავება საიტის საინფორმაციო მოდელის შექმნით იწყება. დასასწყისისთვის უნდა ჩამოვყალიბდეთ, რომ საიტი 7 ვებგვერდით იქნება წარმოდგენილი. თვალსაჩინოებისათვის საიტის სტრუქტურა ხისებრი საინფორმაციო მოდელის სახით წარმოვადგინოთ:



სქემის ზედა ნაწილში, ანუ ხის ფესვში ნაჩვენებია საიტის მთავარი გვერდი. ამ გვერდზე განთავსდება ზოგადი ინფორმაცია თეატრის შესახებ (მისი სრული სახელწოდება, ფოტოსურათი, მისამართი) და ჰიპერბმულები.

თეატრის სრული სახელწოდება			
თეატრის გამოსახულება (ფოტო)			
თეატრის მსამართი			
რეპერტუარი	აფიშა	კომპოზიტორები	მსახიობები

სქემის მეორე დონის ვებგვერდები სის სახით არის ჩამოთვლილი, მაგალითად, გვერდი „აფიშა“ გვთავაზობს იმ წარმოდგენების ჩამონათვალს, რომელიც სეზონის განმავლობაში დაიდგმება (თარიღების მითითებით). ყველა ეს გვერდი სტრუქტურით ერთნაირი, ხოლო შინაარსით განსხვავებული იქნება.

3. ახლა განვსაზღვროთ საიტის დიზაინი. ვებგვერდის დიზაინის ძირითადი სტრუქტურული ელემენტებია ტექსტური ბლოკები (ძირითადი ტექსტი, სათაურები, სიები, ჰიპერბმულები) და გრაფიკული ობიექტები. გრაფიკულ ინტერაქციებში შედის გამოსახულებები (წახატები, ფოტოსურათები, ანიმაციები), შპალერი (ფონური სურათი), გრაფიკული ბმულები და გამყოფი ხაზები. მოცემულ გვერდებზე ელემენტების განსათავსებლად ცხრილებს გამოვიყენებთ.

- გრაფიკული ელემენტების სტილი
- თემა
- საიტის პუბლიკაცია

ვებგვერდის დიზაინის სტილს მისი ელემენტების თვისებების თავსებადობა განსაზღვრავს.

ტექსტის სტილი დაფორმატების პარამეტრების დახმარებით განისაზღვრება, დათორმატების პარამეტრებში იგულისხმება შრიფტი, მისი ზომა და ფორმა,

აბზაცი, ტექსტის კიდეების გასწორება, შუალედები სიმბოლოებს შორის, სტრიქონთაშორისი ინტერვალები და სხვ. გრაფიკული ელემენტების სტილი დაინდება ფორმის პარამეტრების მეშვეობით, როგორებიცაა ზომა, ფერი, ტექსტურა და ჩრდილები, ბლიკები, გამჭვირვალობა.

სტილის თვალსაზრისით დოკუმენტის სწორად გასაფორმებლად მიზანშეწონილია მზა შაბლონების – თემების გამოყენება. **თემას** უწოდებენ დოკუმენტის გასაფორმებლად სპეციალურად შემუშავებული დიზაინის ელემენტებისა და ფერების სქემების ნაკრებს. სქემის მეშვეობით შესაძლებელია როგორც ცალკული გვერდების, ისე მთელი საიტის გაფორმების წინასწარ განსაზღვრა. თემები საშუალებას გვაძლევს, სტილი განვუსაზღვროთ ძირითად ტექსტს, სათაურებს, ჰიპერბმულებს, პლეიგვერდებს, ფონის ფერს, შპალერს, ცხრილის საზღვრების ფერსა და სისქეს და სხვა პარამეტრებს. ყველა საოფისე პროგრამაშია შემოთავაზებული თემები, თუმცა მათ ძირითადად პრეზენტაციებისა და ვებსაიტების შექმნისას იყენებენ.

ერთი და იმავე დონის გვერდებისთვის მიზანშეწონილია გაფორმების ერთნაირი სტილის მინიჭება.

4. საიტის გვერდების შექმნა უნდა დაიწყოს მისი ყველა ელემენტის (ტექსტების, გამოსახულებების) შეკრებით.

5. ამის შემდეგ ყველა ელემენტი და მათი შესაბამისი ბმულები მზა შაბლონზე განთავსდება. საიტის ყველა გვერდის ფაილები ერთ საქალალდეში უნდა ინახებოდეს. ვუწოდოთ მას, ვთქვათ, საქალალდე ვებგვერდი. ეს ამარტივებს საიტის ვებსერვერზე განთავსებას. თუ გვერდები ან გამოსახულებები დოდი რაოდენობითა, მიზანშეწონილია მათი ჩადგმულ საქალალდებში შენახვა (მაგალითად, ვებგვერდიზომი). როგორც წესი, მთავარი გვერდის ფაილს ჰქვია index.htm ან main.htm.

მხოლოდ ფაილების საქალალდებში განთავსების შემდეგ შეძლებთ, შექმნათ ჰიპერბმულები, რომლებიც გვერდიდან სხვა გვერდზე გადასვლის საშუალებას იძლევა. ჩვენს მაგალითში მოსახერხებელია ჯერ ქვედა დონის გვერდების შემუშავება, შემდეგ – მთავარი გვერდის გაფორმება და მხოლოდ ამის შემდეგ – ჰიპერბმულების შექმნა ქვედა დონის გვერდებზე გადასასვლელად. ბოლოს უნდა შემოწმდეს ბმულების მუშაობა ოფლაინ რეჟიმში.

6. მხოლოდ გულდასმით შემოწმებისა და შეცდომების გასწორების შემდეგ შეიძლება ვებსაიტის გამოქვეყნება, ანუ მისი ვებსერვერზე განთავსება.

შევისწავლოთ ასოუკიდევაბლად

შეადარეთ „საქმიანობის“ ბლოგში წარმოდგენილი ვებპროექტის შემუშავების სტადიები

თემაში მოცემული ვებსაიტის შექმნის ეტაპებს.

არის თუ არა სერიოზული განსხვავება მათ შორის? რომელი დაყოფაა, თქვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი?

შეამოხვე შენი ცოდნა

1. რა ეტაპებად შეიძლება დაყოფოს ვებსაიტის შემუშავება?
2. რა იგულისხმება ვებგვერდის სტილი?
3. რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი ფაილების ჩადგმულ საქალალდებში შენახვა?
4. რა არის „თემა“ და რისთვის გამოიყენება იგი?
5. რას წინავს ფრაზა „ვებსაიტის პუბლიკაცია“?

6.2 30პგვერდის შექმნა პროგრამა Word-ში

- რომელი პროგრამები შედის საოფისე პროგრამების პაკეტში?
- Microsoft Office-ის პაკეტის რომელი პროგრამაა განკუთვნილი ვებსაიტების შექმნისთვის?



საქმიანობა

გაეცანით აზერბაიჯანის ობერისა და ბლეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ოფიციალურ საიტს (tob.az). გამოიყენეთ ჰიპერბმულები და დაათვალიერეთ საიტის გვერდები.

- რომელი საოპერო და საბალეტო სპექტაკლებია თეატრის რეპერტუარში?
- საიტის დიზაინის რომელი საშუალებებითაა უზრუნველყოფილი ერთი გვერდიდან სხვა გვერდზე გადასვლის შესაძლებლობა?

რთული ვებსაიტების შესამუშავებლად პროფესიონალი პროგრამისტები სპეციალურ პროგრამებს იყენებენ. Microsoft Office-ის პაკეტშიც არის ასეთი პროგრამული უზრუნველყოფა – პროგრამა Microsoft SharePoint designer. მარტივი ვებგვერდების შესაქმნელად და არსებული დოკუმენტის ვებფორმატად გადასაკეთებლად თქვენთვის უკვე ნაცნობ პროგრამა Word-საც საკმაო შესაძლებლობები გააჩნია. Word დოკუმენტის ვებფორმატში შენახვის, ბრაუზერში მისი დათვალიერებისა და გვერდზე ჰიპერბმულების დამატების საშუალებას იძლევა.

პროგრამა Word-ში შექმნილი დოკუმენტი ვებგვერდის ფორმატში შენახვისას **HTML-კოდად** გარდაიქმნება. დოკუმენტი შეიცავს სპეციალურ ტეგებს, რომლებიც ზუსტად გვიჩვენება, როგორ გამოისახება გვერდი ბრაუზერის ფანჯარაში. Word-ის დოკუმენტის ვებგვერდად კონვერტირებისას დაფორმატების პარამეტრების უმრავლესობა შენარჩუნდება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რომლებსაც ვებბრაუზერი არ იზიარებს.

ვიდრე დოკუმენტს ვებგვერდის სახით შეინახავდეთ, შეგიძლიათ შეხედოთ, როგორ გამოიყურება ის ბრაუზერის ფაჯარაში. თუ ნანახი დაგაკმაყოფილებთ, დოკუმენტს ვებგვერდის სახით შეინახავთ. დოკუმენტის ვებფორმატში გამოსასახად გამოიყენეთ Web Layout ღილაკი Word-ის სტატუსის სტრიქონში. ვებგვერდის ფორმატში შენახვის შემდეგ, შეგიძლიათ, დოკუმენტი კვლავ Word-ის რედაქტორში გახსნათ და ჩვეულებრივად გაარედაქტიროთ.

წარმოიდგინეთ, რომ დაგავალეს, მოამზადოთ საიტი აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მიმდინარე სეზონის რეპერტუარის სპექტაკლების შესახებ.

616031

1. გახსნით პროგრამა Microsoft Word 2007;
 2. მოამზადეთ ასეთი დოკუმენტი:

ოპერა ქოროლლი



კომპოზიტორი: უზენა ჰავიდეილი

ლიბრეტო: ჰაბიბ ისმაილოვი

პირველი დადგმა: 1937 წლის 30 აპრილი

უ. პაკისტანის თერიო, „ქრისტლი“ აზერბაიჯანის ეროვნული სამაცრო ხელოვნების უდიდესი მილენუა და კომპოზიტორის შემოქმედების მწვრთვალია. თერიოს პირველი დადგმა 1937 წლის 30 აპრილს განხორციელდა ბაქოში. დამდგმელი – ისმაილ ხიდაიათხადე, სპეციალურს თვით კომპოზიტორი დირიჟორობდა. ქრისტლის პარტია დიდმა აზერბაიჯანელმა მომღერალმა ბულბულ მამედოვმა შესარელდა.

ოპერა „ქოროლის“ დიდი წარმატება ხვდა წილად აზერბაიჯანული ხელოვნების დღესადაზე მოსკოვში, 1938 და 1957 წლებში.

თერა „ქოროლი“, რომელიც ჩვენი ეროვნული სახატერო ხელოვნების მარგალიტად ითვლება, რამდენჯერმე დაიღდა სხვადასხვა დროს და მაყურებელთა შორის ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამჟამად ოპერა მტკიცებადა დამკიდრებულ თეატრის რეაქტუარში.

უკვე მრავალი წელია, აზერბაიჯანის თქერისა და პალეტის თეატრი ყოველ ახალ საოპერო სეზონს თქერა „ქორილობის“ დადგმით ხსნის.

3. იმისათვის, რომ დაინახოთ, როგორ გამოიყურება დოკუმენტი ბრაუზერის ფანჯარაში, დააწეაპუნეთ ღილაკ  Web Layout-ზე;
 4. დააწეაპუნეთ ღილაკ  Office-ზე პროგრამის მთავარი ფანჯარის მარცხენა ზედა კუთხეში, ხოლო შემდეგ - გახსნილი ფანჯარის ღილაკ Save As-ზე. აირჩიეთ პუნქტი Other Formats. გაიხსნება დაალიგური ფანჯარა;
 5. იმისათვის, რომ დოკუმენტი ვებგვერდის ფორმატში შეინახოთ, გახსენით სია Save as type და აირჩიეთ Web Page (*.htm, *.html). დაარქვით დოკუმენტს შესაფერისი სახელი (მაგალითად, **ქოროლლი**), აირჩიეთ საქალალდე, რომელშიც მისი შენახვა გსურთ, და დააწეაპუნეთ ღილაკ Save-ზე;
 6. გაიმეორეთ ნაბიჯები 2-5, უკერძოთ საოპერო ან საბალეტო სპექტაკლისადმი მიძღვნილი კიტკ რამდენიმე ვებგვერდი;
 7. ანალიგიური გზით ძამაშიალეთ რამდენიმე ვებგვერდი ამ ნაწარმოებების კომპოზიტორების (მაგ., უზენა ჰავიერის) შესახებ;
 8. ამავე მეთოდით შეემუნთ გვერდი, სახელწოდებით „რეპერტუარი“, რომელზეც ნართვებით იქნება საოპერო და საბალეტო დადგმების სია თეატრის რეპერტუარის.

საიტის მთავარი გვერდის შექმნა

2. შექმნით პროგრამა Microsoft Word 2007-ში ასეთი დოკუმენტი:

აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი



აზერბაიჯანი, AZ1001, ბაქო, ნიზამის ქუჩა, 95


რეპერტუარი

აფიშა

კომპოზიტორები

მსახიობები

3. დააწყაპუნეთ ღილაკ Office-ზე პროგრამის მთავარი ფანჯრის მარცხენა ზედა კუთხეში და გახსნილ მენიუში აირჩიეთ პუნქტი Save As, შემდეგ კი – პუნქტი Other Formats. გაიხსნება შესაბამისი დიალოგური ფანჯარა;
4. იმისათვის, რომ დოკუმენტი ვებგვერდის სახით შეინახოთ, გახსენით სია Save as type და აირჩიეთ Web Page (*.htm, *.html);
5. დააწყაპუნეთ ღილაკ -ზე. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა Set Page Title;



6. შეიტანეთ ტუმანურ კელში აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი და დააწყაპუნეთ ღილაკ OK-ზე;
7. დაარქვირ დოკუმენტს სახელი main.htm, გადადით ვებგვერდის საქაღალდეში და დააჭირეთ ღილაკ OK-ს. გვერდი შეინახება.


ვცადოთ თქვენ მიერ შექმნილი ვებგვერდების ჰიპერბმულით დაკავშირება.

ნაბიჯ ნაბიჯ 3

ვებგვერდზე ჰიპერბმულის დამატება

1. გახსნით ფაილი `ქოროლლი.htm` პროგრამა Microsoft Word 2007-ში;
2. მოძებნეთ და მონიშნეთ ფრაზა „უზეირ ჰაჯიბეილი“ და Insert მენიუში

დააწერეთ ლილაკ  Insert Hyperlink-ზე. გაიხსნება შესაბამისი დიალოგური ფანჯარა;



3. დააწერეთ ფაილ „უზეირ ჰაჯიბეილი.htm“-ზე; ფაილის სახელი ვეღ Address-ში გამოისახება;
4. დაწერეთ ლილაკ OK-ზე. გამონათქვამი „უზეირ ჰაჯიბეილი“ ჰიპერბმულის სახით მოინიშნება;
5. გადაადგილეთ თაგვის მაჩვენებელი ამ ჰიპერბმულზე. გამოჩნდება მინიშნება, რომელიც ჰიპერბმულის გზას გიჩვენებთ;
6. დაჭირეთ კლავიშ `<Ctrl>-s` და დააწერეთ ამ ჰიპერბმულზე. ბრაუზერის ფანჯარაში გამოჩნდება ფაილი „უზეირ ჰაჯიბეილი.htm“;
7. დახურეთ ბრაუზერის ფანჯარა;
8. შეინახეთ ეს ცვლილებები ლილაკ OK-ზე დაწერეთ;
9. მთავარ გვერდზე ჰიპერბმულის დახმარებით ანალოგიურად შექმნით გადასვლა ჩანაწერ რეპერტუარი-დან თანამოსახელე ვებგვერდზე, იქ კი – ფრაზა **თპერა „ქოროლლი“-დან –შესაბამის ვებგვერდზე** (ფაილ `ქოროლლი.htm`-თან);
10. შეინახეთ ცვლილებები;
11. დახურეთ პროგრამა Word.

LATIH
ახლა შეგვიძლია, შევამოშოთ საიტი, ანუ გავხსნათ იგი ვებპრაუზერში, გადავუფუცლოთ გვერდები და დავრწმუნდეთ, რომ ჰიპერბმულები სწორადაა მითითებული.

- ვებსაიტი
 - ვებგვერდი
 - ჰიპერბმული
 - ტეგი
 - მთავარი გვერდი
 - Microsoft SharePoint Designer

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ Microsoft Word-ში და, საერთოდ, Microsoft Office-ში დოკუმენტების ვებგვერდების სახით შენახვა ვებსაიტის შექმნის ყველაზე მარტივი მეთოდია. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მასალების – თხზულებების, რეფერაციების, მოხსენებების, პრეზენტაციების განსათავსებლად. თუმცა ეს დოკუმენტები დ მეთოდები რთული

ვებსაიტების მომზადებისას არ გამოიყენება, ვინაიდან მიღებული HTML-კოდები ოპტიმალური არ არის. ეს მათ რედაქტირებას ართულებს. გარდა ამისა, მიღებული HTML-ფაილები ძალიან დიდი ზომისაა და ვებგვერდები ნელა იტვირთება.

შევისწავლოთ | დაირუკი დილად

1. თქვენ გაეცანით აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ოფიციალურ საიტს. დაასახელეთ ამ საიტის ღირსებები და ნაკლი.

ადვილად პოულობთ ამ საიტზე თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას?


2. გააანალიზეთ საიტ *tob.az*-ის დომენური სახელი.

რომელ რეკომენდაციებს არ შეესაბამება ეს სახელი?

შეგვიძლია თუ არა, დომენური სახელის მიხედვით განვსაზღვროთ, რომელ სახელმწიფო ეპუნქტურას ეკუთვნის ეს საიტი?

ამ ორგანიზაციისთვის ახალი დომენური სახელის შერჩევა რომ დაგავალონ, რომელი სახელის მითითებას ჩათვლიდით მიზანშენონილად?

6.3 Excel-ის ცხრილების ვებგვერდების სახით შენახვა



- რაზე მიუთითებს კუთხოვანი ფრჩხილები HTML-ის ნიშანზე?
- თქვენი აზრით, რა შემთხვევაშია აუცილებელი Excel-ის ფაილების ვებგვერდების სახით წარმოდგენა, მიუხედავად იმისა, რომ HTML-ს გააჩნია ცხრილების შექმნის შესაძლებლობა?

სამიზნობა

შექმნით შემდეგი ცხრილი პროგრამა Microsoft Excel 2007-ში.

	A	B	C	D	E	F	G	H	I
1									
2									
3									
4									
5									
6									
7									
8									
9									
10									
11									

თეატრის მაყურებელთა რიცხვი

	1990	1995	2000	2005	2010	2015	2016
თეატრის მაყურებელთა რიცხვი – სულ, ათასი ადამიანი	1376	1201	925	544	540	752	727
მთა შერის							
ოპერისა და ბალეტის თეატრი	52	123	112	45	50	66	66
დროშის თეატრი, მუსიკალური კომედის თეატრი მუსიკალური დრამის თეატრი	926	800	602	378	321	510	485
თეატრის თადარი და მოსახლე მაყურებელთა თეატრი	398	278	211	121	169	176	176
საშუალოდ ერთო თეატრის მაყურებელთა რიცხვი, ათასი ადამიანი	72	48	34	18	19	27	26


- დიაგრამის რომელ ტიპს აირჩივთ ამ ცხრილის გრაფიკული ფორმით წარმოსადგენად?
- როგორ ფიქრობთ, რასთანაა დაკავშირებული მაყურებელთა რიცხვის ასეთი ცვლილება?

დავუშვათ, რომ თქვენ მიერ შექმნილი ელექტრონული ცხრილის ფაილის საიტზე განთავსება გჭირდებათ. თუ მას არსებული სახით (Excel-ის ფორმატით) ატვირთავთ საიტზე, მოსარგებლე მის დათვალიერებას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ კომპიუტერში Microsoft Excel ექნება დაყენებული. ამ პრობლემის ასარიდებლად და ფაილის ბრაუზერში გასახსნელად აუცილებელია მისი გარდაქმნა HTML-დ. Microsoft Excel-ს, Word-ის მსგავსად, დოკუმენტის ვებგვერდის ფორმატით შენახვის შესაძლებლობა აქვს.

პროგრამა Microsoft Excel ინტერნეტში ელექტრონული ცხრილების დოკუმენტების განთავსების ფართო შესაძლებლობას ფლობს. ცხრილური დოკუმენტები შენახვის ან ცებ-ზე განთავსებისას შესაძლებელია როგორც მთელი სამუშაო წიგნის, ისე მისა ხებისმიერი ნაწილის HTML ფორმატად გარდაქმნა.

Excel-ის ფაილის ვებგვერდად გარდაქმნა

1. გახსენით პროგრამა Microsoft Word 2007;
2. გახსენით დოკუმენტი, რომელიც საქმიანობის ბლოკში შექმნით.
3. დააჭირეთ ღილაკ  -ს პროგრამის მთავარი ფანჯრის მარცხენა ზედა კუთხეში, შემდეგ – პუნქტ Save As-ს – გახსნილ მენიუში, ხოლო ამის შემდეგ – პუნქტ Other Formats-ს. გაიხსნება შესაბამისი დიალოგური ფანჯარა;
4. იმისათვის, რომ დოკუმენტი ვებგვერდის ფორმატით შეინახოთ, გახსენით სია Save as type და აირჩიეთ Web Page (*.htm, *.html);



5. თუ მთელი სამუშაო წიგნის შენახვა გსურთ, დარწმუნდით, რომ ველ Save-ში მონიშნულია ოპცია Entire Workbook, მხოლოდ შერჩეული სამუშაო ფურცლის შესანახად კი უნდა მონიშნოთ ვარიანტი Selection: Sheet;
6. დაარქვით დოკუმენტს შესაფერისი სახელი (მაგალითად, **თეატრი**), აირჩიეთ საქაღალდე, რომელშიც მისი შენახვა გინდათ, შემდეგ კი დააწყაპუნეთ ღილაკ Save-ზე.

ვებგვერდებზე ზოგჯერ ნახავთ თქვენთვის აუცილებელ ცხრილებს, რომელთა დამუშავება Excel-ის ფაილად გადაქცევას მოითხოვს. ვებგვერდის მონაცემების Excel-ის ელექტრონულ ცხრილად იმპორტირება ძალიან ადვილია. ამისათვის საჭიროა, მოვნიშნოთ ბრაუზერში მონაცემები და დავაჭიროთ კლავიშებს **<Ctrl+C>, რათა ისინი გაცვლის ბუფერში (clipboard) ჩაინეროს, შემდეგ კი ჩაუსვათ (paste) ცხრილში. გამოყენებული ბრაუზერის მიხედვით შედეგი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ორიგინალის მსგავს შედეგს ვებგრაუზერი Internet Explorer იძლევა.**

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ କଣ୍ଠାରୀ

1. گاہسےნით აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ოფიციალური საიტი stat.gov.az. საიტის საშინაო გვერდზე, განყოფილება "İqtisadi statistika" -ში („ეკონომიკური სტატისტიკა“) მოძებნეთ პუნქტი "Telekommunikasiya və poçt" („ტელეკომუნიკაცია და ფოსტა“). მოძებნეთ და ატვირთეთ Excel-ის ფაილი "Müəssisələrdə İKT-dən istifadənin əsas göstəriciləri" („ნარմობაში ისტ-ის გამოყენების ძირითადი მაჩვენებლები“), რომელიც ქვეპუნქტ "İnformasiya texnologiyaları" -შია („ინფორმაციული ტექნოლოგიები“) მოთავსებული. გახსენით ეს ფაილი პროგრამა Excel-ში და გაղკანით მას.

როგორ შეიცვალა საკუთარი საიტის მქონე სანარმოების რიცხვი? არსებობს თუ არა ჩვენს რესპუბლიკაში სანარმოები, რომლებიც კომპიუტერებს არ იყენებს? გადაკეთეთ Excel-ის ფაილი ვებგვერდად.


2. გახსენით საიტი stat.gov.az ბრაუზერ Internet Explorer-ში და მოძებნეთ ცხრილი, რომელიც Excel-ის ფაილი არ არის. ამ ცხრილის Excel-ის ელექტრონულ ცხრილად გადასაკეთებლად გამოყენეთ ზემოთ აღწერილი მეთოდი. შემდეგ ცხრილიანი ვებგვერდი სხვა ბრაუზერში გახსენით და ხელახლა გადასაკეთეთ Excel-ის ელექტრონულ ცხრილად. შეადარეთ მიღებული შედეგები ერთმანეთს.

რომელი ბრაუზერიდან უკეთესად გადაკეთდა ცხრილი Excell-ად?

მეცნიერება და კულტურა

- რა შემთხვევაში გვიჩდება Excel-ის ფაილის ვებგვერდად ექსპორტირება?
 - როგორ გადავაკეთოთ Excel-ის წიგნის ნაწილი ვებგვერდად?
 - რა ნაკლი აქვს Excel-ის ფაილის ინტერნეტში განთავსებას ვებგვერდად მისი გადაკეთების გარეშე?
 - რა არის საჭირო ცხრილის ვებგერდიდან Excel-ში იმპორტირებისათვის?
 - როგორ ფიქრობთ, რატომ იმპორტირდება ცხრილები ბრაუზერ Internet Explorer-იდან Excel-ში უკეთესად?

6.4 30პპრეზენტაცია პროგრამა PowerPoint-ში



- PowerPoint-ის გარდა, პრეზენტაციაზე სამუშაო რომელ პროგრამებს იცნობთ?
- რომელია კომპიუტერის ძირითადი და დამზმარე მოწყობილობები?

საჭიროება

მოამზდეთ Microsoft PowerPoint 2007-ში 5 სლაიდისგან შემდგარი პრეზენტაცია, სახელწოდებით „კომპიუტერის ძირითადი ნაწილები“. პირველი სლაიდი იყოს სატიტულო. დანარჩენი 4 სლაიდიდან თითოეული მიუძღვენით კომპიუტერის თითო ძირითად ნაწილს – სისტემურ ბლოკს, მოწიტორს, კლავიატურს და თაგვს. ყოველ სლაიდზე მოათავსეთ თითო გამოსხულება და რამდენიმე ნინადადების შემცველი ტექსტი.

– როგორ შექმნით სლაიდები?


თქვენ იცით, რომ Microsoft PowerPoint-ის დანიშნულებაა კომპიუტერში ელექტრონული პრეზენტაციების შექმნა. როგორც Microsoft Office-ის პაკეტში შემავალ ნებისმიერ სხვა პროგრამულ უზრუნველყოფას, ამ პროგრამასაც აქვს დოკუმენტის (პრეზენტაციის) ვებფორმატად გადაკეთების ფუნქცია.

პრეზენტაცია PowerPoint, როგორც წესი, რამდენიმე სლაიდისგან შედგება და თითოეული მათგანის ცალკე ვებგვერდის სახით შენახვა შეიძლება. მთელ პრეზენტაციას მიეცემა საიტის სახე, რომელიც სტრუქტურით პრეზენტაციის შესაბამისი იქნება.

ნაბიჯ

ნაბიჯ

1. გახსენით პროგრამა Microsoft PowerPoint 2007;
2. გახსენით დოკუმენტი, რომელიც „საქმიანობის“ ბლოკში შექმნით;
3. დააწერ პუნქტ დილაკ -ზე პროგრამის მთავარი ფანჯრის მარცხენა ზედა კუთხეში. გაისხება შესაბამისი დიალოგური ფანჯარა;
4. დოკუმენტის ვებგვერდის ფორმატში შესანახად გახსენით სია Save as type და აირჩიეთ ვარიანტი Web Page (*.htm, *.html);
5. დაარქვით ფაილს შესაბამისი სახელი (მაგალითად, Computer) ან დაუტოვეთ, რაც ერქვა, აირჩიეთ საქაღალდე, რომელშიც ფაილის შენახვას აპირებთ, შემდეგ კი დაჭრეთ ლილაპ სახელის Save-ს.




როდესაც იმ საქალალდეს დაათვალიერებთ, რომელშიც ფაილი შეინახეთ, მასში აღმოაჩენთ საქალალდეს, სახელწოდებით Computer_files. ამ საქალალდეში ინახება პრეზენტაციის ყველა სლაიდი, როგორც ერთიანი ვებგვერდი. ახლა ფაილი Computer.htm პროგრამის ბრაუზერში გახსენით.



როგორც ხედავთ, პუზენტაციის ყველა სლაიდის სახელწოდება მითითებულია ბრაუზერის ფანჯარაში მარცხნივ, სიაში (შავ ფონზე თეთრი ფერით), ყოველი მათგანი ჰიპერბმულია, რომელზე დაჭრითაც შესაბამის გვერდზე გადასვლა შეიძლება.

ვებგვერდის სახით შესაძლებელია როგორც მთელი პრეზენტაციის, ისე მისი ნაწილის შენახვა. ამის გასაკეთებლად უნდა დააჭიროთ ღილაკ **Publish...** -ს დიალოგურ ფანჯარა **Save As**-ში. გაიხსნება დიალოგური ფანჯარა **Publish as Web Page**, რის შემდეგაც უნდა აირჩიოთ ვარიანტი **Slide number**, რომელშიც მიუთითოთ თქვენთვის საჭირო ინტერვალს.



ამ ფანჯარაში ასევე არსებობს ვებგვერდის სახელწოდების შეცვლის შესაძლებლობა. ყველა ცვლილების შეტანის შემდეგ, ღილაკ **Publish**-ზე დაჭირით, უნდა დახუროთ ფანჯარა. ამ შემთხვევაში მხოლოდ არჩეული სლაიდები შეინახება ვებგვერდის სახით.

შევისწავლოთ | დამოუკიდებლად

მოამზადეთ პროგრამა **PowerPoint**-ში პრეზენტაცია სახელწოდებით „კომპიუტერის ლოგიკური საფუძვლები“. ამისათვის გამოიყენეთ სახელმძღვანელოს ბოლო ნაწილში მოცემული საცნობარო მასალა, ასევე ინტერნეტის შესაძლებლობები. შექმნილი პრეზენტაცია შეინახეთ, როგორც ვებგვერდი.

შეამონეთ შენი ცოდნა

1. რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ **PowerPoint**-ის პრეზენტაცია ვებგვერდის სახით შევინახოთ?
2. როგორ ინახება პრეზენტაციის სლაიდები: ცალ-ცალკე თუ როგორც ერთიანი ვებგვერდი?
3. ვებგვერდის რომელი პარამეტრების შეცვლაა შესაძლებელი?
4. როგორ შევინახოთ პრეზენტაციის ნაწილი (გარკვეული სლაიდები) ვებგვერდის სახით?
5. საჭიროა თუ არა ვებგვერდის რედაქტირებისათვის **HTML**-ის კოდის შეცვლა?

6.5 ინტერნეტში საიტების გამოქვეყნება და მათი შეცვალება

- რა არის IP-მისამართი და რა დანიშნულება აქვს მას?
- რა არის დომენური სახელების სისტემა (DNS) და რა აკავშირებს მას IP-მისამართან?



საპათაროება

- ჩართეთ ვებბრაუზერი. აკრიფეთ მისამართების სტრიქონში www.speedguide.net/ip/ და დაჭირეთ კლავში <enter>-ს;
- ველ Search IP address or hostname-ში შეიტანეთ e-derslik.edu.az და დაჭირეთ <enter>-ს.
- რომელი რესურსი ინახება მითითებულ მისამართზე?
- როგორია იმ სერვერის IP-მისამართი, რომელზედაც რესურსი ინახება?

მას შემდეგ, რაც საიტი შეიქმნება, საჭიროა მისი გამოქვეყნება **ვებსერვერზე**. ვებსაიტზე გამოქვეყნება (პუბლიკაცია) იმას ნიშნავს, რომ ვებსერვერზე აიტვირთოს თქვენი საიტის შემადგენელი ვებგვერდები, შრიფტები და გრაფიკული გამოსახულებები. ამის გაკეთება რამდენიმე მეთოდით შეიძლება:

1. საიტის ფაილები დისკზე ან სხვა მატარებელზე იწერება და ვებსერვერის ადმინისტრატორს ეგზავნება. ადმინისტრატორი თქვენ მიერ გაგზავნილ ფაილებს სერვერზე შესაბამის საქაღალდეში გადაინერს და პროგრამული უზრუნველყოფის პარამეტრებს ცვლის;
2. ზოგიერთი უფასო ვებსერვერი მოსარგებლეს თავისი ვებსაიტის ფაილების ვებბრაუზერით ატვირთვის საშუალებას აძლევს. მოსარგებლე ტექსტის ველში საჭირო ფაილების სახელებს წერს და ღილაკ Submit-ს (გაგზავნა) აჭერს;
3. ვებსერვერზე საიტების პუბლიკაციის მესამე მეთოდი **პროტოკოლ FTP-ის** გამოყენებაა. ეს ყველაზე გავრცელებული მეთოდია. გავეცნოთ მას უფრო დანვრილებით.

ვებსერვერის ადმინისტრატორი ცვლის და აწყობს კომპიუტერზე FTP-სერვერის პროგრამის პარამეტრებს. ამის შემდეგ, მოსარგებლის მოთხოვნით,

რომელსაც სერვერზე თავისი საიტის გამოქვეყნება სურს, ის ამ საიტისთვის ფუძე საქალალდეს ქმნის.

- საიტის პუბლიკაცია
- ვებსერვერი
- პროტოკოლი FTP
- FTP სერვერი
- FTP კლიენტი
- დომენური სახელი
- ჰოსტინგი
- საიტის შეფასება
- მკვდარი ბმული
- ტექსტის სტილი

მოსარგებლე, პროგრამა FTP-კლიენტის (მაგალითად, CuteFTP) დახმარებით, FTP-სერვერს მიუერთდება და თავისი საიტის ფაილებს ახლად შექმნილ ფუძე საქალალდები გზავნის. FTP-სერვერთან მისაერთობლად მოსარგებლებ თავისი სახელი და პაროლი უნდა შეიყვანოს. მათ სერვერის ადმინისტრატორი იძლევა. პროტოკოლ FTP-ის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ მოსარგებლე (კლიენტი) FTP-სერვერთან ისე მუშაობს, როგორც საკუთარი კომპიუტერის ლოკალურ დისკთან; მას შეუძლია ფაილებისა და საქალალდების შექმნა, მათ შეცვლა. დაბოლოს, ადმინისტრატორი ცვლის ვებსერვერის პარამეტრებს ისე, რომ სერვერმა ახალი საიტი „დაინახოს“.

არსებობს პროგრამები, ე.წ. ვებ-რედაქტორები, რომლებსაც ვებსაიტების მართვის ფუნქცია აქვთ. მათი დახმარებით შესაძლებელია საიტის შექმნა პროტოკოლ FTP-ს გამოყენებით. ასეთი დანართების მაგალითებია Macromedia Dreamweaver, Microsoft FrontPage.

როგორც იცით, ყოველ საიტს ინტერნეტში თავისი სახელი – **დომენი** (ან **დომენური სახელი**) აქვს. **სრული დომენური სახელი** შედგება რამდენიმე ციფრულ-ასონთით თანამიმდევრობისაგან, რომლებიც ერთმანეთისგან ნერტილებითაა გამოყოფილი, მაგალითად, *informatika.edu.az*. „დომენური სახელის“ სენტრისას, როგორც წესი, „სრული დომენური სახელი“ იგულისხმება.

საიტზე შესასვლელად მოსარგებლეს ბრაუზერის მისამართის სტრიქონში საიტის დომენური სახელი შეაქვს. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ საიტის ფაქტობრივი მისამართი ინტერნეტში მისი დომენური სახელი კი არა, IP-მისამართია. საიტის IP-მისამართს, მისი დომენური სახელის მიხედვით, **DNS-სერვერები** განსაზღვრავს.

ცნება „დომენური სახელი“ მჭიდროდ უკავშრდება ცნება „ჰოსტინგს“. ჰოსტინგის დანიშნულებაა მოსარგებლის ვებსაიტის პროვაიდერის სერვერზე განთავსება და მისი შენარჩუნება. ჰოსტინგი, ჩვეულებრივ, ფასიანია. შესაძლოა, წამოიქას შეკითხვა: რა საჭიროა ჰოსტინგის მომსახურება? იქნებს საიტის მფლობელს საიტის საკუთარ კომპიუტერში დატოვება შეუძლია? ნამდვილად შეუძლია, მაგრამ ამ შემთხვევაში შემდეგი ამოცანები უნდა გადაიჭრას:

1. კომპიუტერი, რომელშიც საიტი ინახება, 24-საათიან რეჟიმში უნდა მუშაობდეს;
2. ის მუდმივად უნდა იყოს ჩართული ინტერნეტში;
3. ინტერნეტის სიჩქარე მაღალი უნდა იყოს, რადგან სხვადასხვა ადგილიდან საიტზე ერთდროულად შესვლისას ჩვეულებრივისიჩქარიანი კავშირი საკმარისი არ არის;
4. გარდა ამისა, კომპიუტერზე საკმაოდ რთული პროგრამული უზრუნველყოფა უნდა იყოს დაყენებული.

როგორც ხედავთ, მოსარგებლისა საკუთარ კომპიუტერში საიტის განთავსება დიდ სიძნელეებთან და ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ საუკეთესო გამოსავალია პროვაიდერის მიერ შემოთავაზებული ჰოსტინგით სარგებლობა.

ციფრული

პირველი საიტები 1990-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა. ეს საიტები ხელით იყო და-ნერილი **HTML**-ის ენაზე. დროთა განმავლობაში შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფა საიტების დაკაბადონებისათვის და 1998 წლამდე მსგავს პროდუქტებს მორის DreamWeaver ლიდერობდა. საიტების ერთ-ერთი პირველი კონსტრუქტორი, რომელსაც პროგრამირების სტეციალური უხარ-ჩვევები არ მოეთხოვებოდა, 1994 წელს შექმნილი პროექტი Geocities იყო. დღესდღეობით საიტების მრავალი კონსტრუქტორი არსებობს, რომელთა დახმარებით ათასნაირი საიტების შექმნა შეიძლება.

როგორც თავის დასაწყისში აღინიშნა, ვებსაიტების შექმნისა და ინტერნეტში მათი განთავსების ყველაზე მარტივი მეთოდია **საიტების კონსტრუქტორების (site builder)** გამოყენება. საიტების კონსტრუქტორები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ყოველგვარი გადასახადის გარეშე, სპეციალური შაბლონების საფუძველზე შექმნან თავიანთი საკუთარი ვებსაიტები. ამჟამად საიტების კონსტრუქტორებს შორის ყველაზე პოპულარულია **Wix, A5, uKit, Umi**.

შექმნათ აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ვებსაიტი კონსტრუქტორ Wix-ის დახმარებით.

ნაბიჯ

ნაბიჯ

საიტის შექმნა კონსტრუქტორ Wix-ის დახმარებით

1. გახსენით ვებბრაუზერში საიტი wix.com;
2. თუ ამ საიტს პირველად ეწვიეთ, დააჭირეთ ღილაკ **Sign**-ს მარჯვენა ზედა კუთხეში და რეგისტრაციის გვერდზე გადასვლის შემდეგ დარეგისტრირდით საიტზე;

Welcome to Wix

Let's get your website online today!


[Create Your Website](#)

3. დააწაპუნეთ ღილაკ **Create Your Website**-ზე. გაიხსნება ახალი გვერდი და პროგრამა ასარჩევად სხვადასხვა თემას შემოგთავაზებთ.



What kind of website
do you want to create?

- | | | |
|----------------|----------------------|---------------------|
| Business > | Designer > | Blog > |
| Online Store > | Restaurants & Food > | Beauty & Wellness > |
| Photography > | Accommodation > | Portfolio & CV > |
| Music > | Events > | Other > |

- დააწერეთ თემა Events-ზე. გაიხსნება სხვადასხვა შაბლონი. აირჩიეთ თქვენი თემის შესაფერისი ერთ-ერთი შაბლონი (მაგალითად, Theater Company);
- არჩეული შაბლონის რედაქტირების მიზნით დააწერეთ ლილაკ Edit-ზე. გაიხსნება შაბლონის რედაქტირების ფანჯარა;



- შეგიძლიათ, შეცვალოთ ეს შაბლონი თქვენი გემოვნების მიხედვით (მენუს პუნქტების დასახელება, შრიფტები, თთოებული გვერდის ფონური გამოსახულება, ელემენტების ურთიერთგანლაგება და ა.შ.);
- დიზაინისა და გაფორმების სამუშაოების დასრულების შემდეგ დააწერეთ ლილაკ Publish-ზე. პროგრამა შემოგთავაზებთ თქვენი პროექტისთვის დომენის არჩევას. Wix ყველა მომხმარებელს სთავაზობს უფასო ფართობს მათი საიტების შესანახად;



- 10.** თუმცა, თუ გსურთ, რომ თქვენს საიტს საკუთარი მისამართი ჰქონდეს, აირჩიეთ Connect your own customized domain. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ამ ძემთხვევაში გარკვეული თანხის გადახდა მოგიწევთ.

დასასრულ, შევეხოთ საკითხს, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ინტერნეტის ყოველი მომხმარებლისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ მომხმარებელს აქვს ინტერნეტში ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობა, მონაცემები იქ ყოველთვის ზუსტი და სანდო არ არის. ამიტომ მან, ვინც ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციით სარგებლობს, ნინასნარ უნდა შეაფასოს ის ვებსაიტი, საიდანაც მას ქაჩავს.

გვერდები ინტერნეტში გარეგნული სახით განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგიერთი გვერდი სავსეა გამოსახულებებით, ხმით, ანიმაციებით, ბმულებითა და სხვა ინფორმაციით. ზოგიერთი მათგანი ძალიან მიმზიდველია მნახველებისათვის, სხვები – მეტისმეტად უბრალო. თუმცა ერთი შეზედვით მიმზიდველი საიტი შინაარსით შეიძლება არ მოგეწონოთ. ნებისმიერი ვებგვერდის გადაუყრცვლისა და დათვალერებისას ყურადღება უნდა გაამახვილოთ შემდეგზე:

- გვერდის ატვირთვას დიდი დრო ხომ არ სჭირდება?
- ვინ დაწერა ინფორმაცია ამ გვერდზე?
- როგორ დავუკავშირდეთ ავტორს?
- ბოლოს როდის განახლდა საიტი?
- არის თუ არა ბმულები სხვა ვებგვერდებთან?
- ადვილია თუ არა ბმულებზე გადასვლა?
- ვებგვერდის სათაურით შეიძლება თუ არა მისი შინაარსის განსაზღვრა?
- სასარგებლოა თუ არა თქვენთის გვერდზე განთავსებული ინფორმაცია?
- რამდენად ახალია გვერდზე განთავსებული ინფორმაცია?
- ხომ არ უპირისპირდება ეს ინფორმაცია სხვა ადგილზე ნანახს?

მაღალი დონის რესურსი ყოველთვის წარმოადგენს თავის ავტორს ან გამომცემელს. თქვენ უნდა გქონდეთ ინფორმაციის მოძიების საკმაოდ ფართო შესაძლებლობა, რათა განსაზღვროთ, არის თუ არა რესურსის შემქმნელი სანდო წყარო. რა ცოდნას, უნარებსა და რეცუტაციას უნდა ფლობდეს ავტორი, ინფორმაცია რომ გაავრცელოს? თუ ნახეთ ავტორი, მაგრამ არ არის საკონტაქტო ინფორმაცია მასთან დასაკავშირებლად, თქვენ შეგიძლიათ, ინტერნეტში მოძებნოთ დაწვრილებითი ინფორმაცია მის შესახებ საძიებო სისტემაში ავტორის სახელის მითითებით. თუ ვებსაიტზე მითითებულია ავტორის ელექტრონული მისამართი, შეგიძლიათ, პირდაპირ დაუკავშირდეთ მას და უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღოთ.

უნდა ვენდოთ თუ არა მიღებული ინფორმაციის წყაროს? ინფორმაციის წყარო მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, მიუხედავად იმისა, ორიგინალურია ის თუ სხვა წყაროდან აღებული.

გვერდს გარეგნულ სახესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ტექსტში არ უნდა იყოს ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომები. ინფორმაცია მნიშვნელოვანი და ფასულიც რომ იყოს, თუ გვერდზე შეცდომებია გაპარული, ეს ეჭვვეუ აყენებს ამ მონაცემთა სანდოობას.

ეს საინფორმაციული ხელმისაწვდომობა

Netcraft-ის ანალიტიკური ანგარიშის თანახმად, 2017 წლის ოქტომბერში ინტერნეტში იყო 1815237491 საიტი. კომპანიის პირველი ანგარიში 1995 წლის აგვისტოში გამოცხადდა. მაშინ ქსელში სულ რაღაც 18957 საიტი იყო.

დარწმუნდით, რომ გესმით საიტის მფლობელის მიზანი და ამოცანები. პროდუქტის გაყიდვა სურს მას თუ მომსახურების? სურს თუ არა მას საზოგადოებრვ აზრზე გავლენის მოხდენა? ინფორმაციის სანდოობის შესამოწმებლად გადაათვალიერეთ სხვა რესურსები, როგორებიცაა მსგავსი ინფორმაციის შემცევლი წიგნები და ჟურნალები. გამოყენებული სტილი და ენაც მეტყველებს საიტის ხარისხზე. თუ სტილი თვითკმაყოფილი და სუბიექტურია, ის შეიძლება მეორეარისხოვნად ჩაითვალოს.

ვებსაიტზე ინფორმაციის შეფასებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საიტზე ინფორმაციის პუბლიკაცია და მისი განახლების პერიოდულობა. ზოგიერთ საიტს განახლება უფრო ხშირად ესაჭიროება, ვიდრე სხვებს. სამედიცინო და ტექნილოგიური ინფორმაცია უფრო ხშირად უნდა განახლდეს, ვიდრე ისტორიული მონაცემები. ვადაგასული ინფორმაცია სასურველ შედეგს არ იძლევა. არის თუ არა საიტზე **მკვდარი ბმულები**, ანუ ბმულები, რომლებიც დიდი ხანია, არ გააქტიურებულია? მკვდარი ბმულების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ინფორმაცია ვებსაიტზე არ ახლდება.

სწრაფი ნავიგაცია საიტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ვებსაიტის პირველ გვერდზე ნაჩვენები უნდა იყოს, როგორ არის საიტი ორგანიზებული; ასევე განთავსებული უნდა იყოს სხვადასხვა სახის მენიუ.

საიტზე გადასაადგილებლად იყენებენ ბმულებს. ზოგიერთ გვერდზე ბევრი ბმულია, ზოგან კი შეიძლება მხოლოდ რამდენიმე შეგვხვდეს. ბმული უნდა იყოს ადვილად საცნობი, ლოგიკურად დაჯგუფებული და იმ გვერდის თემის შესაბამისი, რომელზეც მიუთითებს.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად


შედით თქვენს საყვარელ საიტზე და, შემდეგ შეკითხებზე პასუხით, შეაფასეთ იგი:


- შეგიძლიათ განსაზღვროთ, ვინ არის საიტის ავტორი?
- მითითებულია ელექტრონული ფოსტის მისამართი? მისაღებია დრო, რომელიც ბრაუზერის ფანჯარაში გვერდის ატვირთვაზე იხარვება?
- ეკრანზე ტექსტი კარგად იკითხება?
- ადვილად სრულდება ბრძანებები და მითითებები?
- შეესაბამება ინფორმაცია მიმდინარე დროს?
- იღებთ თუ არა იმას, რასაც მოელით ძიების ჩატარებისას?
- რეგულარულად ახლდება თუ არა ინფორმაცია?

შეამონეთ შენი ცოდნა

1. როგორ ქვეყნება ინტერნეტში საიტი?
2. რა არის დომენური სახელი?
3. როგორ განისაზღვრება დომენური სახელის მიხედვით საიტის ფაქტობრივი მისამართი ინტერნეტში?
4. რა საჭიროა პოსტინგის მომსახურება?
5. რას გვიჩვენებს საიტზე მკვდარი ბმულების არსებობა?

- რომელი გამონათქვაშია ჭეშმარიტი?
 - ა) მარტივი ვებგვერდების შესაქმნელად ან არსებული დოკუმენტის ვებფორმატად გადასაკეთებლად შესაძლებელია პროგრამა Microsoft Word-ის გამოყენება;
 - ბ) საიტის თემის, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრამდე, აუცილებელია მისი დაზინის, ანუ დაპროექტების სტილის შემუშავება;
 - ც) ვებსაიტის დაპროექტების დასკვნითი ეტაპია საიტის პუბლიკაცია და შემოწმება;
 - დ) ვებსაიტი პროვაიდერის ვებსერვერზე უნდა განთავსდეს;
 - ე) კომპიუტერი, რონელშიც საიტია განთავსებული, ყოველთვის უნდა მუშაობდეს და იყოს ინტერნეტში ჩართული;
 - ფ) ერთ ვებსერვერზე მხოლოდ ერთი საიტის განთავსება შეიძლება;
 - გ) პოსტინგის მომსახურებაში საიტის მფლობელს გადასახადს არ ახდევინებენ;
 - ჰ) ინფორმაციის წყარო საიტზე მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, მიუხედავად იმისა, ორიგინალურია ის, თუ სხვა წყაროდან აღებული.
- შეავსეთ გამოტოვებული ადგილები წინადადებებში.
 - ა) ვებსაიტის პროექტის შემუშავება მისი ----- მოდელის შექმნით იწყება;
 - ბ) პროგრამა Word-ში შექმნილი დოკუმენტის ვებგვერდის ფორმატში შენახვისას, ის ----- ად გადაკეთდება;
 - ც) ცხრილები Excel-ში უფრო კორექტულად იმპორტირდება ----- ბრაუზერში გახსნილი ვებგვერდიდან;
 - დ) PowerPoint-ის პრეზენტაციის ----- შეგვიძლია შევინახოთ, როგორც ცალკე ვებგვერდი;
 - ე) საიტის შექმნის შემდეგ საჭიროა მისი ----- ვებსერვერზე;
 - ფ) ვებსერვერის ადმინისტრატორი ერთსა და იმავე პროგრამას რთავს და ამუშავებს კომპიუტერში, რომელსაც ----- ენოდება. შემდეგ იგი, მოსარგებლის მოთხოვნის საფუძვლზე, მისი საიტის სერვერზე გამოქვეყნების მიზნით, ამ საიტისთვის ----- ქმნის. მოსარგებლე მიუერთდება FTP-სერვერს სპეციალური ----- დანართის მეშვეობით და ფაილებს შექმნილ ფუძე საქაღალდები გზავნის;
 - გ) ----- არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ინფორმაცია ვებსაიტზე არ ახლდება;
 - ჰ) საიტზე ნავიგაციისათვის გამოიყენება -----.
- რა არის ბკვდარი ბმული და რას ნიშნავს საიტზე ასეთი მითითებების არსებობა?
 - არსებობს თუ არა განსხვავება სრულ დომენურ სახელსა და დომენურ სახელს შერის?
 - სად ხდება დომენური სახელის IP-მისამართად გადაკეთება?





ଡାଇଗ୍ନୋମିକ୍ ପରିପାଳନା

- A** გამოთვლითი ტექნიკის ისტორია
B კომპიუტერების თაობები
C ლოგიკური ოპერაციები
D კომპიუტერის ლოგიკური საფუძვლები
E ლოგიკური ამოცანების ამოხსნა

LAYİH

პირველი მარტივი მოწყობილობა, რომელიც ადამიანმა გამოთვლების საწარმოებლად გამოიყენა, სავარაუდოდ, სათვლელი ჩხირები იყო. ამგვარ ჩხირებს დღესაც იყენებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უმცროს კლასებში. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ეს მოწყობილობანი სულ უფრო რთული ხდებოდა, მაგალითად ისეთები, როგორიც თვლადი საგნების რაოდენობის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად განკუთვნილი ფინიკიური თიხის ფიგურები იყო. როგორც ჩანს, ასეთი მოწყობილობებით იმდროინდელი ვაჭრები და მოანგარიშები სარგებლობდნენ.


მარტივი სათვლელი მოწყობილობებისგან დროთა განმავლბაში უფრო და უფრო რთული მექანიზმები წარმოიშვებოდა.

დაახლოებით ძვ. წ 1200 წელს ჩინეთში ანგარიშისთვის მავთულზე აცმულ ფერად ბურთულებს იყენებდნენ. ბურთულები მავთულითვე ემაგრებოდა ხის ჩარჩოს. ქვემოდან პირველ მავთულზე აცმული ბურთულები ერთეულებს აჩვენებდა, მეორე – ათეულებს, მესამე კი – ასეულებს. მავთულის გასწვრივ ბურთულების მარცხნიდან მარჯვნივ გადაადგილებისას მათი შეკრება და გამოკლება შეიძლებოდა. ამ მოწყობილობას **სუანპანი** ან **აბაკა** (abacus) უწოდებდნენ.


შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის შუახანებამდე გამოყენებული საანგარიშოები აბაკისგან წარმოიშვა. მაგრამ ეს მოწყობილობა დიდი რიცხვების შეკრება-გამოკლებისთვის ნაკლებად გამოსადევი იყო, რადგან ასეთი გამოთვლები დიდ დროს მოითხოვდა.



რომაული აბაკი



სუანპანი



საანგარიშო

XVII საუკუნის დასაწყისიდან მათემატიკა მეცნიერების წამყვან დარგად იქცა. იმდროინდელ ფიზიკოსებსა და მათემატიკოსებს ძალიან გრძელი და რული მათემატიკური გამოთვლების ჩატარება უზდებოდათ. ამგვარი გამოთვლების მოკლე დროში ჩასატარებლად უფრო ზუსტი ხელსახულები იყო საჭირო. აბაკისა და საანგარიშოს ძირითადი ნაკლი ის გახლდათ, რომ ქვედა რიგის ერთეულების შევსებისას საჭირო ხდებოდა ზედა რიგში მათი ხელით გადატანა. ამ პროცესის მექანიზმი ვერ ხერხდებოდა. ამისათვის აუცილებელი იყო ისეთი მექანიზმის გამოყონება, რომელსაც 10 მდგრადი ციფრისგან შემდგარი რიგი ექნებოდა. ამის გაკეთება ფრანგმა მათემატიკოსმა ბლეზ პასკალმა შეძლო 19 წლის ასაკში. დიდი წნის ძირის შემდეგ პასკალმა გამოიგონა 10 კბილანებიანი ბორბლისგან შემდგარი მექანიზმი, რაც იმ დროისთვის ძალიან რთული იყო. თითოეულ ბორბალზე, კბილანების რაოდენობის შესატყვისად, თავსდებოდა 0-დან 9-მდე ციფრები. ბორბლის 1 კბილანით გადაადგილება მათ რიცხვს 1-ით ზრდითა. როცა ბირველი ბორბალი, სრული ბრუნის შესრულების შედეგ, ციფრ

9-მდე მიაღწევდა, მეორე ბორბალი ავტომატურად შემობრუნდებოდა ერთი კბილანით. როდესაც მეორე ბორბალი მივიღოდა 9-მდე, მესამე ბორბალი ასევე ავტომატურად შემობრუნდებოდა ერთი კბილანით და ა.შ. დღეს შეიძლება ითქვას, რომ პასკალმა გამოიგონა ავტომატურად მოქმედი მრავალთანრიგიანი მექანიკური გამომთვლელი მანქანა, რომელიც ჩვენს დროში ავტომობილების სპიდომეტრებსა და ელექტრულ მთვლელებში გამოიყენება.

თითქმის ათეულ წელზე მეტი დრო მიუძღვნა პასკალმა თავისი მანქანის სრულყოფას. თითბრის, სპილოს ძვლისა და სხვა მასალებისაგან დამზადდა მისი 50 ეგზემპლარი, რომელთაგან ჩვენს დრომდე მხოლოდ რვამ მოაღწია. თუმცა ამ მანქანამ, რომელსაც „პასკალინა“ უწოდეს, რამდენიმე მიზეზის გამო ფართო გავრცელება ვერ პოვა. ჯერ ერთი, ის ძალიან ძვირი ჯდებოდა, ხოლო მეორე და მთავარი ის გახლდათ, რომ ეს მექანიზმი მხოლოდ 6-10-იშნა რიცხვების შეკრება-გამოელებისთვის იყო განკუთვნილი. გამრავლებისა და გაყოფის ოპერაციები, რომლებიც საკმაო ძალისხმევას მოითხოვს, მექანიზებული არ იყო. ამ ნაკლის გადალახვას კიდევ 50 წელზე მეტი დრო დასჭირდა.



პასკალინა



ბლეზ პასკალი
(1623-1663)

მრავალნიშნა რიცხვების გამრავლების ოპერაცია მრავალჯერად (განმეორებად) შეკრებამდე დაიყვანება. როდესაც ფურცელზე ქვეშმონერით ვამრავლებთ, ჩვენ ზუსტად ამას ვაკეთებთ.

ამ ალგორითმის პასკალის მანქანაზე განხორციელებისას საჭირო იყო ერთი და იმავე მამრავლის ბევრჯერ შეტანა და დროდადრო მისი ხელით გადაადგილება ერთი თანრიგით მარცხნივ, რაც ძალიან დამტკიცილია.

1673 წელს გამოჩენილმა გერმანელმა მათემატიკოსმა, ფილოსოფოსმა და დიპლომატმა გოტფრიდ ლეიბნიცმა ამ პრობლემის ძალიან ორიგინალური გადაწყვეტა შესთავაზა თავის თანამედროვეებს. მან გამომთვლელი მანქანა ორი ძირითადი რამით გააუმჯობესა: ჯერ ერთი, ერთი და იმავე რიცხვის განმეორებით შესატანად საფეხურებიანი ლილგავები (თითო თანრიგისთვის თითო) და მბრუნავი სახელური გამოიყენა. სახელურის მობრუნებისას, ლილგავები შუალედური კბლანის მობარეობის მიხედვით, შესაძლებელი იყო მისი წრის სათანადო მონაკვეთამდე შემობრუნება. მეორეც – რიცხვების შეტანის მექანიზმი მან მოძრავ დგიმთამწეზე მოათავსა, რომელიც გამრავლების ყოველ მომდევნო ნაბიჯზე სუმატორის მიმართ ერთი თანრიგით მარცხნივ ინაცვლებდა (სრითმომეტრების შემდგომ თაობებში უფრო მოხერხებული აღმოჩნდა, შეზრანი მექანიზმი ყოფილიყო უძრავი, ხოლო დგიმთამწეზე სუმატორი მოთავსაულიყო ამიტომ სუმატორი მარჯვნივ წაინაცვლება.).

ამგვარად, მამრავლის ერთხელ შეტანითა და მისი რამდენჯერმე გადაადგილებით შესაძლებელი იყო გამრავლების მოქმედების შესრულება. გასაყოფი-

დან გამყოფის მრავალჯერადი გამოკლება კი მოქმედება გაყოფის ანალოგიურად შესრულების საშუალებას იძლეოდა. ამისთვის მოწყობილობის სახელური საპირისპირო მხარეს უნდა გებრუნებინათ.




გოტფრიდ ლეიბნიცი
(1646-1716)



არითმომეტრი

ბებიჯის ანალიტიკური მანქანა. XVIII საუკუნე დიდად არ გამოირჩეოდა გამომთვლელი ტექნიკის შემუშავების მცდელობებით, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისი მნიშვნელოვანი ტექნიკური აღმოჩენით აღინიშნა. 1804 წელს ფრანგმა მექანიკოსმა ჟან-მარი ჟაკარმა (1752-1834) შექმნა დაზგა, რომელიც ავტომატურად, ადამინის ჩარევის გარეშე, ქსოვდა სახიან ქსოვილს. დაზგა პერფობარათებზე მომუშავე პროგრამული მექნიზმით იმართებოდა. ჟაკარის დაზგამ რევოლუცია მოახდინა ტექნიკაში, ვინაიდან ის ახალ ტექნოლოგიურ პრინციპს – პროგრამული მართვის პრონციპს – ეფუძნებოდა. მას კვალდაკვალ სხვა პროგრამულად მართვადი მანქანების გამოგონება მოჰყვა. გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა და გამომგონებელმა ჩარლზ ბებიჯმა პირველმა წამოაყენა წინადადება ამ პრინციპის გამომთვლელ მოწყობილობებში გამოყენების შესახებ. 1822 წელს მან რთული მათემატიკური ცხრილების ავტომატურად ასაგებად განკუთვნილი **სხვაობათა გამომთვლელი მანქანა (Difference engine)** დააპროექტა. ამ პროექტზე 12 წლის მუშაობის შემდეგ ბებიჯმა უარი თქვა მასზე და **ანალიტიკურ მანქანზე (Analytical engine)** მუშაობას შეუდგა. ახალი მანქანა უფრო რთული იყო და მრავალი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლეოდა. ყოველი ამოცანისთვის ბრძანებები და მონაცემები პერფობარათების მეშვეობით უნდა შეტანილიყო. ბებიჯმა მთელი თავისი ცხოვრება ამ ოცნებას მიუძღვნა, მაგრამ მის განხორციელებას ვერ მოესწრო, ვინაიდან მისი იდეები ეპოქას დაახლოებით 100 წლით უსწრებდა წინ, იმ საუკუნის ტექნოლოგიური შესაძლებლობებით კი ამგვარი მანქანის შექმნა წარმოუდგენელი იყო.



ანალიტიკური მანქანა და მისი პერფობარათები



ჩარლზ ბებიჯი
(1790-1871)

B


კომპიუტერების თაობები

ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოჩენას ორ მნიშვნელოვან მოვლენას უნდა ვუმადლოდეთ:

1. მოიგონეს ტექსტური და რიცხვითი ინფორმაციის ორობითი ფორმით წარმოდგენის საშუალება; თითოეული რიცხვი ან სიტყვა ერთიანებისა და ნოლების თანამიმდევრობით გამოისახებოდა.
2. გამოიგონეს ელექტრონული მოწყობილობები, რომლებიც რიცხვებისა და სიტყვების ორობითი ფორმით დამახსოვრებას უზრუნველყოფდა.

კომპიუტერების შემდგომი განვითარება, პირველ რიგში, ელექტრონიკის დარგის პროგრესს უავშირდება. ამ განვითარების შედეგად გაჩნდა ტერმინი „კომპიუტერების თაობები“. ყოველი ახალი თაობა წინა თაობისაგან ელემენტური ბაზის შეცვლითა და გადასაწყვეტი ამოცანების არეალის გაფართოებით განსხვავდებოდა. ელემენტური ბაზის (რადიოლამპების, ტრანზისტორების, ინტეგრალური სქემების) თვალსაჩინო ცვლილებით პრატიკულად მხოლოდ პირველი სამი თაობა გამოირჩეოდა. შემდგომში ელემენტური ბაზის განვითარება ინტეგრალური სქემების ზომების შემცირებითა და ინტეგრაციის ხარისხის გაზრდით გამოიხატებოდა.

კომპიუტერების პირველი თაობა. პირველი თაობის კომპიუტერებს ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს (ებმ) უწოდებდნენ. ამ თაობის პირველი წარმომადგენელი იყო ENIAC (Electronic Numerical Integrator And Computer). ENIAC-ის სქემები, რომლებიც 1946 წელს აშშ-ში შემუშავდა, ელექტრონული ლამპების საფუძველზე შეიქმნა. აშშ-ის არმიის დაკვეთით, არტილერიული სროლების ცხრილების გამოსათვლელად, ბალისტიკური კვლევების ლაპორატორიაში დაპროექტებული და აგებული ENIAC იყო პირველი ელექტრონული ციფრული კომპიუტერი, რომელიც ფართო სპექტრის ამოცანების გადასაწყვეტად დაპროგრამდა. კომპიუტერის არქიტექტურა 1943 წელს შეიმუშავეს პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჯონ პრესპერ ეკერჭმა და ჯონ უილიამ მოჩლიმ.



ENIAC

ელემენტური ბაზის საფუძვლად ENIAC-ში ვაკუუმის ლამპები იყო გამოყენებული.

სულ მასში იყო 17468 ლამპა, 7200 კვარცის დიოდი, 1500 რელე, 70000 რეზისტორი და 10000 კონდენსატორი. მუშაობისას ის 150 კვტ ელექტროენერგიას მოიხმარდა. გამოთვლები ათობით სისტემაში წარმოებდა: მას წამში გამრავლების 300 ოპერაციის ან შეკრების 5000 ოპერაციის ჩატარება შეეძლო. მანქანა 30 ტონას იწონიდა და 167 კვ. მეტრ ფართობს იკავებდა.

ამ თაობის წარმომადგენელია აგრეთვე მანქანა მებმ (მცირე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა), რომელიც საბჭოთა კავშირში ექსპლოატაციაში 1950 წელს შევიდა.

ამ თაობის ყველა ეგზ-ს დიდი გაბარიტები ჰქონდა და დიდი რაოდენობით ელექტროენერგიას მოიხმარდა, სამართავად კი რთული და არცთუ ისე სანდო იყო. ისინი ექსპლოატაციაში 88 საუკუნის 60-იან წლებამდე დარჩა.

მეორე თაობის კომპიუტერები. 1947 წელს ამრიკელი ფიზიკოსების ჯგუფმა, უილამ შოკლის (1910-1989) ხელმძღვანელობით, შეიმუშავა ნახევარგამტარული ელემენტი – ტრანზისტორი. ტრანზისტორს მრავალი უპირატესობა აქვს ლაპტურ ტრიოდთან შედარებით, ზომის, ენერგომოხმარებისა და სამედოობის თვალსაზრისით.

ტრანზისტორები საფუძვლად დაედო მეორე თაობის კომპიუტერების ელე-მენტურ ბაზას. ერთმა ტრანზისტორმა 40 ელექტრონული ლამპა ჩანაცვლა, მუშაობდა უფრო სწრაფად, იყო უფრო იაფი და ლამპებთან შედარებით – საიმედო. მეორე თაობის კომპიუტერების წარმოება 1957 წლიდან 60-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა.

მესამე თაობის კომპიუტერები. 1959 წელს ჯეპ კილბიმ (1923-2005), კომპანია „Texas Instruments“-ის (აშშ) თანამშრომელმა, წამოაყენა წინადადება ნახევარგამტარულ მიკროსქემაზე რამდენიმე ტრანზისტორის, კონდენსატორისა და რეზისტორის გაერთიანების შესახებ. ასე შეიქმნა პირველი ინტეგრირებული მიკროსქემა.

დანწერული 1964 წლიდან, ინტეგრალური მიკროსქემები გახდა მესამე თაობის კომპიუტერების საბაზისო ელემენტები. ამან განაპირობა კომპიუტერების ფასის შემცირება და ბოლოს და ბოლოს, უმაღლესმა და საშუალო სპეციალურ-მა სასწავლებელებმა მათი შეძენა შეძლეს.



რადიოლამპა



ტრანზისტორი



ინტეგრირებული მიკროსქემა

მეოთხე თაობის კომპიუტერები. მიკროსქემების წარმოების ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად, განუხრელად იზრდებოდა მათზე განთავსებული ელემენტების რაოდენობა. 1970 წელს ერთ მიკროსქემაზე 100-ზე მეტი ტრანზისტორი იყო მოთავსებული. ამ მომენტიდან დაიწყო მათი მცირე, საშუალო, დიდ და ა.შ. მიკროსქემებად დაყოფა. თანამედროვე ინტეგრირებული სქემები მოლინობით ელემენტების შეიცავს.



განყოფილებებმა და ლაბორატორიებმაც შეძლეს მათი შეძენა.

ზედიდ ინტეგრალურ სქემებზე გადასვლამ იმდენად შეამცირა კომპიუტერების გაბარიტები, რომ ცალკეული სამუშაო ადგილების კომპიუტერებით აღჭურვაც მოხსერდა. სწორედ მაშინ ნარმოიშვა ახალი ტერმინი – „პერსონალური კომპიუტერი“.

იმ დროიდან თავად პერსონალური კომპიუტერები იმდენად შეიცვალა, რომ უკვე მათი რამდენიმე თაობის გამოყოფა შეიძლება.

მეხუთე თაობის კომპიუტერები. კომპიუტერების მეხუთე თაობა მომავლის კომპიუტერებია. მათ ხელოვნური ინტელექტი ექნებათ. ამ კომპიუტერებს ადამიანთა ბუნებრივი ენების გაგება, ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტებიდან ინფორმაციის აღქმა და გადამუშავება, მოსარგებლის ხმით ამოცნობა შეეძლებათ. მეხუთე თაობის კომპიუტერებს, ინფორმაციის დამუშავების ნაცვლად, ცოდნის დამუშავების უნარი ექნებათ, ანუ ხელოვნური ინტელექტის მქონე კომპიუტერები ახალი ცოდნის შექმნას შეძლებენ.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (აშშ-ში, იაპონიაში და ა. შ.) მიმდინარეობს კვლევა ამ მიმართულებით. ამჟამად არსებობს ინტელექტუალური სისტემები, რომლებსაც ადამიანის ხმის ამოცნობა შეუძლიათ. ჩვენს დროში უკვე სუპერკომპიუტერებიც შეიქმნა. ამ კომპიუტერებში გამოთვლები პარალელურად მიმდინარეობს, რის გამოც მათი მუშაობის სიჩქარე ბევრად აღემატება ჩვეულებრივი კომპიუტერისას. მაგალითად, ჩინურ სუპერკომპიუტერ „Sunway TaihuLight“-ში პარალელურად 40960 (10,7 მლნ. ბირთვი) პროცესორი მუშაობს. ის 605 კვ. მეტრ ფართობს იკავებს. კომპიუტერის ოპერატორი მეხსიერება 1,31 პეტაბაიტს შეადგენს. იგი „დიდი მონაცემების“ ანალიზისთვის გამოიყენება.



სუპერკომპიუტერი Sunway TaihuLight (ჩინეთი).

C ლოგიკური ოპერაციები

თანამედროვე კომპიუტერების საფუძველია ჯორჯ ბულის (1815-1864) მიერ შემუშავებული ლოგიკური პრინციპები. კომპიუტერში მონაცემების დამუშავებისას პროცესორი მათ მათემატიკურ და ლოგიკურ ოპერაციებს უტარებს.

ლოგიკა არის მეცნიერება აზროვნებისა და ფორმების შესახებ. სიტყვა „ლოგიკა“ ბერძნული სიტყვა „ლოგოს“-იდანაა ნაწარმოები, რაც „სიტყვას“, „მსჯელობას“ ნიშნავს.

ბულის ლოგიკის ძირითადი ობიექტია გამონათქვამი. გამონათქვამი თხრობითი წინადადებაა, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. გამონათქვამი რამეს მტკიცებას ან უარყოფას გამოხატავს. მაგალითად, „A ხმოვანი ბგერაა“ – ჭეშმარიტი გამონათქვამია, ხოლო „მდინარე არაქსი შავ ზღვაში ჩაედინება“ – მცდარი გამონათქვამი.

არსებობს მხოლოდ ორი შესაძლებელი ლოგიკური მნიშვნელობა: ჭეშმარიტი და მცდარი. მათ ხშირად გამოხატავენ ინგლისური სიტყვებით „True“ და „False“ და ალნიშნავენ ასოებით T და F, შესაბამისად. ლოგიკური მნიშვნელობები შეიძლება გამოისახოს ორობითი (ციფრებით: ნოლით (0) და ერთით (1).) მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მათგანით ალნიშნება „ჭეშმარიტი“ და რომლით – „მცდარი“. როგორც წესი, ციფრ 1-ით ალნიშნავენ „ჭეშმარიტს“, ხოლო 0-ით – „მცდარს“.

გამონათქვამები ერთიანდება **ლოგიკური ოპერაციებისა და ლოგიკური გამოსახულებების** დახმარებით. გამონათქვმების მიმართ სამი ძირითადი ლოგიკური ოპერაციის ჩატარება შეიძლება:


- ინვერსია (ლოგიკური უარყოფა)
- დიზიუნქცია (ლოგიკური შეკრება)
- კონიუნქცია (ლოგიკური გამრავლება)

ლოგიკური უარყოფა. ლოგიკური უარყოფა უნარული ოპერაციაა, ვინაიდან ის მოიცავს ერთ გამონათქვამს, ანუ აქვს მხოლოდ ერთი არგუმენტი. ჩვეულებრივ, გამონათქვამები ალნიშნება დიდი ან პატარა ლათინური ასოებით: A, B, C, x, y, z.

ლოგიკური უარყოფა ალნიშნება, როგორც „არა“ (არა A), ნიშანით „¬“ ($\neg A$) ან გამონათქვამის ზემოთ ავლებენ პატარა ხაზს, ზედახაზს (\bar{A}). უარყოფის შედეგია მოცემულის საპირისპირი გამონათქვამი, ანუ თუ საწყისი გამონათქვამი ჭეშმარიტია, მაშინ მისი უარყოფა ხდება მცდარი და პირიქით. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ ცხრილს:

ჭეშმარიტების ცხრილი ლოგიკური უარყოფისათვის	
A	$\neg A$
ჭეშმარიტი	მცდარი
მცდარი	ჭეშმარიტი

ცხრილს, რომელიც შეიცავს საწყისი გამონათქვამის ყველა შესაძლო მნიშვნელობას და ოპერაციის შედეგად მიღებულ მნიშვნელობებს, ჭეშმარიტების ცხრილს უწოდებენ.



ლოგიკური შეკრება (დიზიუნქცია). ლოგიკური შეკრება არის პინარული ოპერაცია, ვინაიდან მოიცავს ორ გამონათქვამს, ანუ ორი არგუმენტი აქვს. ეს ოპერაცია აღინიშნება „**ან**“ კავშირით, ნიშნით „**v**“, და ზოგჯერ სიმბოლო „**+**“-ით. ოპერაცია „**ან**“-ის შედეგია გამონათქვამი, რომელიც ჭეშმარიტი იქნება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი იქნება ერთი საწყისი გამონათქვამი (A ან B) მაინც. ოპერაციის შედეგი მცდარი იქნება იმ შემთხვევაში, თუ A და B ერთდროულად მცდარია.

ჭეშმარიტების ცხრილი ლოგიკური შეკრებისათვის		
A	B	A v B
ჭეშმარიტი	ჭეშმარიტი	ჭეშმარიტი
ჭეშმარიტი	მცდარი	ჭეშმარიტი
მცდარი	ჭეშმარიტი	ჭეშმარიტი
მცდარი	მცდარი	მცდარი

თუ გამონათქვამი A არის: " p – ლუნი რიცხვია", ანუ $p = \{2, 4, 6, 8, 10, \dots\}$, ხოლო გამონათქვამი B არის: " p იყოფა 3-ზე", ანუ, $p = \{3, 6, 9, 12, 15, \dots\}$, მაშინ ლოგიკური ოპერაცია $A v B$ -ის შედეგი იქნება $p = \{2, 3, 4, 6, 8, 9, 10, \dots\}$, ანუ ორი სიმრავლის გაერთიანება.

ლოგიკური გამრავლება (კონიუნქცია). ლოგიკური გამრავლება ასევე ბინარული ოპერაციაა, რადგანაც მასში ორი გამონათქვამი მონაწილეობს. ეს ოპერაცია აღინიშნება „**და**“ კავშირით, სიმბოლო **Λ**-ით ან „**&**“-ით, ზოგჯერ კი სიმბოლო „**–**“ -ის დახმარებით. ლოგიკური გამრავლების ოპერაციის შედეგი ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე საწყისი გამონათქვამი (A და B) ჭეშმარიტია.

ჭეშმარიტების ცხრილი ლოგიკური გამრავლებისათვის		
A	B	A Λ B
ჭეშმარიტი	ჭეშმარიტი	ჭეშმარიტი
ჭეშმარიტი	მცდარი	მცდარი
მცდარი	ჭეშმარიტი	მცდარი
მცდარი	მცდარი	მცდარი

თუ გამონათქვამი A არის: " p იყოფა 5-ზე", ანუ $p = \{5, 10, 15, 20, 25, \dots\}$, ხოლო გამონათქვამი B არის: " p 20-ზე ნაკლებია", ანუ $p = \{1, 2, 3, 4, 5, \dots, 19\}$, მაშინ ლოგიკური იპერაცია $A \wedge B$ -ის შედეგი იქნება $p = \{5, 10, 15\}$, ანუ ორი სიმრავლის გადაკვეთა.

ლოგიკური შეკრებისა და ლოგიკური გამრავლების ოპერაციები ერთმანეთში რომ არ აგერიოთ, ყურადღება მიაქციეთ ასეთ „ფაქტს“: ლოგიკური შეკრება უფრო „დამყოლია“ („რაღაცა მაინც“), ლოგიკური გამრავლების ოპერაცია კი – უფრო „მეაცრი“ („ან სულ, ან არაფერი“).

ლოგიკური შეკრება

ლოგიკური გამრავლება



მოცემული A, B, და C გამონათქვამებისათვის ჭეშმარიტია შემდეგი განტოლება:

$$A \wedge (B \vee C) = (A \wedge B) \wedge (A \wedge C)$$

ლოგიკის ალგებრასა და ჩვეულებრივ ალგებრას შორის გარკვეული მსგავსება არსებობს: ლოგიკის ალგებრის სიმბოლოების და \vee -ს მოქმედება ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი ალგებრის $x \wedge y + z$ და $+ z$ მოქმედებას.

$$x \times (y + z) = (x \times y) + (x \times z).$$

მსგავსებასთან ერთად, მათ შორის განსხვავებაც არსებობს.

ზემოთ აღნირილია საბაზისო ლოგიკური ოპერაციები. არსებობს სხვა ლოგიკური ოპერაციებიც, მაგრამ ისინი ძირითად ოპერაციებად არ ითვლება, ვინაიდან მათი გამოხატვა სამი საბაზისო ოპერაციის საშუალებითაც შეიძლება. გავეცნოთ ორ მათგანს: იმპლიკაციასა და ეკვივალენციას.

ლოგიკური პირობითობა (იმპლიკაცია). ლოგიკური პირობითობა ბინარული ოპერაციაა. მისი გამოხატვა შეიძლება შემდეგი სიტყვებით: „თუ A , მაშინ B “, ან ნიშან \rightarrow -ის საშუალებით. იმპლიკაციის შედეგი მცდარი იქნება იმ შემთხვევაში, თუ საწყისი პირობა A ჭეშმარიტია, ხოლო შედეგი B – მცდარი“. სხვა შემთხვევაში ის ჭეშმარიტი იქნება.

ჭეშმარიტების ცხრილი ლოგიკური პირობითობისთვის (იმპლიკაციისათვის)		
A	B	$A \rightarrow B$
ჭეშმარიტი	ჭეშმარიტი	ჭეშმარიტი
ჭეშმარიტი	მცდარი	მცდარი
მცდარი	ჭეშმარიტი	ჭეშმარიტი
მცდარი	მცდარი	ჭეშმარიტი

თუ გამონათქვამი A იქნება: „ x იყოფა 9-ზე, ხოლო გამონათქვამი B – „ x იყოფა 3-ზე“, მაშინ მოქმედება $A \rightarrow B$ გვიჩვენებს, რომ „თუ რიცხვი იყოფა 9-ზე, მაშინ ის 3-ზეც იყოფა“.

ეკვივალენცია. ლოგიკური ოპერაცია ეკვივალენცია განსაზღვრავს ორი მარტივი ლოგიკური გამონათქვამის შედეგს და გამოიხატება ნიშნით \leftrightarrow . ოპერაცია ეკვივალენციის შედეგი ჭეშმარიტია მხოლოდ მაშინ, როდესაც A და B ერთდროულად ჭეშმარიტებაა ან ერთდროულად მცდარი.

ჭეშმარიტების ცხრილი ოპერაცია ეკვივალენციისათვის		
A	B	$A \leftrightarrow B$
ჭეშმარიტი	ჭეშმარიტი	ჭეშმარიტი
ჭეშმარიტი	მცდარი	მცდარი
მცდარი	ჭეშმარიტი	მცდარი
მცდარი	მცდარი	ჭეშმარიტი

თუ გამონათქვამი A არის: „ x რიცხვის ციფრთა ჯამი იყოფა 3-ზე“, ხოლო გამონათქვამი B არის: „ x იყოფა 3-ზე“, მაშინ ოპერაცია „ $A \leftrightarrow B$ “-ის შედეგი: „რიცხვი იყოფა 3-ზე მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ მისი ციფრთა ჯამი იყოფა 3-ზე“ ჭეშმარიტია.

ლოგიკურ გამონათქვამს, რომელიც ლოგიკური ოპერაციებით დაკავშირებული ერთი ამ რამდენიმე ჭარტივი (ან რთული) ლოგიკური გამონათქვამისგან შედგება, რთულ ლოგიკურ გამოსახულებას უწოდებენ. მაგალითად, თუ A , B და C სამი მარტივი ლოგიკური გამონათქვამია, მათგან შედგენილი რთული ლოგიკური გამოსახულება შეიძლება იყოს ასეთი: $\neg(A \vee B \wedge C)$

მათემატიკური მოქმედებების შესრულების მსგავსად, ლოგიკური ოპერაციებიც გარკვეული თანამიმდევრობით სრულდება, მათი პრიორიტეტის მიხედვით. ეს თანამიმდევრობა შემდეგნაირად გამოიყურება:

- | | | | |
|---------------|--------------|-----------------|-----------------------|
| 1. ინვერსია | (\neg) | 4. იმპლიკაცია | (\rightarrow) |
| 2. კონიუნქცია | (\wedge) | 5. ეკვივალენცია | (\leftrightarrow) |
| 3. დიზიუნქცია | (\vee) | | |


ოპერაციების შესრულების თანამიმდევრობის შესაცვლელად ლოგიკურ გამოსახულებებში იყენებენ ფრჩილებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმპლიკაცია და ეკვივალენცია შეიძლება გამოიხატოს სამი საბაზისო ოპერაციის დახმარებით. ასე, მაგალითად, შემდეგი ტოლობები სამართლიანია: იმპლიკაციას, უარყოფასა და დიზიუნქციას შორის; ეკვივალენტურობასა და უარყოფას შორის; დიზიუნქციასა და კონიუნქციას შორის:

$$A \rightarrow B = \overline{A} \vee B$$

$$A \leftrightarrow B = (\overline{A} \vee B) \wedge (\overline{B} \vee A)$$

ლოგიკური ოპერაციების წარმოდგენა სიმრავლეების მაგალითზე



ჩვებულებრივი ალგებრის მსგავსად, ლოგიკის ალგებრასაც აქვს ძირითადი კანონები. ამ კანონების გამოყენებით შესაძლებელია მათში იგივეობრივი გარდაქმნების ჩატარება, ასევე რთული ლოგიკური გამონათქვამების გამარტივება.

ლოგიკის ალგებრის ძირითადი კანონები		
კანონი	ან-ისოვის	და-ისოვის
გადანაცვლებადობის	$x \vee y = y \vee x$	$x \cdot y = y \cdot x$
ჯუფდებადობის	$x \vee (y \vee z) = (x \vee y) \vee z$	$x \cdot (y \cdot z) = (x \cdot y) \cdot z$
განაწილების	$x \cdot (y \vee z) = x \cdot y \vee x \cdot z$	$x \vee (y \cdot z) = (x \vee y) \cdot (x \vee z)$
დე მორგანის	$\overline{x \vee y} = \overline{x} \cdot \overline{y}$	$\overline{x \cdot y} = \overline{x} \vee \overline{y}$
განმეორების	$x \vee x = x$	$x \cdot x = x$
შთანთქმის	$x \vee (x \cdot y) = x$	$x \cdot (x \vee y) = x$
შეწებების	$(x \cdot y) \vee (\overline{x} \cdot y) = y$	$(x \vee y) \cdot (\overline{x} \vee y) = y$
მესამის გამორიცხვის	$x \vee \overline{x} = 1$	$x \cdot \overline{x} = 0$
ოპერაცია კონსტანტებზე	$x \vee 0 = x$	$x \cdot 1 = x$
კონსტანტების გამორიცხვა	$x \vee 1 = 1$	$x \cdot 0 = 0$
ორმაგი უარყოფის	$\overline{\overline{x}} = x$	


~~მაგალითი:~~ გავამარტივოთ გამოსახულება $A \vee A \vee \overline{A \cdot B} \vee \overline{\overline{A}} \vee B$, შესაბამისი კანონების გამოყენებით.

$$A \vee \overline{A \cdot B} \vee \overline{\overline{A}} \vee B = A \vee \overline{A} \vee \overline{B} \vee A \cdot \overline{B} = (A \vee \overline{A}) \vee \overline{B} \cdot (1 \vee A) = 1 \vee \overline{B} = 1.$$


D კომპიუტერის ლოგიკური საფუძვლები

როგორც იცით, კომპიუტერში თვლის ორობითი სისტემა გამოიყენება. ორობითი სისტემის არჩევა იმით აიხსნება, რომ ამ სისტემაში არსებული ორად-ორობითური ადვილად „დაიშიორება“ რომელიმე ტექნიკური საშუალების, მაგალითად, ელექტროდენის ან სინათლის სხივის დახმარებით. ორობითი სისტემის ციფრი 0 შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ დენი (ან სხივი) არ გადის, ხოლო ციფრი 1 იმას, რომ დენი (სხივი) გადის. ციფრების ასე წარმოდგენისას რიცხვებზე მოქმედებები დენის ან სინათლის ჩართვა-გამორთვის შესაბამისი კოშტინაციებით წარმოებს. ამიტომ ნებისმიერი ელექტრონული გამომთვლელი მანქანა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ერთმანეთთან შეერთებული დენის (ან სინათლის) გადამრთველების ერთობლიობა.

ფიზიკის კურსიდან იცით, რომ ნრედში შესაძლებელია ორი ელექტრული გადამრთველის მიმდევრობითი შეერთება.



პირველ ვარიანტს უწოდებენ მიმდევრობით შეერთებას, ხოლო მეორეს – პარალელურ შეერთებას. ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში ნრედში დენი გადის (ნათურა ინთება) მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე გადამრთველი ჩართულია. მეორე შემთხვევაში ნრედში დენის გასავლელად (ნათურის ასანთებად) საკმარისია, ერთი გადამრთველი მაინც იყოს ჩართული.



დაუშვათ, რომ ნრედში მხოლოდ ერთი გადამრთველია. ამ შემთხვევაში ნათურა ანთია მხოლოდ მაშინ, თუ ის (გადამრთველი) ჩართულია.

ასეთ კონსტრუქციას **ვენტილს** (gate) უწოდებენ. ვინაიდან პირველი ვენტილი ნათურას მხოლოდ მაშინ რთავს, როდესაც პირველი გადამრთველიც ჩაკეტილია და მეორეც, მას უწოდეს **ვენტილი და (AND gate)** ანუ **სქემა და**. მეორე ვენტილი ნათურას ანთებს მაშინ, როდესაც ან პირველი გადამრთველია

ჩაკეტილი, ან – მეორე და ამიტომ მას დაარქვეს **ვენტილი ან** (OR gate), ანუ **სქემა ან**.

გავეცნოთ კიდევ ერთ ვენტილს. თუ ვენტილის შესასვლელზე მივაწოდებთ მნიშვნელობა 1-ს, გამოსასვლელზე მიიღება 0 და პირიქით: შესასვლელზე მნიშვნელობა 0-ის მინიჭებით გამოსასვლელზე მიიღება 1. ვენტილის მუშაობის პრინციპი ლოგიკური უარყოფის მსგავსია და ამიტომ მას **ვენტილ არა-ს** (NOT gate) ანუ **სქემა არა-ს** უწოდებენ.

პირობითად ვენტილების სამ ტიპს ასე წარმოადგენენ:

ვენტილი და	ვენტილი ან	ვენტილი არა
		


გაითვალისწინეთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა ვენტილს მხოლოდ ერთი გამოსასვლელი აქვს, ვენტილ და-ს და ან-ს შეიძლება ორზე მეტი (ჩვეულებრივ, ორიდან – რვამდე) შესასვლელი ჰქონდეს. ლოგიკური ოპერაციების მსგავსად, ვენტილების მუშაობის პრინციპიც ჭეშმარიტების ცხრილების ფორმით შეიძლება წარმოვადგინოთ. მაგალითად, ვენტილ და-ს ჭეშმარიტების ცხრილი იქნება ასეთი:

ჭეშმარიტების ცხრილი ვენტილ AND-ისთვის (და)		
1-ლი შესასვლელი	მე-2 შესასვლელი	გამოსასვლელი
0	0	0
0	1	0
1	0	0
1	1	1


ელექტრონული სქემები და, ან, არა კომპიუტერის ლოგიკური ელემენტებია. ახლა კი მის სხვა ლოგიკურ ელემენტებს – ტრიგერებსა და სუმატორებს – გავეცნოთ.

ტრიგერი ელექტრონული სქემაა, რომელიც ორობითი კოდის ერთი თანრიგის შესანახად გამოიყენება. ტრიგერებს ორი სტაბილური მდგომარეობა ახასიათებს: ერთი მათგანი ორობითი კოდის 1-ს შეესაბამება, მეორე კი – 0-ს.

ტრიგერის ყველაზე გავრცელებული ტიპია RS-ტრიგერი (სადაც S და R შეესაბამება ინგლისურ სიტყვებს set-სა და reset-ს). პირობითად მას ასე წარმოადგენენ:



ტრიგერს ორი სიმეტრიული შესასვლელი (S და R) და ორი სიმეტრიული გამოსასვლელი – (Q) და (\bar{Q}) აქვს. S და R შესასვლელებს, მყისიერი იმპულსების – (1) – სახით, მიეწოდება სიგნალები. დავუშვათ, რომ სიგნალის არსებობა შესასვლელთან არის 1, ხოლო არარსებობა – 0. ქვემოთ მოცემულ ნახატზე ნაჩვენებია ტრიგერის რეალიზაცია ან-არა ვენტილების დახმარებით.



ტრიგერის ჭეშმარიტების ცხრილი

S	R	Q	\bar{Q}
0	0		ბიტის შენახვა
0	1		0 1
1	0		1 0
1	1		აკრძალულია

შევეცადოთ, ამ სქემისა და ტრიგერის ჭეშმარიტების ცხრილის გამოყენებით, გავაანალიზოთ R-S-ის მნიშვნელობების შესაძლებელი კომბინაციები შესასვლელთან.

1. თუ ტრიგერის შესასვლელებზე მივაწოდებთ $S=1$, $R=0$, მაშინ ზედა ვენტილის Q გასასვლელზე გაჩნდება „1“. ამის შემდეგ ქვედა ვენტილის შესასვლელზე აღმოჩნდება $R=0$, ხოლო Q და \bar{Q} გამოსასვლელებზე გაჩნდება, შესაბამისად, მნიშვნელობები „1“ და „0“;
2. ზუსტად ასევე S შესასვლელზე „0“-ის, ხოლო R -ზე „1“-ის მიწოდებისას \bar{Q} გამოსასვლელზე გაჩნდება „1“, Q -ზე კი – „0“;
3. თუ R და S შესასვლელებზე ლოგიკური „0“-ია მიწოდებული, მაშინ Q და \bar{Q} მდგომარეობა არ იცვლება;
4. R და S ორივე შესასვლელზე ლოგიკური „1“-ის მიწოდების შემთხვევაში შესაძლოა, შედეგი ცალსახა არ იყოს, ამიტომ შემავალი სიგნალების ეს კომბინაცია აკრძალულია.

ვინაიდან ერთ ტრიგერს ორობითი კოდის მხოლოდ ერთი თანრიგის დამახსოვრება შეუძლია, ბაიტის დასამახსოვრებლად საჭიროა 8 ტრიგერი, ერთი კილობაიტის დასამახსოვრებლად კი, შესაბამისად, $8 \times 2^{10} = 8192$ ტრიგერი. თანამედროვე მიკროსქემებზე მიღიონობით ტრიგერია.

კომპიუტერის კიდევ ერთი ლოგიკური ელემენტია **სუმატორი (adder)**. ეს არის ლოგიკური სქემა, რომელიც ორობით რიცხვებს აჯამებს. სუმატორი, უპირველეს ყოვლისა, კომპიუტერის არითმეტიკულოგიკური მოწყობილობის (arithmetic and logic unit ALU) ცენტრალური ბლოკია, თუმცა მას კომპიუტერის სხვა მოწყობილობებიც იყენებენ. არქიტექტურის მიხედვით, არსებობს სუმატორების ორი ტიპი: ნახევარსუმატორი (ნახევად ამჯამავი) და სრული სუმატორი (ამჯამავი).

ნახევად ამჯამავს (half adder) ორი შესასვლელი და ორი გამოსასვლელი აქვს. ჯამის გამოსათვლელად შესასვლელთან ორი ბიტი მიღის. ერთი გამოსასვლელი განკუთვნილია ჯამისთვის, მეორე – ბიტების გადასატანად. მი-


უხედავად იმისა, რომ ნახევრად ამჯამავი აფიქსირებს გადატანის მნიშვნელობას, მას არ ძალუდს გადატანის ბიტის აღება ჯამის ოპერაციიდან. გადატანის ბიტის გათვალისწინებით, ორი ბიტის შეჯამებას სრული ამჯამავი ანარმოებს. ერთი ნახევრად ამჯამავისა და ერთი ან რამდენიმე ამჯამავის გაერთიანებით თქვენ შეგიძლიათ, ერთ ჯერზე 4 ან მეტი ბიტი შეჯამოთ.

ნახევარსუმატორის შედეგი				
1-ლი შესასვლელი	მე-2 შესასვლელი	ჯამი	გადატანა	მნიშვნელობა
0	0	0	0	$0 + 0 = 0$, გადატანა არ არის
0	1	1	0	$0 + 1 = 1$, გადატანა არ არის
1	0	1	0	$1 + 0 = 1$, გადატანა არ არის
1	1	0	1	$1 + 1 = 0$, გადატანა 1

სრულ ამჯამავს (full adder) აქვს სამი შესასვლელი, რომლებიც 3 ბიტს შეიცავს: ორი მათგანი იკრიბება, ხოლო მესამე გადატანის ბიტია. ამჯამავს ორი გასასვლელი აქვთ: ჯამის ბიტი და გადატანის ბიტი. თუ სრულ ამჯამავებს ნახევრად ამჯამავთან გავაერთიანებთ, კომპიუტერი შეძლებს ერთ ჯერზე ოთხი და მეტი ბიტის სუმირებას.

სრული ამჯამავის შედეგი					
1-ლი შესას- ვლელი	მე-2 შესას- ვლელი	გადატანის შესასვლელი	ჯამი	გადატანის გამოსას- ვლელი	მნიშვნელობა
0	0	0	0	0	$0+0+0=0$, გადატანა არ არის
0	1	0	1	0	$0+1+0=1$, გადატანა არ არის
1	0	0	1	0	$1+0+0=1$, გადატანა არ არის
1	1	0	0	1	$1+1+0=0$, გადატანა 1
0	0	1	1	0	$0+0+1=1$, გადატანა არ არის
0	1	1	0	1	$0+1+1=0$, გადატანა 1
1	0	1	0	1	$1+0+1=0$, გადატანა 1
1	1	1	1	1	$1+1+1=1$, გადატანა 1

და, ან, არა ელექტრონული სქემებისა და, მათთან ერთად, ტრიგერისა და სუმატორის დახმარებით შესაძლებელია კომპიუტერის მუშაობის აღმნერი ნებისმიერი ლოგიკური ფუნქციის განხორციელება.



E

ლოგიკური ამოცანების ამოხსნა

ლოგიკური ამოცანების მრავალი ტიპი არსებობს და არც მათი ამოხსნის გზებია ცოტა, თუმცა ყველაზე ფართოდ ლოგიკური ამოცანების ამოხსნის შემდეგი სამი მეთოდია გავრცელებული:

- ლოგიკური ალგებრის დახმარებით;
- ცხრილების დახმარებით;
- გამონათქვამების დახმარებით.

გავცნოთ ლოგიკური ამოცანების ამოხსნის პირველ მეთოდს, რომელშიც ლოგიკის ალგებრის გამოყენება იგულისხმება.

როგორც წესი, ამოხსნის შემდეგი სქემით სარგებლობენ:

1. იკვლევენ ამოცანის პირობას;
2. შემოაქვთ აღნიშვნების სისტემა ლოგიკური გამონათქვამებისთვის;
3. აგებენ ლოგიკურ ფორმულას, რომელიც ამოცანის პირობაში არსებულ გამონათქვამებს შორის დამოკიდებულებას ასახავს;
4. განსაზღვრავენ ჭეშმარიტების მნიშვნელობებს ლოგიკური ფორმულისთვის;
5. ფორმულის ჭეშმარიტების მიღებულ მნიშვნელობებს იყენებენ ლოგიკური გამონათქვამების ჭეშმარიტების მნიშვნელობების განსასაზღვრად, რის საფუძველზეც კეთდება დასკვნა ამოხსნის შესახებ.

ამოცანა 1. ერთმა თავგადასავლების მოყვარულმა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა განიზრახა იახტით, რომელიც საბორტო კომპიუტერით (on-board computer) იყო აღჭურვილი. მოგზაური წინასწარ გააფრთხილეს, რომ ყველაზე ხშირად წყობიდან კომპიუტერის სამი ბლოკი – **a, b** და **c** – გამოდის და საჭირო დეტალებიც მისცეს მათ შესაცვლელად. იმის გარკევა, თუ კერძოდ რომელი ბლოკია შესაცვლელი, მას საკონტროლო პანელზე არსებული სასიგნალო ნათურების მეშვეობით შეეძლო. ნათურაც ზუსტად სამი იყო: **x, y** და **z**.



ინსტრუქცია გაუმართავი ბლოკის გამოვლენის შესახებ:

1. თუ კომპიუტერის ერთი ბლოკი მაინცაა გაუმართავი, მაშინ, სამი – **x, y** და **z** – ნათურიდან ერთი მაინც აინთება;
2. თუ **a** ბლოკია გაუმართავი, ხოლო **c** ბლოკი – გამართული, მაშინ **y** ნათურა აინთება;
3. თუ **c** ბლოკია გაუმართავი, ხოლო **b** ბლოკი – გამართული, მაშინ **y** ნათურა აინთება, **x** ნათურა კი – არა;

4. თუ b ბლოკია გაუმართავი, ხოლო c ბლოკი – გამართული, მაშინ x და y ნათურები აინთება, ან x ნათურა არ აინთება;
5. თუ ნათურა x ინთება და ამასთან ან a ბლოკია გაუმართავი, ან სამივე – a, b, c – ბლოკი გამართულია, მაშინ ნათურა y -იც აინთება.

გზაში კომპიუტერი გაფუჭდა. საკონტროლო პანელზე აინთო ნათურა x . მოგზაურმა გულდასმით შეისწავლა ინსტრუქცია და შეაკეთა კომპიუტერი, მაგრამ ამ მომენტიდან მოგზაურობის დასასრულამდე მას არ ასვენებდა შეგრძნება, რომ ინსტრუქცია არასრულყოფილია და არსებობს შემთხვევა, რომლის დროსაც ის ვერ დაეხმარება. რომელი ბლოკები შეცვალა მოგზაურმა? რა ნაკლი აღმოუჩინა მან ინსტრუქციას?

ამოხსნა: შემოვიტანით აღნიშვნები ლოგიკური გამონათქვამებისთვის:

$$a - \text{გაუმართავია } \bar{b} \text{ლოკი } a; \quad x - \text{ანთია } \text{ნათურა } x;$$

$$b - \text{გაუმართავია } \bar{b} \text{ლოკი } b; \quad y - \text{ანთია } \text{ნათურა } y;$$

$$c - \text{გაუმართავია } \bar{b} \text{ლოკი } c; \quad z - \text{ანთია } \text{ნათურა } z;$$

$$a \vee b \vee c \rightarrow x \vee y \vee z \quad (1)$$

$$a \cdot \bar{c} \rightarrow y \quad (2)$$

$$c \cdot \bar{b} \rightarrow y \cdot \bar{x} \quad (3)$$

$$b \cdot \bar{c} \rightarrow x \cdot y \vee \bar{x} \quad (4)$$

$$(a \vee \bar{a} \cdot \bar{b} \cdot \bar{c}) \cdot x \rightarrow y \quad (5)$$

ფორმულები 1-5 ჭეშმარიტია პირობის მიხედვით, აქედან გამომდინარე, მათი კონიუნქციაც ჭეშმარიტია:

$$(a \vee b \vee c \rightarrow x \vee y \vee z) \cdot (a \cdot \bar{c} \rightarrow y) \cdot (c \cdot \bar{b} \rightarrow y \cdot \bar{x}) \cdot (b \cdot \bar{c} \rightarrow x \cdot y \vee \bar{x}) \cdot$$

$$((a \vee \bar{a} \cdot \bar{b} \cdot \bar{c}) \cdot x \rightarrow y) = 1$$

თუ იმპლიკაციას დიზიუნქციითა და $(a \rightarrow b = \bar{a} \vee b)$ უარყოფით გამოვსახავთ, მივიღებთ:

$$(\bar{a} \cdot \bar{b} \cdot \bar{c} \vee x \vee y \vee z) \cdot (\bar{a} \vee c \vee y) \cdot (\bar{c} \vee b \vee y \cdot \bar{x}) \cdot (\bar{b} \vee c \vee x \cdot y \vee \bar{x}) \cdot$$

$$((a \vee \bar{a}) \cdot (a \vee \bar{b}) \cdot (a \vee \bar{c}) \cdot x \vee y) =$$

$$= (\bar{a} \cdot \bar{b} \cdot \bar{c} \vee x \vee y \vee z) \cdot (\bar{a} \vee c \vee y) \cdot (\bar{c} \vee b \vee y \cdot \bar{x}) \cdot (\bar{b} \vee c \vee x \cdot y \vee \bar{x}) \cdot$$

$$(\bar{a} \cdot b \vee \bar{a} \cdot c \vee \bar{a} \cdot \bar{x} \vee y) = 1$$

თუ ამ იგივეობაში ჩავსვამთ ჭეშმარიტების მნიშვნელობებს $x = 1, y = 0, z = 0$, მივიღებთ:

$$(\bar{a} \vee c) \cdot (\bar{c} \vee b) \cdot (\bar{c} \vee c) \cdot (\bar{a} \cdot b \vee \bar{a} \cdot c) =$$

$$= (\bar{a} \cdot \bar{c} \vee \bar{a} \cdot b \vee c \cdot b) \cdot (\bar{b} \cdot \bar{a} \cdot c \vee c \cdot \bar{a} \cdot b \vee \bar{a} \cdot c) = \bar{a} \cdot b \cdot c = 1$$

საიდანაც გამოდის, რომ $a = 0, b = 1, c = 1$.

ამგვარად, პასუხი ამოცანის პირველ კითხვაზე არის: უნდა შეიცვალოს ბლოკები b და c ; ბლოკ a -ს შეცვალა არ სჭირდება. პასუხი მეორე კითხვაზე მიიღეთ დამოუკიდებლად.



ამოცანა 2. სამი მეგობარი, სამივე ავტორბოლის გულშემატკივარი, კამათობდა აზერბაიჯანის ფორმულა 1-ის გრან პრის მომავალი ეტაპის შესახებ.

- აი ნახავ, რიკარდო პირველი ვერ მივა ფინიშთან, - თქვა ორჰანმა. პირველი ჰამილტონი იქნება.
- არა, რიკარდო გაიმარჯვებს, - შეჰყვირა თორლულმა. - ბოტასზე ლაპარაკიც არ ლირს. ის პირველი ვერასოდეს გახდება.
- ახმედი გაბრაზდა:
- ჰამილტონი ვერ ელირსება პირველ ადგილს, აი ბოტასი კი ყველაზე ძლიერი მანქანის პილოტია.

რბოლის დამთავრების შემდეგ გამოირკვა, რომ ორი მეგობრის ორი მოსაზრებიდან თითოეული დადასტურდა, ხოლო მესამე მეგობრის ორი მოსაზრებიდან ორივე მცდარი აღმოჩნდა. ვინ მოიგო რალი?

ამოხსნა: შემოვიტანოთ აღნიშვნები ლოგიკური გამონათქვამებისათვის: R – რიკარდო გაიმარჯვებს; H – ჰამილტონი გაიმარჯვებს; B – ბოტასი გაიმარჯვებს. ახმედის გამონათქვამი: „ბოტასი ყველაზე ძლიერ მანქანას მართავს“ არ შეიცავს არავითარ მტკიცებას ავტომრბოლელის მიერ დაკავებული ადგილის შესახებ, რის გამოც შემდგომ მსჯელობაში მას აღარ გავითვალისწინებთ. დავა-ფიქსიროთ თითოეული მეგობრის გამონათქვამი:

$$\text{ორჰანი: } \bar{R} \wedge H, \quad \text{თორლული: } R \wedge \bar{B}, \quad \text{ახმედი: } \bar{H}.$$

გავითვალისწინოთ, რომ ორი მეგობრის მოსაზრებები დადასტურდა, ხოლო მესამისა არასწორი აღმოჩნდა, და გავამატივოთ ჭეშმარიტი გამონათქვამი:

$$(\bar{R} \wedge H) \cdot (R \wedge \bar{B}) \cdot \bar{H} \vee (\bar{R} \wedge H) \cdot \overline{(R \wedge B)} \cdot \bar{H} \vee (\bar{R} \wedge H) \cdot (R \wedge \bar{B}) \cdot \bar{H}$$

ახლა კი, ლოგიკის ალგებრის შესაბამისი კანონების გამოყენებით, გავამარტივოთ ეს გამოსახულება:

$$= (R \vee \bar{H}) \cdot R \cdot \bar{B} \cdot \bar{H} = R \cdot \bar{B} \cdot \bar{H}$$

გამონათქვამი $R \cdot \bar{B} \cdot \bar{H}$ ჭეშმარიტია მხოლოდ მაშინ, თუ $R = 1, B = 0, H = 0$. ე.ი. გაიმარჯვა რიკარდომ.

ტერმინების ლექსიკონი

აზერბაიჯანული	ინგლისური	ქართული	თურქული
abak	abacus	აბაკი	abakus
açar	switch	გადამრთველი	anahtar
açar söz	keyword	სიტყვა-გასაღები	anahtar sözcük
açmaq	open	გახსნა	açmak
adlamaq	skip	გამოტოვება	atlamak
ağac	tree	ხე	ağaç
alətlər zolağı	toolbar	ინსტრუმენტების პანელი	araç çubuğu
alqoritm	algorithm	ალгорითმი	algoritma
aparat təminatı	hardware	უზრუნველყოფა	donanım
arama, axtarış	search	ძიება	arama
ardıcılıq	sequence	თანამიმდევრობა	sıra
aşağı kolontitul, sahifə altlığı	footer	ქვედა კოლონტიტული	sayfa allığı
atçı	jumper	ზედა კოლონტიტული	atlaticı
axtarış sistemi	search engine	საძიებო სისტემა	arama motoru
ayırıcı	delimiter	გამიჯვენელი	sinirlayıcı
bağlayıcı	connector	მართიბელი	bağlaç, bağlayıcı
baş menü	main menu	მთავარი მენუ	ana menü
başlıq	caption	სათაური	başlık
bayt	byte	ბაიტი	bayt
bənzərsiz	unique	უნიკალური	tekil, benzersiz
bərabərlik	equality	ტოლობა	eşitlik
birləşdirmək	merge	გაერთიანება	birleştirmek
bit	bit	ბიტი	bit, ikil
blok-sxem	flowchart	ბლოკსქემა	akış çizgesi
bölüm	partition	სექცია, ნაწილი	bölüm
budaqlanma	branching	განშტოება	dallanma
bufer	buffer	ბუფერი	arabellek
Bul cəbri	Boolean algebra	ბულის ალგებრა	Boole cebiri
bulanıq məntiq, qeyri-səlis məntiq	fuzzy logic	არამյացი ლოგიკა	bulanık mantık
cavab	reply	პასუხი	yanıt
cədvəl	table	ცեნტრ	tablo
çalışdırmaq	execute	შესრულება	çalıştmak
çarpaz yoxlama	cross-check	ჯვარედინი კონტროლი	çapraz kontrol
çıqıltı	click	დაწავენება	tiklatma
çıxış¹	exit	გამოსასვლელი	çıkış
çıxış²	output	გამოტანა	çıkış
çoxluq	set	ნაკრები	küme
çözümlülük	resolution	გარჩევადობა	çözünürlük
darama	scan	სკنირება	tarama
daşıyıcı	medium	მატარებელი	ortam
defis	hyphen	დეფისი	kısa çizgi
dəstək	support	მხარდაჭერა	destek
dəyişən	variable	ცვლადი	değişken
disket	diskette	დისკეტა	disket
diskürən	disk drive	დისკამყანი	disk sürücüsü
dönmə	return	დაბრუნება	dönme
dövərə	loop	ციკლი	döngü

drayver	driver	დრაივერი	sürücü
düymə	button	ღილაკი	düğme
düzləndirmək	align	ერთ საზ杨ე გასწორება	hizalamak
ekran	screen	ეკრანი	ekran
ekspert sistemi	expert system	საექსპერტო სისტემა	uzman sistem
elektron cədvəl	spreadsheet	ელექტრონული ცხრილი	elektronik çizelge
elektron poçt	electronic mail	ელექტრონული ფოსტა	elektronik posta
endirmək	download	ჩამოტკირთვა,	indirmek
əməliyyat sistemi	operating system	გადატოქაჩება ოპერაցიული სისტემა	işletim sistemi
əsas	base	საფუძველი	taban
əvəzləmə	replace	შეცეղა	değiştirme
əyik cizgi	slash	ირიბი ხაზი	eğik çizgi
əyilgən disk	floppy disk	დრეკადი დისკი	disket
fayl	file	ფაილი	dosya
fərdi kompüter	personal computer	პერსონალური	kişisel bilgisayar
fırlatma zolağı	scroll bar	კომიუტერი	kaydırma çubuğu
fon	background	სწრაფმრბენი	artalan
formatlamaq	format	ფორმატება	birimlemek
funksiya	function	ფუნქცია	işlev
gap	chat	ჩათი	söylesi
genişləndirmə			
lövhəsi			
genişzolaqlı şəbəkə	expansion board	გაფართოების პლატა	genişletme kartı
giriş	broadband network	ფართო ბოლովიანი ქსელი	geniş bant ağlı
giriş-çixış	input	შეტანა	giriş
görüntü	input/output (I/O)	შეტანა-გამოტანა	giriş/çıkış
göstərici	image	გამოსახულება	görüntü
hesabat	pointer	მაჩვენებელი	gösterge, imleç
hesablamاق	report	ანგარიში	rapor
	compute	გამოთვლა	hesaplamak
hiperistinad	hyperlink	ჰიპერბმული,	üstbağ
hipermətn	hypertext	ჰიპერმითითიება	üst metin
xana	cell	უჯრა	hücre
xəta	error	შეცდობა	hata
ifadə	expression	გამოხატვა	ifade
ikilik rəqəm	binary digit	ორոბითი ციფრი	ikili sayı
indeks	index	ინდექსი	dizin
informasiya	information	ინფორმაცია	bilgi
istinad	reference	ბმული, მითითება	ilgi, başvuru
iş masası	desktop	სამუშაო მაგიდა	masaüstü
işarə	sign	ნიშანი	im, işaret
kataloq	directory	კატალოგი	dizin
kəsilmə	interrupt	შენ्यცეტა	kesme
kəsmək	cut	ამოქრა	kesmek
kitabxana	library	ბიბლიოთეკა	kitaplık
klaviatura	keyboard	კლავიატურა	klavye
klaviş	key	კლავიში	tuş
kod	code	კოდი	kod
kodlaşdırma	coding	კოდირება	kodlama
komanda	command	ბრძანება	komut
kompilyator	compiler	კომპილატორი	derleyici
kompüter	computer	კომპიუტერი	bilgisayar

LAYİTH

kompüter elmi	computer science	კომპიუტერული მეცნიერება	bilgisayar bilimi
kontrastlıq	contrast	კონტრასტულობა	karşılık, kontrast
kontur	outline	კონტური	çerçeve, dış çizgi
kursor	cursor	კურსორი	imleç
kök	root	ფესვი	kök
layihə	project	პროექტი	tasarı, proje
lazerli printer	laser printer	ლაზერული პრინტერი	lazerli yazıcı
lövhə	board	პლატა	kart
massiv	array	მასივი	dizi
məşin kodu	machine code	მარქანური კოდი	makina kodu
matris	matrix	მატრიცა	dizey, matris
matrisli printer	dot-matrix printer	მატრიცული პრინტერი	iğneli yazıcı
menyu	menu	მენიუ	menü
menyu bəndi	menu item	მენიუს პუნქტი	menü öğesi
menyu zolağı	menu bar	მენიუქონი	menü çubuğu
məntiqi	logical	ლოგიკური	mantıksal
mərkəzi prosessor	central processing unit	ცენტრალური პრոცესორი	merkezi işlem birimi
mətn	text	ტექსტი	metin
miqyas	scale	მასშტაბი	ölçek
müştəri-qulluqçu	client/server	კლიენტ-სერვერი	istemci/sunucu
nışan	bullet	მარკერი	madde imi
nizamlamaq	arrange	მოწყიდვება	düzenlemek
onaltılıq	hexadecimal	თექსტიტობითი	onaltılı
onluq	decimal	ათობითი	ondalık
operator	operator	ოპერატორი	isletç
ovuciçi	palmtop	ჯიბის კომპიუტერი	avuç içi
pəncərə	window	ფანჯारა	pencere
periferiya	peripheral	პერიფერიული	çevresel, yanbirim
peyk	satellite	თანამგზავრი	uydu
piksel	pixel	პიქსელი	piksel
planşet	tablet	პლანშეტი	tablet
printer	printer	პრინტერი	yazıcı
program təminatı	software	პროგრამული უზრუნველყოფა	yazılım
programlaşdırma	programming	ენა	
dili	language	დაპროგრამება, პროგრამირება	programlama dili
prosessor	processor	პროცესორი	işlemci
qısayol	shortcut	იარლიყი	kısayol
qiymət	value	მნიშვნელობა	değer
qiymətləndirmə	evaluation	შეფასება	değerlendirme
qlobal	global	გლობალური	genel
qoşma	attachment	ჩანართი	ek
qovluq	folder	საქაღალდე	dizin
qoşaq	hub	კონცენტრატორი, ჰაბი	göbek
quraşdırmaq	install	დაყენება	kurmak
qurğu	device	მოწყიბილობა	aygit
rabitə	communications	კავშირი	iletişim
redaktə	edit	რედაქტირება	düzenlemek
rejim	mode	რეჟიმი	kip
raqəm	digit	ციფრი	rakam
sahə	field	ველი	alan
saxlamaq	save	შენახვა	saklamak

sazlamaq	debug	გამართვა	hata ayıklamak
şəbəkə	network	ქსელი	ağ
şəbəkə keçidi	gateway	შესუბი	ağ geçiti
seçdirmək	select	არჩევა	seçmek
səhifə	page	გვერდი	sayfa
sehrbaz	wizard	ექსპერტი	sihirbaz
səkkizlik	octal	რვაობითი	sekizli
sənəd	document	დოკუმენტი	belge
sensor	sensor	მიმღებ-გადამცემი	algılayıcı
şərt	condition	პირობა	koşul
şərt disk	hard disk	მყარი დისკი	sabit disk
siçan	mouse	თაგვი	fare
siçanın göstəricisi	mouse pointer	თაგვის მაჩვენებელი	fare imleci
şifraçma	decryption	გაშifravra	şifre çözme
şifrləmə	encryption	დაშifravra	şifreleme
silmək	erase	წაშლა	silmek
simgə	icon	ნიშანი	simge
simvol	character	სიმბოლო	karakter
şin	bus	სალტე	yol
sistem bloku	system unit	სისტემური ბლოკი	sistem birimi
skaner	scanner	სკანერი	tarayıcı
sorğu	query	შეკითხვა, მოთხოვნა	sorgu
şrift	font	შრიფტი	yazı tipi
struktur	structure	სტრუქტურა	yapı
süni intellekt	artificial intelligence	ხელოვნური ინტელექტი	yapay zeka
sürüklemək	drag	გადაտრုვა	sürüklemek
süzgəc	filter	ფილტრი	süzgeç
sxem	schema	სქემა	şema
təkmilləşdirmək	upgrade	სრულყოფა	yükseltme
tərs eygik çizgi	backslash	შებრუნ्बითი ირიბი	ters eğik çizgi
tətbiqi program	application	ხაზი	uygulama
tutum	capacity	დანართი	sığa
uzanti	extension	მოცულობა	uzanti
uzaq	remote	გაფართოება	uzak
uzaqlaşdırmaq	delete	დაშორებული	silmek
üvan	address	წაშლა	adres
verilənlər	data	მისამართი	veriler
verilənlər bazası	database	მონაცემთა ბაზა	veri tabanı
yaddaş	memory	მემორი	bellek
yapışdırmaq	paste	ჩასმა	yapıştırmak
yazı	record	ჩანაწერი	kayıt, tutanak
yenidən başlatmaq	restart	გადატვირთვა	yeniden başlatmak
yeniləmə	update	განახლება	güncellemə
yerdəyişmə	move	გადაადგილება	taşıma
yol	path	გზა	yol
yönləndirici	router	მარშრუტიზატორი	yönlendirici
yükləmə	load	ჩატყირთვა	yüklemek

LAYİH

ЛИЧНЫЙ СПИСОК

1. Calallı İ., İnformatika terminlərinin izahlı lügəti – Bakı, "Bakı" nəşriyyatı, 2017
2. Bilgisayar kurs kitabı – Ankara, 2004
3. Хасэгава Х., Мир компьютеров в вопросах и ответах.: В 2-х кн.: пер. с япон. – Москва, "Мир", 1998
4. Энциклопедия для детей. Информатика – Москва, "Аванта +", 2004
5. Энциклопедия школьной информатики – Москва, "БИНОМ. Лаборатория знаний", 2011
6. Проблемы школьного учебника: XX век: Итоги – Москва, "Просвещение", 2004
7. МакФедрис П., Компьютеры – Москва, "NT Press", 2009
8. Таненбаум Э., Уэзеролл Д., Компьютерные сети – СПб, "Питер", 2012
9. Пол Мак-Федрис, Microsoft Windows 7. Полное руководство – Москва, "Вильямс", 2012
10. Петцольд Ч. Код. Тайный язык информатики – Москва, "Русская Редакция", 2004
11. Computer Literacy BASICS: A Comprehensive Guide to IC3 – Boston, "Thomson Course Technology", 2005
12. Programming BASICS Using Microsoft Visual Basic, C++, HTML, and Java – Boston, "Thomson Course Technology", 2002

ЛАУИН

BURAXILIŞ MƏLUMATI

İnformatika – 11

*Ümumtəhsil məktəblərinin 11-ci sinfi üçün
İnformatika fənni üzrə dərslik
Gürcü dilində*

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:

**Ramin Əli Nazim oğlu Mahmudzadə
İsmayıł Calal oğlu Sadıqov
Naidə Rizvan qızı İsayeva**

Elmi redaktor
Tərcüməçi
Redaktor
Bədii redaktor
Texniki redaktor
Dizayner
Rəssamlar
Korrektor

**R.Əliquliyev
L.Bakradze
S.Nozadze
T.Məlikov
Z.İsayev
E.Çikarişvili
E.Məmmədov
N.Mçedlişvili**

*Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin qrif nömrəsi:
2018-216*

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2018


Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 10,4. Fiziki çap vərəqi 13. Səhifə sayı 208.
Kağız formatı $70 \times 100^1/16$. Ofset kağızı. Məktəb qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 84. Pulsuz. Bakı – 2018

“Bakı” nəşriyyatı
Bakı, AZ1001, H.Seyidbəyli küç. 30

LAYİHƏ

Pulsuz



Əziz məktəbli !

Bu dərslik sənə Azərbaycan dövləti tərəfindən bir dərs ilində istifadə üçün verilir. O, dərs ili müddətində nəzərdə tutulmuş bilikləri qazanmaq üçün sənə etibarlı dost və yardımçı olacaq.

İnanırıq ki, sən də bu dərsliyə məhəbbətlə yanaşacaq, onu zədələnmələrdən qoruyacaq, təmiz və səliqəli saxlayacaqsan ki, növbəti dərs ilində digər məktəbli yoldaşın ondan sənin kimi rahat istifadə edə bilsin.

Sənə təhsildə uğurlar arzulayırıq!

LAYIH